

22 1906-1912
ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ
ବିଭାଗ

ବ. ମ. ୧୩୯୮୧୦.

ଚାନ୍ଦିଙ୍ଗପୁଣୀ

ସାହାରତପେଣ୍ଠିରେ ଉତ୍ତରନୂଦୀନ.

୬୧୭୦୩୦ ୩୦୬୩୦୩୦.

(ପ୍ରକାଶକ ଲାଭକ୍ଷେତ୍ରାବଳୀ—ଫର. ଲାଭକ୍ଷେତ୍ରାବଳୀ).

R 39.384
3



ଫ. ୨୮୦୯୦୯୦.

ଅଭ୍ୟାସପ୍ରକାଶନ ପରିଷଦ, ମାତ୍ର. ପାଠ୍ୟ କର୍ତ୍ତା. ବିଭାଗ ପାଠ୍ୟ କର୍ତ୍ତା, ବ. N 3.

1906 ମେ.

წერილი საქართველოს ისტორიაზე

I

მეფობის დასაწყისი

უკელა ერის ისტორიის დასაწყისი ბურუსით დაფარულია; ყოველი ერის ისტორია ზღაპარ-თქმულებითი გარდმოცემით და გაურკვეველ ცნობებით იწყება. მაგრამ ამ ბურუსში, ზღაპარ-თქმულებასა და გაურკვეველ ცნობებში, როგორც ზღვის ქვიშაში მარგალიტი, ხშირათ თავს იფარავს წმინდა ისტორიული სინამდვილე; მხოლოდ საჭიროა—მცოდნე ხელმა ამ ისტორიულ მარგალიტს დროთა მსვლელობით ზედმიურილი შლამ-ტალახი მოაშოროს, თვით მარგალიტი კი გარეცხოს, გაასუფთაოს და უკელა დასანახავათ მზის შუქზე გამოიტანოს.

თუ ჩვენს ისტორიას დავუკვირდებით, აქაც იმავე საზოგადო მოვლენას შევამჩნევთ: ჩვენი ისტორიის დასაწყისიც იმავე სიბნელით და გაურკვევლობით მოცულია; აქაც პირველი ალაგი საისტორიო ზღაპარ-თქმულებას უჭირავს. ავილოთ თუნდ ის ადგილი, სადაც ჩვენი ისტორიული პირველ-წყარონი საქართველოში ერთ-მთავრობის დასაწყისზე მოგვითხრობენ.

„ქართლის-ცხოვრება“ ამ საგნის შესახებ გადმოგვცემს, რომ პირველათ საქართველო აღექსანდრე-მაკედონელმა (336—323 წ.) გააერთიანა, როდესაც დაიპყრო იგი და უზენაეს გამგედ თავისი ნათესავი აზონ იარედოსის-ძე შავედონელი დაუყენა; მაგრამ აზონმა უზომო სისასტიკით თავის ქვეშვრ-

დომებს. მალე თავი შეაძულა და ქართველების მხრით აჯანყება გამოიწვია, რომლის მოთავედაც მცხეთის უკანასკნელი მამასახლისის სამარას ძმისწული ფარნავაზი შეიქმნა. იგი დედით სპარსელი იყო, ხოლო მამით ქართველი და მთებში მალულათ იზრდებოდა. აქ ერთხელ ნადირობის დროს მან იპოვა დიდი განძი და მალე თვისი ქვეყნის განთავისუფლება-საც შეუდგა. ამ საქმეში ფარნავაზს მხარს უკერდა ვიღაც ქუჯი „ნათესავი ქართლოსიანი“, რომელმაც შემდეგში ფარნავაზისაგან სამეგრელო და სვანეთი მიიღო საერისთაოდ. ოსებისა და ლეკების დახმარებით ფარნავაზმა და ქუჯი სამუდამოთ გაანთავისუფლეს საქართველო მაკედონელთა ბრძანებლობისაგან, ხოლო ფარნავაზმა, კერძოთ, თავის თავი მეუჯდ გამოაცხადა და შინაური რეფრომების შემოღებას შეუდგაო, სახელდობრ: მთელი თვისი სამფლობელო ცხრა სა-ერისთათვ გაჰყო, ქართლოსის საფლავზე ამართა კერპი არმაზი, აზხაურთა წოდება დააარსა და „ქართული მწიგნობრობა შექმნაო“¹⁾.

ალექსანდრე მაკედონელის-მიერ საქართველოს გაერთი-ანებას არც მეორე ჩვენი ისტორიული პირველ-წყარო, ქარ-თლის მოქცევის ქრონიკა, უარ-ჰყოფს, მხოლოდ ამასთანავე იგი იძლევა ფრიად საინტერესო და სრულიად ახალ ცნობას როგორც აზოს ვინაობის შესახებ, ისე მეფობის დასაწყისის შესახებაც ქართველთა შორის. მაგრამ აი თვით ქრონიკის სიტყვები:

„თანა ჰყვანდეს ალექსანდრე მეფესა აზოხ, ძე არან ქართლისა მეფისახ; და მას მიუბოდა მცხეთა საჯდომად, და საზღვარი დაუდვა მას: ჰერეთი და ეგრის წყალი, და სომხი-თი და მთა ცრროლისახ, და წარვიდა. ხოლო ეს აზოხ წარვიდა არან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვახ სახლი და ათნი სახლი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა

¹⁾ ქართლის-ცხოვრება. გამოც. ზაქ. ჭიჭინაძისა. ტფილისი. 1897 წ. ტ. I, გვ. 32—40.

ძუელ მცხეთას, და თანა ჰყუანდეს კერპნი ლუთად გაცი და გაიმ. და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა, აზოე ძე არან ქართველთა მეფისე, და მოკვდა. და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ. იმან აღმართა კერპი დიდი ცხვისა ზედა და დასდგა სახელი მისი არმაზი, და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და ჰრქვიან არმაზ²⁾.)

ამ-გვარათ, უუძველესი ქართული ქრონიკა გადაჭრით გვეუბნება: როდესაც საქართველოს საზღვრებში ალექსანდრე მაკედონელი შემოვიდა, აქ მეფობა უკვე დაწყებული იყო, სახელდობრ „ქართლში“ ოჯდა „მეფე“ არანით; საქართველოდან წასვლის დროსაც ალექსანდრე—მაკედონელს ამ ქვეყნის გამგედ „აზონ მაკედონელი“ როდი დაუნიშნავს, არმედ „აზონ, ძე არან ქართლის მეფისათ“; აზოს შემდეგ გამეფდა ფარნავაზ, ფარნავაზს შემდეგ—საურმაგიო და სხვანი. ერთი სიტყვით, ნაციონალურ მთნარქიის დაარსება ჩევნში გამოუწვევია არა მაკედონელთა საწინააღმდეგო მოძრაობას, როგორც ამას „ქართლის-ცხოვრება“ ამბობს, არამედ, პირიქით, ალექსანდრე მაკედონელს კიდევაც ხელი შეუწყვია ამ მონარქიის გავრცელებისა და გაძლიერებისათვის; ასე რომ ფარნავაზი, რომელსაც „ქართლის-ცხოვრება“ პირველ ნაციონალურ მონარქია აღიარებს, უკვე მზა-მზარეულ სამეფო ტახტზედ ისულა და ერთ-მთავრობის შექმნა და ქართველთა შეერთება თვითონ აღარ დასჭირვებია. არავთარ ბრძოლას აზოსა და ფარნავაზის შორის ეს ქრონიკა არ იხსენიებს; არას ამბობს იგი არც აზნაურობის დაარსებასა და მწიგნობრობის შემოღებაზედ, თუმცა ქალაქების გამაგრებასა და ციხეების აშენებაზე კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი ბევრს ლაპარაკობს.

ასეთია პირთადი განსხვავება ჩევნს ორ ისტორიულ პირველ-წყაროთა შორის იმ საგნის შესახებ, რომელიც ჩევნი შენიშვნების ტემად ავირჩიეთ. მაგრამ ამავე დროს მათ-შეა-

²⁾ ე. თაყაიშვილი: „სამი ისტორ. ხრონიკა“. ტფილის 1890 წ., 83. 4—5.

ერთი თვალ-საჩინო მსგავსებაცაა, სახლდობრ, ორივე წყარო თანაბრათ სკრილობს—საქართველოს გაერთიანება და შიდა-ქართლში სამონარქიათ ცენტრის დამყარება აღექმისნდრე მაკედონელის პირადს გაფლენას და ინციატივას დაუკავშიროს, დიდებული საქმე ქართველ ტომის პოლიტიკურათ გაერთებისა ამ დიდებულ „დამპყრობელის“ ნამოქმედარად წარმოადგინოს.

რა გვეთქმის აქ დასახელებულ მსგზავსებისა და განსხვავებათა შესახებ? რომელ პირველ-წყაროს ცნობას უნდა მიეცეს ისტორიულათ უპირატესობა, ან უფრო გარკვეულათ რომ ვთქვათ, ამ წყაროთაგან რომლის ცნობა უფრო ადგილ-შესა-თანხმებელია უცხო მწერალთა და მსოფლიო ისტორიის იმ დრო-ნებჯ ცნობებთან და რა სახით?

ჩვენ განვეძ ხაზს ვუსვამთ ამ სიტყვებს: „უფრო ადგილ-შესათანხმებელია უცხო მწერალთა და მსოფლიო ისტორიის იმ დროინდელ ცნობებთან“, რადგან ჩვენი ისტორიულ წყაროების ცნობათა სინამდვილის თითქმის ერთად-ერთი საიმედო საზომი ისაა; თუ ეს ცნობანი რამდენათ ეთანხმებიან, ყოველ შემთხვევაში, არ ეწინააღმდეგებიან მაინც მსოფლიო ისტორიის, მეცნიერებისაგან მტკიცეთ დადგენილ, იმდროინდელ ფაქტებს და უუძველეს ბერძნებ-რომაელ მწერალთა კრიტიკულათ გაცხრილულ ცნობებს ჩვენი ქვეყნის შესახებ.

მაგრამ სანამ ამ საგნის შესახებ ჩვენს აზრს გამოვთქვამდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა უკან დავიხიოთ და მოკლეთ თვალი გადავავლოთ საქართველოს მდგომარეობას იმ დროს, რომელიც შიდა ქართლში ძლიერის სამონარქიო ცენტრის დაარსებას წინაურბოდა.

ქვემოთ ჩვენ ვეცდებით დავასაბუთოთ, რომ შიდა-ქართლში სამონარქიო ცენტრის გადატანა და ქართველთა ტომის ზოგიერთ თემების გაერთაინება დაახლოვებით იმ დროს ეკუთვნის, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა და მისმა მხედართ-მთავრებმა თითქმის მთელი შუა და დასავლეთის აზია თავის ძლიერს მახვილს დაუმორჩილეს, აზიის დესპოტთა ძლიერება ძირიანათ შეარყიეს და დასავლეთის აზიაში სრუ-

ლიგად ახალ პოლიტიკურ ორგანიზების აღმოცენებას შეიძაგი
მოუმზადეს, ესე იგი მე-IV საუკუნის დამლევს ქრისტეს დაბა-
დებამდე.

რას წარმოადგენდა საქართველო ამ დრომდე ეტნო-
გრაფიულათ და პოლიტიკურათ?

საქიროა ამ თავითვე შევნიშნოთ, რომ იმ დროს, რომელ-
საც ჩვენ გვსურს შევეხოთ, არც ცნება საქართველო და არც
ამ ცნების გამომხატველი სიტყვა კაცობრიობის ლექსიკონში
არ მოიპოვებოდა. არსებობდენ მხოლოთ ქართველ თესლ-
მოდგმის პატარ-პატარა თემები, რომელნიც ოთხი მდინარის:
არაქსისა, მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზებში იყვნენ
გაფანტულნი და უცხო ერებშიაც სხვა და სხვა სახელით
იწოდებოდენ. აღმოსავლეთით მათ საზღვრავდა კასპის ზღვა
და ქურთისტანის მთა, ჩრდილოეთით კავკასიონის მთაგრე-
ხილი, დასავლეთით შავი ზღვა კაპეტისწყლიდან ქ. ამიზამდე,
ხოლო სამხრეთით ის წყალ-გამყოფი ხაზი, რომელიც იწყე-
ბა ქურთისტანის მთიდან (მთა „ორეთისა“*), გაივლის ვანისა
და ურმიის ტბებ შორის და შემდეგ ჰყოფს არაქსისა, მტკვრისა
და ჭოროხის აუზებს ევფრატისა დი ჰალისის ბასეინთაგან. ამ
საზღვრებ შორის ქართველთა თესლ-მოდგმა შემდეგნაირათ
იყო დასახლებული:

შავი ზღვის სამხრეთად, ამიზის აღმოსავლეთით, ცხოვ-
რობდენ ტიბარენები, მათ აღმოსავლეთით შავიზღვის-პირა-
დვე — მთსინებები, ამათ სამხრეთ - აღმოსავლეთად, თითქმის
ჭოროხის სათავემდე, მთებში — ქალიბები, ჩრდილო-აღმოსავ-
ლეთით ტრაპიზონის გამოსწვრივ — მაკრონები; მაკრონებსა და
მოსინეკებ შორის მთებში ბინაღრობდნენ დრიღები, ხოლო
მაკრონების ჩრდილოეთით ტრაპიზონიდან კაპეტის წყლამდე
ჯერ შავიზღვის სანაპირო და შემდეგ მთელი რიონ-ყვირილის
აუზი დაჭრილი ჰქონდათ გფლხებს, რომელთაც კავკასიონის

*) ასე უწოდებს ამ მთას „ქ.-ცხოვრება“ (ტ. I, გვ. 16): „მთა
ორეთისა, რომელ არს ქურთთა ქვეყანასა“.

მთებიდან თავს დასცემდენ სთანები; ჭოროხის მარჯვენა ნაპირი არსიანის მთებამდე ტაოხებისა და სასპირების ხელში იყო, ხოლო მისი მარცხენა ნაპირი, მაკრონებსა და ტაოხებ შეა, სკიფინებს ეჭირათ. ტაოხების სამხრეთიდ, არაქსისა, ჭოროხისა და ეფრატის სათავეთა შორის ფაზიანები ცხოვრობდენ, ხოლო არაქსის სათავე მატიენებს ეჭირათ. მტკვრის სათავეში არსიანის მთების აღმოსავლეთით ბორჯომის ხეობამდე და მესეხეთის მთების ჩრდილოეთის ფერდობამდე (რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს მთა არსიანისა, რისგამოც უცხოეთის მწერლები ხშირათ ამ უკანასკნელსაც „მესხების“ მთას ეძახოდენ) – ბინადრობდენ მთსხები, რომელიც შეადგენდენ ნაწილს ივერიელებისას; ამ უკანასკნელთა მიწა-წყალი კი აღწევდა აღმოსავლეთით ალაზნამდე, ხოლო სამხრეთით მტკვრისა და არაქსის წყალ-გამყოფ ხაზამდე;**) ივერიელების აღმოსავლეთით კასპის ზღვამდე ალაზნელები ცხოვრობდენ, ხოლო არაქსის ბასეინი ალართდანებს ეჭირათ. ამათ გარდა, კასპის ზღვის სამხრეთ-დასავლეთის სანაპიროებში გადუსიანები ბინადროებდენ, ხოლო ამათ სამხრეთ-დასავლეთით თითქმის ტიგრამდე კარდუქები იყვენ დასახლებული.

ამგვარათ: ტიაბარენი, მთსინებნი, ქალიბები, შაკრთნები, დრილები, კოლხები, სთანება, ტაოხები, სასპირები, სკიფინები, ფაზიანები, მატიენნი, მთსხებ-ივერიელნი, ალაზნელნი, ალართდანნი, კარდუქები და კადუსიანები³), აი ქართველთა თესლ-მო-

**) ასირიელები კი მთელს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ თემს (ე. ი. როგორც საკუთრათ მოსხებს, ისე ივერიელებს) საერთო სახელით იცნობდნენ: იგინი მათ ეძახოდენ „მუსკებს“, რაც უდრის იმავე „მოსხებს“ ანუ „მესხებს“ (დ. ბაქრაძე: „ისტორია საქართველოსი“. თბილისი 1889 წ. გვ. 17).

³⁾ ამ თემების სახელები და მათი ადგილ-ბინადრობა ჩვენ დავადგინეთ ჰეროდოტის (480—426 წ.) და ქსენოფონტის (431—354 წ.) ცნობათა მიხედვით, რომელიც შევავსეთ აპოლონ რომლსელისა (250—200 წ.) და სტრაბონის (66 ქრ. წინ და 24 ქრ. შემდეგ) ცნობებით. იხ. განს: „Извѣстія древн. греч. и римск. писателей о Кавказѣ“ ч. I. Тифлисъ.

დგმის უმთავრესი თემები, რომელნიც მე-VII საუკუნის დამლევს სპარსეთის მეფემ დარიოზ ჰისტასპეა (521—486) თავის მონარქიის საერთო წეს-წყობილებას დაუმორჩილა. ამას შემდეგ აღნიშნული თემები აღექსანდრე მაკედონელის შემოსვევამდე (330 წლამდე) სპარსეთის ხელიდან აღარ გამოსულან.

თვითეული ამ თემთაგანი, თავის მხრივ, დაყოფილი იყო რამდენსამე საგვარეულოდ, რომელთაც განაგებდა გვარის (= „სახლის“) უფროსი წევრი მამაკაცი ანუ „მამასახლისი,“ ხოლო მთელ თემში უუძლიერესი გვარის მამასახლისი იმავე დროს მთელი თემის უფროსადაც ითვლებოდა, ესე იგი იყო თემის მამასახლისი. უცხოეთის მწერლები ამ თემის უფროსებს „მეფეებს“ უწოდებენ, თუმცა იმავე დროს ამ „მეფეებზე“ ისეთ ცნობებს იძლევიან, რომ ყოვლად შეუძლებელია მათ ეს ღირსება მიეკუთნოსთ. მაგალითად, ქსენოფონტის მოწმობით (431—354 წ.), მთხინებები მრავალ დაბებად იყვენ დასახლებულნი და ორ დიდ ჯგუფად განიყოფებოდენ, რომელთაც თავთავისი „უფროსები“ ჰყავდათ, ხოლო ამ უფროსთა შორის პირველი ადგილი ეკირა იმ გვარის უფროსს, რომლის ხელშიაც სატახტო ქალაქი იმყოფებოდა. ამ გვარის უფროსს ქსენოფონტე „მეფეს“ უწოდებს, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ ამ მეფეს უფლება არა ჰქონდა თავის ციხე-დარბაზიდან გამოსულიყო, და მთელ სამოსინეკოს მფლობელობაც ეკუთვნოდა არა მას, არამედ იმ გვარს, რომლის წევრადაც იგი ითვლებოდაო; რაც შეეხება დანარჩენი გვარების უფროსთა დანიშვნას, როგორც ქსენოფონტეს სიტყვე-

1884 წ. ცტ. 12—22. 26—41. 44—52. 55—83.—ამათ გარდა სახეში გვქონდა ფრანსუა ლენორშანის გამოკვლევანი ალაროდიელთა შესახებ (შეად. მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობა მის მიერ გამოცემულ „საქართველო გეოგრაფიისა“—ვარუშტი ბატონიშვილისა. ტფ. 1904 წ. გვ. 10—14). ხოლო ვხელმძღვანელობდით იმავე ლენორმანის ატლასით, რომელიც მას თავის „Histoire ancienne de l'Orient“-ის მე-V ტომში აქვს ჩართული. Paris 1887. ამ ატლასში ნაჩვენებია დარიოზის მონარქია.

ბიდან სჩანს, არც ეს საქმე ყოფილა მოსინეკების „მეფის“ ხელში.⁴⁾ — მაგრამ ყველაზე უფრო გარკვეულ ცნობებს თემისა და გვარის უფროსთა შესახებ სტრაბონის გეოგრაფიაში ვპოულობთ. მართალია ამ გეოგრაფიაში შეტანილი მასალების შეკრება, როგორც თვითონ სტრაბონი ამბობს, პირველ საუკუნეს ეკუთვნის ქრ. დაბადებამდე, მაგრამ თვით იმ წყობილების სიმტკიცე და გარკვეულობა, რომელიც იქაა აწერილი, და მოსინეკების წესწყობილებასთან მისი შედარება ნათლად ამტკიცებს, რომ იმ წყობილების დასაწყისი ფრიად შორეულ და უუძველეს დროს უნდა ჰქონინებოდეს. მაგალითად ივერიელების შესახებ სტრაბონი გადაჭრით ამბობს, რომ ეს ხალხი პირველ საუკუნეშიაც კი „მეფეს“ ირჩევდა სამეფო საგვარეულოს უხუცეს წევრთა შორის, იქიდამვე ირჩევდა მეორე პირს, რომლის ხელშიაც იყო უზენაესი სამართალი და მხედართ-მთავრობა, ხოლო მგზობელ ერებთან ურთიერთობის საქმეს სამღვდელოება განაგებდათ. ცხადია, აქ ჩვეულებრივს თემის უფროსზე ანუ „თემის-მამასახლისზეა“ ლაპარაკი და არა სრულ უფლებიანს მეფეზე. სწორეთ ამისავე მსგავსად თვითეული „გვარის“ შინაურ საქმეებსაც გვარის უხუცესი წევრი ანუ „საგვარო მამასახლისი“ განაგებდა; ქონება იმ დროს არ შეადგენდა კერძო საკუთარებას, არა-მედ მთელი გვარის საკუთრებად ითვლებოდა. ერთი სიტყვით, მთელი ივერიის პოლიტიკურ-სოციალური ცხოვრება, როგორც სტრაბონის დროს ისე მის წინედაც, მამასახლისურ-გვაროვნობითს წყობილებაზე იყო იგებული.⁵⁾ — სტრაბონისავე მოწმობით, ალანელები ძველათ 26 ჯგუფად ყოფილან დანაწილებული და თვითეულს მათგანს საკუთარი „მეფე“ ჰყოლია. ეს ჯგუფები იმდენათ დამოუკიდებელნი ყოფილან ერთმანეთზე, რომ თითქმის საკუთარი კილოკავებიც კი შეუ-

⁴⁾ ამაზე იხ. И. Джаваховъ. Государств. строй древн. Грузии и древн. Армении. Спб. 1905 г. стр. 28—29. ზეად. Ганъ, Извѣстія... 1, стр. 39.

⁵⁾ იხ. И. Джаваховъ, loc. cit. стр. 8—10.

ქმნიათ.⁶⁾ — სთანებშიაც „მეფის“ უფლება „სამასთა საბჭოთი“ ყოფილა შეზღუდული⁷⁾.

ერთი სიტყვით, დღეს უკვე საკმაოთ დადგენილ ისტორიულ ფაქტად შეეცნობენ ჩავთვალით ის გარემოება, რომ შიდა-ქართლში სამონარქიო ცენტრის გადმოტანამდე და მის ხელ-ქვეშ ქართველ თემთა გაერთებამდე — ყოველი თემი ცალკე ცხოვრობდა და საკუთარს უფროსს ანუ თემის-შიმა-სახლის ემორჩილებოდა; ამ სამამასახლისო უფლებიდან წარმოიშვა და მასთანვე მტკიცეთ შეკავშირებული დარჩა შემ-დეგ შიაც, — როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, — შიდა ქარ-თლის მეფეთა უფლება; ეს ხასიათი არ დაუკარგავს მეფის უფლებას ჩვენში თვით მე-ვ საუკუნემდე ქრ. შემდეგ, რო-დესაც სასანიდებმა შიდა-ქართლში მეფობა გააუქმეს.

მართალია, როგორც საბერძნეთის მწერლები მოგვი-თხრობენ და ლინგვისტიური გამოკვლევანიც ამტკიცებს, ამ თემთა შორის დიდი მსგავსება და ნათესაობაც ყოფილა⁸⁾, მაგრამ ამ მსგავსებასა და ნათესაობას, როგორცა სჩანს, მაინც

⁶⁾ განъ. Извѣстія... I, стр. 71.

⁷⁾ Ibidem. стр. 66.

⁸⁾ მაგალითად მოსხებზე ჰეკატეი (550 წლის მახლ. ქრ. წინ) ამბობს: „მოსხები კოლხური მოდგმისანი არიან და მატიენების მოსამზღვრეთ ცხოვ-რობენ“ (განъ loc. cit. 8); მოსხები—ეს ხომ ჩვენი მესხებია ანუ იგივე ქართლელები, მაშასადამე კოლხებიც ქართულის მოდგმისანი ყოფილან; როგორც ლენორმანი ამტკიცებს, ალაროლიანებიც ქართველთა მონათესავე თემი იყო; ივერიელებზე ალარას ვამბობთ, რადგან მათი, კოლხებისა, მოსხებისა და ალაროლიანების ნათესაური კავშირი, ვეონებთ, თავისთავა-დაც ცხადი უნდა იყოს. დანარჩენ თემებთან მათს ნათესაურს კავშირს კი მათი სოციალური ორგანიზაციისა, საომარი იარალისა და ზნე-ჩვეულებათა საოცარი მსგავსება ამტკიცებს. მაგალითად, ჰეროდოტეს მოწმობით მოს-ხები, ფიბარენები, მაკრონები და მოსინექები ერთგვარს იარალს ატარებდენ, ხოლო კოლხები, სასპირები და ალაროლიანები — ერთგვარს (განъ loc. cit. I, 21). რაც შეეხება კალუსიანებსა და კარლუქებს, ამათი თვით სახელწოდე-ბის ეტიმოლოგიაც კი საბუთს გვაძლევს — იგინი ქართლოსიანთა ანუ ქარ-ველთა (= „კარდუ“ იგივე მეცნული „ქორთუ“ და ქართული „ქართუ“ — არის) თანამოსახელედ და მონათესავედ ჩავთვალოთ.

ვერ მოუხერხებია აღნიშნულ თემთა განცალკევების შესუსტება და გაუქმება. ამის მიზეზი ჩვენის ფიქრით უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ ქართველი თესლ-მოდგმის თემები კულტურულ განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე არ იდგენ, რადგან სხვა და სხვა გვარს გეოგრაფიულ პირობებში ცხოვრობდენ და წარმოქიდის წესიც მომეტებელ ნაწილათ გამნისხვა-გებული ჰქონდათ. მაგალითად ტიბარელები და აღბანელები რომ ჯერ ისევ შეჯდობას მისდევდენ,⁹⁾ ივერიელთა შორის იმავე დროს წარმოების უმთავრეს ფორმას მიწის-მუშაობას შეადგენდა,¹⁰⁾ ქალიბები მაღნებში მუშაობდენ,¹¹⁾ ხოლო კოლხები სელის-წარმოქიდითა და საგარეო გაჭრობით იყვენ სახელგათმშული.¹²⁾ მართალია, როცა გარეშე მტერი შემოესეოდათ, რამოდენიმე თემი ერთებოდა დი ისე უხვედებოდა სამშობლოს მტერს,¹³⁾ მაგრამ ეს შეერთებაც იგიოვევე შემთხვევითი ხასიათისა და ხანმოკლე იყო, როგორც თვით მტრის შემოსევა. ამიტომ, დადგებოდა თუ არა მშვიდობიანობა, თემებიც დაიშლებოდენ და განკერძოებით იწყებდენ ცხოვრებას, ანდა ერთმანეთს საზღვრებისა და უფროსობის შესახებ დაუწყებდენ კინკლაობას; ზოგჯერ ამ კინკლაობას მტრის შემოსევის დროსაც არ ივიწყებდენ.¹⁴⁾

ცხადია, ამგვარს პირობებში მყოფი ხალხი თავისთავად არც ისურვებდა და ვერც შესძლებდა საერთო ცინტრის შექმნას, ხანგრძლივ გაერთიანებას, თუ მას რაიმე გარეშე ძალა, გარედან მოქმედი ხანგრძლივი და ძლიერი გავლენა არ აიძულებდა განცალკევების სისუსტე ეგრძნო და შეერთების მნიშვნელობა შეევნო. და აი, სწორეთ ამ შეგნების საფუძველი ჩაი-

⁹⁾ ტიბარენებზე აპოლონი როდოსელი (გან्त, loc. cit. I, 44. შეად. 143), ხოლო აღბანელებზე—სტრაბონი (ibidem, стр. 68).

¹⁰⁾ გან्त. ივნესტია... I, 67.

¹¹⁾ ibid. 41. 46. 83.

¹²⁾ ibid. 15. 65.

¹³⁾ გან्त. ივნესტია... I, 21—22.

¹⁴⁾ ასე მოიქცნენ მოსინეკები. ibid. стр. 37—39.

ყარა მაშინ, როდესაც ყველა ქართველი თემები სპარსეთის ძლიერს მონარქიას დაუმორჩილეს და უცხო ტომთა ძლიერს მუხრუქში მოათავსეს.

როგორც ვიცით, დარიოზ ჰისტოსპის მონარქია 20-ზე მეტ სასატრაპიდ (ოლქად) იყო დანაწილებული. თვითეულ ოლქს განაგებდა სატრაპი ანუ „მეფის-მთადგილე“, რომელიც უმეტესათ მეფის საგვარეულოდან ინიშნებოდა და რომლის ხელშიაც შეერთებული იყო როგორც სამოქალაქო ისე სამხედრო უფლება. როგორც მეფის მონათესავე, სატრაპი სრული მისი ნდობისა და მონათებისა და, როგორც სურდა, ისე განაგებდა, ან უკეთ რომ ვთქვათ ატყავებდა და აფიროვებდა ქვეშვრდომებს, რომელნიც უიმისოდაც შეტათ მძიმე ხარჯებითა და ბეჭრით იყვენ დატვირთულნი. მაგრამ ყველა ბეგარაზე უსასტიკესი და უმძიმესი იყო დიდიალი სახელაწიფო ჯარის შენახვა, რომელიც მომეტებულ ნაწილათ დაქირავებული იყო. მართალია, სპარსეთი არ ერეოდა დაპყრობილ ხალხთა შინაურ ცხოვრებაში, ზოგჯერ მათ მამაპაპეულ წესებსა და გამგეობას უტოვებდა, მათს სარწმუნოებას არ ეხებოდა, — მაგრამ, მაუხედავად ამისა, პროვინციები მაინც სასტიკ გაჭირვებაში იყვენ, რადგან არაეითარი კანონით განსაზღვრული წეს-რიგი არ ითარავდა მათ სატრაპებისა ან მათი აგენტების თვით-ნებობისაგან, ხოლო უზომო გადასახადები და ბეგარა სულსა ჰედიდა და აღატაკებდა დამონებულ ერებს.¹⁵⁾

აი ასეთი იყო ის სახელმწიფო, რომლის მძიმე უდელიც კისერზე დაედგა ჩვენს ხალხს მე-VII საუკუნეში ქრ. დაბადებამდე ლენორმანის რუქით ივერიელები, ალბანელები და კარლუქები დარიოზის იმპერიის მე-XVIII სასატრაპოს შეადგენდენ, ხოლო ჰეროდოტის მოწმობით ამავე სასატრაპოს ეკუთვნოდენ, აგრეთვე ალართდიანნი, მატიენები და სასპირები.¹⁶⁾ რაც შე-

¹⁵⁾ Веборъ. Всеобщая История. т. I, стр. 159—160. Москва. 1862 года.

¹⁶⁾ Ганъ. Извѣстія... I, стр. 15.

ეხება მოსხებს, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინეკებსა და მარებს—ესენი, იმავე ისტორიკოსის მოწმობით, მე-XIX სა-სატრაპოში შედიოდენ და, ვგონებთ, ამავე ოლქის ნაწილი უნდა ყოფილიყო კოლხიდა და სვანეთიც, თუმცა ჰეროდო-ტი გვარწმუნებს, ვითომც კოლხებსა და მათ მეზობლებს მხო-ლოდ საკუთარი სურვილით გადაეწყვიტოსთ სპარსელებისა-თვის საჩუქრების მირთმევა. ეს ორი სასატრაპო ყოველწლიუ-რათ სპარსეთის სასარგებლოთ იხდიდა 500 ტალანტს ანუ ქანქარს, ხოლო კოლხები და მათი მთიელი მეზობლები (ილ-ბათ სოანები იგულისხმებიან), ამას გარდა, ხუთ წელში ერთ-ხელ სპარსეთის სასახლეში ძღვნად აგზავნიდენ 100-სს ჭაბუ-კა და ამდენსავე გაუთხოვარ ქალს. თუ მხედველობაში მი-ვიღებთ იმ გარემოებას, რომ სპარსული ქანქარი ანუ ტალან-ტი ორ-გვარი იყო, ოქროსი და ვერცხლისა, რომელთაგან უკანასკნელი 1512 მანეთს უდრიდა, ხოლო პირველი—ათ-ჯერ მეტათ ე. ი. 15,120 მანეთად ლირდა,¹⁷⁾ იღვილათ მი-ვხვდებით, თუ რამდენათ სამძიმო უნდა ყოფილიყო ყოველ-წლივ ამ დიდ-ძალი ხარჯის, 500 ტალანტის, ე. ი. 7,560,000-ის ან, სულ მცირე, 756,000 მანეთის გადახდა მაშინდელი ქა-რთველებისათვის, რომელთაგან უფროს ერთი ნაწილი უბ-რალო მიწის მუშა და მეჯოგე იყო ე. ი. უფრო ნატურა-ლურ მეურნეობას მისდევდა, ვინემ ვაჭრობასა და მრეწვე-ლობას. ამას დავუმატოთ კოლხების სამარცხვინო ხარკი, სა-ტრაპებისა და მათი მოხელეების აღვირ-ახსნილი თვით-ნებობა, აღვილობრივ მრავალ-რიცხოვან სახელმწიფო ჯარის შენახვა — და მიეიღებთ ქართველი ხალხის მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობის საზარელ სურათს. უეჭველია, ასეთი გარეგა-ნი მდგომარეობა ხალხის შინაგან მსოფლიოზე, მის აზრებსა, გრძნობებსა და მისწრაფებაზედაც შესაფერს გავლენას იქო-ნიებდა, საკუთარ სისუსტეს დაანახვებდა, ამ სისუსტის მიზე-

¹⁷⁾ ნახ. ბროკვაუზისა და ეფრონის „Вольш. Энциклоп. Словарь“—სარუსა „Талантъ“.

ზეზებზე დააფიქრებდა და მტარვალთადმი ზიზლსა და შტრინბას დაუბადებდა, იმ ზიზლსა და მტრობას, რომელიც არის დედა ყოველ-გვარი პროტესტისა და განმათავისუფლებელ მოძრაობისა.

აი ასეთი უნდა ყოფილიყო ქართველი თემების პისტოლოგია იმ დროს, როდესაც მაკედონიის გმირმა ბერძენთა ძლევა-მოსილი მახვილი მცირე აზიაში გაუმოიტანა, შემდეგ შეუა აზიას მიმართა და სპარსეთის ქედ-მალლური ძლიერება მიწასთან გაასწორა. ყოველივე ეს მოხდა 333 და 330 წლებ შორის ქრ. დაბადებამდე.¹⁸⁾

ახლა ვიკითხოთ: ნუ თუ ამ უკანასკნელი ფაქტის შემდეგ ზემოთ აღნიშნული გაჭირვებული მდგომარეობა და სულის კვეთება ჩვენი ერისა სრულიად საკმაო არ უნდა ყოფილიყო, რათა უცხოთა ბატონობით ზიზლ-მორეულ ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის მოსაპოებლათ მახვილი ხელთ აეღო, მაკედონელთა ძლევა-მოსილ ლაშქრობით დამფრთხალი სპარსული გარნიზონები თავისი ქვეყნიდან განედევნა და თავის თავი დამოუკიდებელად გამოეცხადებია? ჩვენ გვვინია და ლრმათ დარწმუნებულიცა ვართ, რომ ამ კითხვაზე მხოლოდ დადებითი პასუხის მიცემა შეიძლება, სახელდობრ ჩვენ გვჯერა, რომ მაკედონელი გმირის შინდაშირი ჩარევა ან დახმარება ქართველებისათვის ამ შემთხვევაში სრულიად საჭირო არ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ ის, რაც ლოდიკისთვის და თეორეტიკული რწმენისთვის სავალდებულო არ არის, პრაქტიკულ ცხოვრებაში და განსაკუთრებით რთულ საერთაშორისო დამოკიდებულებათა სფეროში ხშირათ ჩვენი ლოდიკის დაუკითხავთ, სრულის აუცილებლობით მოხდება ხოლმე; მდაბიურათ რომ ვთქვათ, შესაძლებელია მას შემდეგ, რაც მაკედონელთა მხედრობამ სპარსეთის მონარქია დაამხო, ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის მოსაპოებლათ სრულები-

¹⁸⁾ Веберъ. Всеобщая История. т. I, стр. 369—372.

თაც არ დასკირვებოდეს მაკედონელთა დახმარება, შაგრაშ ისიც ხომ არა ნაკლებ ადვილი წარმოსადგენია, რომ აღმოსავლეთისაკენ გალაშერების ან უკან გამობრუნების დროს ალექსანდრე მაკედონელს ჩვენს კავკასიაზედაც გადმოვლოს და, იმისდა მიუხედავათ — საკირო იყო თუ არა ქართველებისათვის მისი დახმარება, მათს ქვეყანაში უუმაღლესი გამგე დაენიშნოს. მაშასადამე არ კმარა მარტო ლოლიკურ და თეორეტიულ დასკვნას დავემყაროთ, არამედ საჭიროა იმ თქმულებათა ისტორიული სინამდვილეც შევამოწმოთ, რომელნიც ალექსანდრე მაკედონელს ჩვენი კავკასიის და კერძოთ შიდა-ქართლის დაპყრობას მიაწერს.

ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებიდან ჩვენ გვაქვს შემდეგი მტკიცეთ დადგენილი ფაქტები.

ალექსანდრე ავიდა ტახტზე 336 წელს და გარდაიცვალა 323 წელს. ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან მოასწრო თითქმის მთელი მცირე აზიის, აფრიკისა და წინა-აზიის დაპყრობა. მცირე აზიაში ალექსანდრე მაკედონელს ყველაზე უმაღლ ლიდიელები, პამფილელნი და კარიელები დაემორჩილენ. შემდეგ ალექსანდრემ გადაიარა კილიკის მაღლობები, დაიპყრო კილიკია და მისი დედა-ქალაქი ტარსი. აქ, მდინარე ისთვის ნაპირებზე, მას პირველათ შეებრძოლა სპარსეთის მეფე დარიაზ III კოდრშანი (333 წ.), რომელიც სასტიკათ დამარცხდა და სამარცხვინოთ გაიშვლტო სპარსეთისკენ. ამას შემდეგ რაღაც ერთი წლის განმავლობაში, ალექსანდრემ დაიპყრო ფინიკია, პალესტინა და ეგვიპტე, სადაც მდ. ნილოსის ერთ-ერთ ჩასართავის პირად საფუძველი ჩაუყარა ახალს საზღვაო ქალაქს ალექსანდრიას, რომელიც, მისი დამფუძნებელის აზრით, ერთა-შორის სააღებმიცემო მიმოსვლათა ცენტრად და განათლების ახალ კერად უნდა გამხდარიყო. ალექსანდრემ მალე განაკარგული ეგვიპტის საქმეები და 331 წელს, გამრავლებული მხედრობით, კვლავ დარიოზ კოდომანს მიმართა. მოხერხებულათ გავიდა ეფრატსა და ტიგრში, 24 სექტემბერს პირველათ შეებრძოლა დაროზ კოდომანის ჯარს, ხოლო იმავე

თვის დამლევს და ოქტომბრის დამდევს სასტიკათ დამარცხა იგი და გააქცია. შემდევს წელში (330) ბედკრული შაჰი მი-სმავე სატრაპშა ბესტმ მოჰკლა. ვ33 წლის სეკტემბრიდან 329 წლის აპრილამდე ალექსანდრემ თითქმის უმრავ მოიარა არა (ჰერატის სახანო), დრანგიანა (ავღანისტანის დასავლეთი) და არახოზია (ავღანისტანის აღმოსავლეთი). შემდევ დაბრუნდა ბაქტრიანაში, სადაც დარიოზის მკვლელ სატრაპს ბესოს მეფედ გამოემცხადებია თავი. „ეტლანდელ ქაბულისტანიდან ალექსანდრემ საშინელის გაჭირვებით გადაიარა ინდოელ კაფეასიის (ჰინ-დუ-კუშის) მთები, მივიდა ბაქტრიაში (ბალკი), გავიდა ოქსუსზე (ამუ-დარია) და მივიდა სოგდიანაში (ბუხარა). ბესოს ულალატეს და ალექსანდრეს გადასცეს, რომელმაც იგი სიკვდილით დასაჯა. შემდევი წლები 326 წლის აგვისტომდე ალექსანდრემ ინდოეთისაკენ გალაშქრების მოანდომა. აგვისტოში კი ბელუ-ჯისტანის გზით ისევ სპარსეთს მოუბრუნდა, მაგრამ უზომო მოქანცულობისა და ცუდი ჰავის გამო იგი უეცრათ ავად გახდა და ვ23 წლის 19 აგვისტოს, თვის საყვარელ ბაბილონში, სადაც სატახტო ქალაქის გამართვას აპირობდა, სამუდამოთ დახუჭა თვალი.¹⁹⁾

ასეთია ისტორიულ-მეცნიერულათ დადგენილი ცნობები ალექსანდრე მაკედონელის შესახებ. როგორც ვხედავთ, აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმაზე, ვითომც ალექსანდრეს შავ-ზღვასა და კასპის-ზღვას შუა მდებარე მიწები გადაელახოს ან დაეპყროს. მან განვლო „კავკასიის“ ქედები, მაგრამ ეს „კავკასი“ ჩვენი კავკასია არ არის, არამედ შუაზიაში მდებარე ჰინდუ-კუშის მთები ანუ, ეგრეთ წოდებული, ინდოეთის კაფეასია. ალექსანდრეს ცხოვრების აღმწერი არრიანი მოგვითხრობს, რომ მაკედონელმა გმირმა ის კავკასი გადავლო, საიდამაც ოქსუსი და იაქსარტი, ე. ი. სირ-დარია და ამუ-

¹⁹⁾ ალექსანდრე მ—ის შესახებ ცნობები ამოკრებილი გვაქვს გ. ვე-ზერის ზემოთ დასახელებული წიგნიდან (ტ. I, გვ. 363—377) და შარლ-ნორმანის „საბერძნეთის ძევლი ისტორიიდან“ (ვ. ლორთქიფანიძის თარგ-მანი. გვ. 381—397).



დარია გამომდინარებსო. ცხადია, აქ ჩვენს კავკასზე მართლაც ლაპარაკი, არამედ ინდუ-კუშის მთებზე, საიდანაც მართლაც აღნიშნული ოთი მდინარე გამოდის.²⁰⁾

რაც შეეხება იმ ცნობას, ვითომც ალექსანდრე-მაკე-დონელს ჩვენი კავკასია დაეპყროს, ამ ნაგვიანევი თქმულების შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ცნობილს რომალ გეო-გრაფს სტრაბონს (66 ქრ. წინ და 24 ქ. ქრ. შემდეგ), რო-მელმაც თვისი უკიდურესი სკეპტიკიზმის წყალობით ნიადაგი მოუმზადა აღნიშნული თქმულების წარმოშობას. სახელდობრ მან პირველმა კრიტიკულათ შეხედა მის დრომდე არსებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ ალექსანდრე მაკედონელმა ინდო-ეთის კავკასი გადაიარა, და კათეგორიულათ, თუმცა უსა-ბუთოთ კი, დაიწყო მტკიცება, ვითომც ძველ ისტორიკოსებს მხოლოდ ალექსანდრეს სახელის გასაღიდებლათ გადაეტანოსთ შევსა და კისპის ზღვებ შორის მდებარე კავკასის სახელი ინდოეთის კავკასზე. „ალექსანდრესთვის უფრო სასახელო იყო აზია ინდოეთის მთებამდე დაეპყრო, ვინემ შავიზღვის გვერდით მდებარე კავკასამდეო...“, — და ამის გამო „მეფის პირ-საფეროდ მწერლებმა ამ მთების სახელწოდება ინდოეთში გადაიტანესო“.²¹⁾ ამას შემდეგ დიდ ხან იღარ გაუვლია, რომ პლინიუსმა (29—79 ქ. ქრ. შემდეგ) პირდაპირ დაიწყო მტკიცება, ვითომც მაკედონელ მხედრობას „მთელი ქვეყანა“ დაეპყროს, სხვათა შორის „აზია, არმენია, ივერია, ალბანია, თავრი და კავკასი“ და ვითომც, როცა ალექსანდრე ინდოეთისაკენ გამგზავრებულა, ივერიის მეფეეს მისთვის საჩუქრად მიერთმიოს ისეთი ზორბა-ტანის ძალლი, რომელიც „ლომებსაც კი სწრაფად აღრჩობდა“ და სპილოს ისე ლონივრად დასცემდა ხოლმე, რომ, „მიწა ზანზარს იწყებდათ“.²²⁾ ესევე ზღაპარი გაიმეორა

20) ამაზე ნახეთ ალ. ხახანაშვილის „Очерки по истории грузинской словесности“. вып. II, стр. 136, შენიშვნა, საღაც ნაჩვენებია ფრანც შვარცის გამოკვლევის დასკვნა ამავე საგნის შესახებ.

21) განხ. Извѣстія... I, стр. 74—75.

22) ibidem, стр. 102. 111.

მე-IV^o საუკუნის დამდეგს (ქრ. შემდეგ) იულიუს სოლინუსმაც, მხოლოდ ივერიის მეფის ნაცვლად „ალბანიის“ მეფე და მეფის სეინა.²²⁾

ამას შემდეგ სრულიად გასაკვირალი არ არის ის თქმულება, რომელსაც ამავე საგნის შესახებ ქართულ წყაროებში ვკითხულობთ. აი ეს თქმულება, რა სახითაც მას „ქართლის მოქცევა“ გადმოვცემს:

„პირველ, ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეხადნა იგინი კედარსა მას ქვეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრახე, და ციხენი მათნი: ციხე-დიდი, სარკინისახ, უფლის-ციხე, კასპისა, ურბნისისა და ოძრახისა“. ²³⁾ აქ ჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელ-წოდებანი გვიჩვენებს, რომ ქრონიკის ავტორს სახეში აქვს მთელი ეხლანდელი ზემო და შიდა-ქართლი, მაშასადამე მისი წარმოდგენით ალექსანდრე მაკედონელს ეს პროვინციები გაუვლია; ეს პროვინციები კი სწორეთ ის აღგილებია, რომელთაც ბერძენ-რომაელი მწერლები „ივერიის“ სახელით იცნობდენ და რომელთ შესახებაც პლინიუსი და იულიოს სოლინუსი გადაჭრით ამ ბობენ, ვითომც სხვა მეზობელ ქვეყნებთან ერთად ალექსანდრე მაკედონელს ეს პროვინციებიც გაევლოს და დაეპყროს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს თქმულება ნაგვიანევათ შეთხზულია, — და სრულიად სამართლიან მსჯავრსა სდებს დიმიტრი ბაქრაძე, როდესაც ამ თქმულების შესახებ ამბობს: „თუ ამგვარი სიცრუე ყოფილა გავრცელებული საქართველოს გარეშე, არ უნდა იყოს გასაკვირალი ისიც, რომ თვით ჩვენს მატიანეში შემოუტანათ იგი, როგორც ისტორიული ფექტია“. ²⁴⁾ კეშმარიტათ, აღნიშნული თქმულება წმინდა ისტორიული

22) განხ. ქვემოთ... I, გვ. 179—180.

23) სამი ისტორ. ხრონიკა. გვ. 1—2.

24) დ. ბაქრაძე: ისტ. საქართველოსი. გვ. 77. ხაზ-გასმული ჩვენია.

სიცრუვეა, რომელიც, როგორცა სჩანს, ბერძენ და რომაელ
მწერალთაგან სიტყვის „კავკასიი“ არეულათ ხმარებისაგან
წარმომდგარა, ჩვენის ფიქრით, არა უადრეს I-ელის საუკუნი-
სა ქრ. დაბადებამდე.

ამგვარათ, ალექსანდრე-მაკედონელი შირადათ კავკასიაში არ
ყოფილა; ცხადია იგი ვერც ივერიაში ანუ მესხეთ-ქართლში
იქნებოდა. ამიტომ ჩვენი პირველ-წყაროებიდან სამუდამოთ
უნდა გამოირიცხოს ის ადგილი, სადაც ნაამბობია, ვითომც
ალექსანდრეს შირადათ ენასთ საქართველო, დაქურთ იგი და
მცხეთის მეფედ აზო ანუ აზონი დაუკავშიროს.

მაგრამ ის, რაც არ გაუკეთებია ალექსანდრეს, შეეძლოთ
მის მხედართ—შთავრებს აქსრულებიათ. და მართლაც ჩვენ
საისტორიო მწერლობაში გვხვდება აზრი, რომ საქართველო-
ში მაკედონელების გაბატონება ალექსანდრეს მხედართ-მთა-
ვართა საქმე უნდა ყოფილიყო.²⁵⁾ ჩვენც გვვინია, ამ აზრს
საჭმაო საფუძველი აქვს. ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია, ამ სა-
განზედაც შევჩერდეთ ცოტაოდენ ხანს და მკითხველს ჩვენი
მოსაზრებანი გაფუზიაროთ.

როგორც ისტორიიდან ვიცით, ალექსანდრეს შემდეგ
მისი ვრცელი მონარქია ოთხ უმთავრეს ნაწილათ დაიყო,
რომელთაგან ყველაზე უვრცელესი ნაწილი,—სახელდობრ
სირია, სასომხეთი, ბაბილონია, პართია და ბაქტრია,— მისსა-
ვე მხედართ-მთავარს სელევე-ნიკატორს ერგო, რომელმაც 312
წლიდან სირიაში მტკიცეთ მოიკიდა ფეხი და სელევკიდების
დინასტია დააარსა. როგორც პლინიუსი გადმოგვცემს, იმპე-
რატორის კლავდიუსის დრომდე დაცული ყოფილი გარდამო-
ცემა, ვითომც სელევკ-ნიკატორს აზრად ჰქონებოდეს, კისპისა
და შავ ზღვას შუა შემაერთებელი არხი გაეკრა, მაგრამ
სიკვდილის გამო აღარ დასცალებოდეს.²⁶⁾ ცხადია, ამ ორ
ზღვას შუა მდებარე მიწები სელევკოსის ხელში ყოფი-
ლი, თორემ უამისოდ ხომ ვერც ასეთს გაბედულ გეგმას

²⁵⁾ დ. ბაქრაძე. ისტ. საქართველოსი. გვ. 78.

²⁶⁾ განს. Извѣстія... I, стр. 108.

შეადგენდა. მაგრამ როდის უნდა დაეპყრო მას ეს ქვეყანა?/ არ ვფიქრობთ ეს ფაქტი 312 წელზე აღრე მომხდარი სა-
რადგან, სანამ ალექსანდრე ცოცხალი იყო (323-წლამდე),
სელევკოსიც მუდამ მასთან იყო და კერძო ექსპედიციებისა-
თვის არ ეცალა; ხოლო როცა ალექსანდრე გადაიცვალა,
სელევკ-ნიკატორი თავის მოქიშვებთან ბრძოლამ ჩაითრია
და, რა თქმა უნდა, მას აღარ შეეძლო გარეშე ქვეყნების და-
კურობაზედ ეფიქრია. მხოლოდ 312 წელს გაიმარჯვა მან თა-
ვის მოქიშვებზე და შეიქნა დამოუკიდებელი მთელს აღმო-
სავლეთში.²⁷⁾ მაშასადამე საბუთი გვეძლევა დავასკვნათ, რომ
მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის ძლი-
ერება დამხო (330 წ ქრ. დაბადებამდე), 312 წლამდე ქა-
რთველი თემები ფაკტიურათ თავისუფალი უნდა დარჩენილი-
ყვენ. მხოლოდ ერთ თემზე, სახელდობრ ქარდუქებზე შეგვი-
ძლია გადაჭრით ვსთქვათ, რომ იგი, თუ მთლათ არა, თავის
სამხრეთის ნაწილში მაინც 330 წლიდან უკვე ალექსანდრეს
მანარქიაში უნდა მოჰყოლოდა, რადგან მისი საზღვარი სამ-
ხრეთით ქურთისტანის მთამდე აღწევდა, ხოლო დასავლეთით
თითქმის მდ. ტიგროსამდე. მაშასადამე, 312 წელს, როდე-
საც სელევკოს-ნიკატორი აღმოსავლეთის სრული მბრძანებე-
ლი შეიქნა, კარდუქების ქვეყანაც მის ხელში უნდა გადასუ-
ლიყო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ძლიერი სელევკიდი მარტო
ამ ნაგლეჯით ვერ დაკმაყოფილდებოდა; როგორც სტრატე-
გიულის, ისე სააღებმიცემო მოსაზრებით იგი დაუყონებლივ
შეუდგებოდა ჩრდილოეთისაკენ თავის სამფლობელოს განვრ-
ცობას შევსა და კასპის ზღვებ შუა კავკასიონის ქედამდე. და
აი, ჩვენც ვხედავთ, რომ სიკვდილის წინ (282 წლის მახ-
ლობლათ ქრ. დაბადებამდე) იგი უკვე გეგმას აღვენს — კასპის
ზღვა შავ ზღვას არხით შეურთოს და ამით ცენტრალური
აზია და ევროპა ერთმანეთს გადაჯაჭვოს.

თქმულის შემდეგ, ვგონებთ, ნააღრევი არ იქნება „ქა-
რთლის მოქცევის“ ცნობას აზოს დადგენის შესახებ ამგვარი

27) Веберъ. Всеобщ. Исторія. I, стр. 380. 391.

განმარტება მივსცეთ: როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა/სპარსეთის ძლიერება შემუსრა (330 წ.), ერთი ქართული თემის, სახელდობრ კარდუქების მიწა-წყალი, რომელიც ალექსანდრეს სალაშვრო გზის მახლობლათ მდებარეობდა, სასომხეთთან ერთათ, მაკედონელთა მფლობელობაში გადავიდა, დანარჩენი თემები კი ფაქტიურათ დამოუკიდებელნი გახდენ. მაგრამ, როდესაც ალექსანდრეს მონარქიის ნანგრევებზე 312 წელს სელევკიდებმა სირიასა და ბაბილონში ძლიერი სამეფო დააარსეს, პირველი სელევკიდი, სელევკ-ნიკატორი, შეუდგა დანარჩენ ქართველ თემების შემოერთებასაც. მან თან იახლა ქარდუქების (= „ქართუ“-ების ანუ „ქორთუ“-ების) „მეფე“-მა-მასახლისის არანის შეილი აზო, გადაიარა არაქსი, შეესია იმ ადგილებს, რომელსაც დღეს ქართლ-კახეთს ვეძახით, ძველი ასირიელები კი „მუსკების“ ანუ შესხების ქვეყანას ეძახოდენ და რომელიც თვით ქართლის-მოქცავაში „მცხეთად“ არის წოდებული; აქ მან დაიპყრო ყველა სიმაგრეები, შემდეგ გადავიდა კოლხებიდაში, შემოიერთა იგიც და ყველა ამ პროვინ-ციების უზენაესი გამგეობა ჩააბარა აზოს, რომელსაც საცხოვრებელ ცენტრად „მცხეთის“ პროვინცია დაუნიშნა. ამ რიგათ აზო შეიქნა პირველი „მეუფე“ (= „მეფე“) დანარჩენი სათემო „მამასახლისებისა“. იგია ჩვენი პირველი ნაციონალური მონარქი მას შემდეგ, რაც ჩვენი ხალხის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადმოვიდა.

ასე გვესმის ჩვენ „ქართლის-მოქცევის“ ის სიტუაცია „მეუფე“ (= „მეფე“) დანარჩენი სათემო „მამასახლისებისა“. იგია ჩვენი პირველი ნაციონალური მონარქი მას შემდეგ, რაც ჩვენი ხალხის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადმოვიდა:

1) ალექსანდრე მაკედონელი, როგორც ისტორიული წყაროების კრიტიკული შესწავლა გვიჩვენებს, პირადათ ჩვენს ჩრდილო პროვინციებში არ ყოფილა. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია მის ძლევა-მოსილ ლაშქარს ის ქართველი თემი დაუპყრობელი დაეტოვებიოს, რომლის მიწა-წყალიც თითქმის ტიგროსამდე აღწევდა. ეს თემია—ქარდუქი.

2) 312 წლამდე სელევკ-ნიკატორს არ ეცალა თავისი სამეურ კავკასიონის ქედამდე განევრულ; ამ წლიდან კი მისმა პოლიტიკურმა ძლიერებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ არ შეეძლო ეს გეგმა სისრულეში არ მოყვანა; მხოლოდ პოლიტიკური სიბრძნე მოითხოვდა ახლად შემოსაერთებელ ქართველ თემთა უუმაღლეს გამგედ ისეთი ვინმე აერჩია, ვინც მათთან ენითა და ზნე-ჩვეულებით იყო დაახლოვებული. მაგრამ საამისოთ კარდუქების მამასახლისის შვილზე უფრო გამოსადეგს ვის-ლა აირჩევდა; მით უმეტეს, რომ ეს პირი იმავე დროს ქართველ თემების დაპყრობაშიაც გაუწევდა მას ხელმძღვანელობას.*)

3) რომ ეს პირი, „ქართლის-მოქცევაში“ აზო-არანის-ძედ წოდებული, „ქარლუ“-ელია, — ამის საბუთს გვაძლევს, როგორც თვით სიტყვის „ქართულის“ ეტიმოლოგია, ისე ქრონიკაში დაცულ გარდამოცემის ზოგიერთი ხარაჭტერული ადგილები. რომ სიტყვა „კარლუ“ იგივე „ქართუ“ და მეგრული „ქორთუ“ — ა („ქორთუ“ — ს მეგრულათ ქართველს ეძახიან), ეს ჩვენ ზემოთაც შევნიშენთ; „კარლუ — ქი“ იგივეა რაც „ქართუ — ეთი“ (როგორც მაგალ. თრიალეთს სომხურ წყაროებში უდრის სიტყვა „თრელ — ქი“, გუგარ-ეთს — „გუგარ-ქი“, ჯავახ-ეთს — „ჯავახ-ქი“ და სხვ.) ე. ი. თანამედროვე გამოთქმით — „ქართ-ლი“; მაშასაღმე ეთამოდთ-გიურათ სრული უფლება გვაქს ქ.-მოქცევის სიტყვები: „აზო

*) კავკასიონის ქედის ძირში ძლიერი მონარქიის დაარსებას სელევკიდების პირდაპირი ინტერესი მოითხოვდა: კავკასის ჩრდილოეთით უსსოვარის დროიდან აუარებელი უული ხალხი ცხოვრობდა, რომელნიც ძლიერ საშიში მტრები იყვნენ განებივრებულ შუა-მდინარელებისათვის; საჭირო იყო სელევკიდების სამეფოს ამ მტრიდან ზურგი გამავრებული ჰქონოდა. მოვივონით თუნდ ის შესვეა, რომელიც კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრებმა სკვითებმა მოახდინეს მიდიაში კიაქსარის მეფობის დროს (633—593 წ.) ნახ. ამაზე ვეხორქ. ვითობ. I, стр. 149. ამ სკვითებმა 28 წლის განმავლობაში იბატონეს და ითარებუს სირიასა და ევფიპტემდე. მსგავსივე ამბავი მოხალოდნელი იყო სელევკიდების დროსაც.

ძე არან ქართლისა მეფისა“ ასე გადავაკეთოთ: „აზო ძე არან ქარდუ-ქისა მეფისა“.

4) მაგრამ, როგორც ვთქვით, ეთიმოლოგიურ მოსაზრებას ზედ ერთვის თვით გარდამუცემის ზოგიერთი ხარაქეტერული აღგილებიც. მაგალითად, ყოველ ეპვს გარეშეა, რომ ქრონიკის იმ ადგილის პირველ-დამწერი, რომელიც ჩვენს საგანს შეეხება, თვითონაც იმ რაიონში ცხოვრობს, სადაც მის დროს „ქასპი, ურბნისი და ოძრახე“ იმყოფებოდა ანუ სადაც იყო პროვინცია „მცხეთა“, რადგან ამ ადგილების შესახებ იგი ამბობს: „შემდგომად რაოდენისამე ემისა მოვიდა ალექ-სანდრე მეფე ყოვლისა ქვეყნისაზ, და დალეჭნა სამნი ესე ქალაქნი (ე. ი. კასპი, ურბნისი და ოძრახე)“;²²⁾ მაგრამ როდესაც „არან ქართლის მეფეზე“ იწყებს დაპარაკს, იქ კი ამბობს: „ხოლო ეს აზოდ (რომელიც ალექსანდრეს თანა ჰყვანდა „მცხეთის“ პროვინციაში) წარვიდა არან ქართლად მიმისა თვისისა და წარმოაევგნა რეაზ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი და დაჯდა ძულ მცხეთას“.²³⁾ ცხადია, ის „ქართლი“, რომელზედაც ამ უკანასკნელ ნაწყვეტშია ლაპარიკი, იმ რაიონში არ უნდა ყოფილიყო, სადაც თვით მწერალი იმყოფებოდა ან სადაც მისივე სიტყვით მდებარეობს ქილაქი ურბნისი, კასპი და ოძრახე, ე. ი. ეს არ არის არც ქვემო და არც ზემო აწინდელი ქართლი. მაშ რომელი ქვეყანაა იგი? ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ეს არის „კარდუ-ქი“—„ქართუ-ეთი“ ანუ ჩვენი ძველი სამშობლო „ორეთის“ მთის ძირას, „რომელ არს ქურთთა ქვეყანასა“, კასპის ზღვის სიმხრეთ-დასავლეთით და ტიგროსის აღმოსავლეთით.

5) რომ ის „მცხეთა“ რომელიც ქრონიკის სიტყვით ალექსანდრემ აზოს „მიუბოდა საჯდომად“, არის მთელი პროვინცია და არა ქადაქი მცხეთა, ეს სხანს თვით იმავე ქრონიკიდან, რომელიც 16 სტრიქონის ქვემოდ გადაჭრით ამბობს,

²²⁾ სამი ისტ. ხრონიკა. გვ. 3.

²³⁾ იქვე გვ. 4.

რომ მცხეთის „ქალაქის“ შენება მე-8 მეტის ბრატმანის დროს დაიწყო და მირვან Ⅱ-ის დროს დასრულდა; ³⁰⁾ ამასთანვე ძველი რომაელი მწერლები, როცა ივერიის ქალაქებს ჩამოთვლიან, არმაზ-ქალაქსა და სევსამორას (=წიწამურას) იხსენიებენ, თანაც დასხენენ რომ ეს ქალაქები ერთი მტკვარზედ ძევს, მეორე—არაგვზე და ორივე მიუდგომელ კლდეებშია გამავრებულიო, მაგრამ „მცხეთაზე“ კი ერთ სიტყვასაც არ ამბობენ. ასე იქცევა, მაგალით. სტრაბონი (66 წ. ქ. წინ და 24 ქრ. შემდეგ)³¹⁾ და კლავდიუს პტოლომეი (120 -- 170 წ. ქრ. შემდეგ)³²⁾. როგორც სჩანს, ჩვენი ქრონიკის შემდგენელს ხელთ ჰქონებია კარგი ძველი წყარო, მაგრამ მისს მგრძნობიარე და მცხეთის-მოყვარულ გულს ვერ შეუგუბია ის უცნაური ცნობა, თითქოს მცხეთა ხნოვანებით სხვა ქალაქებზე უმცროსი ყოფილიყოს,— და ალბათ ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ სიტყვას „მცხეთას“ ერთს ალაგას იგი წინიდან ეპიტეტს „ძველი“-ს უმატებს („ძველ მცხეთა“)³³⁾, ალბათ, ამითი სურს, მკითხველს უთხარს: მართალია ის ახალი „მცხეთა, რომელსაც მე და შენ ვიცნობთ, შემდეგშია აშენებული, მაგრამ მის მიღამოებში (სად?!?) წინეთ კიდევ მეორე (ან უკეთ პირველი) „ძველი მცხეთა“ იმყოფებოდა, ასე რომ ნუ გვინდია ეს ჩვენი „ქრისტიანული“ მცხეთა ხნოვნობით იმ „წარმართულ“ არმაზს ჩამოვარდებოდეს, რომელიც ფარნავაზ-მეფებ და მისმა მემკვიდრეებმა ააშენესო. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ იმ დროს, როდესაც აზოს ეხლანდელ მცხეთის არემარებში ფეხი შემოუდგამს, იქ არავითარი ქალაქი-მცხეთა

³⁰⁾ სამი ისტ. ხრონიკა. გვ. 8. შეად. Н. Марръ. Боги языч. Грузия по древне-груз. источникамъ. Спб. 1901 г. стр. 24, примѣчаніе—1-ое.

³¹⁾ განъ. Извѣстія...: 1, стр. 68

³²⁾ ibidem стр. 169. მცხეთის აშენებაზე ჩვენ თავის დროზე გვექნება საუბარი. იქვე გავარჩევთ ჩვენი ქრონიკის თქმულებასაც ამავე საგნის შესახებ.

³³⁾ სამი ისტ. ხრონიკა. გვ. 4, სტრიქონი—8. შესაძლოა ეს დამატება ქრონიკის შემდგენელს კი არა, გადამწერს ეკუთხოდეს.

არ უნდა ყოფილიყო; ასე რომ სიტყვა „მცხეთა“ აქ უნდა გავიგოთ როგორც პროვინცია და არა როგორც ქალაქი. ხოლო რომ ამ პროვინციას შეეძლო ეს სახელი რქმეოდა, ამას ჩვენ გვიმტკიცებს თვით სიტყვის „მცხეთა“-ს ეტიმოლო- გიური ანალიზი და ძველი ასურული ნომენკლატურა ჩვენი პროვინციებისა. ჩვენ გვაქვს ორი სიტყვა: სამცხე და მცხეთა, რომელნიც ერთისა და იმავე ძირისანი არიან და ერთსა და იმავ აზრს გამოხატავენ. პირველი სიტყვა: „სა-მცხ-ე“ არის ჩქარა გამოთქმასა და ხშირ ხმარებაში ფონეტიკურათ შემოკლებული „სა—მცხ—ე“ ესე იგი მესხების სამყოფი ანუ სამფლობელო („სხ“ ქართულ ენაში ხშირად გადაკეთ- დება ხოლმე „ცხ“—დ; მაგალითად მთიულები ნაცვლად სიტყვისა „სხვა“ ამბობენ „ცხო“, აქედანვე უნდა წარმომდგა- რიყო ქართული სიტყვა „უ—ცხო“—შედარებითი ხარის- ხია სიტყვისაგან „ცხო“=„სხვა“). სწორეთ ასევე სიტყვა „მცხეთა“ უნდა წარმომდგარიყოს „მცხსის“ მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვისაგან: „მესხ-თა“, სწორეთ ისე, როგორც მთკვების საცხოვრებელ აღაგს ქალაქ მცხეთაში მაგიზმის გაძლიერების დროს „მთგვ-თა“ დარქმევია;³⁴⁾ მხო- ლოდ სიტყვა „მცხსთა“-ში, როგორც სიტყვა — „სამცხე“-ში თანხმოვანთა ჯვეუფი „სხთ“ ფონეტიკურათ „ცხთ“-იდ შეცვლილი (=„მე-ცხთა“) და გამოთქმის გასაადვილებლათ „ხ“-ანსა და „თ“-ანს შეა „ე“-ნი ჩამატებია, ე. ი. სიტყვა: „მეცხთა“ — „მეცხეთა“-დ გადაკეთებულა, სწორეთ ისი რო- გორც სიტყვის „მოგვთა“-ს უუძველესი ფორმა „მოგვეთა“-ა,³⁵⁾ ე. ი. „ვ“-აა (=„ტ“) და „თ“-ანს შეა „ე“-ნი აქვს ჩამატე- ბული უკანასკნელ, ხშირათ ხმარებისა გამო სიტყვა „მეცხ- თა“-შიაც პირველი „ე“-ნი დაკარგულა და დარჩენილა ეხლან- დელი სიტყვა „მცხეთა“, რომელიც იმ დროს აღნიშნავდა

³⁴⁾ შეად. „სამი ისტ. ხრონიკა“ გვ. 27 და „ქ.-ცხოვრება“ I, გვ. 48: „ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვიან შოგვთა“.

³⁵⁾ სამი ისტ. ხრონიკა, გვ. 27: „მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა“.

„მესხთა“ (=მესხების) ქვეყანას, საერთო მიწა-ტყილს ანუ სა-მფლობელოს. შემდეგში კი ესევე სახელი საკუთრათ იმავე პრო-ვინციის ქალაქს დარჩენია.*.) ჩვენს ნარკვევს სავსებით ეთანხმება ძველი ასურული სახელწოდებანიკ ჩვენი პროვინციებისა ანუ თემებისა. ამ ნომენკლატურით მე-VII საუკუნეში ქრ. წინ შავი ზღვის სა-მხრეთით მცხოვრებ თემს რქმევია თაბაჭი (ბერძენ მწერალთა „ტიბარ-ნი“), კოროხის ხეობაში მცხოვრებლებს— მასნავა (იგივე ბერძენთა „მოსინეკი“), ხოლო ეხლანდელ ქართლ-სა და კახეთში მცხოვრებთ— „მუსკი“ (ანუ იგივე „მესხი“).³⁶⁾ ამ ცნობას ვერ არღვევს ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ცნო-ბა „ივერიელების“ შესახებ, რადგან ამ სიტყვას არც ძველი ბერძნის მწერლები იცნობენ, ასე რომ სიტყვა „ივერია“ პირ-ქელათ შემოდის ხმარებაში არა უადრეს I-ელი საუკუნისა ვრ. წინ, რადგან რომაელებმა მხოლოდ ამ საუკუნეში გაი-ცვნეს ივერია და ალბანია. და პირველის სახელი ალბათ სომხებისაგან შეითვისეს („ვირ-ქ“-ს სომხები საქართველოს და კერძოთ ქართლ-კახეთს ეძახიან).— ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მთელს იმ მხარეს, რომელიც არსიანის მთასა, ბორჯომის ხეობასა და ალაზანს შეა მდებარეობს, უუძველეს დროში

*) საყურადღებოა, რომ მთელს ამ პროეინის ჩვენი მატიანეც ცცხეთოსის სამფლობელოდ სთვლის („ქ.-ცხოვ.“ I, გვ. 22). ყველაც ვიცით, თუ რას ნიშნავს და როგორ უნდა წარმომდგარიყო ხალხურ შე-პირ-გარდამოცემაში სიტყვა „მცხეთოსი“; სამართლიანად შენიშნავს ვი-ვინ დე-სენ-მარტენი, რომ ეს სიტყვა მომასწავლებელია ეჭნოგრაფიული უფრო ანუ ცერიფორის ნაწილისაა.— ხოლო რაც შეეხება თვით სიტყვის „მცხეთ“-ის წარმოებას, ესევე მეცნიერი გადაჭრით გვეუბნება, რომ ალნი-შეული სიტყვა წარმომდგარია ძირისაგან „მცხ“ ანუ ბიბლიის „მსხ“-ისა და სატერიტორიო დაბოლოებისაგან— „ეთ“; თანაც დასძნს, რომ იმ დროს, რომელსაც ბიბლიიაში მოხსენებული ეთნოლოგიური საბუთი („მო-სოხ“ ანუ „მესეხ“) ეუთვნის, სახელი „მცხეთი“ მტკვრის ბასეინის უმეტეს ნაწილს ნიშნავდათ (თითქმის თფილის-მცხეთამდევ).— იხ. Vivien de S-† Martin— Recherches sur les populations du Caucase (ნახ. ალ. ჭყა-ნია— „ისტორიული ნარკვევი“. ტფილისი. 1890 წ. გვ. 98—100).

³⁶⁾ დ. ბაქრაძეს ეს ცნობა ამოულია მასპეროსა და ლენორმანის ატლასებიდან („ისტ. საქართველოსი“ გვ. 17).

„მესხთა“ ქვეყანა ანუ „მცხეთა“ რქმევია; ამ სახელიდამ ჩვენამდე მოუღწევია მხოლოდ ქალაქისა („მცხეთის“) და აწევამაჲმაღიან ებულ საქართველოს, ამ ჩვენი ქვეყნის ავანგარდის, ერთი პროვინციის სახელს — „სამცხე“-ს.

6) რომ აზოს ხელქვეშ შეერთებულა არა მარტო „მცხეთის“ პროვინცია (ე. ი. ქართლ-კახეთი), არამედ კოლხიდაც, ამას თვითონ ქრონიკა ამტკიცებს, როცა ამბობს, ვითომც ალექსანდრე მაკედონელს აზოსათვის საზღვრად დაედოს სხვათა შორის „ეგრის წყალი“.³⁷⁾ თ. ეორდანის განმარტებით „ეგრის—წყალი“ ეხლანდელი ენგურია,³⁸⁾ ცხადია, მაშასადამე, რომ აზოს დროს თუ მთელი კოლხიდა არა, მისი უუდიდესი ნაწილი მაინც უნდა გადმოსულიყო „კარდუ-ელ“ მეფის ხელში. ამ ცნობას „ქართლის-ცხოვრებაც“ ეთანხმება, თანაც დასძენს, რომ „აზონის“ (= „აზო“) სამფლობელო დასავლეთით „სპერის ზღვამდე“ ანუ შავ-ზღვამდე უწევდათ.³⁹⁾ თუ ეს ცნობა მართალია, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ აზოს მონარქიაში სხვა თემებთან ერთათ, თუ მოსინეკვბი, ქალიბები და ტიბარენები არა, მაკრონები, ტაოსელები და ისპირელები მაინც უსათუოდ უნდა შესულიყვან. რაც შეეხება ამ ახალი სამეფოს აღმოსავლეთის საზღვარს, „ქართლის-მოქცევა“ იმას „ერეთამდე“ ანუ რომაელ მწერალთა ალბანიამდე უჩვენებს. შესაძლებელია, მართლაც ეს ნახევრათ ეული „თემი“ (ალბანელები), რომელიც სტრაბონის მოწმობით ქრისტინი საუკუნეშიაც კი 26 დამოუკიდებელ ჯგუფად იყო დაყოფილი, ახლაც დაარსებულ „ქართულ“ (= „კარდუ-ლი“) მონარქიაში შემადგენელ ნაწილად არ შესულიყოს, მაგრამ იმასვე ვერ ვიტყვით „ალაროდიანებზე“, რომელთაც არაქსის ხეობა ეჭირათ და კულტურულ განვითარებით ყველა ქართველ თემებზე მაღლა იდგენ. მართალია, ქართლის-ცხოვრება გვარწმუნებს, ვითომც ახლად დაარსებული მონარქიის სამხრეთ-აღმოსავლეთის

³⁷⁾ სამი ისტ. ხორნიკა. გვ. 4.

³⁸⁾ „ქრონიკები“ I, გვ. 13 — შენიშვნა.

³⁹⁾ ქ.-ცხოვრება I, გვ. 34.

սահլվարո „ծերծլուշու“ մգոնահյ պոտոլոկոս; մացրամ, հայեն ջա-
 ցանուա, մաւրանու: ամ տիմուլոց ան պատրու ու ըրուու գամուսենուու
 պնդա օմուցք, հուցքսապ յարտզելու ուղելու—մուցգուու սահլվարէն
 սամերյուտու օմուցք ան դատան Շեազութիւնուցք; ոմ ըրուու յո, հոմ-
 յուցքսապ հայեն պատրու մատունու քասաթիւնու յայուտնու, յարտզելուու
 մուսաթլյարուն գապուլուտ պատրու պնդա պոտուուու յայուլուու
 յազրլուց պնդուու. ամուրու պատրու սահմունու յարտլու—
 մոյլուցքու“ լինուա մոցահնուա, հոմյուցք անու մոնարյուու սա-
 մերյուտու սահլվարու „օմուցքու“ պիհայեն պնդ, յ. ո. հոգորու հայեն
 ջացանուա, արա հայեն ձարահա օմուցքու (=օմուցքու, յուցարյու),
 արամյու լու օմուցքու, սասոմեցու անյ արմենուս, հոմլու իրացուլուու
 սահլվարու ոմ ըրուու արայու ծերծրու ար պնդա յայուլուու. *)

ամ հոգաւ: 312 թլու մաելուն լուա յի. դածագյեամց
 „մույետու“ ձրոցուն լուա լասու լուա „յարծու-յլուա“ (=„յար-
 տզելու“) մոնարյու, հոմլու իրացուլուու սահլվարու Շեա-
 ցեն պատրու յեցու, քասավլուտուսա—Շեա թլվա յըրու-
 թիւնու լու ուրածոնամց (սագապ մայրոն յա լուցրուն լուա),
 ալմուսավլուտուսա մու. ալանան լու մույզարու (ալանան յըրուտ)
 յասկու թլվամց, եռլու սամերյուտուսա—մու. արայու. ամ մոնար-

*) 328—150 թլու Շյա սասոմեցու չեր ալայիսանդրյ-մայութու-
 լուսա լու մույզ յըրույուցքու սացասսալու Շեյյն. ոյնու նունացք այ
 յամցյենք. յև եանա տցուտ մուս յուրենելու մութմածուտ ույցու արյունու եանա
 յութուու սամեցու ուրուրուն լու, հոմ օմուն ուրուրոյուսու ձորձուն
 յան պեսացք մու Շեսանց դածյչուտուտ սոյցաւ համյ (История Армении.
 Монс. Хоренского. Перев. Эмпна. 1893 г. Москва, стр. 46.—Շեագարյուտ
 M. Saint-Martin. Memoires hist. et géograph. sur. l'Arménie. Paris
 1818: t. I, p. 286—288. 409).—Երանակուն սուրպուտ „արմենու տացւա-
 ձորյուլուա ձարահա ուղու“, այս հոմ մուս յազրլուց լուա յայուլուու
 մաս Շեմցյց, հապ անբույժու գուգու մույր ոյ գագցենում մամարտզելուու
 արմայիսուսմա լու նարուալմա տացու յատացուսութուլուց լու մեթուել յըրենք,
 սեցաւ Շորու ույցրույլուց մաս, մութեն համուայուցք (Страбонъ. География.
 перев. Мищенко. Москва 1879 г. стр. 539). Սեբ-մարլունու յիշոնուու-
 ցուտ արմայիսուս սամեցու մետուն 189—159 թ. յի. դածագյեամց.

ქის მეფედ დაინიშნა აზო „კარდუ-ელი“, რომელსაც მფარ-ველად და შემწედ ჰყავდა ასურასტანის მეფე სელევკოს I ნიკატორი (312—282 წ.).

ასეთია ზემოთ თქმულის მოკლე ჩეზიუმე. როგორც უქართლის მოქმედება, ისე „ქართლის-ცხოვრება“ გვარწმუნებს, ვითომც აზოს დროს ჩვენს ქვეყანაში პირველათ შემოტანილ-იყოს ორი კერპი „გაცი და გა“ ანუ, როგორც „ქართლის ცხოვრება“ ამბობს, „გაცი და გაიმ“⁴⁰). მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ თქმულებას ბ-ნ ნ. მარრმა საფუძვლიანი კრიტიკა უყო, ყოვლად შეუძლებელია ვიფიქროთ, ვითომც ამ ორი ღვთაების კულტი ჩვენში ნამდვილათ არსებულიყოს. როგორც სჩანს, მათი სახელები ჩვენს წყაროებში მწიგნობრობის საშუა-ლებით გადმოუტანიათ სირიული მწერლობიდან და შემდეგ ნაციონალურ ღმერთებად გაუსაღებიათ.⁴¹⁾

ბ-ნ ი. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ძველი პერიოდის ქართული სამეფო უფლება აღმოცნებული იყო საგვარეგნო წყობილების ნიადაგზე და შემდევშიაც დიდხანს ამავე ხასია-თს ატარებდა.⁴²⁾ ამ დასკვნას სავსებით ეთანხმება ქრისტია-მოქმედებაში დაცული გარდამოცემა აზო—ს ჩამომავლობის შე-სახებ. ეს ქრონიკა ამბობს „ესე აზო წარვიდა არან ქართ-ლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვა სახლი და თონი სახლი მამა-მძუძუთანი.“ („სამ. ისტ. ხრონ.“ გვ. 4). სჩანს, აზოს მამის მოსახლეკარობა ფრიად რიცხვ-მრავალი ყოფილა, რადგან მარტო „ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი“ ჰყოლია და

⁴⁰⁾ ქ.-ცხოვრება I, გვ. 35. შეად. „სამი ისტ. ხრონ.“ გვ. 4.

⁴¹⁾ Н. Марръ. Боги языческ. Грузии по др.-груз. источникамъ. Спб. 1901 г. стр. 17—24.

⁴²⁾ И. Джаваховъ. Государств. строй древн. Грузин и древн. Ар-мении. т. I, Спб. 1905 г. стр. 9: „Царская власть въ Грузии (во времена Страбона) была организованана подобие власти старейшина въ любомъ отдельъномъ родѣ... Родъ и родовой строй должны считаться основой не только социальной жизни, но и основой царской власти въ Грузии“.

ამას გარდა კიდევ „რვად სახლი“ თავის საკუთარი საგვარეულო. ვგონებთ, 18 სახლი საკმაო უნდა ყოფილიყო „გვარის“ შესადგენად, და ამიტომ გადაქრით ვამბობთ, რომ აზო გამეფებამდე ყოფილა მემკვიდრე მრავალრიცხოვანი „საგვარეულოსი“, ხოლო მისი მამა გვარის-უფროსი ანუ „მამა-სახლისი“ უნდა ყოფილიყო. ამ უკანასკნელი დასკვნის მცირეოდენს ანალოგიას „ქართლის-ცხოვრების“ იმ თქმულება-შიაც ვპოებთ, რომელიც ჰირველ მეფეს (რომლადაც მას ფარნავაზი მიაჩნია) მცხეთის „მამასახლისის“ ძმისწულად აღიარებს და საზოგადოთ შენიშნავს, რომ იმ პირებს, რომელიც მეფობის დაარსებამდე ჩვენი ხალხის ცხოვრებას მართავდენ, არც „მეფე“ ერქვათ, არც „ერისთავი“, „არაშედ მამა-სახლისი ეწოდებოდათ“. 43) მართალია, ქართლის-მთქმეულები არანი „მეფედ“ არის წოდებული, მაგრამ ეს უნდა აისწენებოდეს, ალბათ, იმითი, რომ ისტორიულ გარდმოცემას ქრონიკის შემდგენლამდის თავისი პირვანდელი სიწმინდით ვერ მოუღწევია ან თვითვე ავტორს თავისი დროის მიხედვით მოუნათლავს არანი „მეფის“ სახელით, რაც სრულებითაც არაა გასაკირველი, რადგან, როგორც ვიცით, მე-V საუკუნის ბერძნის მწერლებიც კი ქართველ სათემო მმართველებს „მეფის“ სახელით იცნობდენ, თუმცა ეს მმართველნი სხვა საგვარეულო მამასახლისთა შორის იყვნენ „primi inter pares“ და არა მათი „მეუფე“.

უკანასკნელ, საჭიროდ ვთვლით, რამდენათაც მასალა ნებას გვაძლევს, აზოს მეფობის დასასრულის ქრონილოგია გავარკვით. ვგონებთ, თქმაც არ უნდა იყოს საჭირო, რომ ჩვენი ქრონილოგია მხოლოდ დაახლოებითი იქნება და არა სრული სინამდვილის გამომხატველი. სხვა მასალის უქონლობისა გამო იძულებული ვართ ქართლის ცხოვრების იმ ადგილს დავემყაროთ, სადაც ნათქვამია, რომ გამეფებისთანავე ფარნავაზმა ასურასტანის მეფეს ანტიოქიას მოციქული გაუგზავნაო. 44)

43) ქ.-ცხოვრება. I, გვ. 35. 24.

44) ქ.-ცხოვრება. I, გვ. 38. შეად. 41.

თუ ამ სიტუვებში მცირეოდენი ისტორიული სიმართლე მიაწარდება, მაშინ უფლება გვექნება აქედან ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ აზოს მემკვიდრე ფარნავაზი ასურასტანის მეფის ანტიოქია-სელევ्पიდის თანამედროვე ყოფილა. მაგრამ სირიაში სელევ्प ნიკატორის შემდეგ ზედი-ზედ ორი ანტიოქიასი მეფობდა: ანტიოქია I სოტერი (282—262 წ.)⁴⁵⁾ და ანტიოქია II თეოსი (262—247 წ.)⁴⁶⁾ რომელ ამათგანის თანამედროვე უნდა ყოფილიყო ფარნავაზი? ამ კითხვის კათეგორიულათ გადაჭრა ყოვლად შეუძლებელი საქმეა. მაგრამ ჰიპოტეტიურათ კი შეგვიძლია ასე მოვიქცეთ: ფარნავაზი ორივე ანტიოქიასის თანამედროვედ ჩავთვალოთ, ე. ი. მისი მეფობის დასაწყისი ანტიოქია I-ლის მეფობის მეორე ნახევარს მივაკუთნოთ. ანტიოქია I-ლის მეუბნის მეორე ნახევარი იწყება 272 წლიდან;⁴⁷⁾ მაშასადამე ძლიერ დაშორებული არ ვიქნებით სინამდვილეზე, უკეთუ ფარნავაზის მეფობის დასაწყისს 272 წლის მახლობლათ დავსდებთ, — და ესევე წელი იქნება ფარნავაზის წინამოადგილის, ე. ი. აზოს მეფობის დასასრულის დაახლოვებითი თარიღიც.

ამ რიგათ, ჩვენი პირველი მეფე იყო აზო, რომელმაც დაახლოვებით 312-იდან 272 წლამდე იშეფა და ამ ხნის განმავლობაში, ასურასტანის მეფის სელევ्पია-ნიკატორის მფარველობის ქვეშ, მოასწრო ქართველ თემთა უმეტესი ნაწილის შეერთება. იგი თვითონ ჩამომავლობით „კარდუ-ელის“ ანუ „ქართველის“ თემისა იყო, გამეფებისითანავე მთელი თვისი საგვარეულოთი „მცხეთის“ პროვონციაში გაზმოსახლდა და მთელს ამ მხარეს თავისი სათემო სახელი („ქართ-ლი“) გადასცა სწორეთ ისე, როგორც ვარანგების თავადებმა „რუსის“ თემიდან თავისი საგვარეულო სახელი მთელს რუსეთის სახელმწიფოს დაუმკვიდრეს.

⁴⁵⁾ Веберъ. Всеобщ. История. I, стр. 392.

⁴⁶⁾ ეს რიცხვი ჩვენ მივიღეთ ამნაირათ: 282—262=20; 20:2=10; ჯ28—10=272 წელი.

ამით ვათავებთ ჩვენს პირველს წერილს საქართველოს
ისტორიიდან. დარწმუნებული ვართ, რომ ამ ნარკვევს ცოტა
სუსტი მხარე არა აქვს და აღძრული კითხვის საბოლოოთ
გადაწყვეტამდე ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია. მაგრამ იმ მა-
სალის მიმხედველთ, რომელიც დღეს ამ საგნის შესახებ მოგვე-
პოვთა, მიზნად არც გვქონია — სრული ისტორიული სიმართლე
გამოგვერკვია. ჩვენ აზრად გვქონდა მხოლოდ ის გზა გვეჩვე-
ნებია, რომ ლითაც შესაძლო ხდება „ქართლის-მოქცევისა“ და
„ქართლის-ცხოვრების“ თქმულებათა ერთმანეთთან, უცხოეთის
მწერალთა ცნობებთან და მსოფლიო ისტორიის ფაქტებთან
შეთანხმება, რადგან ყველაფერზე უმაღლ ჩვენს ისტორიოგრაფიას
სწორეთ ამგვარი შეთანხმება ეჭირვება: სადაც ამგვარი შეთან-
ხმება არ ხერხდება, იქ ჩვენთა პირველ წყაროთა ცნობანი
ფრიად საეჭვო ლირსების მასალად უნდა ჩაითვალონ და,
როგორც აგეთნი, კრიტიკულის მეთოდით დაწერილ ისტო-
რიიდან ჯერ-ჯერობით მაინც უსათუოთ უნდა გამოირიცხონ.
მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამგვარი შეთანხმება ყველა-
სათვის ცხადი შეიქმნება, ჩვენ მოგვეცემა შეძლება, ერთმა-
ნეთთანა და მსოფლიო ისტორიის ფაქტებთან შეთანხმებულ
ცნობების ნამდვილ ისტორიულ დირსებაზე ვიქონიოთ მსჯელობა
და მათში აღნუსხული ამბები დაახლოებით მაინც ისტორიულ
ფაქტებად მივიღოთ. თუ ჩვენმა წერილმა ამ მიზანს მცირეოდ-
ნათ მაინც მიაღწია, ჩვენს თავს სრულიად დაკმაყოფილებულათ
ჩავთვლით; მხოლოდ ვთხოვთ მცოდნე პირებს ჩვენი საკვლევი
შეთოდის და იმ დასკვნათა შესახებ, რომელთაც ამ წერილში
მივაღწიეთ, თავისი მიუკერძებელი აზრი გამოსთქვან. ეს ჩვენ-
თვის ძლიერ საჭიროა, რადგან ამ მოკლე დროში აზრად
გვაქვს — ჩვენი ისტორიის სახელმძღვანელოს შედგნას შევუდგეთ
და ამ „წერილების“ უმთავრესი დასკვნანი მეფეთა ვინაობისა,

მათი მოღვაწეობისა და ქრონოლოგის შესახებ იმ სახელმ/ძლვანელოში უცვლელათ შევიტანოთ (ჩასაკვირველია, მცხოვრის მცოდნე პირები დროინათ არ გვიჩვენებენ ჩვენთ დასკვნათა სუსტს მხარეებს.). ყოველ დასაბუთებულ შენიშვნას დიდის მაღლობით მივიღებთ.

II

ფარნაგაზ-მეფე

„ქართლის მაქტევის“ მოწმობით, აზოს შემდეგ ტახტ-ზედ ავიდა ფარნაგაზ: „ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზომ... და მოკვდა; და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ; ამან აღმართა კერპი დიდი ცხვირსა ზედა (მთისასა) და დასდევა სახელი მისი არმაზი; და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და ჰრქვიან არმაზ.“⁴⁷⁾

ასეთია ჩვენი ქრონიკის ლაკონიური მოთხრობა მეორე ქართველ მეფის შესახებ „მცხეთის“ პროვინციაში. სამაგიო-როთ „ქართლის-ცხოვრების“ ცნობები ამავე მეფის შესახებ საკმაოთ ვრცელი და მრავალ-მხრივია. სამწუხაროთ, ამ ვრცელ ცნობებში ბევრი ნაგვიანები მინამატი და ისტორიული შლამ-ტალახია ზედ-მიყრილი, რისგამოც მეტათ ძნელი ხდება იმისი გარჩევა, თუ ამ ცნობათაგან რომელია ნამდვილი ისტორიული გარდამოცემა და რომელია უბრალო ზღაპარ-თქმულება. რა თქმა უნდა, ამ ცნობათაგან ჩვენ მარტო იმ ცნობებს ავირჩევთ, რომელიც იმავე „ქართლის-ცხოვრებისა“ და „ქართლის-მოქცევის“ დანარჩენ ცნობებს არ ეწინააღმდეგებიან და მსოფლიო ისტორიის ფაქტებთანაც ადვილ-შესათანხმებელი არიან.

⁴⁷⁾ სამი ისტორიული ხრონიკა. გამოც. ექ. თაყაიშვილისა. 1890. წ. ტფილისი. გვ. 5.

ჩვენს კრიტიკულ მიმოხილვას ფარნაგაზის ჩამოშეცვლა⁴⁸⁾ ბიდან დავიწყებთ. „ქართლის-ცხოვრების“ გაღმოცემათ, ფარნაგაზი იყო ძმისწული მცხეთის უკანასკნელ მთავარასხლისისა და მოსისხლე მტერი თავის წინამოადგილის აზონ-მაკედონელისა, რომლის დამარცხების შემდეგაც მან თვით დაიპყრო საქართველოს ტახტი და თავი მეფედ გამოიცხადა.⁴⁹⁾ არც ერთს ამ ცნობას „ქართლის-მოქცევის“ ქრონიკა არ ეთანხმება, რადგან აზოს იგი თვლის ირა მაკედონელად, არა მედ ქართველად (= „კარდუ-ელად“), ხოლო ფარნაგაზს არა აზოს მტრად და პირველ მეფედ, არამედ მეორე ქართველ მეფედ „მცხეთასა შჩნა“ და აზოს მშვიდობიან მოადგილედ. ორივე წყარო მარტო იმაში ეთანხმება ერთმანეთს, რომ ფარნაგაზი აზოს შეიღია არ არის. მართალია, „ქართლის-მოქცევა“ ამ საგანზე შინდაბირ არას ამბობს, მაგრამ როდესაც იგი აზოს სამ ალაგის უწოდებს არანის „მედ“, ხოლო ფარნაგაზისა და მისი მემკვიდრეების შესახებ ამასვე არა შერჩბა, ამით საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფარნაგაზი თავის წინა მოადგილის „ძე“ არ ყოფილა, თორემ, უეპველია, „ქართლის-მოქცევის“ ქრონიკა ამ ფაქტსაც მოიხსენებდა. ერთი სიტყვით, გადაჭრით შეგვიძლია უთქვათ, რომ ფარნაგაზი აზოს ძე არ არის, მაგრამ, თუ ქართლის-მოქცევას დავემყარეთ, იგი არც მტერა აზოსი. მაში ვინ არის იგი? სანამ ამ კითხვაზე რაიმე გარკვეულ უასუხს წარმოვთქვამდეთ, საჭიროდ ვრაცხო ცოტა განზე გადავუხვიოთ და მკითხველს მოკლეთ გავაცნოთ ის საზოგადო დასკვნანი, რომელთაც მიაღწია ჩვენმა საისტორიო მეცნიერებამ უუძველესი პერიოდის ქართველ მეფეთა ტახტის-მემკვიდრეობის წესის შესახებ. სახეში გვაქვს ჩვენი ახალგაზდა მეცნიერის ბ-ნ ი. ჯავახიშვილის გამოკვლევა: საქართველოს მთავარი გრიგორი გრიგორი არმონი (თ. I. C.—Peterburgъ. 1905). ამ თხზულების უმთავრესი დასკვნანი დამყარებულია სტრაბონის ცნობასა და, სხვათა

⁴⁸⁾ ქართლის—ცხოვრება ზაქ. ჭიჭინაძის გამოცემა. I, გვ. 35—36.

შორის, ჩვენი მატიანის „ქართლის-ცხოვრების“ უუძველეს ნაწილის კრიტიკულ შესწავლაზედ.

„ქართლის-ცხოვრების“ ეს ნაწილი, რომელშიაც ჩვენი ძველი დროის მეფეების თავგადასავალია მოთხოვობილი ვაგტანგ გორგასლანამდე, შედგენილი ყოფილა ლეონტი ვროველის მიერ, დაახლოვებით VIII—IX საუკუნეები.⁴⁹⁾ ამ ისტორიკოსს უძველეს ადგილობრივ წყაროებს გარდა ხელში ჰქონია, აგრეთვე, ერთ-ერთი ვარიანტი სირიულ თხზულებისა: „ქვაბი საგანძური“ (=„შემცირებული ბეჭედისა“, რომლის შედგენაც, შეცდომით, ცნობილს ეფრემ-ასურელს მიეწერება და რომელშიაც ქვეყნის გაჩენის ისტორიასთან ერთად მოთხოვობილი ყოფილა პირველი მართველებისა და მეფეების გაჩენის ისტორიაც.⁵⁰⁾ ამ თხზულების გადმოცემით, პირველი მეფე და მართველი კაცთა საზოგადოებისა ყოფილი ადამი, რომლის შემდეგაც ესევე თანამდებობა მისსავე შვილს სეითს რგებია, ხოლო სეითს შემდეგ—უკანასკნელის შვილს ენოქსა და, ასე თან მიყოლით, სამეფო უფლება მამიდან უფროს შვილზე გადასულა.⁵¹⁾—აი, ამ თხზულებას ჰქონებია დიდი გავლენა ჩვენი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის, თვალ-საზრისხე, რითაც ადგილათ აიხსნება ის მოვლენა, რომ „ქართლის-ცხოვრების“ უუძველეს ნაწილში თითქმის ყოველი ახალი შეფერ—ან მისი წინაშოადგილის შვილიდ არის გამოყვანილი ან შვილი—შვილად, ე. ი. ტახტის მემკვიდრეობა პირდაპირ ხაზს მისდევს, და ეს წესი ირლვევა მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო შფოთი და არეულობაა.⁵²⁾

მაგრამ დოკუმენტალური ცნობანი მსოფლიო გეოგრაფის სტრაბონისა (66 წ. ქრ. წინ და 24 წ. ქრ. შემდეგ)

⁴⁹⁾ И. Джаваховъ. Гасудар. страй... стр. 11 (примѣчаніе) и 13.

⁵⁰⁾ Ibidem, стр. 26—27. ეს „ქვაბი საგანძური“, ზოგიერთ ჩევენს ცკვლევას, შეცდომით, „ნებროთის წიგნად“ მიაჩნია.

⁵¹⁾ Ibidem, სტრ. 20—23.

⁵²⁾ Ibidem, стр. 24.



არ ეთანხმება ჩვენი ისტორიულისის ამ მწიგნობრული დულობას. სახელდობრ, ივერიელების შესახებ სტრაბონი სწერს: მათი ქვეყანა ოთხი გვარი ხალხითაა დასახლებული და „უპირველესი მათგანია ის გვარი, რომლიდანაც მეფეებს ადგენენ, უახლოესსა და (გარდაცვალებულ მეფის შემდეგ) ხნოვანობით ეგვიპტე უჟენესსათა“⁵³⁾ ანუ, უფრო მდაბიურათ რომ გამოვსთქვათ, პირველ საუკუნეში ქრისტეს წინ ქართველებში მეფის ტახტი იქრდა წლოვანობით ცველაზე უფროსი და გარდაცვალებულ მეფესთან ნათესაური კავშირითაც ცველაზე მეტათ დაახლოვებული წევრი სამეფო საგვარეულოსი; ამასთანავე მეფეს „ადგენენენ“ ე. ი. ტახტზე ასასვლელად არ კმაროდა მარტო ზემოთ დასახლებული ორი პირობა (გარდაცვალებულ მეფესთან ნათესაური სიახლოე და ხნოვანებით უფროსობა), არამედ ამასთანავე აუცილებლათ საჭირო იყო მთელი ხალხის ან მისი უუძლიერესი ჯგუფის მიერ სამეფო კანდიდატის მოწონება და ამორჩევა. მთელი ეს წესი ტახტის-მემკვიდრეობისა პირდაპირი ნაყოფი იყო იმ „საგვაროვნო წყობილებისა“, რომელიც, იმავე სტრაბონის სიტყვით, თანაბრათ გაბატონებული იყო ქართველი ხალხის როგორც ეკონომიკურს, ისე საზოგადოებრივსა და პოლიტიკურს ცხოვრებაში. საგვაროვნო წყობილება კი იმდენათ უფრო ძლიერია, რამდენათაც იგი უუძველეს საფეხურზედა სდგას, ე. ი. რამდენათაც იგი უუძველეს დროს ეკუთვნის. მაშასადამე ის წესი ტახტის-მემკვიდრეობისა, რომელსაც სტრაბონი აგვიწერს, უუძველეს დროში უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, ვინემ მას შემდეგ, რაც ჩვენი ხალხის პოლიტიკური ცხოვრება რომაელებისა და სპარსელების გავლენას დაემორჩილა. მართალია, ჩვენი მეფობის ხან-

53) მოგვყავს ბ-ნ ჯავახიშვილის თარგმანით: „Четыре рода (γένη) людей насяютъ страну; одинъ и первый изъ нихъ, изъ котораго ставятъ царей, по близости и возрасту самаго старшаго (послѣ умершаго царя.)“ („Государств. строй др. Грузин...“ стр. 8. Сравн. Ганъ, Извѣстія... I, стр. 68).-

გრძლევს ისტორიაში ხანდახან უნდა გამორეულიყო ისეთი შემთხვევები, როდესაც გარდაცვალებულ მეფის შემდეგ „უხუცეს და უახლოეს“ კანდიდატთა შორის მეფის საგვარეულოდან ყველაზე უფრო სასურველი და ხალხისათვის „მოსაწონი“ გარდაცვალებული მეფის შვილიც იქნებოდა, ასე რომ შესაძლოა ზოგჯერ, გამონაკლის სახით, პირდაპირ მეფის შვილზედაც გადასულიყოს სამეფო ღირსება, მაგრამ საზოგადოთ კი საფუძველი გვაქვს გადაჭრით დავასკვნათ, რომ ჩვენი ისტორიის უუძველეს ხანაში ისეთს გამონაკლს ძლიერ იშვიათად უნდა ჰქონოდა ადგილი. ამ დასკვნას სავსებით ეთანხმება შატბერდისეული ქრონიკა „ქართლის მოქცევისა“, რომელშიაც პირდაპირი შემცვიდრეობა (მამიდან შვილზე ან შვილიშვილზე) მეფების დასაწყისიდან მის მოსპობამდე (VII საუკუნეში ქრ. შემდეგ) მარტო ოთხეტაა ნაჩვენები, სახელდობრ არანის შემდეგ ძე მისი აზო, ლევის შემდეგ – ძე მისი მირეან, მირეანს შემდეგ მისი შვილიშვილი ბაკურ II და დაჩი უჯარ-მელს. შემდეგ – მისი ძე ბაკურ IV. – ⁵⁴⁾ ცხადია, სხვა მეფეებს პირდაპირ მამისაგან არ მიუღიათ სამეფო ტახტი, თორემ ქრონიკა ამასაც აღნრშნავდა.

ახლა შეგვიძლია დაახლოებით მივიკვლიოთ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ჩამომავლობით მეორე ქართველი მეფე ფარნავაზი, რომელიც, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, არც ძე იყო თვისი წინამოადგილისა და არც მისი მტერი. ჩვენის აზრით ფარნავაზი უნდა ყოფილიყო ახლად დაარსებულის სამეფო საგვარეულოს „უხუცესი“ წევრი აზოს შემდეგ, ე. ი. სამეფო გვარის „მამასახლისი“, რომელსაც გვარის მამასახლი-სობასთან ერთად თავის წინამოადგილისაგან სრულიად საქართველოს „მეფე-მამასახლისობაც“ უნდა მიელო; მაშასადამე, ჩვენ სრულიად უარვყოფთ იმ თქმულებას, ვითომც ფარნავაზი ბავშობისას აზოსაგან დევნაში გაზრდილიყოს, შემდეგ,

⁵⁴⁾ „სამი ისტორ. ხრონიკა“ ე. თაყაიშვილისა. ტფ. 1890 წ. 83.
4. 11. 22. 31.

զածոյցոծութեաս, սագուց մուցին մուլու խանճա յձուցնու դա անուսատցու սանրուց ծհմոլու օյթենու; Սարչուութ, օգրեւոց և սյուլեւն ծարաւանցուլու մի անհաւու, զուռոմու յև մոյց ՝ “մթեցու ան օծութաւ լիքանաւշեցնու նաւրանու նշունու (ան մմունիշեցնու)“ յուցուլուցու; ⁵⁵⁾ յև լիքանաւշեցնու անհու ոմքյենաւ որուցնալու հու, հոմ առ նշունու մու գասարհեցաւ պուրու խան մանը առ նշունու մուռուցու յուրագուցնու. Ն. ծարաւանցուլու էնթուրեաւ անցուա: մաս մուշաց լիքրուրուցու մուս յուրացնու մութմուծ, զուռոմու ՝ “Զա Ըստացածու օյցրույցնուն“ լիքրուսուծ ալյյանցանդրու-մակրունցնու դարուն լուժումանու սարւանու, մունդաւարուսատցու, հացարցնուցու; ⁵⁶⁾ ամ մութմուծուն գամուշու ու գամունա, զուռոմու ՝ “Սարւանու մունդաւարու“ ալյյանցանդրու մակրունցնու մութմուծու ՝ “օյցրուն սարւանու“ յուցուլուցու; նշունու մուգունցնու, հոմ յև մունդաւարու 317 բարու անցուցնուան ծհմոլուն մուգուն, ամս լիքարուցնու ՝ “յարուլու-լիքուրուն“ ու մթյուլուցնու, զուռոմու լուրնացածու մութետու լիքանաւշեցնու ՝ “մամմասելունու սամարու մմունիշուլու“ յուցուլուցու, հոմելուն (սամարու մմա) ալյյանցանդրուստան ծհմոլուն մուգուն, — դա լիքանաւշեցնու գամունա, հոմ ՝ “լուրնացածու յուցուլու մութետու ան օյցրուն լիքանաւշեցնու սարւանու նշունու, հոմելուն (սարւանու) մուգուն անցուցնուն դա առա ալյյանցանդրումառ“.

հոգուրու շեցուատ, զանսայն յծուլ ու կորույունու սյուրցու լու յուցուլու, մուս յուրացնու տմթյուլուն դա հայեն մաւրանու զարդամուցեմա նշունունեմեծու. մացրամ, հոգուրու զուրու, ալյյանցանդրու մակրունցնու արամու ու մութետուն, զազյանուն առ նշունուսուլու; մանաւագամյ, զըր գացուցու, ու հոգուն դա հա

⁵⁵⁾ Ն. ծարաւանցուլու. սայահուցուլու ու կորույունու սյուրցու լու յուցուլու, մուս յուրացնու տմթյուլուն դա հայեն մաւրանու զարդամուցեմա նշունունեմեծու. մացրամ, հոգուրու զուրու, ալյյանցանդրու մակրունցնու արամու ու մութետուն, զազյանուն առ նշունուսուլու; մանաւագամյ, զըր գացուցու, ու հոգուն դա հա

⁵⁶⁾ Եա մուս յուրացնու ՝ “История Армении“ перв. Эмина. Москва. 1893 г. стр. 64: „Онъ (Арташесъ) выдаетъ дочь свою, Арташему, за иѣкоего Михрдата, великаго бѣтхѣ Иверійскаго, происходящаго отъ Михрдата, сатрапо Дареха, поставленнаго Александромъ надъ ильинныни Ивериццами“.

სპარსული ზღაპრიდან ყოფილი „ნასესხები“⁵⁸⁾). ხოლო რაც შეეხება იმავე მატიანის მეორე თქმულებას აზონთან ფარნა-ვაზის ბრძოლის შესახებ, ესეც, ჩვენის ფიქრით, ნასესხები უნდა იყოს რომლისამე სპარსული გარდამოცემიდან ბრწყინ-ვალე ღმერთის აჟურა-მაზდის (= „ორმუზდის“ ანუ ქართული „არმაზის“) ბრძოლის შესახებ არიმანთან და მის ბნელ ძალებთან, რადგან, როგორც ბ-მა ნ. მარმა დაამტკიცა, ზენ-დურიდან გადმოქართულებული სიტყვა „ფარნავაზ“ ორმუზ-დის ერთ-ერთი ეპიტეტია *„quarenaguastema“* (= „ფრიად ბრწყინვალე“)⁵⁹⁾ და, ამიტო, საფიქრებელია, ჩვენს მემატია-ნეს ამ „ფრიად ბრწყინვალე ორმუზდის“ შესახები სპარსული თქმულება ჩვენი მეფის „ფარნავაზისათვის“ მიეწეროს. ჩვენს მოსაზრებას სავსებით ამართლებს ის გარემოება, რომ, როცა ჩვენი მემატიანე ფარნავაზის მიერ „არმაზის“ კერპის ამართვა-ზე მოგვითხრობს, თან დასძენს, ვითომც ამ კერპისათვის ფარნავაზ-მეფეს თავისი საკუთარი სპარსული სახელი დაერქმიოს, რადგან „ფარნავაზის სპარსულად არმაზ ერქვიო“.⁶⁰⁾ უეპველია, ჩვენს გულ-უბრყვილო მემატიანეს სპარსული ლვთაების არმა-ზის (= „აჟურა-მაზდის“) ეპიტეტი (ბოლო მოკვეცილი „qua-arenaguastema“) ჩვენი მეფის ფარნავაზის სახელად მიუღია და ამ ლვთაების ცხოვრებიდან ამოღებული ერთ-ერთი ეპი-ზოდი ისტორიულ ფარნავაზისათვის მიუწერია.

მაგრამ ჩვენ არ უარყვოთ ჩვენი პირველ-წყაროების იმ თქმულებას, რომელიც ფარნავაზს თომუზდის კულტის შევარ-ევ შეუვებ აღიარებს, თუმცა საკიროდ ვრაცხთ, ამ თქმუ-ლებიდან ზოგიერთი დეტალები გამოვრიცხოთ. ჩვენი მოსაზ-რების დასამტკიცებლათ მოგვყავს შემდეგი ფაქტები. რო-გორც პირველ წერტლში დავინახეთ, სპარსეთის მეფის და-

⁵⁸⁾ Н. Марръ. Боги Языческой Грузии. Спб. 1901 г. стр. 6, строк. 4—7.

⁵⁹⁾ Ibidem, стр. 5.

⁶⁰⁾ ქართლ.—ცხოვრება. I, გვ. 39.



რიოზ I ჰისტასპის დროიდან (521—485 წელს) ქართველის თესლ-მოდგმის უკელა თემები სპარსეთის ორ სასატრაპოს შეადგენდა, ე. ი. სპარსეთის უუძლიერეს პოლიტიკურ და კულტურულ გავლენის ქვეშ იყო. როგორც მსოფლიო ისტორია გადმოვცემს, ამ გავლენას ქართველი თემები პირველად სპარსეთის მეფის კვირასის დროს (560—529 წ.) და მორჩილენ, იმ კვირასის დროს, რომელმაც აღმოსავლეთის მეფეთა შორის პირველმა მოიტანა თავისი სამფლობელოს ჩრდილოეთის საზღვრები კავკასიონის მთაგრეხილამდე⁶¹⁾. მაგრამ სპარსელებზე უფრო ადრე ქართველების ერთი თემი, სახელდობრსწორედ ის თემი, რომელსაც ჩამომავლობით ჩვენი მეფეები აზო და ფარნავაზი ეკუთვნოდენ, ე. ი. თემი „კარდუქებისა“ (= „ქართუ-ები“ ანუ ძველი „ქართლი“), მე-VII საუკუნეში ქ. წინ, დეიოკ-მეფის დროიდან (708—655 წ.) მიდიას სახელმწიფოს ემორჩილებოდა. ხოლო, როგორც ვიცით, ჩამომავლობით და სარწმუნოებით მიდიელები და ძველი სპარსელები ერთი და იგივენი იყვნენ, სახელდობრ ორნივე ზენდის ხალხის შტოს წარმოადგენდენ და სარწმუნოებაშიაც „სინათლის ღმერთის აჭერა-მაზდის“ (= ორმუზდი=არმაზდი=არმაზი) თაყვანის მცემელნი იყვნენ.⁶²⁾ ამრიგათ, მე-VII VI, V და IV საუკუნეთა განმავლობაში, ე. ი. თითქმის სრული 400 წელიშადი, ჯერ ქართველი ხალხის ერთი თემი (კარდუქი) და შემდეგ უკელა თემები ირანელ ხალხთა: მიდიკეთა და სპარსეთა კულტურულ გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ, ხოლო მე-IV და **III** საუკუნეში ეს გავლენა იმდენათ გაძლიერდა, რომ მთელი ქართველი თესლ-მოდგმა სპარსეთის ოც-სატრაპოვან მონარქიის ორ საერისთაოდ იქმნა გამოცხადებული და უკელაფერში სპარსეთის უურმოკრილი ყმა შეიქნა.

⁶¹⁾ Н. Карбевъ. Учебная Книга древней истории. Спб. 1903 г.—карту VII: „Персидская монархия“—Шеаадархт ამმიან მარცელინის ხატუები კვირასის მიერ ჩვენი მტკვრის სახელის გამოცვლის შესახებ. Гант. Извѣстія... I, стр. 185.

⁶²⁾ Веберъ. Всеобщая история. I, стр. 148—150.



(მოიგონეთ სამარცხვინო ხარკი — ყოველ ხუთ წელში და სამარცხვის ახალ-გაზდა ქალი და ვაჟი, რომელთაც კოლხიდა და სვანეთი სპარსეთის სასახლეში აგზავნიდა). ასეთ ფაქტორთა ზედ-მო-ქმედების ქვეშ იმყოფებოდა ქართველი ხალხი ძველ სპარსეთის მონარქიის დამხობამდე = (ე. ი. 330 წლამდე ქრ. წინ), — და გასაკვირალიც იქნებოდა, რომ ოთხას წლოვან გავლენას ირანულ კულტურისას ჩვენს ხალხში ზოროასტრის სარწმუნოება არ შემოეტანა. გვაქს საკმიო საბუთი დავასკვნათ, რომ ზოროასტრის სარწმუნოება ანუ ორმუზდის კულტი უკვე მეფობის დაარსებამდე ნამდვილათ არსებულია ჩვენს თემებში. სახელდობრ, აპოლონი როდოსელი (250—200 წ. ქრ. წინ) გადმოგვცემს, რომ ქართველი ხალხის ერთ უმთავრეს თემს, კოლხებს, მის დროს უკვე მტკიცე ჩვეულებად ჰქონდათ მი-ცვალებულთა დაუმარხაობა;⁶³⁾ ხოლო როგორც ვიცით, მი-ცვალებულთა დაუმარხაობა ერთი დამხასიათებელ ჩვეულება-თაგანი იყო ზოროასტრის სარწმუნოებისა. მართალია, აპო-ლონი როდოსელი თითქმის ჩვენი ფარნავაზის თანამედროვეა, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ არღვევს ჩვენს აზრს ზოროასტრის სარწმუნოების სიძველის შესახებ ჩვენს ქვეყანაში, რადგან ძნელი დასაჯერებელია ფარნავაზამდე ჩვენში ეს სა-რწმუნოება არ არსებულიყოს და სულ რაღაც 10—12 წ. განმავლობაში გამოელოს იმნდენათ ძლიერი ნაყოფი, რომ მისი სამეფოს უუშორეს ნაწილშიაც კი კოლხებს უკვე ტკი-ცე ჩვეულებად გაეხადოსთ მკვდართა დაუმარხაობა. ამას გარდა, თვით აპოლონი როდფსელიც არ უარჲყოფს, რომ ეს ჩვეულება კოლხებ შორის საკმაოთ ძველი ჩვეულება ყოფილა (აპოლონი იმასაც კი ამბობს, ვითომც ეს ჩვეულება კოლხებს უკვე არგონავტების დროს ჰქონებოდესთ). ერთი სიტყვით, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ზოროასტრის კულტი ჩვენში ფარნავაზე ბევრათ აღრე ყოფილი გავრცელებალი, ასე რომ როგორც ფარნავაზი, ისე მისი წინამოადგილე, მთელი მათი

⁶³⁾ Ганъ. Извѣстія... I, стр. 49.



სამეფო გვარი და „ქვეშევრდომნი“ (თუ კი შეიძლება მატყეობრივი მიხედვით ეს სიტყვა ვიხმაროთ) უკვე ორმუზდისათა ყვანის-მკემელნი ყოფილან; ამიტომ სრულ სიმართლეს ამბობს ჩვენი მატიანე და „ქართლის-მოქცევა“, როდესაც ფარნავაზს ორ-მუზდის კულტის მტარველობას მიაწერს.

მხოლოდ ჩვენი წყაროების თქმულებიდან უნდა გამოი-რიცხოს ის აზრი, ვითომც ორმუზდის სახელობაზე ფარნავაზს „კერპი“ ანუ ქანდაკება გაეკეთებიოს. როგორც ზოროასტრის სარწმუნოების აღმსარებელი, ფარნავაზი ორმუზდს „კერპს“ ვერ დაუდგამდა. რადგან ზოროასტრის რელიგია კერპებს არა სცნობს. მართალია ორივე ჩვენი პირველ-წყარო დაუინე-ბით გვარწმუნებს, ვითომც ფარნავაზს ნამდვილი „კერპი აე-მართოს“ და ამ კერპისთვის დაერქმიოს „არმაზი“. ④) მაგრამ ბევრი ფიქრი არ უნდა, რომ მიხვდეს კაცი, თუ საიდან უნდა წარმომდგარიყო ნამდვილი ისტორიული ფაქტის ასე სასტიკად გადამახინჯება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ როგორც „ქარ-თლის-ცხოვრება“, ისე „ქართლის-მოქცევა“ ქრისტიანობის დროსაა ჩვენში დაწერილი და თვით მათი დამწერნი და გა-დამწერნიც სასულიერო პირნი არიან. სასულიერო წოდება ვი, როგორც უკვე თეიმურაზ-ბატონიშვილმა შენიშნა, ყოველ ლონეს ხმარობდა გაქრისტიანებულ ქართველებისათვის, რო-მელთაც კიდევ ახსოვდათ ძველი წარმართობა, ეს უკანასკნელი შეეძულებინა და დაევიწყებინა; ამ მიზნით „ეკლესიის ჩვენისა მოძღვარნი უძაგვებდნენ მათ გარდავლილთა წინაპართა მათთა და მათსა ეტყოდენ მრავალთა უწესოთა საქმეთა და არა წმინ-დათა“. ⑤) ამ „უწესოთა საქმეთა“ შეთხზვაში ლეონტი

④) „ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა; ესვე არს არმაზი; და ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქა...“ (ქ.—ცხოვრ. I, გვ. 39). —ხოლო „ქ.—მოქცევა“ ამავე ამბავს ასე ამოკლებს: „ამან აღმართ კერპი დიდი ცხვირსა ზედა და დასდევ სახელი მისი არ-მაზი“ („სამი ისტ. ხრონიკა...“ გვ. 5.)

⑤) ალ. ჭყანია: „ისტორიული ნარკვევი“ ტფილისი. 1890 წ. გვ. 139. სადაც თეიმურაზ-ბატონაშვილის აზრია მოყვანილი.

მროველი („ქ.—ცხოვრებას“ უძველესი ნაწილის დაწერი) იმ ზომამდეც კი მისულა, რომ ჩვენს წინაპრებისთვის „კაცის-მჭამლობაც“ მიუწერია⁶⁶). რაღაც გასაკვირალია, რომ ასეთს „ისტორიკოსებს“ თვით წარმართული ღმერთებიც მეფების მიერ „შეწნილ კერძებად“ წარმოედგინათ, რათა სამწყსო დაერწმუნებიათ, რომ ის ღმერთები, რომელთაც ქართველები ქრისტიანობის მიღებამდე სცემდენ თაყვანს, ნამდვილი ღმერთები კი არ იყვნენ, არამედ ადამიანის ხელ-ქმნილი უსულობა უსიცოცხლო ქანდაკებანი იყვენო. სწორეთ ამავე ტენდენციით აიხსნება ის გარემოება, რომ „ქართლის-მოქცევის“ ავტორი აზოს შესახებ ამბობს, ვითომც მას მცხეთის პროვინციაში გადმოსახლების დროს თანა-ცყოლოდეს „ღვთად კერძნი—გაცი და გაიმ“, ხოლო ფარნავაზს და მის სამს მემკვიდრეს ზედი-ზედ ოთხი კერძი აქმართოს⁶⁷). ერთი სიტყვით, ქრონიკის ავტორი, როგორც ფანატიკოს ქრისტიანს შეეფერება, მეტად მედიდურათ უქცევის ძველს მშობლიურს წარმართობას და ცდილობს, იქ უსულო კერპთ-თაყვანისმცემლობის მეტი არაფერი დაინახოს და არც დაანახოს თავის მკითხველებს.

ამავე თვალ საზრისით აიხსნება. რა თქმა უნდა, ის გარე-მოებაც, რომ ფარნავაზს ორივე ჩვენი პირველ-წყარო „არმაზ-კერძის“ შექმნას ანუ ამართვას მიაწერს. მაგრამ, როგორც ვთქვით, ზოროსტრის სარწმუნოების მიმდევარი ფარნავაზი იმავე სარწმუნოების მიმდევარ ქართველთა შორის „კერპს“ (=ღვთაების გამოხატველ ქანდაკებას) ვერ აღმართავდა. მაში უნდა გაეკეთებია ფარნავაზს ამ კულტის სასარგებლოდ, რაში უნდა გამოხატულიყოს მისი მფარველობა ამ კულტი-საღმი?

ჩვენ გვვინია, ფარნავაზის სარწმუნოებრივი მოღვაწეობა უნდა გამოხატულიყო „ფრიად-ბრწყინვალე“ ღვთაების, აჟურა-მაზდის (ორმუზდის ანუ არმაზის) სახელობაზე „საცეცხლესი“

⁶⁶⁾ ქართლ.—ცხოვრება I, გვ. 32.

⁶⁷⁾ სამი ისტ. ხრონიკა. გვ. 4—6.

და ტაძრის აშენებაში იმ მაღლობ ადგილის, სადაც დღეს ეგრეთ წოდგბული არმაზის-ციხე იმყოფება და რომლის მიღა-
 მოებშიაც ფარნავაზის დროიდან საკმაოთ ვრცელი და მაგარი
 ციხე-ქალაქი გაიმართა თანდათან. აი ამას და მხოლოდ ამას
 უნდა ნიშნავდეს ის -მოკლე, მაგრამ ავტორის ტენდენციურ
 თვალსაზრისით უკვე საკმაოთ გადამახინჯებული თქმულება,
 რომელსაც ამ საგნის შესახებ „ქართლის- მოქცევა“ იძლევა:
 „დადგა ფარნავაზ; ამან აღმართა კერპი დიუი ცხვირსა ზედა
 (მთისასა) და დასდევა სახელი მისი არმაზი, და მოქმნა ზღუდე
 წელით კერძო და პრეციან არმაზ“ (სამი ისტ. ხრონ. გვ. 5).

მაგრამ აქ შეიძლება შეგვეკითხონ: ზოროსტრის სარწმუ-
 ნოების მიმდევარნი ხომ მსხვერპლს უბრალო მაღლობებზე
 სწირავდენ და უმეტეს ნაწილათ არავითარ ტაძრებსა და „საკუ-
 როხველებს“ არა სცნობდენ,—მაშ, რა საბუთის ძალით-ლა
 შეიძლება ფარნავაზს ორმუზდის სახელობაზე „ტაძრისა და
 საცეცხლის“ აშენება მივაწეროთო? მართალია, ზოროსტრის
 სარწმუნოება მის პირვენდელ და მარტივი სახით ტაძრებსა და
 საკუროხევლებს არა სწორდა, მაგრამ ნამდვილი წყაროებიდან
 ვიცით, რომ ამ სარწმუნოების ვრცელს რაიონში ბევრგან
 ნოიპოებოდა ისეთი ადგილები, სადაც ორმუზდისა და ცეცხლის
 თაყვანისმცემელთ საკმაოთ ვრცელი ტაძრები და მუდამ-მგზნე-
 ბარე „საღვთო“ ცეცხლისათვის განსაკუთრებული „საკურ-
 თხევლები“ („ალტარი“) ანუ ეგრეთ წოდებული [„საცეცხლე“
 ჰქონდათ გამართული. ერთი ამგვარი ტაძარი და საკურთხე-
 ველი სტრაბონს საკუთარის თვალით უნახავს ჩვენს მეზობლით
 მდებარე კაბადოკიაში და კიდევაც აუწერია იგი. ეს აღწე-
 რილობა იმდენად საინტერესოა და ნათელსა ჰქონს ჩვენს
 საკითხს, რომ არ შეგვიძლია აქვე არ მოვიყვანოთ, თუ ვრცე-
 ლაც არა, შემოკლებით მაინც.

კაბადოკიაში,—ამბობს სტრაბონი,—ბევრი მოვალე და
 ტაძრებია; ამ ტაძრებს „პირათეები“ („შემართებელი“) ეწოდება და
 იგინი წარმოადგენენ ვრცელს და გალავნით შემოვლებულ
 ადგილს; შეუში დგას „საკურთხეველი“ („ალტარი“) ანუ უკეთ

„საცეცხლე“), რომელზედაც მოგვებს ბევრი ნაცარი უშუალოდ და უქრობი ცეცხლი უნთიათო. ყოველდღე შედიან იგინი ტაძარში და თითქმის მოელი საათის განმავლობაში ცეცხლის წინაშე საიდუმლო საგალობლებს ჰგალობენ, თან ხელში ფიჩხის პატარა კონა უკავიათ (“пучекъ прутьевъ”) და თავზე შალის მაღალი მიტრა („tiara“) ახურავთ, რომლიდანაც ორსავე ლოყაზე თითქმის ტუჩებამდე პირ-საფარია ჩამოშვებულიომ^{68).}

აი სწორეთ ამგვარი „ტაძარი“ და „საცურთხეველი“ ანუ საცეცხლე უნდა იეგოს ფარნავაზს იმ იდგილას, სადაც დღეს დროთა მსვლელობითა და ბუნების სტიქიონთა ზედ-გავლენით შევიწროებული მოედანია არამხის ციხესთან, მცხეთის მახლობლიათ, და საიდანაც ძირს ტყეში ჩამოგორებული ორი უზარ-მაზარი, თითქოს თვით ბუნებისაგან ტლანქად გამოთლილი, ქვა უნებლიერ იზიდავს მნახველის ყურადღებას და ოცნებით გადაფრენს იმ შორეულ დროში, როდესაც არმაზის ტაძარში ამ ქვებისაგან „საცეცხლე“ უნდა ყოფილიყო გაკეთებული. — რომ „მცხეთის“ პროვინციაში ძველათ ნამდვილათ უნდა ყოფილიყო „ტაძრები“, ამას, თქმულს გარდა, სტრაბონის პირდაპირი მოწმობაც ამტკიცებს. სახელდობრ ის ამბობს, რომ ერთი ამგვარი ტაძარი „მოსხების მხარეში“ იყო, იმ მოსხების მხარეში, რომლის ერთი ნაწილი I-ელ საუკუნეში ქრისტეს წინ ივერიელებს ეკუთვნოდათ, მეორე—კოლხებსა და მესამე—სომხებსაო; ⁶⁹⁾ ამას გარდა, როცა აღმანელების კულტს ივერიერს, ივივე გეოგრაფი დასძენს, რომ ამ ნალებ ერთი ტაძარი „ივერიის“ საზღვრის მახლობლად ჰქონდათ

⁶⁸⁾ Страбонъ. Географія. кн. XV, гл. 3, § 15; перевідъ щ. Мішленка. Москва. 1879 г. стр. 749. єს ადგილი ნაჩვენები აქვს ბ—б ნ. მარტისაც. მაგრამ მე—15 §—ის ნაცვლად შეცდომით მე—13 § აქვეს აღნიშნული („Воги языческой Грузии“ стр. 8.)

⁶⁹⁾ Страбонъ. Географія. Кн. XIII гл. 2, §§ 17 и 18. стр. 509—509. შეადარეთ Ганъ, Извѣстія... I, стр. 65.



გამართულით.⁷⁰⁾ ერთი სიტყვით, ჩვენთვის ყოველ ეძღვანდება რეშეა. რომ ორმუხდის თაყვანის მცემელს ფარნავაზს თავისუფლათ შეეძლო ამ ღვთაების სახელზე ტაძარი და საცეცხლე (= „ბომბონი“) აეშენებია; ხოლო როგორც ჩვენი წყაროები მოწმობენ, მან კიდევაც ააშენა იგინი.

მეორე დეტალური ცნობა, რომელსაც ამავე საგნის შესახებ ჩვენი მატიანე იძლევა და რომელიც ჩვენის ფიქრით უსათუოთ უნდა გამოირიცხოს ფარნავაზის ცხოვრების აღწერიდან, ეს ის ცნობაა, ვითომც გარდაცვალების შემდეგ ფარნავაზი „არმაზის კერპის წინაშე დაეფლათ.“⁷¹⁾ მაგრამ, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, აპოლონი როდოსელის სიტყვით, ფარნავაზის დროს კოლხებსაც კი ჩვეულებად არა ჰქონიათ მიცვალებულების დამარხვა, ხოლო ზენდ-ავესტის წესი მოითხოვდა ადამიანის სხეული მიწისათვის არ მიებარებიათ, რასაც სავსებით ეთანხმება ჩვენი მატიანის უუძველესი ვარიანტი, რომელიც სომხურ თარგმანშია შენახული და რომლის ავტორიც უუძველეს ქართველებს უკიდინებს — შეულლების დროს ნათესაობა არ იკოდენ და არც მიცვალებულების დამარხვა⁷²⁾. მაშ რაღა დასაჯერებელია, ვითომც ფარნავაზს ერთსა და იმავე დროს ზენდ-ავესტის სარწმუნოებაც დაეცვას და ამ სარწმუნოების ქართველი ხალხის მიერ უკვე შეთვისებული ერთ-ერთი უმთავრესი მუხლიც საკუთარის მაგალითით დაერღმოს. საყურადღებოა, რომ ამ ცნობის შესახებ „ქართლის—მოქცევამ“ არა იცის რა, რაც ამ პირველ წყაროს გაცილებით უფრო მაღლა აყენებს ისტორიის წინაშე, ვინემ ნაგვიანევათ შევსებულსა და შესწორებულს „ქართლი-ცხოვრებას.“

ამ რიგათ, ჩვენ სრულიად სარწმუნოდ მიგვაჩნია ჩვენი წყაროების ის თქმულება, რომელიც ფარნავაზს ორმუხდის

⁷⁰⁾ Страбонъ. География Кн. XIII, гл. 4, § 7, стр. 513.—Ганъ, loc. cit стр. 71.

⁷¹⁾ ქ.—ცხოვრება I. გვ. 40.

⁷²⁾ Н. Марръ. Боги языческ. Грузии.. стр. 15.—შეადარეთ გვ. 6.

კულტის მფარველობას მიაწერს, თუმცა საჭიროდ ჰქონის
 ამ თქმულებიდან ზღმოთ დასახელებული ორი დეტალი გამო-
 ირიცხოს. მაგრამ შეიძლება გვითხრას ვინმედ: აზო და ფა-
 რნავაზი ხომ სირიელ სელევკიდებზე იყვენ დამოკიდებული,*)
 ასურისტანში კი, როგორც „დაბადება“ გვარწმუნებს, იმ დროს
 ბაალ-ასტარტის კულტი იყო გვირცელებული და ნუ-თუ სე-
 ლევკიდები თავის ვასსალს ქართველ მეფეს ნებას მისცემდენ
 ზორთასტრის სტრმუნებისთვის მფარველობა გაეწია. მა-
 გრამ, როგორც სელევკიდების ისტორია გვარწმუნებს, ამათი
 საშინაო პოლიტიკა ბევრით არაფრით განსხვავდებოდა მათის
 წინამოადგილე სპარსელ აქემენიდების პოლიტიკისაგან, რომე-
 ლთ სამეფოს ნანგრევებზედაც სელევკოს I-ელმა ასურისტანის
 მონარქია ააგო.⁷³⁾ მეორე მხრით, ისიც სახეში მისაღებია, რომ
 სელევკოს პირველის შემდეგ, მისი შვილების დროს, ახლად-
 აგებულმა სარისის მონარქიამ უკვე რღვევა დაიწყო. პირველით
 მას ჩამოშორდა ბითინია და გალატია, სადაც დამოუკიდებელი
 სამიავროებიც დაარსდა, შემდეგ, 250 წლის მახლობლათ,
 პერგამიც განთავისუფლდა (მცირე აზიის დასაჯლეთის ნაწილ-
 ში), ხოლო იმავე წელს ფარსის-ტანშიაც კასპის ზღვის
 აღმოსავლეთით არშაკიდებმა ძლიერი პართიის სამეფო დაი-
 რსეს და სელევკიდების მონარქიას ყოველი მხრით შევიწროე-
 ბა დაუწყეს.⁷⁴⁾ თვითონ სელევკოს I-ელის მემკვიდრეებიც
 მეტათ სუსტები იყვენ: ანტიოქიას I-ელი 262 წელს გარდა-
 იცვალა, ხოლო ანტიოქიას II ცოლმა მოსწამლა 247
 წელს⁷⁵⁾; სელევკოს II, „გამარჯვებულად“ წოდებული, მუდამ
 დამარცხებული იყო (247—227 წ.), ხოლო „მეხთა-მცემ“
 სელევკოს III-ეს მეხი არავისთვის დაუცია და თვითონ კი

*) ამ დამოკიდებულებას არც ჩვენი მატიანე უარ-ჰყოფს, ნახ. „ქ.—
 ცხოვრება“ I, გვ. 38. 40.

⁷³⁾ შარლ-ნორმანის „საბერძნეთის ძველი ისტორია“ თარგმ. ვლ-
 ლორთქიფანიძისა. გვ. 412.

⁷⁴⁾ იქვე. გვ. 413. შეად. Г. Веберъ. Всеобщ. история. I, стр.
 392—393.



მოჰკლეს (224 წელს); რაც შეეხება ანტიოქია III-ეს (224 წ. 187 წ.), მართალია იგი დიდი აზრისა იყო თავის თავზე, თავის ქონებისა და „უძრეველ“ ჯარზე, მაგრამ რომაელებთან უბრალო შეტაკებამ (190 წელს, მაგნეზიის მახლობლათ) ნათლად დაანახვა მას, თუ რამდენათ უნიადაგო იყო მისი წარმოდგენა: დამარცხებული ანტიოქიის იძულებული გახდა რომისათვის დაეთმო თავრის-მთის დასავლეთით მდებარე ყველა მიწები და დიდძალი კონტრიბუციაც გადაეხადა. სამართლიანათ შენიშვნავს ისტორიკოსი, რომ „არასოდეს ასე სწრაფათ და ასე სამარცხვინოთ არც ერთი სახელმწიფო არ დაცემულათ“.⁷⁵⁾ ხოლო როდესაც ამავე მეფემ მაგნეზიის ბრძოლის შემდეგ გაღარიბებულ ხაზინის შესავსებად განიზრახა ბაალის მდიდარი ტაძრის გაძარცვა (კასპის ზღვის სამხრეთით, ელიმასში), ალელვებულმა ხალხმა საკუთარის ხელით გამოისალმა წუთისოფელს „მკრეხელი“ მეფე.⁷⁶⁾ ამას შემდეგ სელევკიდების ძლიერება აღარავის გაუგონია.

ცხადია, ასეთი მონარქიის სუზერენობა ქართველ მეფეს ხელს ვერ შეუშლიდა, რომელი კულტიც სურდა და ხალხის-თვის სასურველიდ მიაჩნდა, იმისათვის გაეწია მფარველობა. ეს კიდევ ცოტაა. ჩვენ ვვგონია, მას შემდეგ რაც აღმოსავლეთში პართიის მონარქია დაარსდა (250 წ.) და დასავლეთით მცირე აზიის პატარა სამთავროები განთავისუფლდენ (გალატია, ბითიანია და პერგამი), ჩვენს ქვეყანაშიაც თუ სრულიად არ უნდა მოსპობილიყო, ფრიად საგრძნობლათ მაინც უსათუოდ უნდა შესუსტებულიყო სელევკიდების ძალა და მნიშვნელობა. ამიტომ, ვვონებთ, სრულიად სამართლიანათ იქცევა ჩვენი მემატიანე, როდესაც ფარნაგაზის განწყობილებას სელევკიდების მიმართ უბრალო „სამსახურს“ ეძახის და

⁷⁵⁾ Веберъ. loc. cit. стр. 392.

⁷⁶⁾ Г. Веберъ. Всевобщ. история I, стр. 498. შეად. შარლ-ნორ-მანის დასახელებული თხზულება გვ. 413.

⁷⁷⁾ Веберъ. loc. cit. стр. 392.

տան დასძյենს, հռմ մոցլո თաւուսո մեցոնօ դարնացնես „նե-
ծոյրած და մ՛շցութոնօտ“ ցաւրահաս: „մեցոնծո նեծոյրած, და
մևանցրցծո ոց անքույշյուս, մեցյա աւշրաստանուսաս, დա պո-
չույլնո գլցենո մուսո, հաւ դաշճա (մեցյա), մ՛շցութոնօտ դա-
պցնա“.⁷⁸⁾ հռմ տիմուլու ցանեցորցծ առ դաշցուրցյէ, սակո-
րուծ վրապետ այց ցամոցույցատ հցընո մուսանցրցծանո դարնաց-
նուս մեցոնծու ցասասրուլու յիշոնուղոցուս Շցեսեցէ.

Յանց՛Ռո-ծարոնո՛՛ցուլու ցամոնցարույցիտ դարնացնո 302—237 թլցէ Մորուս մեցոնծո դարցու բարցու 302 թլցէ Յուրուլու կազմակերպութիւնու կազմակերպութիւնու մեցոնծո 272 թլցէ ալորյ առ սնծա դաշպցծուլուց. յ. օ. անքույշյուս I-յլուս մեցոնծու մեցորյ նաեցարշո. մացրամ, հռմուրու „յարտ-
լուս-պետքրցծութանցյ“ սիանս, դարնացնուս մեցոնծու յայնա-
սկնել թլցիւ աւշրաստանուս մեցյա „անքույշյուսու“ պոտո-
լո; ամաստանաց հցընո մարունուս պայլա զարունքյոծո և մատ
հուրեցիւ ցցրյտ թուղցծուլո „Chronique Armeniene“-ու (=
„յ.—պետքրցծու“ յայնացըլուս հրձայիւղուս սոմենու տար-
գմանու) յրտեմատ օլուսրցծյն, հռմ դարնացնումա „սամյուրու և
եսուտ թլցու“ օմյուտ.՝⁷⁹⁾ տոյ ամ յիշոնուղուր ցարժամուց-
մանի մուրուցնու և մարտուլյ մանց մունուցնու, մանուն սայս-
կցըլո ցայեցնեծ ցուցույնու, հռմ ուս „անքույշյուսու“, հռմյ-
լու դարնացնուս մեցոնծու յայնասկնելու թլցիւ տանամեցուրո-
ւցնա մարունցիւ ցասանցուլուցնո, անքույշյուս III սնծա պոտո-
լուց, հաջան 272—65=207, եռլու 207 թլցու աւշրա-
ստանշո անքույշյուս մեցամյ ոչճա մեցյա (224—187 թ.). և եցա
սայշոնուղոցու մասալուտ յայնուղունուս ցամո օմյուլուցուլո
զարտ դարնացնուս մեցոնծու ցասասրուլուս տարուծու 206 թլցու
ալցուարու. ամ հուցատ դարնացնուս մեցոնծու հցըն դաշւնցիտ դա-
սրուղուցտ 272—206 թլցիւ Մորուս. մարտուլու յը տարուծու

⁷⁸⁾ յ.—պետքրցծու. I, 40.

⁷⁹⁾ յ.—պետքրցծու I, 83. +0: „ուրեա Շցուգուս թլցուս մեցյա ոյմնա
և սամյուրու եսուտ թլցու մեցոնծո նեծոյրած“.—Շյած. Brosret, Addi-
tions et éclaircissements... p. 10.



ვახუშტი—ბატონიშვილისას არ ეთანხმება, მაგრამ არ მას და დავივიწყოთ, რომ ვახუშტის ქრონოლოგიაც იგეთივე ჰიპო-
ტეტიურ—დაახლოებითია, როგორც ჩვენი, ისიც იმავე „65-სა
წელისა“ ემყარება (302—237=65 წ.), და ამას გარდა, სრუ-
ლიად უკრიტიკოთ ლებულობს იმ თქმულებას, ვითომც აზო
ად ექსანდრე მაჭედონელისაგან ყოფილიყოს დადგენილი საქარ-
თველოს უზენაეს გამგედ (326 წლის მახლდბლათ).⁸⁰⁾ ჩვენკი,
როგორც მკითხველმა უწყის, უკანასკნელ თქმულებას კრი-
ტიკულის თვალით ვუცეკვით, საქართველოში ალექსანდრეს
ყოფნას უარ ვჰყოფთ და აზოს ვინაობის გარკვევაშიაც ვა-
ხუშტის აზრის დიამეტრალურათ წინააღმდეგი ვართ. ხოლო
რამდენათაც ჩვენს ვამოკვლევაში კრიტიკა მეტობს, იმდენათ
ჩვენს ქრონოლოგიასაც უპირატესობა უნდა მიეცეს ვახუშტის
ქრონოლოგიასთან შედარებით.

ამას გარდა არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც,
ჩვენის ფიქრით, შესაძლოა მკვლევარმა ჩვენ-მიერ დადგენილ
ქრონოლოგის სასარგებლოთ გამოიყენოს. სახელდობრ, „ქარ-
თლის-ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ ფარნავაზის მემკვიდრის
საურავის მეფობის პირველ ნახევარში ქართველების ერთმა ნა-
წილმა მეფის წინააღმდეგ უკმაყოფილება გამოაცხადა და შე-
თქმულება მოახდინაო, თუმცა ამ უკმაყოფილების მიზეზს მემა-
ტიანე თავისებურათ ჰქონის და აგვიწერს.⁸¹⁾ ჩვენ კი გვგონია,
რომ ამ უკანასკნელთან კავშირი უნდა ჰქონოდეს იმ ფაქტს,
რომელსაც სტრაბონი გადმოგვცემს, როგორც მის დრომდე მი-
ღწეულს ამბავს. სახელდობ იგი სწერს: „ამბობენთ, რომ არმენია

⁸⁰⁾ ნახ. ვახუშტის „ისტ. საქართველოსი.“ ტფილისი. 1885 წ.
გვ. 38, სადაც ავტორი უცვლელად იმეორებს „ქ—ცხოვრების“ სიტყვებს
ფარნავაზის შესახებ: „28 წლისა მეფე იქმნა და 65 წელი იმეფა მშვი-
დობითო;“ აგრეთვე გვ. 36, სადაც ავტორი გამეორებულია მატიანის
სიტყვები, რომ ალექსანდრეს შემოსვლის დროს და მაშასადამე აზოს
დადგენის წელს ფარნავაზი „სამისა წლისა“ იყოო. 302—37—3
=326 წ.—

⁸¹⁾ ქ.—ცხოვრება I, გვ. 40—41.



თავდაპირველით პატარა იყო, მაგრამ იგი განავრცეს კუთხით და გაისამა და ზარიადრმა, რომელიც უწინ ანტიოქიას (III) დიდის ჯართ-უფროსები იყვნენ, მაგრამ მისი დამარცხების შემდეგ (ილბათ 190 წლის მახლობლით) პირველი შეიქმნა სოფენისა, აკისენისა, ოდომინტისა და ზოგიერთი სხვა აღგილების მეფედ, ხოლო მეორე—არტაქსატის მიღამოებისა. იმათ თავისი სამფლობელოს საზღვრები მით განავრცეს, რომ მეზობელ ერებს მიწები ჩამოჭრეს, სახელდობრ: მიღიერებს წაართვეს კასპიანი ფავნიტიდა და ბასორობედა, ივერიელებს—პარიადრის (=პარ. ხალის) მთის ფერდოები, ხორზენა და გოგირენა (=გუგარქი ანუ ჩვენი პატარა „სომხითი“), რომელიც მტკვრის იქითა მხარეს მდებარეობს, ხალიბებსა და მოსინეკებს—კარენიტიდა და ქსერქსენა, რომელიც მცირე სასომხეთის საზღვარზე ძევსო“ და სხვანი.⁸²⁾ სენ-მარტენის ქრისტოლოგით, ანტიოქის დიდის პიერ დადგენილი არტაქსიასისასომხეთს 189—159 წლებს შორის განავებდა.⁸³⁾ როგორც სხანს, მას წაურთმევია ივერიელებისათვის საკმაოთ საგრძნობელი ტერიტორია, რასაც, ჩვენ ვფიქრობთ, უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონებოდა საურმაგის წინააღმდეგ მის ქვეშევრმდომთა შორის უკმაყოფილების გასაღვიძებლიდ, ჰყინებ იმ ბრძა-თავმოყვარეობითს მისწრაფებას, რომელსაც „ქართლის-ცხოვრება“ ასახელებს, მაგრამ ორიოდე ვვერდის შემდეგ თვითონვე უარჰყოფს.⁸⁴⁾ თუ ეს ჩვენი მოსაზრება შესაწყნარებელია, მაშინ საბუთი გვექნება

⁸²⁾ Страбонъ. География перев. Мышленко. стр. 539. შეად. Ганъ, Извѣстія... I, стр. 79. არ ვიცით რომელ სამეცნიერო მოსაზრების ძალით ამ უკანასკნელს გამოტოვებული აქვს ის სიტყვები, რომელიც სასომხეთის პირველდელ სიმცირეს აღნიშნავს. რას ნიშნავს ეს? ამის გამოცნობა თვითონ ბ-ნ განისაზღვის მივინდვია.

⁸³⁾ M. I. S.—Martiu. Memoires hit. et géogr. sur l'Arménie. Paris. 1818 t. I, p. 409.

⁸⁴⁾ ქ.—ცხოვრება I, გვ. 40—41. შეად. გვ. 43. 48. 46—47. 49.—შეთქმული ერისთავები მმობენ: „არა კეთილ-არს ჩვენდა, რათამცა ვშეახურებეთ ხაზესავსა ჩვენსათ“. შეად. ვახუშტის ისტორია, გვ. 39, სადაც ესევე აზრი უფრო ნათლათაა გამოხატული.



ვიფიქროთ, რომ საურმაგის მეფობა 190 წელზე ბევრადოდოდა
უნდა დაწყებულიყო, ან-უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, საურ-
მაგის მეფობის ერთი ნაწილი ანტიოქიას III დიდის მეფობის
მორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო საურმაგის წინა-
მოადგილის ფარნავაზის მეფობის ბოლო ხანი—მის პირველ
ნახევარს; ანტიოქის დიდის მეფობის შემდეგ წელი დაახლოე-
ბით 206 წელია, რომელიც შესანიშნავათ ეთანხმება ფარნა-
ვაზის მეფობის დასასრულის ჩენების მიერ ზემოთ დადგენილს
თარიღს 206 წელს. ამგვარათ ეს ახალი ფაქტიც ჩვენი თა-
რიღის სახარებლოთ უფრო ლაპარაკობს, ვინემ ვახუჭრის
თარიღისა, რომელიც 237 წელს უდრის.

დაგვრჩა განსახილველი ოთხი ფრიც საყურადღებო ცნო-
ბა, რომელთაც ჩვენი ქრონიკა და მატინე ფარნავაზის საშინაო
კულტურულ მოღვაწეობის შესახებ იძლევა, სახელდობრ: ა) არმაზ-ქალაქის „დაარსებასა“, ბ) საერისთავოების დაწესებასა,
გ) აზნაურთა წოდების შექმნასა და დ) მწიგნობრობის შემო-
ლებაზე.

არმაზ-ქალაქის საფუძვლის ჩაყრის შესახებ „ქართლის-
მოქცევა“ შემდეგს მოკლე ცნობას იძლევა: ახლად აშენებულ
არმაზის სამლოცველოს ფარნავაზმა „მოქმნა ზღვდე წელით
კერძო, და ჭრქვიან არშაზ“. ამ სიტყვების აზრი რომ უფრო
ნათლათ წარმოვიდგინოთ, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ისტო-
რიულ-ფილოლგიური ცნობა მოვიყანოთ ჩვენი ახალ-გაზდა
მეცნიერის ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის მშვენიერი გამოკვლევიდან:
„Гасударственный строй древней Грузии и древней
Армении“. სიტყვა „ქალაქი“-ო,— ამბობს ამ შრომის ავტო-
რი, — ადგილობრივი ფესვისა არ არის, არამედ სომხური ენის
საშუალებით (via armeniaca) ნასესხებია სირიული ენიდანო, სადაც ამ სიტყვის ძირი ზმნა არის და „მოზღვდევს, გადავნის-
შემოვდებას“ ნიშავსო. ეხლანდელი სომხური სიტყვა „ქალაქ“
ანუ ძველებურის გამოთქმით „ქალაქ“ და ქართული — „ქალაქი“
ორივე სირიულიდან ნასესხები სიტყვაა და, როგორც სომხურ
ისტორიულ მწერლობაში, ისეთ ზოგიერთ ძევლ ქართულ

წყაროებში დაცულია რამოდენიმე ადგილი, სადაც ეს სიტყვა თავის პირვანდულის მნიშვნელობით („ზღუდე“, „გალავანი“) არის ნახმარიო. მაგალითად წმ. ანდრია მოციქულის შიმოსვლათა წიგნში გვხვდება შემდეგი ადგილი: „დაბას ნიკეას ბითვინიისასა, რამეთუ არდა-იუ იგი ქადაქად, არამედ უკანასკნელ შეზღუდა იგი და განავრცელა მეფემან ტრაიანემან“ (საბინინის „საქართველოს სამოთხე“ გვ. 31). ამგვარათო, — დაასკვნის ავტორი, — სჩანს, რომ დაბა ანუ სოფელი, როდესაც მას კედელს შემოავლებენ, ქალაქად იქცევათ: ყოველ შემთხვევაში ქალაქის არსებითს თვისებას ზღუდე ანუ ციხის-კედელი წარმოადგენსო. ⁸⁵⁾

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი ქრონიკის სიტყვებს: „მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და პრევიან რმაზ“. თუ სიტყვა „წყალი“ აქ მტკვარს იგულისხმებს და არა იმ პატარა „არმაზის-წყალს“, რომლის სახელიც დღეს „ალმასის-წყალიდ“ არის გადაკეთებული და რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულს არმაზ-ციხეს (სადაც ჩვენის ფიქრით უნდა ყოფილიყო ამართული ორმუზდის ტაძარი და საცეცხლე) გვერდით ჩამოუდის, მაშინ საფუძველი გვენება ვითიქროთ, რომ „არმაზის-ციხე ქადაქას“ შენება უკვე ფარნავაზის დროიდან უნდა დაწყებულიყო. მაგრამ არის მეორე გარემოება, რომელიც გვათიქრებინებს, რომ აქ უფრო იმავე სატაძრო ზღუდეზე უნდა იყოს ლაპარაკი, რომელიც ფარნავაზ ორმუზდის „საცეცხლის“ (=საკურთხეველის — ბომბნის) გარშემო უნდა შემოვლო. სახელდიბროზი სტრიქონის ქვემოთ ქრონიკა გადმოგვცემს, რომ „არმაზის აშენება“ ფარნავაზის მემკვიდრე-საურმარგმა „დაიწყოო“: „დადგა მეფედ სარუმავ... და იწუთ არმაზს შენებად“. ⁸⁶⁾ ამიტომ ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ფარნავაზი არმაზ ქალაქის დაარსების მხოლოდ ინიციატორიდ ჩავთვალოთ, რამდენათაც მის-მიერ ორმუზდის სახელობაზე ტაძარ-ბომბ-

⁸⁵⁾ И. Джаваховъ. Тол. сът. стр. 40.

⁸⁶⁾ სამი ისტ. ხრონიკა. გვ. 5.

ნის აშენება ამ ადგილებში მეტს მცხოვრებლებს მოიზიდავდა, სამოქადაქო ცხოვრებას საფუძველს ჩაუყრიდა და ციხე-გალავნის აშენებას გამოიწვევდა; ოვით ამ საქმის დაწყება კი მის მექვიდრეს საურმაგს უნდა მივაწეროთ, თანახმათ ქართლის-შოქრელის თქმულებისა.

საერთისთავათების დაწესებაზე „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, ვითომც ფარნავაზს მთელი თვისი სამფლობელო რვა საერთისთაოდ და ერთ სასპასპეტოდ (სულ ცხრა აღმინისტრატიულ-ნაწილად) დაეყოს: ეგრისისა, მარგვისისა, კახეთისა, ხუნანისა, სამშევილდისა, წუნდისა, ოძნებისა, კლარჯეთისა და შიდა ქართლისად, რომელთაგან უკანასკნელის გამგე „სპასპეტიად“ იწოდებოდა, ხოლო დანარჩენები „ერისთავებადო;“ ამასთანავე „პასეპტი“ მეფის შემდეგ შეთავე პირი იყო და დანარჩენ ერისთავების უფროსად ითვლებოდა;⁸⁷⁾ მაშინადამე სპასპეტიად ერისთავათა-მთავარი ანუ ერისთავ-ერისთავი კოფილა. სიტყვა „ერისთავი“ ძველ ქრისტიანულ წყაროებში ნახმარია „მხედართ-მთავრის“ მნიშვნელობით („შექმნათა“ XXI, 22-32),⁸⁸⁾ მაშინადამე „სპასპეტიც“ უუპირველესი მხედართ-მთავარი უნდა ყოფილიყო; ამასთანავე, როგორც მატიანე ამბობს, იგი მეფის შემდეგ მეორე პირი ყოფილა ახლა საკმიანა ამ ცნობას შევუფარდოთ ის ადგილი სტრაბონის გეოგრაფიიდან, სადც შესანიშნავი გეოგრაფი ამბობს, რომ ივერიაში მეფის შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა მეფისავე საგვარეულოდან არჩეულ პირს, რომელიც „სამხრთალს აწარმოებდა და ჯანს წინაშედდლობდათ“. ⁸⁹⁾ უკვევლია, ეს პირი ჩვენი წყაროების „სპასპეტი“ ანუ ერისთავ-ერისთავია, მხოლოდ, როგორც სხინს, ჩვენს წყაროებს სავსებით ვერ შეუნახავთ მის უფლება-მოვალეობათ სრული-

⁸⁷⁾ ქ.—ცხოვრება I, გვ. 39.—შეად. მარიამ დედოფლის ვარიანტი გვ. 20 და 21.

⁸⁸⁾ სხვა მაგალითებიც ნახ. И. Джаваховъ. Государств. строй др. Грузии... стр. 68

⁸⁹⁾ Ганъ. Извѣстія... I, стр. 68. შეად. И. Джаваховъ, Loc. cit. стр. 8 и 69.

აღწერა. სახელდობრ, მათ გამოჩენიათ ერისთავთ-ერისთავის მსაჯულთ-უხუცესობა, რასაც სტრაბონის ცნობა ავსებს. ამის მიხედვით საბუთი გვაქვს დავასკვნათ, რომ თავ-თავიანთ სა-ერისთაოებში ერისთავებიც აგრძეთვე ჯარის უფროსნი და მოამართლები უნდა ყოფილიყვენ.— მაგრამ ასევე გადაჭრით ვერას ვიტვით თვით საერისთაოთა რიცხვისა და სახელ-წოდების შესახებ: უეპველია ის აღმინისტრატიული ნომენ-კლატურა, რომელსაც ჩვენი მატიან, იძლევა, შედარებით უკრო გვიან დელ ეპოქას უნდა ეკუავნოდეს, ვინემ ფარნვა-ზის მეფობას. საზოგადოთ კი უნდა ვითიქროვ, რომ საერთა-ვო იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენიც თემი იყო და თვი-თეული თემის მამასახლისთან თითო ერისთავიც უნდა ყოფი-ლიყო, სწორეთ ისე როგორც „მამასახლისთა — მამასახლი თან“ ანუ „მეუე — მამასახლისთან“ — სპასპეტი ანუ „ერისთავთ-ერის-თავი“ იმყოფებოდა. სტა-ბონის მოწმობით „სპასპეტის“ თა-ნამდებობა საარჩევნო იყო; ქართულ წყაროებშიაც მოიპოვება რამდენიმე საბუთი, რომლითაც მაკიცდება, რომ ერისთა-თაც არჩევნობითი ყოფილი;⁹⁰⁾ მაშასადამე საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ იმ უძველეს დროშიაც ერისთავები. თანა-მდებობა საარჩევნი უნდა ყოფილი იყ. — ამ ცნობებს „ქარ-თლის-ცხოვრება“ ერთს დეტალურ ცნობასაც უმატებს, სა-ხელდობო იგი ამბობს, რომ ამ ერისთავების ხელქვეშ ფარნა-ვაზმა სხვა და სხვა ადგილებში „განაჩინნა სპასალარნი და ათა-სის-თავნი“, რომელთაგანაც „სამეფო და საერისთავო ხარჯი“ შემ იღიოდათ.⁹¹⁾ ეს ადგილი ჩვენ ისე გვესმის, რომ სპასა-ლიარები და ასისთავები ორგვარს ხარჯს ჰქონენ უენტრა-ლურ მთავრობისათვის: მეფისა და ერისთავისათვის, და ორივე გვარის ხარჯს ერისთავს უგზავნიდნენ, ხოლო ეს უკანასკნელი თავის წილს თვითონ იტოვებდა, მეფისას კი სამეფო ხაზინაში აგზავნიდა. ამ რიგათ, ერისთავების ხელში ყოფილი თავ-

⁹⁰⁾ Ив. Джаваховъ. Loc. cit. стр. 70, стрк. 4—5.

⁹¹⁾ І.—Цხოვრება I, გვ. 39.



მოყრილი სამგვარი უფლება: სამხედრო, სამსაჯულო და სამართლო ნიუბი, ე. ი. ჯარის წინამდებარება, სამართლი და გეფის სალაროში ხ რკას გზავნა. მაგრამ შეიძლება გვკითხონ: უკეთუ მართლა ეს სამი უპთავრესი უნდქცია ერის-თავების ხელში იყო, მაში რისლა მაქ'ისი უნდა ყოფილიყვენ ეგრეთ წოდებული „სათებულის მამასახლისებით“? სწორეთ ამავე კითხვით შეგვიძლია მივმართოთ სტრაბონსაც მხოლოდ არა სათემო მართავლისების, არამედ „მეფე-მამასახლისის“ შესახებ, რომელზედაც იგი ამბობს, რომ მხედართ-მთვარება და სამართლი ამის ხელში კი არა ყოფილა, არამედ მისისავე საგვარეულოდაც არჩეულის მეორე პირის ანუ ჩვენი წყაროების „სპასეტის“ ხელში იყო. ამ კვანძის გამოხსნა ჩვენ ამნაირათ შეგვიძლია: მეფე-მამასახლისის ხელში უნდა ყოფილიყო უმთავრესათ ხალხის საშინაო ეკონომიკურ საქიროებაზე მზრუნველობა, მისს ხელქვეით სათემო-მამასახლისებისა და სპასპეტ-ერისთავთა მოქმედებისათვის თვალ-ურის დევნება (ანუ უზენაესი კონტროლი) და ყოველ საქვეყნო საქმის ინიციატივა; მის ნება-დაურთველათ ვერც სპასპეტი და ვერც ერთი ერისთავი გინდ სათემო მამასახლისი ვერავითარ საერთო სახელმწიფოებრივ საქმეს ვერ დაიწყებდა და ვერც განახორციელებდა. რაც შეეხება კერძოთ სპასპეტსა და ერისთავებს, ამათ ხელში უფრო სისხლის სამართლი უნდა ყოფილიყო, ვინემ სამოქალაქო სამართლის საქმეები, რომელთ გამგეობაც, ჩვენის ფიქრით, სათემო მამასახლისებს უფრო შეფერით, რაღაც, სტრაბონის მოწმობით, ყოველი გვარის (და მაშასადამე თემისაც) ქონების გამგეობა და განკარგულება („управление и распоряжение“) გვარის უფროსის ანუ „მამასახლისის“ ხელში იყო.⁹²⁾

არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ ის თქმულებაც, რომელიც ფარნავაზს მიაწერს „აზნაურთა“ წადების დაწესებას:

92) „Имущество же у нихъ общи по родамъ; управляетъ же и распоряжается имуществомъ (каждаго рода) старѣйший“ ნახ. ივ. ჯავახიშვილის ზემოთ აღნიშნული შრომა. გვ. 8.

„ხოლო რომნი-გვი ათასნი მხედარნი, რომელნი აზონისგან
 მოერთნეს ფარნავაზს, — ამბობს ქართლის-ცხრების, — გვინი გა-
 ნჰყვნა (ფარნავაზმა) ხევთა და ქვეყანათა შინა, იპყრნა იგინი
 კეთილად, რამეთუ ბრძოლასა-მას აზონისა მხნედ იყვნენ, და
 უწოდა მათ სახელად „აზნაურნი“. ⁹³⁾ როგორც ვხედავთ, ქარ-
 თლის-ცხრების აზნაურთა წოდების წინაპრებად იმ 1000 მა-
 კედონელ მხედარს თვლის, რომელთაც ვითომც აზონს უღა-
 ლატეს და ფარნავაზს დახმარება გაუწიეს. მაგრამ ჩენ უკვე
 ვიცით, რომ აზონი ანუ „აზთ არც თვათონ ყოფილა მაკე-
 დონელი და არც მაკედონელი ჯარი ჰყოლა, არამედ იგი
 იყო ტომით ქართველი და „ძე არან ქართლისა მეფისა“. მაშასადამე, უკეთუ აქ სახელი „აზთ“ გინდ „აზნი“ რამე შე-
 აში იყოს, მაშინ უფრო საფუძვლიანი იქნებოდა გვეფიქრა,
 რომ „აზნაურთა“ წოდება ფარნავაზს კი არ შემოუღია,
 არამედ აზთს. მაგრამ დღეს ყველამ კარგად იცის, რომ მთე-
 ლი კლასის გინდ წოდების შექმნა არც ერთ კერძო პირს
 (თუნდ ეს პირი მეფეც იყოს) არ შეუძლი; კლასთა და წო-
 დებათა წარმოშობა ხანგრძლივი საზოგადოებრივი განვითა-
 რებისა და ისტორიული პროცესის შედეგია და არა კერძო
 პირის გინდ მმართველის ინიციატივის ნაყოფი. კერძოთ ჩვე-
 ნი აზნაურების შესახებ უნდა ვთქვათ, რომ იგინი უკანას-
 კნელ დროიდე შეადგენდენ სამხედრო წოდებას. რომელ აზ-
 ნაურისც „მარქაფით, კარვით და მათი განწყობილებით“ ომ
 ში გამოსვლა არ შეუძლია, — ამბობს ვახუშტი ბატონიშვი-
 ლი, — იგი აზნაურიდ არ წოდება. ⁹⁴⁾ შექდება კი, რო-
 გორც სტრაბონის მოწმობიდან სჩანს, არა თუ ფარნავაზის
 დროს, პირველ საუკუნეშიაც კი ჩვენში ცალკე სოციალურ
 ჯგუფს არ წარმოადგენდენ, არამედ ყოველი მიწის-მუშა იმავე
 დროს მეომარიც იყო, ე. ი. ერთი და იგივე პირი მშვიდო-

⁹³⁾ ქ.—ცხოვრება I გვ. 40.

⁹⁴⁾ ვახუშტის „გეოგრაფია საქართველოსი“. გამოც. მოს. ჯანაშვი-
 ლისა. გვ. 7.



ბიანობის დროს მეურნე იყო, ხოლო, როცა მტერიალისთვის
სეოდა, იარაღს ისხამდა და ბრძოლის ველზე გამოდიოდა.
მთელი ხალხი ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი, რომელთაგა-
ნაც მესამე ჯგუფს—ისინი შეადგენენ, „რომელნიც თმობენ
და მიწას-მუშაობენო“ და არა „მხედრები და მიწის მუშებიო“.
როგორც ეს შეცდომით ბ-ნ განსა და სხვებს რუსულათ უთარ-
გმნიათ.⁹⁵⁾ სამართლანათ შენიშვნავს ბ-ნი ი. ჯავახიშვილი,
რომ სტრაბონის დროს ივერიელების მესამე ჯგუფში ჯერ
კიდევ მომხდარი არ ყოფილი „სასტიკი დიფერენციაცია და
პროფესიონალური დაყოფა მხედრებად და მიწის მუშებად“,
არამედ მთელი ეს ჯგუფი „მიწის მოქმედი იყო, ხოლო რო-
ცა გარემოება მოითხოვდა, კიდევაც ომობდაო“.⁹⁶⁾ რაც შეე-
ხება თვით სიტყვის „აზნაური“-ს წარმოებას, დღეს უკვე
მტკიცეთ დადგენილია, რომ ეს სიტყვა წარმოშობილია სპა-
რსულ-სომხური ძირიდან: „აზნ“, რომელიც „გვარს“ ნიშ-
ნავს, და სუფიქსისაგან „ურ=ვერ“, რომელიც აღნიშნავს
„შვილს“, მაშასადამე სიტყვა „აზნაური“ უდრის წმინდა ქა-
თულ სიტყვის „გვარი. შვილს“ ან „გვაროვანს“, ე. ი. დიდის
და ძლიერის ანუ გამოჩენილი „გვარის“ შვილს. სამიგიროთ
ის, ვინც ძალით და სიდიდით გამოჩენილ „გვარს“ არ ეკუთ-
ვნოდა, ქართულ წყაროებში „უ-აზნ-ოდ“ ანუ „უგვაროდ“
არის წოდებული. სჩინს, თვით აზნაურთა წოდების წარმო-
შობას საფუძვლიდ იმავე „გვარის“ განსაკუთრებული ღირსე-
ბანი დადგებია, რომელიც რთელის ჩვენი ძველი სოციალური-
სა და პოლიტიკური ცხოვრების საფუძველს შეადგენდა. მა-
გრამ ეს მომხდარი არა ფარნავაზის დროს, არამედ გაცილე-
ბით უფრო გვიან,—როგორც სჩინს, არა უადრეს ქ-ლი სა-
უკუნისა ქრ. შემდეგ.⁹⁷⁾ ამიტომ სრულიად შეუწყნარებლად

⁹⁵⁾ Ганъ. Извѣстія... стр. 68.—Шეად. И. Джаваховъ, Loc. cit.
стр. 56 да 8.

⁹⁶⁾ И. Джаваховъ. loc. cit, стр. 56.

⁹⁷⁾ Idibem, стр. 56—60.—Шეად. დ. ჩუბინაშვილის „ქართულ—
რუსული ლექსიკონი,“ სადაც სიტყვა „აზნი“—ა აღსნილი.

უნდა ჩითვალოს იმ ისტორიკოსთა აზრი, რომელნიც „ჰემდენი ჰემდენი“ რობენ, ვითომც „ფეოდალური ცხოვრება“ ჩვენში უკვე ქართლოსის სიკვდილის შემდეგ დაწყებულიყოს და ფარნაგაზე მხოლოდ დიემტკიცების ამ წყობილებასთან შეკავშირებული სამიწათ-მფლობელო და მეტკილრეობითი უფლებანი. ამ აზრს ადგა, სხვათა შორის, აწ განსვენებული სულხან ბარათაშვილი⁹⁸⁾ და, რა თქმა უნდა, სასტიკათ სცდებოდა.

მას შემდეგ, რაც ბ-მა ი. ოქრომჭედლიშვილმა ქართული ანბანის საკითხს (ნობრი წერილი უძღვნა,⁹⁹⁾ ბევრი-სათვის სარწმუნო შეიქნა „ქართლის ცხოვრების“ ის მოკლე შენიშვნა, რომელიც ფარნაგაზე ამბობს: „ამანვე შექმნა მწიგნობრობა ქართულიო“.¹⁰⁰⁾

ბ-მ ი. ოქრომჭედლიშვილის აზრით, ფარნაგაზე უნდა შემოეღოს ეგრეთ წოდებული „მხედრული“ ანბანი და საამისოთ 25 ასო ზენდირი ანბანიდან უნდა ესესხებიოს, იმ ზენდურიდან, რომელიც, პრივცემული მკვლევარის აზრით, სპარსეთში ვითომც ალექსანდრე მაკედონელის შესევამდე ყოფილიყოს გაბატონებული და მე III საუკუნიდან კი, ქრ. წინ, ფეხლეურისათვის დაეთმოს აღგილი; შემდეგ „მხედრულისაგან“ უნდა წარმომდგარიყო ხუცური ანბანიო და სხვა. ასეთია ი. ოქრომჭედლიშვილის აზრი ჩვენი ანბანის დასაწყისსა და განვითარებაზე.

ბ-ნ ოქრომჭედლიშვილზე გაცილებით აღრე სულ სხვა აზრისა იყო ამავე საგნის შესახებ ჩვენთვის დაუვიწყარი მეცნიერი მარი ბაროსსე, რომელიც ცდილობდა დაემტკიცებია, ვითომც ქართული ასოების უმეტესი ნაწილი ინდოურ ანბან-

⁹⁸⁾ ს. ბარათაშვილი. საქართველოს ისტორია. რვ. I, გვ. 48—49.

⁹⁹⁾ И. Л. Окромчедловъ. Объ изобрѣтеніи грузинскаго алфавита. Бак. „Труды V-го орхеологическ. съѣзда въ Тифлисѣ“ Москва. 1887 г. стр. 221—229.

¹⁰⁰⁾ ქართლის-ცხოვრება. I, გვ. 40.

თაგან და კერძოთ „დევა-ნაგარისაგან“ ყოფილიყოს ამ-
ღებული.¹⁰¹⁾

შემდეგ ამავე საგანს შეეხო ჩვენი არხეოლოგ-ისტორი-
კოსი დ. ზ. ბაქრაძე და უტყუარი საბუთებით დაამტკიცა,
რომ ქართულ ანბანებში ყველაზე უძველესი „ასო-მთაწრული“
ანბანია, რომლისაგანაც შემდეგ წარმომდგარა „ნუსხანუცური“,
ხოლო იმ უკანასკნელისაგან განვითარებული ეგრეთ წოდებუ-
ლი „მხედრული“. ამასთანვე მკვლევარმა გამოსთქვა აზრი,
რომ ჩვენი ანბანი „დაარსებულია ბერძნულის კულტურის
გავლენით იმ დროს, როდესაც ბერძნული კოლონიები დამ-
ყარდენ ჩვენს მეზობლად შევი ზღვის პირზეთ.“¹⁰²⁾

დიდი ხანი არ არის, რაც ი. ოქრომჭედლი შვილის აზრი
განიმეორა ი. შნიცერმა ქართული ანბანის ზენდურისაგან
წარმოშობის შესახებ, მაგრამ სრულიად უარ-ჰყო ის დებუ-
ლება, ვითომც ქართული ანბანი ქრ. დაბადები მდგ ყოფილი-
ყოს შემოღებული და ვითომც ეს ანბანი „მხედრული“ ყო-
ფილიყოს. პირიქით, იგი უკრიტიკოთ მოქმერო იმ შემცდარ
აზრს, რომელიც ჩვენი ანბანის შესახებ სომხის ისტორიკო-
სებშია გავრცელებული, და სახალხოთ გამოაცხადა: ქართული
„ხუცური“ სომხის არქიმანიდრიტმა შესროვმა გამოიგონა
(„აზობრქელი“) მე-V საუკუნეში ქრ. შემდეგ, ხოლო „მხედრული“
შედირებით უფრო გვიან, სახელმობრ მე-XIV საუკუნეში,
შემოიღესო.¹⁰³⁾

აღნიშნულ შეხედულებათა განხილვას ბოლოდან დავწე-
რ წყებთ.

ბ-ნი შნიცერი ბრძანებს: ქართული მხედრული მათლოდ

¹⁰¹⁾ Brosset. Eléments de la langue géorgienne, Paris. 1837 г. р. 6—8.

¹⁰²⁾ დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი. გვ. 82—85. და
მისივე „Грузинская палеография“—въ „Трудахъ V-го орхеолог. съѣзда
въ Т.“ 1887 г. стр. 207—214.

¹⁰³⁾ Я. Б. Шницеръ. Иллюстрированная вссобщ. исторія письменъ.
Спб. 1903 г. стр. 156—157.

მიერვე ნაქეპ-ნდიდებს მრავილ საუკუნოების სომხურ კულ-
 ტურიასაც. მაგრამ დღეს თვით ამავე ოქმულების თაყვანის
 მცემელნიც კი ვეღარ უარ-პყოფენ, რომ მესროპზე გაცილებით
 ადრე სომხებს ჯერ ლურსმული მწერლობა ჰქონებიათ, შემდეგ
 სპარსულფევლეური და უკანასკნელი — ბერძნული.¹⁰⁵⁾ მოსე
 ქორენელი კი, ან უკეთ ის პირი, რომლის შრომაც მოსე ქორენე-
 ლის სახელითაა ცნობილი, ¹⁰⁶⁾ გვარშმუნებს, ვითომც მესრო-
 პამდე სომხებს ანბანი არა ჰქონებოდესთ. ახლა ვიკითხოთ:
 ნუ თუ შესაძლოა ასეთს მწერალს, რომელიც თავის საკუთა-
 რი ხალხის შესახებაც კი სიმართლესა ჰყარავს, ქართველების
 შესახებ სრული ჰეშმარიტება შეენახოს?!... იმას გარდა, სა-
 ჭიროა თვით მოსე ქორენელის სიტყვებსაც მიექცეს უურიდ-
 ლება. იგი არ ამბობს: მესროპმა ივერიელებს ანბანი „შეუქ-
 მნაო“, არამედ „მოუწყოო“ (=„უსტრია“), ხოლო, რო-
 გორც მოგეხსენებათ, ჩვეულებრივ „მოაწყობენ“ ხოლმე იმის,
 რაც უკვე არსებობს, მაგრამ რამე აკლია ან თავის დანიშნუ-
 ლებას სავსებით ვერ აკმაყოფილებს; ხოლო, როცა ახალი
 რაისამე გაკეთება სურა აღნიშნონ, მაშინ ამბობენ „შემო-
 ლო“ ან „შექმნაო“, და მოსე ქორენელისაც სწორეთ ეს
 უკანასკნელი სიტყვა აქვს ნაბმარი მხოლოდ არა ქართულის,
 არამედ ალბანიაში გარგარული ანბანის შესახებ. სჩანს, საკ-

105) Я. Шнپცერъ. Loc. cit. стр. 157.

106) როგორც მოგეხსენებათ გუტშმიდისა და კარიერის კრიტიკამ,
 წარსული საუკუნის 90—ან წლებში, სამუდამოთ შეარყია მოსე ქორენე-
ლის სახელით ცნობილი „ისტორიის“ აცტორიტეტი; კარიერმა ამ წიგნში
 ღმოაჩინა ისეთი ადგილები, რომელნიც მე-VIII საუკუნეს ეკუთვნიან. მოსე
 ქარენელი კი — მე-V საუკუნეში ცხოვრობდა (იხ. А. Анишинский
 «Армянские историки, какъ исторические источники. Одесса. 1899г. г.
 стр. 14—15.) ცხადია, მაშასადამე, რომ „სასომხეთის ისტორიას“ მოსე
 ქორენელის შემდეგ ბევრი ცელილება გაუვლია, ბევრი რამ ისეთი ჩამა-
 ტებია, რაც მოსე ქორენელს არც კი შეეძლო ენახა, წაეკითხა და გაე-
 გონა. ამიტომ ცუვლად შეუძლებელია ამ „ისტორიის“ ცნობებს გულუ-
 ბრყილოთ ვენდოთ ან უკრიტიკოთ დავემყაროთ.

მათ ცნობათ უქონლობისა გამო სომხის ისტორიკოსს ვეო
გაუბედნია გადაჭრით ეთქვა, ვითომც ქართველებს მესრო-
პამდე არავითარი სამწერლო ნიშნები არა ჰქონებოდეთ, თო-
რემ უეჭველია. ამათ შესახებაც იმასვე იტყოდა, რაც გარგა-
რელების შესახებ სთქვა: მესროპმა ანბანი „შეუქმნაონ“. ამი-
ტომ გვაოცებს იმ ისტორიკოსების აჩქარებული აზრი, რომელ-
ნიც მოსე ქორენელის ამ თქმულებაზე ამყარებენ დასკვნას,
ვითომც ქართველ ხალხს მესროპამდე საკუთარი მწიგნობრო-
ბა არა ჰქონებოდეს ¹⁰⁷⁾ და ვითომც ანბანი პირველათ მესროპს
ეწყალობდებიოს ჩვენი წინაპრებისათვის.

ამ უკანასკნელი აზრის დასამტკიცებლათ ზოგიერთები
იმ გარემოებაზე გვითითებენ, რომ სომხური ანბანის საერთო
მოყვანილობა ერთის შეხედვით ძლიერა ჰგავს ქართულ-ხუ-
ცურისას. მაგრამ, როგორც უკვე მარი ბროსებ შენიშნა, ეს
მსგავსება მხოლოდ მოჩვენებითია („n'est qu'apparents“) და
სრულიად არ მართლდება, როდესაც ამ ანბანთა ყოველ ასოს
ერთი-მეორეს შევუდარებთ.¹⁰⁷⁾ მართლაც, თუ Կ-ანსა და
Փ-არს არ ჩავთვლით, არც ერთს სომხურ ასოს იმავე მნიშ-
ვნელობის ქართულ ასოსთან ნათესაური მსგავსება არა
აქვს,¹⁰⁸⁾ მაგრამ ამ თრ ასოშიაც უკანასკნელი ორსავე ანბანს
ბერძნულიდანა აქვს ნასესხები; რაც შეეხება პირველს, იმის
პირველ-წყაროს ჩვენ ქვემოთ გავეცნობით. დაგვრჩა, მაშასა-
დამე, სომხურისა და ხუცური ასოების საზოგადო მოხაზუ-
ლობა, საერთო გარეგანი ხასიათი, მაგრამ ასეთი „მსგავსება“
არა თუ თრ მეზობელ ანბანში, ირამედ ყველა ინდო-ევრო-
პიულისა და სემიტურ ანბანებშიაც კი მორცოდა;¹⁰⁹⁾ მაგრამ
ეს მოწმობს მხოლოდ იმას, რომ ყველა ეს ანბანი ერთისა
და იმავე დედა-ანბანისაგანაა წარმოშობილ-განვითარებული

¹⁰⁷⁾ Brosret Eléments de la langue géorgienne. p. 6.

¹⁰⁸⁾ შეად. ქართულისა და სომხურ ანბანის ცხრილი. შენიცერ, Loc. cit. стр. 155—156.

¹⁰⁹⁾ ნაბ. შენიცერ. Loc. cit. стр. 249. „გენეალოგია“ ^{და} სემიტურ ანბანებისა“ (ვალეოგრაფიული ცხრილია.)

და არა იმას, ვითომც თრი მეზობელი ერის ანბანნი უსათუოთ ერთი-მეორისაგან იყონ წარმოშობილი და განვითარებული. ამიტომ ძლიერ სუსტს ნიადაგზე დგანან ის პირები, რომელნიც ამ მოჩვენებული „მსგავსებით“ სცდილობენ მთსე ქორენელის სიტყვებიდან ის დასკვნა. გამოიტანონ, ვითომც ქართული ანბანი პირველათ სომხის არქიმანდრიტ მესროპს „გამოეგონოს“ („Изобрѣлъ“) ან შემოეღოს.

რაც შეეხება დ. ბაქრაძის შეცდულებას, მთლათ დაბრმავებული უნდა იყოს კაცი, რომ ქართული პალეოგრაფიული ნაშთები საბუთიანათ გაიცნოს და ამ მკვლევარს კი არ დაეთანხმოს იმაზე, რომ უუძველესი ქართული ანბანი ეგრეთ წოდებული „ასომთავრულია“, ხოლო ნუსხა--ხუცური და „მხედრული“ მისგანვე არიან წარმოშობილი და განვითარებული. ეს აღმოჩენა იმდენათ მტკიცეთა აქვს დასაბუთებული ბ-ნ ბაქრაძეს, რომ სრულიად ზედ-მეტად მიგვაჩნია ამის ხელმეორეთ დამკატიცებას გამოვუდგეთ; ხოლო მსურველთ მივუთითებთ დ. ბაქრაძის მშვენიერს სტატიაზე: „Грузинская палеография“, საღაც ეს აღმოჩენა მრავალი პალეოგრაფიული ნიმუშებითაა დასურათებული და დამტკიცებული. ¹¹⁰⁾ სამაგიეროთ იმ საფუძველთა ძალით, რომელთაც მკითხველი ქვემოთ გაეცნობა, არ შეგვიძლია ამგვარათვე დავეთანხმოთ პატივულს მკვლევარს იმაზე, ვითომც ქართული ანბანი შევი ღწვის პირის ბერძნულ კოლონიათა ზედგავლენით „და-არსებულიყოს“, თუმცა არ უარყოფთ, რომ ჩვენი ხუცურის შევსებასა და განვითარებაზე ბერძნულ ანბანსაც უნდა ჰქონებოდა ძლიერი გავლენა.

საკმაოთ ორიგინალურია ის ანალოგია, რომელსაც მარი ბროსე ქართულ ხუცურსა და დევა-ნაგარის ანბანთა შორის უჩვენებს; მაგრამ, როგორც უკანასკნელის განხილვამ დაგვარწმუნა, ეს მსგავსებაც, თუ მეტის მეტათ არ გავაზვიადებთ,

¹¹⁰⁾ ნახ. Труды V-го археологич. съезда въ Тифлисѣ. Москва 1887. стр. 207—214.

ორ ასოს არ აღემატება ('I-ნსა და II-ანს), 111) დამკურენაშვილი აზრით მხოლოდ იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ როგორც ინდოურისა, ისე ჩვენი ანბანის პროტოტიპი ერთი და იგივე უუძველესი დედა-ანბანია, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, და არა იმით, ვითომც ქართული ანბანი ინდოურისაგან ყოფილიყოს წარმოშობილი, რაც ისტორიულათაც-კი მნელს მისაღებია, რადგან ქართველები აღმოსავლეთის კულტურულ ხალხთა შორის ყველაზე უფრო ნაჯები ინდოელებთან იყვნენ დაახლოებული, და არ ვიცით, როდის უნდა მომხდარიყ მათ შორის იმდენად ძლიერი კულტურული დაახლოება, რომ ერთს მეორისაგან სამწერლო ნიშნები გადმოყვა. ამიტომ ჩვენ სრულიად უარვყოფთ იმ აზრს, ვითომც ქართული ანბანის შემუშავებაში ინდოურს დევანაგირის ალფაბეტს რამე წილი სდებოდეს.

დაგვრჩა განსახილველი ი. ოქრომჭედლიშვილის პიპოტეზა.

მთელი ეს პიპოტეზა დამყარებულია ერთს გაუგებრობაზე ან, უკეთ რომ ვთქვათ, იმ შემცდარ აზრზე, რომელიც ი. ოქრომჭედლიშვილის დროს იყო ზენდური ანბანის სიძველის შესახებ მწერლობაში გავრცელებული. საქმე ისაა, რომ ოქრომჭედლიშვილის თქმით, ფარნავაზის დროს (და ამ დროს იგი ვახუშტის ქრონილოგიით ანგარიშობს) სპარსეთში გავრცელებული იყო ზენდური ანბანი, რომელიც შემდეგში, არშაკიდებისა და სასანიდების დროს (250 წლიდან ქრ. წინ — 652 წლამდე ქრ. შემდეგ), ფარნავაზით შეიცვალა. მაგრამ დღეს პალეოგრაფიული მეცნიერება იმ აზრისაა, რომ ის ზენდური ანბანი, რომელიც ბ-ნ ოქრომჭედლიშვილსა აქვს სახეში, ფეხლეურს წინ კი არ მიუძლოდა, არამედ უკან მის-დევდა და პირდაპირ მისს განვითარებას წარმოადგენდა; ზენ-

111) იხ. შემცერს loc. cit ცტ. 164: ინდოურ ანბანთა ცხრილი. ხუცურ გვ-სა ჰგავს დევა-ნაგარის თ; დანარჩენ ასოთა შორის კი მხგავსება ძნელი აღმოსაჩენია.

დური ანბანის უუძველესი ნაშთები ძლიერს აღწევენ მე-X—XII საუკუნეების კუნძულები ქრ. შემდეგ,* ფეხლეური ანბანის ნაშთებს-კი ჩვენი წელთ-აღრიცხვის 1-ლი საუკუნიდანაც მოულწევია ჩვენამდე.¹¹² ხოლო იმ დროს, როდესაც ჩვენში ფარნავაზი მეფობდა (მე-III საუკ. ქრ. წინ), სპარსეთში არამეული ანბანი იყო გაბატონებული, რომელსაც ხუცურ ასომთავრულთან უფრო მეტი აქვს საერთო, ვინემ მხედრულთან.

მეორე მხრით, თავის ჰიპოტეზას პ-ნი ოქრომჭედლი-შვილი ამყარებდა ზენდურისა და ჩვენი „მხედრულის“ 25 ასოს მოჩვენებითს მსგავსებაზე. ჩვენ ხელთა გვაქვს ზენდური ანბანის სრული სია (45 ასო) და მსგავსებას (მასაც არა სრულს) ვპოვთ მხოლოდ შემდეგს ასოებში: ა, ი, დ, ჸ, შ და დ. დანარჩენ ასოთა შორის მსგავსება ან სრულიად არა-ვითარი არაა, ან უბრალო გარევანს მოხაზულობის საზოგა-დო მსგავსებას არ აღემატება.¹¹³ მაგრამ ექვსი ასოს მსგავ-სება, და ისიც არა სრული, საკმაო არა ისეთი მსხვილი დასკვნის გამოსაყვანათ, რომელსაც ამ ჰიპოტეზის მომხრენი ადგანან. ეს მსგავსება კიდევ უფრო სუსტი და უმნიშვნელო ხდება, როდესაც ზენდურს ქართულ ასომთავრულს, ე. ი. ჩვენი მხედრულის პროტოტიპს ვადარებთ. მართლაც წინას-წარ შედგენილი აზრით დაბრმავებული უნდა იყოს კაცი, რომ ქართული ასომთავრული ზენდურისაგან ნაწარმოებად ჩასთვალოს. სწორედ ამ აზრს ადგია ბ.ნი შნიცერი და, რა თქმა უნდა, სასტიკათ სკულება. იგი ქართულ ასომთავრულს უკუღმაც კი ატრიალებს, ზოგს ასოს განგებ თავის გემოვნე-ბაზე ამახინჯებს და ისე უდარებს სომხურსა და ზენდურს, მაგრამ ამაოთ: ასოების შეტრიალება. უფროც აძლიერებს ასომთავრულისა და ზენდურის სიშორეს და ერთხელ კიდევ

*) ეს გარემოება ყურადღების ღირსია, რადგან ქართული მხედრუ-ლის უუძველესი ნაშთებიც მე-X—XI საუკუნეები ადრე არ მოგვეპოება.

¹¹²⁾ იხ. შინიარ loc. cit. стр. 153—154.

¹¹³⁾ შინიარ, იр. cit. стр. 154: ზენდური ანბანის სია.

ცხად-ჰყოფს, თუ რამდენათ შემცდარნი არიან ის მკვლევარი ნი, რომელნიც ქართულ ანბანს ზენდურისაგან ნაშარმოებად სთვლიან. ¹¹⁴⁾

მაშ როდის და რომელი ანბანისაგან უნდა წარმომდგარიყო ჩვენი ანბანი? ნუ თუ იგი, როგორც ზოგიერთები ჰყიქრობენ, მართლა ყველა ანბანებიდანაა სხვა და სხვა დროს შედგენილ-შევსებული?

ამ კითხვაზე რომ გარკვეული პასუხი მივიღოთ, საჭიროა შემდეგს ხუთს გარემოებას მივაჭრიოთ ყურადღება.

ა) როგორც დიმ. ბაქრაძის გამოკვლევამ დაგვიმტკიცა, უუძველესი ქართული ანბანი ასთმთავრულია, რომლისაგანაც შემდეგ წარმოიშო ნუსხა-ხუცური და მხედრული. მაშასადამე, როდესაც ქართული ანბანის დასაწყისზე გვაქვს საუბარი, ჩვენ სწორეთ ასომთავრულის დასაწყისი უნდა ვიგულისხმოთ და არა ნუსხა-ხუცურისა, გინდ მხედრულისა.

ბ) პალეოგრაფიულმა მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ყველა დღევანდელი ინდო-ევროპიულ-სემიტურნი ანბანი ერთისა და იმავე პირველ-ანბანის ისტორიულ-ევოლუციონურათ განვითარებულს შტოებს წარმოადგენს, სწორედ ისე, როგორც ყველა ძუძუმწოდვარნი ერთი საზოგადო წინაპარისაგან არიან ევოლუციონურათ წარმოშობილნი. ეს პირველ-ანბანია ეგრეთ წოდებული ძველი ებრაულ-ფინიკური დაფაბეტი, რომელიც თავის მხრივ ეგვიპტური იერატიულ (=ხუცურ) სამწერლო ნიშნებისაგან ყოფილა წარმომდგარი. ¹¹⁵⁾ ამ პირველ-ან-ბანისა-საგან წარმომდგარა სამი უმთავრესი შტო ანბანისა: ა) ბერძნულ-კადმური, ბ) ანამეული და გ) სამხრეთ-სემიტური, რომელთაგანაც თანდათან განვითარებულია: პირველისაგან — ყველა ევროპიულნი და კოპტური, მეორისაგან — ირანულნი, ახალ-

¹¹⁴⁾ ნახ. იქვე გვ. 158: ფეხულეურ, ზენდურ, სომხურ და ქართულ ანბანთა შეერთებული ცხრილი.

¹¹⁵⁾ Шпицერъ. оп. cit. стр. 93—108.

ებრაული და მონგოლურ-არაბული, ხოლო მესამისაგან — ყველა ინდოური ანბანები.¹¹⁶⁾

გ) ფილოლოგია, ეს ალგებრა ისტორიულ მეცნიერებათა, ეს ძლიერი და ზოგჯერ ერთად-ერთი საშუალება ძველის ეთნოგრაფიის აღსადგენათ, გვიმტკიცებს, რომ ქართველთა მოდგმის ერთ-ერთი უუძველესი შტო, ეგრეთ წოდებული ურართელნი ანუ ალაროდიანები, მე-VII საუკუნის დამჯევამდე ქრ. წინეთ ფრიად ძლიერსა და საკმაოთ განვითარებულ ერს წარმოადგენდა; იგი ცხოვრობდა დაახლოვებით იმ ადგილებში, სადაც დღეს სასომხეთია, არარატისა და ვანის-ტბის მიდამოებში, სანამ ეს ადგილები არიული მოდგმის ხალხმა, სომხებმა, არ დაიკირა. მე-VII საუკუნიდან კი ალაროდიანები იძულებული გახდენ თანდათან ჩრდილოეთისაკენ წამოეჭიათ და არაქსის მარცხენა ნაპირები დაეჭირათ. იმ ამ თემს დაუტოვებია ვან-არტატის მიდამოებში დურსმული წარწერანი, რომელთა ენაც, კუნილოგების გამოკვლევით, არც ერთს ენას ისე არ უახლოვდება, როგორც ქართულ ენას.¹¹⁷⁾ ცხადია, მაშასადამე, რომ მე-VII საუკუნეში და მის წინაც ქართველთა მოდგმის ერთს თემს იგივე სამწერლო ნიშნები ჰქონებია („ლურსმული ნიშნები“), რომლებიც იმ დროს ყველა მეზობელ კულტურულ ერებში იხმარებოდა (ასურელებსა, ბაბილონელებსა და შემდეგ სპარსელებში).

დ) მე-VII საუკუნის შემდეგ, სახელდობრ მე-VI საუკუნეში ქრ. წინედ, როგორც პირველ წერილში მოვიხსენეთ, ქართველი ტომის ყველა თემები და მათ შორის ალაროდიელებიც სპარსეთის გავლენას დაემორჩილენ, კვიროსისა და დარიოზის ქვეშეერდომნი გახდენ, ხოლო როგორც ზემოთ

¹¹⁶⁾ Ibidem. стр. 247: Генеалогическая таблица всехъ алфавитовъ мира.

¹¹⁷⁾ Lenormant—Lettres assyriologiques... (—). ჭყანია—ისტორ. ნარკვევი. გვ. 40—43).—Никольский—Клинообразные надписи ванскихъ пифей. (—). ჯანაშვილის წინასიტყვაობა ვახუშტის „საქართვ. გეოგრაფიისა“. გვ. ევ).

შევნიშნეთ, ზოროსტრის სარწმუნოებაც ამავე დროს შეი-
 თვისეს. ერთი სიტყვით, პოლიტიკურს შეერთებას თან მოჰყვა
 კულტურული გაერთგვარებაც, ახალი აზრებისა და სოფლ-
 მხედველობის შეთვისება. ამ მდგომარეობამ გასტანა მე-IV
 საუკუნის დამლევამდე. მთელს ამ ხნის განმავლობაში სპარ-
 სეთში ორგვარი სამწერლო სისტემა იყო: ლურსმული და
 ალფაბეტური, რომელთაგან საბოლოოთ ალფაბეტურმა სისტე-
 მამ გაიმარჯვა და ლურსმული მწერლობა სამუდამოთ განდევნა
 სპარსეთიდან. ეს ალფაბეტი იყო ზემოთ დასახელებული არა-
 მეუღლი ნაბანი, რომელმაც მე VII—VI საუკუნეში ქრ. წინ
 ჯერ ასურულებისა და შემდეგ სპარსელების ხელში უკვე თავისი
 განვითარების მეორე საფეხურზე შესდგა ფეხი¹¹⁸⁾. შემდეგში
 (VI-იდან—მე-III საუკუნემდე ქრ. წინ) ეს ანბანი სპარსულ
 ნიაღაგზე თან და თან შეიცვალა და არშაკიდების დროს
 (250 წლიდან ქრ. წინედ) ეგრეთ წოდებულ ფეხურებურად
 გადაიქცა¹¹⁹⁾. ალფაბეტური სისტემა ასურელებმა და სპარსე-
 ლებმა უმთავრესათ საადგმიცემო და საერთაშორისო მიწერ-
 მოწერისათვის შემოიღეს, ხოლო როდესაც დარწმუნდენ ამ
 სისტემის უპირატესობაში, თანდათან მიივიწყეს და უარჩყვეს
 ძველი ლურსმული სისტემა. აი ასეთს კულტურულ პირო-
 ბებური მოუხდა ცხოვრება ჩვენს ხალხს იმ დროს, როდესაც
 არამეულმა ანბანმა წინა-აზიის ხალხთა შორის ფეხი მტკიცეთ
 გაიდგა და ახალ ანბანთა წარმოშობას ფართო ნიაღაგი მოუ-
 მზადა. იკითხება: ნუთუ ქართველ ხალხს, რომელიც ამ დროს
 სპარსეთის უძლიერეს პოლიტიკურ და კულტურულ გავლენის
 ქვეშ იმყოფებოდა, რომელმაც სარწმუნოებაც კი სპარსულ
 გემოვნებაზე შეიცვალა და რომლის ერთი თემიც, ალაროდი-
 ელები, უკვე უძველესი დროიდან იყო მწერლობას მიჩვეული,
 ნუ თუ ამ ხალხს და განსაკუთრებით მის მოწინავე თემს,
 ალაროდიელებს, შეეძლო მე-VII საუკუნიდან ერთბაშათ

¹¹⁸⁾ შვიდერ. Օր ცტ. стр. 113.

¹¹⁹⁾ Ibidem, стр. 153—154.

მწერლობაშე ხელი აეღო და გაბატონებული ერისაგან ის სამწერლო ნიშნები არ შეეთვისებია, რომლებიც იმ დროს წინა აზიის ლურსმულ სისტემას ძირს უთხრიდა? თუ გვსურს ამ კითხვაზე პასუხი მივიღოთ, საჭიროა მეხუთე გარემოებისაც მივაქციოთ ყურადღება. ამ ეს გარემოება.

ე) ქართული ასომთავრული არც ერთს ანბანს ისე ძლიერ არა ჰვავს, როგორც შეორე საფეხურზე მდგრადი არამეულია და იმის პროტოტიპს ძველ-ებრაულ-ფინიკურს ადგაბერს; არც ერთი ანბანისაგან ჩვენც ასომთავრულის წარმოება ისე ადვილი არაა, როგორც ამ ორი ანბანიდან. მხოლოდ სამი თუ ოთხი ასო ბერძნულიდან ნასესხები და ისიც მხოლოდ ის ასოები, რომელიც არამეულსა და ძველებრაულ-ფინიკურ ანბანში არ მოიპოება. დანარჩენი ასოები კი ან ძველი არამეულის პირდა-პირს გამეორებას წარმოადგენს ან მცირეოდენს შეცვლას; საყურადღებოა, იგრეთვე, რომ ჩვენი ანბანის პირველი თექვსმეტი ასოც (۱—۳) იმავე რიგს მისდევს, რომელსაც არამეულ-ებრაული ასოები მისდევენ, ხოლო ორი ასო: ზ და შ ქართულში დღესაც იმავე სახელს ატარებს („ზენ“, „შინ“), რომელსაც ძველ-ებრაული და არამეული ზ-ენი და შ-ინი ატარებდენ (zain, schin). მაგრამ რომ უსაბუთოება არავინ დაგვწამოს, აქვე მოგვყავს შემდეგი პალეოგრაფიული ცხრილი, რომელშიც ვათავსებთ ოთხი ანბანის ნიმუშებს: ებრაულ-ფინიკურისა, არამეულ-სპარსეულისა, ქართულისა და ბერძნულისას.

| Հայոց այբուբեն |
|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| ա | ալեֆ | Ա | Է | Ը | Ճ | Ճ |
| բ | թէթ | Յ | Կ | Կ | Յ | Յ |
| շ | շմէմ | Շ | Շ | Շ | Շ | Շ |
| դ | դալեթ | Դ | Դ | Ջ | Ջ | Ջ |
| ի | ի | Ի | Ի | Ի | Ի | Ի |
| օ | օր | Օ | Օ | Շ | Շ | Շ |
| շ | շան | Շ | Շ | Շ | Շ | Շ |
| շ | շեթ | Ռ | Ռ | Ռ | Ռ | Ռ |
| թ | թէթ | Թ | Թ | Թ | Թ | Թ |
| ի, յ | զօդ | Զ | Յ | Շ | Լ | Լ |
| կ | կափ | Կ | Կ | Կ | Կ | Կ |
| լ | լամ | Լ | Լ | Լ | Լ | Լ |
| մ | մեմ | Մ | Մ | Մ | Մ | Մ |
| ռ | ռառ | Ր | Ր | Ր | Ր | Ր |
| ս | սառած | Ս | Ս | Ս | Ս | Ս |
| օ | օր | Օ | Օ | Օ | Օ | Օ |
| փ, չ | փե | Չ | Չ | Չ | Չ | Չ |
| թ | թօք | Թ | Թ | Թ | Թ | Թ |
| զ | զօք | Չ | Չ | Չ | Չ | Չ |
| շ | շօք | Շ | Շ | Շ | Շ | Շ |
| շ | շօք | Վ | Վ | Վ | Վ | Վ |
| թ | թօք | Ւ | Ւ | Ւ | Ւ | Ւ |
| չ | - | - | - | Չ | Չ | Չ |
| փ | - | - | - | Փ | Փ | Փ |
| շ | - | - | - | Շ | Շ | Շ |
| օ | - | - | - | (Ո) | (Ո) | Օ |

ვინც ამ ცხრილს ჩაუკვირდება*), ადვილათ შენიშნავს, რომ ზოგი ქართული ასო პირდაპირი განმეორება იმავე მნიშვნელობის ძველ არამეულ-სპარსულისა ან მათი პოტოტიპის ებრაულ-ფანიკური ასოებისა. ასეთებია, მაგალითად: ბ, ვ, ე, ღ, ი, ო, წ, და ჩ.

ზოგს არამეულ-სპარსულსა და ებრაულ-ფინიკურ ასოს ქართულ ანბანში შცირეოდენი ცვლილება განუცდია. ასოების ამ ჯგუფს ეკუთვნიან: ა, ბ, ღ, (=შეუდ. ებრაულს), ვ, ზ, ც (=ებრაულს შეუდარეთ), კ, ღ, ტ, ც.

შემდეგს ქართულ ასოებში მათი პროტოტიპების არსებითი ნაწილები დაცულია, მაგრამ თვალსაჩინო ცვლილება ეტყობათ:

მ-ანს მარცხნიდან პირს ნახევარი-წრე მიბრია, ხოლო ზემოთ მარცხენა შკლავში პატარა კბილი დაჰკარგვია;

ნ-ანს, რომელიც მარცხნიდან მარჯვნისკენ შეტრიალებულს იმავე არამეულ ასოს წარმოადგენს, ძირიდან პატარა ფეხი აქვს მიმატებული;

ჟ-არი იგივე ძველ-ებრაული ასოა მხოლოდ პირშედმა და პორიზონტალურათ დაწვენილი, სწორეთ ისე როგორც ბერძნული „პ“-ც პარტე-დაშხვდიდან იგივე ებრაულ-ფინიკიური „პ“-არია;

ჟ-ანი იგივე წ-ილია, მხოლოდ მარცხნივ მობრუნებულია და კბილებიც პირ-შელმა აქვს შეტრიალებული;

ჟ-არში ძველ-ებრაულს იმავე მნიშვნელობის ასოს მარჯვნიდან პატარა წრე ჩამოცლია, ხოლო მარცხენა წრეს ზემოთ თავი გახსნია, რაც არამეულ ანბანში ხშირი მოვლენაა (ნახ

*) ეს ცხრილი შედგენილი გვაქვს ბ-ნ შნიცერის წიგნის მიხედვით გარდა ქართული ანბანისა, სახელდობრ: ა) ებრაულ-ფინიკიური ანბანი იხ. შაჟერქ., op. cit. стр. 88 և 111; ბ) არამეული იქვე გვ. 111; გ) ძველი ბერძნული—იქვე გვ. 173;—ხოლო ქართული შედგენილი გვაქვს უძველესი წარწერების და ხელნაწერი წიგნების შიხედვით, რომელსაც კი ხელი მიგვიწვდებოდა.

მაგალითად არამეული: ბ, დ, თ და ო, ებრაულთან შედარების
რებით);

რ-ე ქართული, ჩვენის ფიქრით, უნდა წარმოადგენდეს
არამეულ-სპარსულ იმავე ასოს, მხოლოდ მარცხნიდან მარ-
ჯვნივ შეტრიალებულს და თავდაღმა დამხობილს; თანაც მარ-
ცხნიდან ძირს პატარა კუდი აქვს მიბმული;

შ—ინიც მარჯვნიდან მარცხნივ შემობრუნებული იგივე
არამეულ-სპარსული ასოა;

ს—ანიც იმავე არამეული „შ“—ინისაგან წარმოებულია,
მხოლოდ პროტოტიპთან შედარებით იგი უფრო სწორა ვერ-
ტიკალურათაა დაყენებული და ზემოთ ერთი კბილი აქვს
ჩამოცლილი; მაგრამ შეიძლება ეს ასო, როგორც დ. ბაქ-
რაძე თიქრობდა, მართლაც ბერძნული „სანი“—საგან იყოს
წარმო ძობილი.¹²⁰⁾

ასოები. ჭ, ფ და ქ, როგორც მკითხველი შენიშნავდა,
ბერძნული ასოების განმეორებაა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული უ—ნი, რომე-
ლიც ძველათ ორი ასოსგან შესდგებოდა (ო და ვ), ბერძ-
ნული „იი“—ის განმეორებაა.

ამგვარათ, 30 ქართული ასოს (ი, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ც,
თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ,
ჩ, ც, წ, ვ) წარმომშობი პირველი წყარო დღეს უკვე აღმოჩე-
ნილია.*) ეს პირველ-წყაროა: უმთავრესათ არამეული ანბანი
ასურულ-სპარსული პერიოდის მე—VII—VI საუკუნეში ქრ. წინ

¹²⁰⁾ დ. ბაქრაძე —ისტორია საქართველოსი. გვ. 83.

*) რჩება კიდევ რვა ასო: ხ, ძ, ჭ, ხ, ჰ, ჸ, ჴ და ჵ, რომელნიც
ხუცურ-ასომთავრულათ ასე იწერებიან: ხ, ძ, ბ, ჰ, ჸ, ჴ,
ზ და **ძ**.—პირველი ასო განმეორება ზენდური ი—ნისა (=ა); მეორე
ასო (ძ) ძლიერ მოგვადონებს სომხურს რბილ ზ—ს (=ძ=ზ რ.), რასაც
შევვიძლია ფონეტიკური საფუძველიც კი მ—ვუძებნოთ, რადგან ძველათ
ქართულ ენაში ბევრი ის სიტყვები, რომელნიც დღეს ძ—ილით იწყება,
ზ—ენით იწყებოდა (მაგალ.: ძორხა—ზორხა, ძაბილი—ზახილი, ძახვა—
ზრახვა და სხვანი); მესამე, მეოთხე და მეხუთე ასო (=ჸ, ხ, ჸ), ჩვენის



მისივე პროტოტიპით ძველ-ებრაულ-ფინიკიურითურთა დაცვითა
მოდენსამე შემოხვევაში—ძველი ბერძნული აღფაბეტი. ყოველი—
ვე ზემოთ თქმული საბუთს გვაძლევს ვითიქროთ, რომ ანბა-
ნი ქართველ ხალხს, განსაკუთრებით მის მოწინავე თემს,
ალაროდიელებს, ფარნავაზზე გაცილებით იღრე უნდა ჰქონე-
ბოდა. მაგრამ, შესაძლოა, ამ ანბანს ბევრი ნაკლი ჰქონდეს,
ყველა ქართული ხმების გამომხატველი ვერ ყოფილიყოს და
ფარნავაზს შეევსოს იგი ახალი ასოებით; შესაძლოა, იგრეთვე,
ფარნავაზს წერა-კითხვა დანარჩენ თემებშიაც გაევრცელებიოს,
თანაც უცხო ენებიდან რამოდენიმე წიგნი გადმოეთარგმინე-
ბინოს და, ამგვარათ, საფუძველი ჩაეყაროს ქართული მწი-
გნობრობისათვის. ერთი სიტყვით, ფარნავაზს უნდა ეკუთ-
ვნოდეს დაწყება „მწიგნობრობისა“ ამ სიტყის ფართო შიშა-
ვნელობით და არა ანბანის შემოღება. ის ამას უნდა ნიშნავ-
დეს, ჩვენის ფიქრით, „ქართლის ცხოვრების“ სიტყვები ფარ-
ნავაზის შესახებ: „ამანვე შექმნა მწიგნობრობა ქართულიო“.

მაგრამ, შეიძლება, გვკითხოს ვინმე: თუ ქართული ან-
ბანი მართლა ეგრე დიდი ხნისაა, როგორც თქვენ ამბობთ (ე.
ი. თითქმის მე—VII—VI საუკუნისა ქრ. წინ), რატომ დღემ-
ფიქრით, ადგილობრივ ნაწარმოები უნდა იყოს, სახელდობრ: ასო ჭ-
ძლიერ მოგვარნებს ჭურს (ძირს მუცელი და ზემოთ ყელი) ან რომელხამე
ყურიანს თიხის ჭურჭელს; ასო ხ—უნდა წარმოადგენდეს ხელს ნიდაყვამდე
და ნიდაყვს ქვემოთ კი მოკეცლ მკლავს; კ—არი კი—ნამდვილი რქებიანი
ხარის თავით და სახელსაც ხომ ასეთს ატარებს („კარ“).—რაც შეეხება
ასოს „P—ს, ამაზე ძლიერ მახვილი მოსაზრება წარმოსთქვა პროფე-
სორმა ვ. ვ. ბოლოტოვმა; სახელდობრ, მისი აზრით, ქართული ასო-
მთავრული „P უნდა წარმოადგენდეს ბერძნული სიტყის: „σταυρος“
(=ჯვარი) აბრევიატურას მსგავსად კოპტურისა (ნახ „Хр. Կտεնія“ ვა
1898 წ. აპრილ ან ცტრ. 266—Журн. академії); მაგრამ ეს უნდა მომხდა-
რიყო არა უადრეს ქრისტიანობის შემოტანისა საქართველოში, როცა
„ჯვარი“ (=σταυρος) ყველასათვის ცნობილ სიმბოლოდ გადაიქცა. მანამდე
კი, ჩვენის ფიქრით, ქართველებს ჯ—ანის გამოსახატავით სხვა რომელიმე
ფონეტიკურათ მიმსგავსებული ქართული ასო უნდა ჰქონებოდათ ხმარე-
ბაში (ზაგალ. დ).

დე არც ერთს ქართულს წარმართული დროის წარმართული
 ჩვენამდე არ მოუღწევია? რა მიზეზია, რომ უუძველესი ქარ-
 თული წარწერანი მხოლოდ მე — V — VI საუკუნიდან მოგვე-
 პოება ქრ. შემდეგ, ე. ი. როდესაც ქართველებს უკვე ქრის-
 ტიანობა ჰქონდათ მიღებული, ამაზე უწინ კი არქეოლოგია
 ქართულ წარწერებს არ იცნობსო? — ჩვენის ფიქრით, ეს გა-
 რემოვება ძლიერ ადვილი ასახსნელია. წარმართული დროის
 ქართულ მწერლობას ჩვენამდე არ მოუღწევია მიტომ, რომ
 მას შემდეგ, რაც მთელი ქართველობა ქრისტეს სარწმუნოე-
 ბაზე მოიქცა, ყოველსავე წარმართულს სამღვდელოებამ სას-
 ტიკი ბრძოლა აუტეხა და განადგურება დაუწყო (ერთ დროს,
 როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი სამღვდელოება თვით ქრის-
 ტიანულ „ვეფხვის-ტყაოსანსაც“ კი განადგურებას უპირებდა);
 უეჭველია, ამ გამანადგურებელი „მოღვაწეობის“ მსხვერპლი
 შეიქნებოდა ძველი (წარმართული) ქართული მწერლობის ნა-
 შთები; არავინ დაინტერესებული არ იყო ეს ნაშთები შეენახა
 ან გადაეწერა, და იგინიც, მეტი რაღა გზა ჰქონდათ, უნდა
 თანდათან გამქრალიყვნ. შესაძლოა წარწერები ციხეებსა და
 წარმართულ ტაძრებზედაც მოიპოვებოდა; მაგრამ გვიბრძანეთ:
 არის საქართველოში ან ერთი ცეხე, რომელიც ყოველ საუ-
 კუნეში ერთხელ მაინც არ დანგრეულიყოს?!... რაც შეეხება
 წარმართულ ტაძრებს, ვინ არ იცის, რომ იმ ტაძრების ილაგის
 დღეს უკვე ეკლესიებია ამართული?... მაშასადამე, სრული-
 ად ბუნებრივი და ადვილ-ასახსნელია ის გარემოება, რომ წარ-
 მართული დროის უუძველეს ქართულ მწერლობის ნაშთებს
 ჩვენამდე არ მოუღწევია, და ამასთანავე ცხადია ისიც, რომ
 იღნიშნული გარემოება სრულიად საკმაო არაა ქართული
 ანბანის სიცველის შესახებ ჩვენ მიერ გამოთქმული აზრის
 დასარღვევად.

III

საქართველო მეორე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე.
 (206 – 88 წწ.)

ფარნავაზის შემდეგ ტახტი დაიჭირა საურმაგმა, რომელ-
 საც „ქართლის-ცხოვრება“ ფარნავაზის შეილად აღიარებს,¹²¹⁾
 „ქართლის-მოქცევა“ კი მისი ჩამომავლობის შესახებ ერთ
 სიტყვასაც არ ამბობს,¹²²⁾ თუმცა, როგორც მეორე წერილ-
 ში მოვიხსენეთ, როცა საკმაო ცნობები მოეპოვება, ეს უკა-
 ნას შესაძლებელი წყარო თითქმის ყოველთვის გარკვეულათ აღნიშ-
 ნავს მეფეების ვინაობას და ჩამომავლობას. და უკეთუ ეს
 უუძველესი წყარო საურმაგის ვინაობას არ აღნიშნავს, სჩანს
 რმ ბასალებში, რომლისგანაც „ქართლის-მოქცევაა“ შედ-
 გნილი, საურმაგი ფარნავაზის „ძედ“ არ ყოფილა წოდებუ-
 ლი, რაც ფრიად სარწმუნოა, რადგან, როგორც სტრაბო-
 ნის მოწმობიდან სჩანს, საქართველოში უუძველესათ არსე-
 ბული წესი ტახტის-მემკვიდრეობისა მოითხოვდა—სამეფო
 ტახტი დაეჭირა სამეფო გვარის უუხუცეს წევრს და გარდაც-
 ვალებული მეფის უახლოეს ნათესავს, და არა უსათუოდ მე-
 ფის ძეს*). მეორე მხრით, ჩვენ ვიცნობთ, აგრეთვე, „ქართ-
 ლის-ცხოვრების“ უძველესი ნაწილის ავტორის მწიგნობრულს
 შეხედულებას, რომლის წყალობითაც თითქმის უველა ჩვენი
 ძველი მეფეების მემკვიდრეობა პირდაპირს ხაზზეა აგებული.**)

121) ქ.-ცხოვრება I. გვ. 40.

122) ხამი ისტორ. ხრონიკა. გვ. 5.

*) ნახ. ზემოთ წერილი II, სხოლიო 53.

**) იქვე სხოლიო—49—52.

ყოვლისავე თქმულის ძალით ჩვენ უარ ვყოფთ „ქართლის-ცხოვრების“ იმ თქმულებას, რომელიც საურმაგს ფარნავაზის ძედ ჰქადის და, რომ შემდეგში განმეორება არ დაგვჭირდეს, ამ თავითვე შევნიშნავთ, რომ იქ, სადაც „ქართლის-ცხოვრება“ რომელსამე მეფეს წინანდელი მეფის შვილად ან შვილობილად აღიარებს, ხოლო „ქართლის-მოქცევა“ და უცხოეთის მწერლები ამავე მეფის ჩამომავლობის შესახებ არას ამბობენ, ჩვენ ყოველთვის ვიგულისხმებთ სამეფო გარის უუხუცესს წევს და არა უსათუოთ წინანდელი მეფის უფროს შვილს, გინდ შვილობილს.

როგორც წინა წერილში გავარკვიეთ, საურმაგის წინა-მოადგილე ფარნავიზი 206 წლის მახლობლათ უნდა ვარდა-ცვლილიყო. მაშასადამე, საურმაგის მეფობაც დაახლოებით ამ წელს უნდა დაწყებულიყო. „ქართლის-ცხოვრების“ თქმულებით, საურმაგი „მეფობდა ბედნიერად მრავალთა წელთა“. ვახუშტი ბატონიშვილს უკანასკნელი სიტყვები იმ აზრით გაუგია, ვითომც საურმაგს ფარნავაზზე უფრო მეტ ხანს ემეფნოს, სახელდობრ 75 წელს (237 — 162). საფუძველი არა გვაქს ბატონიშვილის მაგალითს გავსდიოთ და საურმაგის მეფობა ასეთის ზღაპრული ხანგრძლივობით დავაჯილდოვთ. სამაგიეროთ ერთი საბუთის ძალით, რომელსაც ახლავე მოვიხსენებთ, იძულებული ვართ, საურმაგის მეფობის დასასრულად დაახლოებით იგივე წელი აღვიაროთ, რომელსაც ვახუშტი უჩვენებს, სახელდობრ 162 წელი. როცა საურმაგის მემკვიდრის მირვანის ცხოვრების მეორე ნახევარს აღწერს, მემატიანე შენიშნავს: „ამისაზე (ე. ი. შირვანის დროს) მიიცვალა ანტიოქიისა მეფობა ბაბილონეს“,¹²³⁾ ე. ი. ანტიოქელი სელევკიდების მფლობელობას ბაბილონში ძალა და მნიშვნელობა დაეკარგაო. ეს კი მაშინ მოხდა, როდესაც პართელმა არ შაკიდებმა თავისი სამფლობელო ინდის წყლიდან ევფრატამდე განავრცეს და სისომხე-

¹²³⁾ ქ.-ცხოვრება I, გვ. 42.

¹²⁴⁾ იქვე გვ. 43.

თიც თვის გავლენას დაუმორჩილეს, ე. ი. 150 წლის შან-
ლობლად ქრ. დაბიდებამდე.¹²⁵⁾ სჩანს, მირვანის მეფობის შე-
არე ნახევარი 150 წლის შემდეგ დაწყებულა; მაშასადამე მისი
მეფობის დასაწეისი ამ წელზე გაცილებით ადრე უნდა ვიანგა-
რიშოთ. ეს გარემოება კი გვაიძულებს, სხვა მასალების უქო-
ნლობისა გამო, იმივე ვახუშტის თარიღზე მე — 162 წელზე
შევჩერდეთ და ეს წელი აღვიაროთ მირვანის მეფობის დასა-
წყისად ანუ მისი წინამოადგილის საურმაგის მეფობის დასა-
სრულად. მაშასადამე, ჩვენის ანგარიშით, საურმაგს უნდა
ემეფნოს დაახლოებით 44 წელს, რაც უფრო აღვილამისაღე-
ბია, ვინემ ვახუშტი ბატონიშვილის 75 წელი. ამ გვარათ,
საურმაგის მეფობას ჩვენ დავსდებთ 206 — დან 162 წლამდე
ქრ. წინ. ახლა კი შეგვიძლია თვით მისი ცხოვრების უმთავ-
რეს ფაქტთა განხილვას შევუდგეთ.

პირველი ფაქტი, რომელსაც საურმაგის ცხოვრების
აღწერაში „ქართლის—ცხოვრება“ მოიხსენებს, ერისთავთა
აჯანყება. „მას ეამსა შინა ზრახვა ჰუკეს ერისთავთა ქართლი-
სათა და ოქვეს: არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურე-
ბდეთ ნაოესავსა ჩევნსა: არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ
ჩვენ საურმაგ, და ვიუგნეთ ჩენ თავისუფალ, ვითარცა ვიუგნით
ჰირველ, და მივცემდეთ ხარჯსა ვინცა-ვინ გამოსჩნდეს მძლე,
რამეთუ ესრეთ ყოფითა უფროს განვისვენებთ.“¹²⁶⁾ საყურა-
დლებთა, რომ შეთქმულობის „ქართლის“, ანუ უფრო ძველის
ნომენკლატურით „მცხეთის“ ერისთავები ახდენენ. თუ
გვსურს ამ ამბავს მიზეზი გამოვუძებელთ, საჭიროა მოვიგონოთ,
რომ საურმაგი და ორი შისი წინააღმდეგილე, იუმცა ჩამომა-
ვლობით ქართველის თესლ-მოღვმისანი იყვენ (= „კარლუ-
ელნი“), მაგრამ მცხეთის პროვინციაში მაინც „მოსულებად“
ოფლებოდენ; ამასთანავე მონარქიული წყობილების ტვირთი
ყველაზე უმეტესათ ამ პროვინციის მცხოვრებლებს აწვათ

¹²⁵⁾ Г. Веберъ. Всеобщая История . I, стр. 392.

¹²⁶⁾ ქ.-ცხოვრება I, გვ. 40—41.

კისერზე, რადგან თვით მეფის ჩეზიდენციაც აქ იმყოფებოდა უცხოური, მცხეთის პროვინციის შველ სათემო მამასახლისთა ჩამომავლობას სასიამოვნოთ ვერ ექნებოდა ის გარემობა, რომ მის მარაპეტულ არემაჩეში სხვა პროვინციიდან მოსული სამეფო გვარი მასპინძლობდა და განაგებდა საქვეყნო საქმეებს. მაგრამ, რომ ამ დაჩრდილოულს სოციალურ ჯგუფს აშკარათ აელო თავი და აჯანყების მოხდენა განეზრახა, სიამისოდ შესაფერი შემთხვევა და საბაბი იყო საკირო. არ კმარიდა მარტო ის ბავშური მოსახრება, რომელსაც მატიანე და ვა-ზუშტი ბატონიშვილი ასახელებს: „მეფობა მისი (საურმაგისა) არა სთნდათ ქართველთა, როთა არა ჭმონთ შონათესავეთავე თვისთა და ამისათვის შეიზრახნენ მოყვლად საურმაგისაო.“¹²⁷⁾. თუ რა შემთხვევა უნდა ყოფილიყო ამ შეთქმულობის უახლოესი საბაბი, ეს ჩვენ მეორე, წერილში მოვიხსენეთ, როცა განვიხილეთ სტრაბონის მიერ შნახული გარდოცემა იმის შესახებ, რომ სასომხეთში 189 წლის მახლობლათ გამეფებულმა ანტიოქიას დიდის მხედართ-მთავრებმა არტაქსიასმა და ზარიადღმა ჩვენს ქვეყანას მტკვრისა და კორონის სათავეებში მდებარე ადგილები ჩამოგლიჯეს და სამხრეთის საზღვრები საგრძნობლათ შეუზღუდეს.*) სჩანს, ამ შემთხვევით უსარგებლნიათ „ქართლის ერისთავებს“ და არა სასურველ დინასტიის წანააღმდეგ შეთქმულობა განუზრახავთ. მაგრამ, როგორც იგივე მატიანე გადმოვცემს, საურმაგს დროიანათ შეუტყვია ეს შეთქმულობა და მთებში გახიზვნით თავი გადურჩენია; აქ მას შეუკრებია დიდიალი ჯარი და მთიელ ხალხთა დახმარებით კვლავ დაუბრუნებია სამეფო ტახტი.¹²⁸⁾

ამას შემდეგ საურმაგი შესდგომია თვისი სამეფოს საზღვრების გამაგრებას და, სხვათა შორის, სისრულეში მოუყვანია მისი წინამოადგილის ფარნავაზის-მიერ განზრახული

217) ვახუშტი—ისტორია საქართველოსი. გვ. 39. თბილისი. 1885 წ.

*) ნახ. შემოთ წერილი II, სხოლით მე.. 82.

128) ქ.-ცხოვრ. I, გვ. 41.

საქმე—არმაზში ქალაქის შენება დაუწყია: „დაღგა შეფედ საურმაგ.... და იწყო არმაზის შენებად“, ამბობს შატბერძისეული ქრონიკა.¹²⁹⁾ „ქართლის-ცხოვრება“ კი გვარწმუნებს, ვითომც აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, საურმაგი „მცხეთაში“ დამჯდარიყოს მეფედ: „დაჯდა საურმაგ მცხეთას მეფედ, და უმატა ყოველთა სიმაგრეთა მცხეთისათა და ქართლისათა.“¹³⁰⁾ მაგრამ, როგორც მეორე წერილში შევნიშნეთ, ეს შეცდომა იქიდანაა წარმომდგარი, რომ „ქართლის-ცხოვრების“ ავტორს ჰგონია, ვითომც მცხეთა არმაზშე უუძველესი ქალაქი ყოფილიყოს. სტრაბონის გეოგრაფიიდან კი ვიცით, რომ 60-იან წლებში ქრ. დაბადებამდე მტკვრისა და არაგვის შესართავის მახლობლათ მარტო ორი ქალაქი: არმაზი და წიწიმურა ყოფილა გაშენებული და არა მცხეთა, რომელსაც ბერძენ-რომაელი მწერლები არ იცნობენ.*)

„ქართლის-მოქცევის“ მოწმობით, საურმაგმა „აღმართა კერპი აინინა გზასა ზედა“¹³¹⁾; ხოლო „ქართლის-ცხოვრება“ დასძენს, ვითომც ამავე მეფეს „შეექმნას ორნი კერპნი: აინინა და დანანა, და აემართოს გზასა ზედა მცხეთისას.“¹³²⁾ თუ საიდან უნდა წარმომდგარიყო აქ დამატება „მცხეთისას“ და რამდენათ უალაგოა იგი, ეს ზემოთ ნათქვამიდანაც ნათლათ სჩანს. ხოლო რაც შეეხება კერპის „დანანას“ ამართავს, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, რადგანაც ამ საქმეს „ქართლის-მოქცევა“ საურმაგის მემკვიდრეს მირგანს მიაწერს და არა თვით საურმაგს. უკეთუ ამ ორი ღვთაების (აინანა-დანანა) სახელში თავს ითარავს ირანული ღმერთის „ანაპილას“ სახელი, როგორც ფიქრობს პროფ. ნ. მარრი, ¹³³⁾ საბუთი გვექნება დავასკვნათ,

¹²⁹⁾ სამი ისტ. ხრონიკა. გვ. 5.

¹³⁰⁾ ქ.-ცხოვრება. I, გვ. 41.

^{*)} ნახ. უფრო ვრცლათ ქვემოთ წერილი მე-IV.

¹³¹⁾ სამი ისტ. ხრონიკა გვ. 5.

¹³²⁾ ქ.-ცხოვრება I, გვ. 41.

¹³³⁾ Марръ. Боги языч. Грузин. стр. 9.

რომ ოოგორც საურმაგი, ისე მისი მემკვიდრე მირვანი, რომელთაც აღნიშნულ ღვთაების კულტის მფარველობა მიეწერებათ, თავის საგარეო პოლიტიკაშიც ფარნავაზის პროგრამის მიმდევარნი ყოფილან, სახელდობრ მათი სიმპატია უფრო ირანისაკენ (=პართია) ყოფილა, ვინემ იმ დროს უკვე დამკირებისადმი მიმავალ ასურასტანელ სელევკიდებისაკენ. როგორც სტრაბონის სიტყვებიდან სჩანს, საურმაგის მეფობაში სასომხეთიც კი სრულიად განთავისუფლდა (189 წლის შახლობლათ) ანტიოქების ბატონობისაგან.¹⁸⁴⁾ ამიტომ მექატიანის ნაგვიანევ ფანტაზიას უნდა მიეწეროს ის ცნობა, რომელსაც „ქართლის-ცხოვრება“ იძლევა, ვითომც საურმაგი და მისი მემკვიდრე მირვანი „ასურასტანის მეფეთა მსახურნი“ ანუ ვასალები ყოფილიყვნენ.¹⁸⁵⁾ ჩვენ კი გვვინია, რომ ანტიოქია III დიდის (+187) შემდეგ საქართველოს ასურასტანთან ნომინალური დამოკიდებულებაც კი აღარ უნდა ჰქონებოდა.

ამით ვათავებთ საურმაგის შესახებ საუბარს და გადადივართ მისი მემკვიდრის მირვანის მეფობაზე.

საურმაგის „შემდგომად მეფობდა მარგან, და ალმართა დანინა გზასა ზედა წინარე, და ადაშენა არმაზი“. ¹⁸⁶⁾ ასეთია ქართლის-მოქცევის ლაკონიური ცნობა მირვენ-მეფის შესახებ. სამაგიეროთ ქართლის-ცხოვრება უფრო ვრცელ თქმულებას წარმოადგენს. ამ თქმულებიდან ყველაზე უწინ იმ ცნობას მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას, რომელიც გადმოგვცემს, ვითომც მირვანი ტომით „ნებროთიანი“ (=სპარსელი) და საურმაგის „სიძე-შვილობილი“ ყოფილიყოს.

საურმაგს ჰყავდათ, — ამბობს ქართლის-ცხოვრება, — „ორნი ასულნი და არა ესვა ძე. მაშინ მოიყვანა სპარსეთით შვილი ნებროთისი, ნათესავისაგან ცოლისა მამისა, დედის დის-წული,

¹⁸⁴⁾ გან—Извѣстія... I, стр. 79.

¹⁸⁵⁾ ქ.—ცხოვრ. I, 42. 43.

¹⁸⁶⁾ სამი ისტ. ხრონ. გვ. 6.

და დაიკირა იგი შვილად, რომელსა სახელი ერქვა შირვან,
და მისცა ასული თვისი ცოლად, ქალაქი გაჩინი და საერის-
თავო სამშვილდისა... და მოკვეტა საურმაგ, და მეფე იქმნა
მის-წილ შვილობილი მისი მირვან“.¹³⁷⁾

რომ საურმაგს შეეძლო ცოლად სპარსელი (=პართელი)
ქალი ჰყოლოდა, ეს სავსებით ეთანხმება მისს ირანო-ფილურს
საგარეო პოლიტიკას. მაგრამ ის კი, ვითომც მისი ტახტის
სამემკვიდრეოდ სპარსელი ჭაბუკის ზედ-სიძედ აყვანა გამხდა-
რიყოს საჭირო, სრულიად არ ეთანხმება სტრაბონის მიერ
აწერილს ჩვენს ძველს ტახტის მემკვიდრეობის წესს; რომლის
ძალითაც ტახტის დაჭრა შეეძლო მეფის გვარის უუხუცესსა
და უახლოეს ნათესავს (ძმისა, ბიძას და ბიძაშვილს) და სა-
ამისოთ სრულიად საჭირო არ იყო მემკვიდრეობის პირდაპირი
ხაზი (მამიდან შვილზე და, როცა შვილი არა ჰყავდათ, შვი-
ლობილზე). ყოვლად დაუჯერებელია, საურმაგის მრავალ-
რიცხოვანს საგვგარეულოში (მოიგონეთ აზოს „რვა სახლი
და ათნი სახლნი მამამძუძეთანი“) სამეფო ტახტის დასაჭრად
„უუხუცესი და უახლოესი“ ნათესავი არ ყოფილიყოს. ამას
გარდა, დააკვირდით თვით მატიანის ახირებულს გენეალოგიურს
ცნობას მირვანის შესახებ: მირვანი იყოო, ამბობს ქართლის-
ცხოვრება, საურმაგის „ნათესავისაგან ცოდისა შამისა, დედის
დიდის-წელი“, ე. ი. სრულიად არა სჩანს, თუ ვისი *დისწუ-
ლი* იყო: ცოლის მამის, ცოლის დედის, თუ ცოლის მამის
დედისა?! ჯერ ეს ბუნდოვანობაც საკმაოა, რომ აღნიშნულ
თქმულებაზე კაცმა ეჭვი შეიტანოს. სამაგიეროთ ქართლის-
მოქცევა მირვანის ჩიმომავლობაზე არას ამბობს და ამით სა-
ბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მირვანის „სპარსელ-ნებრო-
თიანობა“ ისეთივე ნაგვიანევი ზღაპარია, მემატიანის შწიგნ-
ბრული თვალსაზრისით წარმოშობილი, როგორიც აზოს
ბერძნობა, ფარნაგაზის დედის სპარსელობა, საურმაგის პირ-
დაპირს ხაზზე მემკვიდრეობა და სხვანი. ჩვენის ფიქრით,

¹³⁷⁾ ქ.-კხოვრ. I, 41—42.

მირვანი უნდა ყოფილიყო უუხუცესი წევრი იმავე სამეფო გვარეულობისა, რომელსაც აზო, ფარნავაზი და საურმაგი ეკუთვნოდენ, და არა ამ უკანასკნელის „შვილობილი“, როგორც ეს ჩვენს მემატიანეს ჰგონია.

ერთხელვე მიღებული წესის ძალით, საჭიროდ ვრაკეთ აქვე გვარკვიოთ მირვანის მეფობის ქრონოლოგიაც. ზემოთ ჩვენ შევნიშნეთ, რომ საურმაგის მეფობა 162 წლის მახლობლათ უნდა დათავებულიყო; ამავე წლის მახლობლათ უნდა დაწყებულიყო, მაშასადამე, მირვანის მეფობაც. რაც შეეხება მირვანის მეფობის დასასრულს, ამ საგნის შესახებ ჩვენ მოგვეპოება შემდეგი მასალები. მირვანის მეფობის დასასრულში „ქართლის“ ცხოვრება¹³⁸⁾ იხსენიებს სასომხეთის მეფეს არშაკ I-ელს, რომელიც სენ-მარტინის ქრონოლოგიით 127—114 წლებში მეფობდა. „მას უამსა შინაო,— ამბობს მატიანე,— მეფე იქმნა სომხითს, რომელსა ერქვა არშაკ. ეზრახა მირვან არშაკს და მისცა ასული თვისი ძესა არშაკი-სასა, არშაკს“. ¹³⁹⁾ მეორე მხრით, ამავე ქართლის ცხოვრებიდან სჩანს, რომ მირვანის მემკვიდრე ფარნაჯომსაც არშაკ I-ელის მეფობაში უცხოვრია. ¹⁴⁰⁾ ყოვლისავე ამის მიხედვით, ვგონებთ, შორს არ ვიქნებით სინამდვილეზე, უკეთუ მირვანის მეფობის დასასრულს და ფარნაჯომის მეფობის დასაწყისს 120 წლის მახლობლათ დავსდებთ, ე. ი. იმ წლის მახლობლათ, როდესაც არშაკ I-ელის მეფობის დრო თითქმის განახევრებული იყო. ¹⁴¹⁾

ამ რიგათ მირვანი მეფობდა დაახლოებით 162—120 წლებ შორის ქრ. დაბადებამდე. წინა აზის ცხოვრებაში ეს ის ხანა იყო, როდესაც პართელმა არშაკიდებმა თავისი სამფლობელოს საზღვრები ევფრატამდე მოიტანეს და სელევკი-

¹³⁸⁾ ქ.-ცხოვრება I, ვვ. 43.

¹³⁹⁾ რქვე ვვ. 43—44.

¹⁴⁰⁾ ეს რიცხვი ამნაირათაა მიღებული: $127 - 114 = 13$; $13 - 2 = 6^{1/2}$; $127 - 6^{1/2} = 120^{1/2}$ წელი.

დეპის ბატონობისაგან ახლად განთავისუფლებულ სასომხეთს ახალი სამეფო დინაսტია დაუმკვიდრეს (առშայուղების დინაսტია). პაհთიაში ა3 დროს მეფობდა მიტრიდატ I—յლი, სო-მხის ისტორიკოსთა მიერ առშայ-დიდად წოდებული (173—137 წ. ქ. წინ).¹⁴¹⁾ მოსე ქორენელის მოწმობით ამ მეფემ სასომხეთის ტახტზე დასვა თავისი უმცროსი ძმა ვაღარშაკი, რომელმაც დააარსა სასომხეთის არშაյუნიანთა (=არშაյ-დების) დინასტია.¹⁴²⁾ სენ-მარტენის ქრონიკით ეს ამბავი მომხდარი 149 წელს ქრ. დაბადებამდე,¹⁴³⁾ ე. ი. იმ დროს, როდესაც, ჩვენის ანგარიშით, საქართველოს მეფე მირვანი 13 წლის ასული უნდა ყოფილიყო სამეფო ტახტზე. ვაღარ-შაკს დაუწყია თავისი ახალი სამფლობელოს გავრცელება ჩრდილოეთ-დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ-აღ-მოსავლეთისაკენ. ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ იგი შესეցია ქალდებისა (=„ხახტკი“) და ლაზების ქვეყანას; ქაუდებსა და ლაზებს შეერთებია პონტისა და ფრიგიის მხედრობა ვი-ლაც მორფილიკის წინამდლოლობით, მაგრამ საბოლოოთ გა-გარჯვება მაინც ვაღარშაკს უდარჩენია, რის შემდეგაც იგი შესდგომია პონტისა და ეგრიის (=ეგრის-ლაზიკის) ახლად დაპყრობილი ოლქების მოწესრიგებას. აქედან იგი შემობრუ-ნებული პარხალის მთის კალთებისაკენ, შემოსული ტაიკის (=ტაოს) მთებსა და ჭაობებში, გაუჩეხია და გაუშვრია/არე-მარე, ხოლო კოლა („კოხა“—«ტკვრის სათავეში) ვენხებით გაუშენებია; აქედან გაბრუნებული სამხრეთისაკენ ბასიანს, რომელიც უკვე არტაქსიასის დროიდან სასომხეთს ეკუთვნო-და.¹⁴⁴⁾

¹⁴¹⁾ „История Армении“ Моис. Хоренского, стр. 52 и 240; Ցე. պ. 124-00.

¹⁴²⁾ Ibidem, стр. 53.

¹⁴³⁾ S.-Martin—Mémoires hist. et géographiques sur l'Armenie. 1818. p. 410 et 289.

¹⁴⁴⁾ История Армении Моис. Хоренского, стр. 54—56.

ამგვარათ, მირვანის მეფობაში საქართველოს სამშრეთ-დასავლეთით დაუკარგავს ეგრის-ლაზიეს (=კოლხიდის) რამოდენიმე პროვინცია, ხოლო სამხრეთით—პარხალის მთის ჩრდილო კალთები, ტაო და კოლა. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. თუ მოსე ქორენელის მოთხოვნას გაზვითდგბულად არ ჩავთლით, ვაღარშავის დროს სასომხეთის ხელში შემდეგი ადგილებიც ყოფილა: ჯავახეთის ნახევარი, ტაშირი, საკუთრივ გუგარქი (=სომხითი დებედის აღმოსავლეთით აღსტაფამდე), ალბანია (=„ახვანი“) და ყველა ის პროვინციები, რომელნიც ამ ოლქებსა და მდ. ტრაქის შორის მდებარეობს. ყველა ამ ადგილებში ვაღარშავი, მოსე ქორენელის თქმით, მმართველებს ნიშნავს და წეს-რიგს ამყარებს; სხვათა შორის ალბანიაში გამგედ აყენებს ვიღაც არანს, რომელსაც 10, 000 მხედარს უტოვებს საზღვრების დასაცველად.¹⁴⁵⁾ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პართელი არშავიდების პოლიტიკა ძველი სპარსეთის აღდგენისამდი იყო მიმართული, და აგრეთვე იმასაც, რომ სომხის არშავიდებიც სწორეთ ამავე მიზნით იყვნენ სასომხეთის ტახტზე დასმულნი,¹⁴⁶⁾— მოსე ქორენელის ნამპობი სრულიად ბუნებრივი და სარწმუნო გვეჩვენება.*)

სომხებს გარდა, როგორც მატიანე გადმოგვცემს, მირვანის შეხვედრია ბრძოლა კავკასიონის მთის ხალხებთან, რის შედეგაც იგი შესდგობია დარიალის ხეობის გამაგრებას, სადაც ქვიტკირის ჭიშკარი გაუკეთებია.¹⁴⁷⁾ ჩვენი ისტორიკოსი სუ-

¹⁴⁵⁾ Ibidem, стр. 58—59.— გუგარქი ივერიელებით იყო დასახლებულიო.

¹⁴⁶⁾ ამაზე იხ. Saint-Martin—loc. cit. p. 289.

*) ეს ადგილი უკვე აწყობილი იყო, როდესაც გავიცანით ბ. ხალათიანცის გამოცვლევა: „Армянскіе Аршакиды въ Исторіи Монсея Хоренскаго“, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ არშავიდების დინასტია სასომხეთში გამეფდა არა მე-II საუკუნეში ქ. წინ, არამედ I-ელ საუკუნეში ქ. შემდეგათ.“.

¹⁴⁷⁾ ქართლის-ცხოვრება I, გვ. 42—43.



ლხან ბარათა შეილი სამართლიანით ჰეონებს, რომ ის არ დაუკარგა, რომელიც მატიანეში მთიულებთან ბრძოლა უა წოდებული და რომელიც დარიალის გამაგრება გამოუწვევია, წევრეთ წოდებული „ბულგარების“ შემოსევა უნდა ყოფილიყო.¹⁴⁸⁾ თავდაპირველათ ეს ხალხი დროებით თერგის ნაპირებზე დაბინავებულია, მაგრამ სკვითებისაგან შევაწროებული, თავისი ბელადის გუნდის წინამძღვრლობით, კავკასიონის მთებისაკენ წამოსული და იქედან დაჩიალის ვიწრო ყელით საქართველოს შემოსევია, მაგრამ სწრაფათ გაუკლია იგი, და როცა სასომხეთის საზღვრებზე მიუწვდია, სასომხეთის მეფის არშავ I—ელის ნებართვით კოლის სამხრეთით დასახლებული ვანანდის მაზრაში, ეხლანდელი ყარსის არემარეში.¹⁴⁹⁾

ამ ფაქტის შემდეგ თავისთავათ ცხადდება, თუ რას უნდა ეიძულებინა მირვან-მეფე—დარიალის ხეობაში ჭიშკარი გაეკეთებია. ამ ჭიშკარს ოღწერს პლინიუსი, 29—79 წ. ქრ. შემდეგ, თუმცა ჭვიტკირის ნაცვლათ ძელებსა და რკინას იხსენიებს (= „ბრევნა, ინითა ჯენზომъ“), თანაც დასძენს, რომ ჭიშკარის ძვეშ მდინარე გადისო, ხოლო იქვე კლდეზე პატარა კოშკია აშენებული, რათა სხვადასხვა ხალხების შემოსევას ხელი შეუშალოს.¹⁵⁰⁾

ზემოთ ჩვენ შევნიშნეთ, რომ არმაზში ქალაქის შენება საურმავმა დაიწყო. როგორც ქართლის-მოქცევა გაღმოგვცემს, მირვნს ეს საქმე დაუმთავრებია: „მეტობდა შირვან... და აღაშვნა არმაზიო—, იმბობს ქორნიკა უცემელია არმაზში სარწმუნოებრივისა და ძლიერი სამოქალაქო ცენტრის დაარსებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოების, რომ ეს პუნქტი საუკეთესო სავაჭრო და საერთაშორისო გზა-ჯვარედინზე მდებარეობდა—

148) ს. ბარათა შეილი „საქართვ. ისტორია“ რვ. I, გვ. 80—81 და 86.

149) Монс. Хоренского loc. cit. стр. 62. 56.

150) ეს ჭიშკარი ივერთა ქალაქის არმაზიკის პირდაპირ მდებარეობსო, ამბობს პლინიუსი, და „კავკასიის ბევრ“ იწოდებათ. Ганъ-Известія др. греч. римск. писателей о Кавказѣ, ч. I, стр. 107.

ორი მდინარის შესართავის მახლობლათ, რომელთაგან-უოზი
(მტკვარი) მას აერთებდა კოლხიდასა, სასომხეთსა და კასპის
ზღვისთან, ხოლო მეორე (არაგვი) ჩრდილოეთის ხალხებთან.
ვგონებთ ამავე დროს უნდა ეკუთვნოდეს მეორე ციხე-ქალაქის
წიწამურის (= „სევსამორა“) აშენებაც არაგვის მარცხენა ნაპირას,
სადაც დღეს ამავე სახელით ცნობილი პატარა სოფელია. რო-
გორც უცხოეთის მწერლები გადმოვცემენ, ეს ორი ქალაქი—
არმაზი და წიწამური—საკმაოთ გამავრებული პუნქტები
ყოფილა. ¹⁵¹⁾ რაც შეეხება, კერძოთ, არმაზ-ქალაქს, როგორც
ხალხის ზეპირგადმოცემა და ვახუშტი ბატონიშვილი გვარშმუ-
ნებს, შემდეგში იგი ძლიერ გაზრდილა, ხალხით გავსილა და
გამდიდრებულა, სანამ მისი ადგილი ჯერ მცხეთასა და შემდეგ
თბილისს არ დაუჭერია. ¹⁵²⁾)

დასასრულ, მირვანს შატბერდისეული ქრონიკა მიაწერს
ირანული ლვთაების „დანანას“ კულტის მფარველობას. მარ-
თალია, ქრონიკა გადაკრით ამბობს, კათომც მირვანს ამ
ლვთაების სახელზე „გერპი“ (?) აემართოს, მაგრამ ჩვენ უკვე
მე—II წერილში შევხიშნეთ, თუ საიდან უნდა წარმომდგარიყო
ეს დამხინჯებული ცნობა ირანულ ლვთაებათა შესახებ.*)
განმეორებით ვაპოვოთ, რომ ზორბეგის სარწმუნოების
მიმდევარი ქართველი მეფეები ირანულ ლმერთებს „გერპებს“
ვერ დაუდგამდენ; და, აძირუმ, უკეთუ დანანა, როგორც
ბ-ნი ნიკ. მარრი ჰფიქრობს, ირანული ლვთაებაა, უეპველია
მირვანის სარწმუნოებრივი მოღვაწეობა ამ ლვთაების შესახებ
უნდა გაოხატულიყო მხოლოდ დანანას სახელობაზე ტაძარ-
სამლოცველოსა და საცეცხლის აშენებაში და არა კერპის
ამართვაში.—აქ საჭიროა ცოტა ხანს შევიტოდეთ და გვარ-
კვიოთ, თუ რომელი ირანული ლვთაება იფარავს თავს ამ

¹⁵¹⁾ Ганъ Ioe. cit. стр. 68. 170. 169.

¹⁵²⁾ ვახუშტი—საქართვ. გეოგრაფია. ჯანაშვილის გამოცემა. 1904 წ.
გვერდი 76—77.

*) იხ. ზემოთ წერილი მე-II შენიშვნა მე—64—70.



გადმოქართულებულს სახელში: „დანანა“? ზემოთ ჩვენი კულტურული ცრილი მოვიხსენეთ, რომ როგორც „დანანას“ ისე „აინინას“ კულტის მფარველობას „ქართლის ცხოვრება“ მირვანის წინა-მთადგილეს საურმაგს მიაწერს, რის-გამოც აღნიშნული მატი-ანის ყველა ვარიანტებში ორიკე ლვთაების სახელი მწკრივათ იწერება: „აინინა-დანანა“. პროფესორი ნ. მარტი საფუძვლია-ნათ ჰგონებს, რომ ავ თუ სახელში წარმოდგენილია ერთისა და იმავე ლვთაების (= „ანაპიტა“-ს ანუ „ანაპილა“-ს) ორი დამახინჯებული სახელწოდება—ირანული „ანაჭიდა“ და არა-ირანული—„ნანა“-ო. რომ უკანასკნელი აზრი უფრო ცხად-ჰყოს, პროფესორი დასტენს, რომ სიტყვა „დანანა“-ში პირ-ველი მარცვალი „და“ წინა სიტყვიდან („აინინა-და“) უნდა იქოს გადმოსულიო, ე. ი. თავდაპირველით ქართულ მატია-ნეში ეს ორი სახელწოდება ამნაირათ უნდა ყოფილიყო და-ლაგებული: „აინინადა—ნანა“, რაც უდრის ირანულს ლვთა-ებას ანაჭიდას ანუ ანაირიდას.¹⁵³⁾ მაშასალაშე შემცდარად და ნაგვიანევ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს ქართლის-მოქცევას თქმულება, ვითომც „აინინა“ ორი სხვა და სხვა ლვთაება ყოფილიყოს; უეჭველია, ანაპილას სახელობაზე ტაძრისა და სამლოცველოს აშენება საურმაგს დაუწყის, ხოლო მირვანს დაუთავებია; ქრონიკის შემდგენელს კი ჰგონებია, ვითომც ეს ორ-სახელიანი (ანაპილა—ნანა) ლვთაება ორი ლვთაება ყოფი-ლიყოს და ორი სხვა და სხვა მეფის საზრუნველი გამხდარიყოს, რისგამოც მას აულია და მათ სახელობაზე ორი „კერპის“ ამარ-თვა ორი მეფისათვის მიუწერია. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ორ მეფესაც შეეძლო თავის მხრუნველობის საგნად ერთისა და ამავე ლვთაების კულტი გეხადა, მაგრამ ვერ ვპოებთ საკმაო საფუძველს ჩვენს მემატიანესა და მექრონიკეს დავეთანხმოთ იმაზე, ვითომც „აინინა დანანა“ ერთი და იგივე ირანული ლვთაება („ანაპილა“) არ ყოფილიყოს. რომ ძველათ საქარ-თველოში სხვა ირანულ ლვთაებათა კულტებთან ერთათ

¹⁵³⁾ Н. Марръ—Боги языческой Грузии... стр. 9.

ანაპიდის კულტიც ყოფილი გავრცელებული, ამას, ზემოთ აღნიშნული ორი დამახინჯებული სახელწოდების გარდა, მოწმობს ის გარემოება, რომ დასახელებული კულტიც ფრიდად გავრცელებული იყო ქართველების მეზობლად მცხოვრებ სომხებსა და მედიელებს შორის, რომელთ შესახებაც ცნობილი გეოგრაფი სტრაბონი რამდენჯერმე შენაშნივს, რომ იმათა და ქართველებს (=ივერიელებს) ბევრი ერთი და იგივე ჩვეულება აქვსთო.¹⁵⁴⁾ ერთს ამგვარ ჩვეულებათაგანს უნდა წარმოადგენდეს, უეპველია, ანაპიდის კულტის თაყვანის ცემაც.*)

გადავიდეთ ახლა ფარნეჯომის მეფობაზე.

ამ მეფის შესახებ ქართლის-მოქცევას კიდევ უფრო ცოტას ლაპარაკობს, ვინემ მირვანის შესახებ: „და მეფობა ფარნაჯობ და აღმართა კერპი ზადენ მთასა ზედა და აღმაშენა.“¹⁵⁵⁾ ამ უკანასკნელ ფაქტს ქართლის-ცხოვრებაც იხსენიებს; მაგრამ, ამასთანავე, ისეთს საწინააღმდეგო ცნობებს იძლევა ფარნაჯომის შესახებ, რომ ყოვლად შეუძლებელია ეს ცნობანი მკვლევარმა ნაგვიანევ ავტორის ფანტაზიის ნაყოფად არ ჩასთვალოს.

როგორც მსოფლიო ისტორია გადმოგვცემს, პირველმა არშაკიდებმა განაახლეს ზოროასტრის ძველი სტრმუნოება, გასწმიდეს იგი სხვადასხვაგვარ ცრუმორწმუნოებათაგან და ისე შეეცადენ თვის ქვეშევრდომ ერთა შორის მის გავრცელებასა და განმტკიცებას.¹⁵⁶⁾ ზოროასტრის სარწმუნოების დამახასიათებელ კუთვნილებას შეაღვენდა: ა) თაყვანის ცემა კეთილი ღმერთის აჭურ-მაზდისა (=ორმუზი, არზამი) და

¹⁵⁴⁾ Страбонъ—*География*, переводъ Мищенко. стр. 510 (=Кн. 11, гл. 3, § 3, ზეად. стр. 542—543).

*) ამ ღვთაების კულტისა და მისი სოციალური მნიშვნელობის შესახებ ქვემოთ გვენება კიდევ საუბარი.

¹⁵⁵⁾ სამი ისტორ. ხრონიკა გვ. 6.—ზეად. თ. ეორდანია: „ქრონიკები“ I, გვ. 14.

¹⁵⁶⁾ Веберъ—Всеобщая история I, стр. 392.

մուսո կրտուղար և սուլուս (ուժարուս) մօտեանս (=մուհա); ծ) ացրց-
 տցը տապանուս պրեմա ռյալքուս, հոգուրը կրտուղար լվագեցիս
 և ուժմուղուս և ծրբունութեալցիս (=Յահնուս) ցամութեաւցը և սաց-
 նուս; ց) պրեթելուս մասեսրու սամլութեալուց մուգցեած և գ)
 մուցալցեալուն գայթարեամբա.*.) կրտքեցիս առ սարբմունուցիս
 մոմլութեալուն առա սըցամցը, մեռլութ նոցուրու մե. հրցեածու
 աշենեածուն սամլութեալուց և սապրեթելցեցիս, պարու ե՛նո-
 րատ կո մեսացը մալլուն ալցութեց սիորապար եռլու-
 թյ. ¹⁵⁷⁾

առ ասցու ուստ ուս կուլու, հոմելու պարագալուց գրո-
 ւուն ուստ գավրութեալուն և յայտաւցը և սասութեալուն և
 հոմելուս պրեկրտու սումեց նորուս գայթից ցամթէութիւ-
 նա անլուն գածարունուն առնա կութեածմա. ¹⁵⁸⁾)

ամ սանցագու նշենուցնեցիս նշեմլու նշեզուս կալազ
 ուարնաջումուս սարբմունուցիս մուլցաթյունիս մուցանունցուն գու-
 լու գայթարցուու, ուս հոմելու լվագեց սննդա պայունուս ուս
 „ზագյուն“, հոմլուս կուլութեաւ յու մեցու մուարալուն ճա. Յնուց.
 ճ. մարհուս անրու, յարտաւցը նշագյուն սնցութեալու սնդուս
 նշենու-ացը ուս նախարա“-ս անլու սեա հսուլու նախան“-ս (yazdan),

¹⁵⁷⁾ Страбонъ География пер. Мищенко, стр. 748—749.

*.) կրտուղար լմերուց ցարդա նորուս սարբմունուցիս սիամլա
 կութեած ծորուրու և ծնելու լմերու անցրու-թանու (=արոմանո) և մուսո ծո-
 րուրու սուլցեցու- լցուցիս, հոմելու սանցութեալու գու ուսմուս յարտաւցը
 նախուս նշանութեալու և սանցագուու, նշենու-սուրպառամանու, —մուցալցեալու-
 թեալուս սեարսելու արու մարհապար և արլա սիցագու, արամեա մալլու-
 թեալու և մութեալու գաձեանցատ սագաւ ուրունցութեալու և մեցութեալ սրո-
 ցեալու նշեսակմելաւ.

¹⁵⁸⁾ Մյաց. Խօրենսկаго—Исторія Арменіи, стр. 60.

մարտալու, մուս յարտանու ցարբմունուց, ցուտուրու նորուց սումենուս առ-
 նայուս ցարարթայս կրտքեցիս (=„статуи“) ալցմարտուս, մագրամ սնցութեալու
 հոգուրը յարտուլ նյարտութեալու, ուս այս հայեն սայմե ցարյաց և մասենուն-
 թեալ ուսուրութ ուզալուսանրուստան: մելու գայթեալուս, արնայու-
 թալարթայս արմանուս և ուզուս նոնաշեալուստան գյութեալ գայլցաւ.

რომელიც, საზოგადოთ, „კეთილ სულებს“ ნიშნავს და, —კულტურა
ძოთ, ამ კეთილ სულთა შორის უმთავრესსა —მითრას ანუ
შიგწრას.¹⁵⁹⁾ ცხადია, მაშასადამე, რომ ჩვენი ისტორიის წინა
დროებში (მეფობის დაარსებამდე) ქართველებს შორის არმა-
ზის მსახურებასთან ერთად მისი კეთილი სულის „მითრა-იაზ-
დანის“ ანუ „ზადენის“ თაყვანის ცემაც გავრცელებულა,
რის გამოც ქართველი მეფეები იძულებული გამხდარია ამ
„კეთილი სულისავისაც“ სეკუთარი სამლოცველო ანუ ტა-
ძარი და საცეცხლე აეშენებიათ და არა „კერპი“, როგორც
ეს შეცდომით ქრისტიანის შემდგენელს ჰგონია. — პროფ. ნ.
მარტი სარწმუნოდ სთვლის მატიანის იმ ცნობასაც, რომ
როგორც არმაზის, ისე ზადენის (=მითრა-იაზდანის) ტაძარ-
სამლოცველოები (და არა კერპები) მაღლობებზე ყოფილა
ამართული, რაღგან სპარსელებსა და ჩევნს მეზობელ კაპო-
დოკიელებსაც მაღლობებზე სჩვენიათ მსხვერპლის შეწირ-
ვაო;¹⁶⁰⁾ თანაც დასძენს, რომ არმაზისა და ზადენის საცეც-
ხლებს გარს გალავანი (=კედელი) უნდა ჰქონიდა შემოვ-
ლებული კაპადოკიური ტაძრების სახედაო (ხრამъ въ видѣ
пространства, обнесенного оградою), და ქართლის-მთქ-
ცევაშიც ამ გვარი გალავნის „აღშენებაზე“ უნდა იყოს ლა-
პარაკი („მეფობდა ფარნაჯობ, და აღმართა კურპი ზადენ და
ადაშენა“) და არა „ციხის“ აგებაზე, როგორც ეს ამ ქრი-
სივის გამომცემელს (ეროდანის) ჰგონიათ.¹⁶¹⁾ ამასთანავე პა-
ტივცემული პროფესორი არ ეთანხმება მატიანის იმ აზრს,
ვითომც არმაზისა და ზადენის სხვადასხვა მთებზე ჰქონებოდესთ
სამლოცველოები; მისის აზრით, ირანულის კულტის ცენტ-
რი ქართველთა შორის ერთ პუნკტში იყო მოთავსებული,
სახელგმი არმაზ-ქალაქში, ან უკეთ, მის მოღლობებზე. ამ
აზრის დასამტკიცებლად მას მოჰყავს ის საბუთი, რომ სპარ-

¹⁵⁹⁾ Н. Марръ—Боги азыч. Грузі... стр. 7.

¹⁶⁰⁾ Ibidem, стр. 7—8,

¹⁶¹⁾ Ibidem, стр. 8, примѣчанія 1-ое и 2-ое.

სულ საღვთის-მსახურო წიგნებში „მითრაიაზდანი“ და „აჟურა-მაზდა“ (ე. ი. ზადენი და არმაზი) ჩვეულებრივ ერთი მეორის შემდეგ იხსენებიან და თვით ქართულ წყაროებშიაც (წმ. ნინოს ცხოვრების აღწერასა და ეგრეთ წოდებულს Chron. armeniene“-ში) ამ ღმერთების სამყოფელ ალა-გად ერთი და ოგივე „მცხეთის რაბადი“ (=ანუ რაბატი=предмъстие=святылище=мѣсто молитвъ), ე. ი. არმაზი არის დასახელებულიო.¹⁶²⁾ როგორც ვხედავთ, ეს აზრი სრუ-ლიად არ ეწინააღმდეგება ქართლის—მოქცევის თქმულებას ზა-დენის სამლოცველო აღვილის შესახებ, რადგან აქ ნათქვემია მხოლოდ, რომ ფარნაჯობმა „აღმართა კერპი ზადენ შთასა ზედა და ადაშენათ“, ე. ი. გარს გალავანი შემოარტყაო, და არა ზადენ-ციხე ააგოო, როგორც ქრონიკის გამომცემელსა და ქართლის-ცხოვრების შემდგენელს ჰელინიათ,-სწორეთ ისე, როგორც ფარნავაზის შესახებ იმავე ქრონიკაში ნათქვამია, რომ მან აღმართა არმაზის „კერპი“ მთის „ცხვირსა-ზედა და მთაქმნა ზღუდე წყლით კერძოო“. ვინც არმაზში ყოფილა, ადვილათ დაგვეთანხმება, რომ იქ საკმაოთ მოიპოება მთისა და კლდის „ცხვირები“, რომლებზედაც არა თუ ორის, არა-მედ ოცჯერ-ორი ღვთაების ტაძრებიც კი თამამათ დაიდგმე-ბოდა. ამიტომ სიამოვნებით ვუერთდებით პატივცემული პროფესორის აზრს იმის შესახებ, რომ ირანულ ღვთაებათა—არმაზისა და ზადენის სამლოცველობი ჩვენში არმაზ-ქალაქის მაღლობზე უნდა ყოფილიყო გამართული, ერთი მეორის მა-ხლობლიად, და არა ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხებში.

ამგვარათ, ის ღმერთი ზადეიო, რომლის კულტსაც ფა-რნაჯომ-მეფემ მფარველობა გაუწია, ირანულ პანთეონის კეთილი-სული „მითრა-იაზდანი“ ყოფილა და სამლოცველოც

¹⁶²⁾ ხორ ქავჭ. ერთი, стр. 7, стре. 15—16 և стр. 8, კრი-ფაზის 4-ის. შეადარეთ „წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი“ გვ. 16, სადაც არმაზელი წყვეტილები უპასუხებენ წმ. ნინოს, რომ იგინი არიან „რაბატი“ ღირისა ქალაქისა მცხოვრისანი, სადა (ე. ი. რაბატი შინა) იგი ღმერთი პხედვენ და მეფენი ნეფობენთ“.

არჩაზის გვერდით ჰქონია. ცხადია, მაშასადამე, რომელ-მამა
გორც არამარტის, ისე ამ ღვთაების პროფესიანოლური მსახურნეო
შთგვები ე. ი. ცეცხლის-მსახური მღვდლები უნდა ყოფილიყვნენ.
მაშასადამე, ის მეფე, რომელიც არმაზეა და მითრას (= „ზა-
ლენს“) თაყვანსა სცემდა, უეჭველია იმავე დროს მოგვების
მუარველი და ცეცხლის თაყვანისმცემლიც იქნებოდა; და
პირ აქეთ, ცეცხლის მსახურ მეფეს არ შეეძლო იმავე დროს
არმაზ-ზალენის თაყვანისმცემელიც არ ყოფილიყო. მაგრამ,
როკორც სხანს, ქართლის-ცხადვრების შემდგენელს ეს ისტორია-
ული თვალისაზრისი ძლიერ ბუნდჟო სცნობია, რისგამც
თავის მ ტიანეში შეუტანია შემდევი სასაკილო ზღაპარი.
სახულდობრ იგი მოგვიხრობს:

„აღაშენა (ფარნაჯომმა) ციხე ზადენი და შექმნა კერპი
სახელით ზადენი. ამისა შემდგომად შეიყვარა სჯული სპა-
რსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანა სპარსეთით ცეცხლისა
მსახურნი და მოგვნა, და დასხნეს იგინი მცხეთას, ადგილსა
მას, რომელია აწ ჰქილ მოგვთა: და იწყო ცხადათ გმობა
კერპთა; ამისათვის მორძულებს იგი მაედართა ქართლისთა, რა-
მეთუ დღი სასოდე აქვნდათ კერპთა შიმართ. მაშინ შეი-
თქმნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი, და წარავლი-
ნეს მოიქული წინაშე სომებთა მეფისა და ჰერქვეს: „მეფე
ჩვენი გარდა აზა სჯულსა მამ.თა ჩვენთასა, აღარა მსახურებს
ლჰერთა მპყრობელთა ქართლისათა; შემოილო სჯული მა-
მული და დაუტევა სჯული დედული; აწ ლარა ლირს არს
იგი მეფედ ჩვენალ; მოგვეც ძე შენი არშაკ, რომელსა უნის
ცოლად ნახესავი ფარნავაზიანთა მეფეთა ჩვენთა; გვაშველე
ძალი შენი, და ვაოტოთ ფარნაჯომ, შემომღებელი ახლისა
სჯულისა; და იყოს მეფედ ჩვენდა ძე შენი არშაკ, და დედო-
ფლად ჩვენდა - ცოლი მისი, შვილი ძეფეთა ჩვენთა“¹⁶³⁾).

როგორც ზემოთ შევნიშნეთ,*) აქ დასახლებული სომე-

¹⁶³⁾ ქართლ.-ცხადვრება I, გვ. 43.

*) იხ. ზემოთ შენიშვნანი - 138, 139 და 140.



ხთა მეფე არის არშაკ I-ლი, ტომით არშაკუნიანი (127—114 წ. წ.), მაშასადამე, ცეცხლის-თაუგანის მცემელი. ამგვარათ გამოდის, რომ ცეცხლის-თაუგანის მცემელი წარნაჯომ-მეფე ებრძვის არმაზსა და ზადენს, ე. ი. ორშეზღვსა და შითრას, ხოლო „პერთაუგანის მცემელი“ ქართველი მხედრები და ერისთავები მედ-გრათ იცავენ ამავე ღმერთებს, თანაც ცეცხლის თაყვანის-მცე-მელს სასომხეთის არშაკიდს თხოვნით მიმართავენ: გვიშველე როგორმე, ჩვენმა მეფემ ცეცხლს დაუწყო თაყვანისცემა და გურჯები შეგვიგინაო! არშაკიც ისმენს ამ თხოვნას და ფარნა-ჯომის წინააღმდეგ გზავნის თავის შვილს არშაკს, რომელიც ამარცხებს ფარნაჯომს და იქერს საქართველოს ტახტს?!

ასეთია გულუბრყვილო მემატიანის გულუბრყვილო მო-თხოვბა ჩვენი წინაპრების საერთაშორისო დამოკიდებულე-ბათა, სოციალურ-სარწმუნოებრივი მდგომარეობისა და დინა-სტიათა ცვალებადობის შესახებ. თუ გვსურს ამ მოთხოვბას ღირსეული მსჯავრი დავსღოთ, ე. ი. მისს ისტორიულ ღირსე-ბაზე რაიმე გარკვეული აზრი შევადგინოთ, ჩვენი ფიქრით, საჭიროა შემდეგი გარემოება მივიღოთ მხედველობაში: ა) როგორც ქართლის-ცხოვრებაში, ისე ქართლის-მოქცევაშიაც ფარნა-ჯომის მემკვიდრედ წოდებულია არსოკ (=იგივე არშაკ), მაგრამ ქრონიკაში (=„ქართლის-მოქცევაში“), რომელიც ქართლის-ცხოვრებაზე ბევრათ უძველესია და, ჩვენი არხელო-გების აზრით, ერთ-ერთს მის წყაროთაგანს შეაღენს,¹⁶⁴⁾ ამ არსოკის (=არშაკის) არშაკუნიანობაზე და სომეხთ-მეფის-წულობაზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი;¹⁶⁵⁾ ბ) დიდი ხანია უკვე შემჩნეულია, რომ ჩვენი მატიანის ის ნაწილი, სადაც მოთხოვბა ძველ ქართველ მეფეებს შეეხება, მოსე ქორნელის ისტორიის ზედგავლენითა შედგენილი¹⁶⁶⁾), -მაგრამ იმ საკითხის შესახებ, რომელიც ფარნაჯომის მემკვიდრის არსოკის (არშაკის) არშაკუნიანობასა და სომეხთ-მეფის-წულობას შეეხება, მოსე ქო-

¹⁶⁴⁾ ამ აზრისანი არიან ე. თაყაიშვილი და თ. უორდანია.

¹⁶⁵⁾ თ. უორდანია: „ქრონიკები“ 1, გვ. 14.

¹⁶⁶⁾ *Маррх—Боги народов. Грузин... стр. 4.*

հյեղլուս ուշումը շնորհած յրտո Տօրպապ առ մոռացքա, տղմբա
 յորեցլու եշրուտ այս Մեծության ամ-ցըարո Տաճնու Մյասեց
 Տեշաս համց; ¹⁶⁷⁾ ց) Յուսապ Բարոնի մատուցեած Մայմուլցու նախուն
 (Քաջրագունու ցամցուեամց) հայունցը ծու հայութեաց, Մյաժու-
 լուս, Մյամինցը լա, հոմ ամ նախունու ազրուն յրտու անոհյ-
 նունու Տօրպապ Եվուր, Տաելունուն ոչու մունքատ ցարպացունու
 Տաճարսուտուս Տամյուն գոնաւուաւու “Ճուղյանցունու” և “Ցրին-
 ցալցը ծու”, հոմ ցուլուն տուրյմուս պայան Բարոն Մյանունա-
 ցու Մյայցը ան Տորդաւու Տաճարսունցունու Ծասաեուն, ¹⁶⁸⁾ ան Տաճ-
 արսուն Տամյուն Տաելուս մոնաւուսացը և Քամոմացալունու; ¹⁶⁹⁾ մուսու
 Ծամաճունչյանցունու գոնաւուու Հայունալուն ու Տայուպաց-
 արյա Յըր ուշուն մա անկա, հոմ Տայարությանցունու ացցունունու
 Եցու-Մուգը մուս Մյայցը ծայ Մյայցը լու Տաելունուն ցամեգարուց-
 ար Մտամացունունու Եսոցնունու Բայլունու կալու գուրուց-
 ինու առա, մեմաւունունու Ծասն Մյայցը լունու ուն ուն մա անց և
 մա անց Տայուրուն հապես Մյայցը լունու յրտու մայնուն, հոմ Քամո-
 մացունունու յարություն Մյայցը արագունուաւ առ Քամոյարուց-
 ինու Եսունցը մուս Տաճարսունունու մուս, հոմ մատուպ ուց-
 տու ու նեցիունունունու Տաճարսունունու Մյայցը կարմացունու
 մարդունունու, հոմ Ետանունու ամ Տեսունու ուն ուն մա ալմացրենուն
 ուն ու պամաւունունու, Մյայցը լունու ուն ուն մա ալմացրենուն
 յարա պամաւունունու, Մյայցը լունու ուն ուն մա ալմացրենուն
 յարա պամաւունունու, Մյայցը լունու ուն ուն մա ալմացրենուն
 յարա պամաւունունու; դ) հոմ Բինա Մյայցը մա ամունքունու անու Տայուրու
 ուստունունու կյամարության, մաս, Բինետ անունուն ցարյանց-
 ինու առա մուսան հյեցաւ ցարյա, Արա-Յայունունունու ու Տայուրունու-
 յարա պամաւունունու; 60-ուն Բլունուս մա ամունքունու յանու Տայուրու

¹⁶⁷⁾ օք. Մագալ. մուսու Իշտորիա Արմենի, էոր. 58—59; 64; 67;
 68—69; 70.

¹⁶⁸⁾ Մագալ. մուրցանու և մուրցանու (յ.-ց. I, ց. 42 և 78—80).

¹⁶⁹⁾ Մագալ. ուարնացանու (լուրուտ), արսուր (մամուտ արայունուն),
 Վահր Ե ցորցաւունու (լուրուտ) և Տեղանու (յ.-ց. Արայունուն I, ց. 35;
 43; 152—154.—

თველოს შემოქანა რომელთა შედარტ-მთავარი პოვჰენი; ამ
დროს რომალებმა პირველით შეკრიბეს ძვირფასი ეტნოგრა-
ფიულ-გეოგრაფიული მასალები ივერიისა და საზოგადოთ
აღმოსავლეთის კავკასიის შესახებ; შემდეგ ამ მასალებით ისარ-
გებლა ცნობილმა გეოგრაფმა სტრაბონმა (66 წ. ქ. წინ—
24 წ. ქ. შემდეგ), რომელმაც დაგვიტოვა ფრიად საგუ-
ლისხმო ცნობები ივერიელთა და მათ მეზობელ ერების შე-
სახებ; და აი, ამ ცნობებიდან ვტყობილობთ, რომ 60-იან
წლებში ქ. დაბადებამდე, როდესაც საქართველოს ტახტზე
იჯდა არსოკის მემკვიდრე არტაგი, ივერიის მეფეთა მემკვიდ-
რეობა შემდეგს მტკიცეთ განსაზღვრულს წესს ემორჩილებოდა:
იყო მთელი სოციალური ჯგუფი, რომლიდანაც ინტევდენ
მეფესა და მის მეორე პირს — მხედართ-მთავარ-მსაჯულთ-უხუ-
ცესს; სამეფო კანდიდატად ითვლებოდა გარდაცვალებული
მეფის უახლოეցი ნათესავი (და არა უსათუოთ შვილი), რო-
მელიც იმავე დროს საგვარეულოში წლოვანებითაც ყველაზე
უხუცესი უნდა ყოფილიყო.*) ასეთი ყოფილი სამეფო ტახტის
მემკვიდრეობის წესი საქართველოში არსოკის მემკვიდრის
არტაგის დროს, რომელსაც ქართლის-ცხოვრება, ერთხელვე
მიღებულის ყალბმწიგნობრულ თვალსაზრისის თანახმათ, არ-
სოკის „ძედ“ აღიარებს, რითაც ერთხელ კიდევ ცხად-ჰყოფს,
თუ რამდენათ დაშორებულია ისტორიულ სინამდვილეს ყო-
ველივე ის, რასაც ჩვენი მატიანე ძველი პერიოდის ქართველ
მეფეთა ვინაობისა და ჩამომავლობის შესახებ მოგვითხრობს.
იკითხება: ნუ თუ შესაძლოა, ასეთი მტკიცეთ განსაზღვრული
წესი ტახტის-მემკვიდრეობისა იმ მცირე ხნის განმავლობაში
დამკვიდრებულიყოს ქართველთა შორის, რომელიც სომეხთ
მეფის არშაკ I-ელის მეფობის დასასრულსა (114 წ.) და
ქართველთა მეფის არტაგის ხანას (60-იან წლების მანელობ-
ლათ ქ. დაბადებამდე) ჰყოფს ერთმანეთისაგან?! ნუ თუ შე-
საძლებელია, არსოკის მეფობის განმავლობაში იმდენათ გა-

*) იხ. შემოთ წერილი I და II შენიშვნა — მე-53. შეად. განა—
Извѣстія... I, стр. 68.—

მჩავლებულიყოს, მტკიცეთ ფერი მოეკიდების და გამლიქე-
რებულიყოს ქართველთა შორის უცხოეთის დინასტია (=არ-
შაკუნიანები), რომ იქვე მეორე მეფობაში ტახტის დაჭრა
უკვე ზემოთ დასახელებულის მტკიცეთ განსაზღვრულის წესით
მომხდარიყოს?!.. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სტრაბონის მიერ
აწერილი წესი ტახტის-მემკვიდრეობისა პირდაპირი გაგრძე-
ლება იყო მანამდე ქართველ თემთა შორის არსებულის შემა-
სახლისერ გვართვენობითის წესწყობილებისა, ე. ი. ივი წარ-
მოადგენდა ხანგრძლივის ისტორიული პროცესის შედეგს და
არა ორის გინდ საგისა და ოთხი ათეული წლის ნაწარმოებს
მოვლენას.*). ამიტომ, თუ გვსურს ისტორიულს თანდათა-
ნობასა და სინამდევილეს არ ვუმტყუნოთ, სამუდამო უნდა
გამოვეთხოვთ იმ, დღემდე ბრძან მიღებულს, ტენდენციურ-
მწიგნიბრულს გარდამოცემას, რომელიც ქართველ მეფეებს,
არშავ I-ელსა (=ივივე რასაჲ) და არტაგს, არშაკუნიანთა
ჩამომავალიად აღიარებს და რომელიც ვერც უძველეს ქართულ
ქრონიკაში („=ქართლის-მოქცევა“), ვერც უუძველეს სომ-
ხურ წყაროში (=მოსე ქორენელის ისტორია) და ვერც
თითქმის თანამედროვე მკვლევართა მიერ შეკრებილსა და
სტრაბონის მიერ შენახულს ეტნოგრაფიულს მასალებში
ვერავითარს პარალელსა და გასამართლებელ საბუთს ვერა
ჰქონდს. პირიქით, ყველა დასახელებული წყაროები უტ-
ყუარის სიმკაცრით ცხად-ჰყოფენ იმ აზრს, რომ უუძვე-
ლეს ქართველსა და სომებს ისტორიკოსებს არსოკისა და არ-
ტაგის არშაკუნიანობის შესახებ არა სკოლნიათ რა, ხოლო
სტრაბონის მიერ დაცული ძვირფასი ეტნოგრაფიულ-სოცი-
ალური ცნობა ქართველ მეფეთა მემკვიდრეობის შესახებ საბო-
ლოოთ ძირს უთხრის ქართლის ცხოვრების გარდამოცემას ამავე
საგნის შესახებ და სამუდამო ამტკიცებს იმ კეშმარიტებას,
რომ აღნიშნული ორი მეფე უცხო ჩამომავლობისანი არ
ყოფილიან.

*.) შეად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა: Государств. строй дре-
вней Грузии и древней Армении, стр. 9. 13—14.

თქმულის შემდეგ ზედმეტათ მიგვაჩნია, იმ აზრის გარე კვევას მივუბრუნდეთ, თუ რამდენათ დაშორებულია ისტო- რიულ სინამდვირეს ჩვენი მატიანის თქმულება, ვითომც ცე- ცხლის თავი ნისმცემელი ფარნაჯომ-მეფე არმაზისა და ზადექის კულტის მდევრები ყოფილიყოს და ვითომც ფარნაჯომის მიერ შემოლებულის ცაცხლ-თაუფანისმცემლების მთხარებლები ქართველ ერისთავებს სომხის არმაგენიანებისათვის მიემართოსთ. იმედია, ამ აზრს მკითხველი უჩვენოთაც აღვილათ გარეკვევს: უე- კველია, ცეცხლის-მსახური ფარნაჯომი არმაზისა და ზადენის მდევნელი ვერ იქნებოდა; აგრეთვე, უეკველია, ვერც ცეც- ხლის-თაუფანისმემელი სასომაეთის არშაკიდები იტვირთებდენ მაზრაზმის წინააღმდეგ გალაშქრებას ვითომ ქართველების სასიამოვნოდ. ამგვარათ, ის სარწმუნოებრივი მოტივი, რომლის ძალითაც ჩვენი მემატიანე სცდილობს საქართველოს ტახტზე ფარნაჯომის შემდეგ სომხის არშაკიდი წამოასწყობოს, ვერა- ვითარს კრიტიკას ვერ ითმენს. დარჩა მაშისადამე, ერთადერთი საფუძველი, თუ კი შეგვიძლია მას საფუძველი ვუწოდოთ, სახელდობრ თვით მატიანის მიერვე შენახული გარდამოცემა, ვითომც თომხის მეფე-არშაკ I-ელთან ქართველ სამეფო გვარე- ულობას მხახლური კავშირი ჰქონებოდეს; მაგრამ ნუ თუ ეს ერთად-ერთ სუსტი კავშირი საკმაო იქნებოდა—ქართველ ერისთავებსა და მხედრობას საუკუნეებით დამკვიდრებული ტახტის მემკვიდრეობის წესი შეეცვალათ, აღგილობრივ-ნაცი- ლნალური სამეფო გვარეულობა უარესებოთ და მის ნაცვლათ იმავე ირანოფილური პოლიტიკის მიმდევარი არშაკიდები ჰოე- წვიათ?! ცხადია, ეს უკანასკნელი მოტივიც ვერავითარს კრი- ტიკას ვერ ითმენს.

ყოვლისავე თქმულის მიხედვით, ჩვენ სამუდამოთ უარ- ვჰყოფთ იმ აზრს, ვითომც იმ ნიადაგზე, რომელსაც ქართლის- ცხოვრება აღნიშნავს (სარწმუნოებრივს ნიადაგზე), ფარნაჯომსა და ხალხს შორის რაიმე განხეთქილება მომხდარიყოს: როგორც თვით მატიანიდან სჩანს, როგორც ხალხი, ისე ფარნაჯომი, ორ- ნივე არმაზ-ზადენის კულტის, ე. ი. იმავე ცეცხლის-თაუფანის-

გცემლობის მიღდევარნი ყოფილიან და, მაშასადამე, ამ მხრით მათ გასაყოფი არა ექნებოდათ რა; უარვჰყოფთ, აგრეთვე, იმ ყალბ ცნობას ც, რომელიც ამავე ყალბ საფუძველზეა აშენებული, ვითომც ფარნაჯომისაგან არმაზ-ზადენის კულტის დასაცველად ქართველებს სასომხეთის არშაკიდებისათვის მიემირთოს. სამა- გიეროთ. სრულ ისტორიულ სიმართლედ მიგვაჩნია ის დებუ- ლება, რომ ფარნაჯომს სარწმუნოებრივს ნიადაგზე თვის ქვეშევრდომებთან არავითარი განხეთქილება არ უნდა მოსელოს და მისი მემკვიდრეობიც (არსოკი და არტაგი) იმარე საგვა- რეულოს წევრები უნდა ყოფილიყვნენ, რომელსაც თვით იგი და მისნი წინამოადგილენი ეკუთვნოდენ.

მაგრამ ყოველსავე ამასთან გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ფარნაჯომს მეფობა მაინც ვერ უნდა დაეთავებინოს შშვილობიანთ და მისს მემკვიდრეს არსოკ-ქართლოსიანს (და არა არშაკუნიანს, როგორც მემატიანეს ჰგონია) სამეფო ტახტი, როგორც მატიანე გადმოგვცემს, მართლაც ხმლით უნდა მოე- პოვიოს ერთს მრერ დაწუნებულის თვისის წინამოადგილი- საგან.

როგორც ზემოთ გავარკვიეთ, ფარნაჯომის წინამოადგილე მარვანი გარდაიცვალა 120 წლის მახლობლათ ქრ. დაბადე- ბამდე. სწორეთ ამავე წლის მახლობლათ, საქართველოს სამ- ხრეთ-დასავლეთით, იწყო ზრდა და გაძლიერება პონტის სამე- ფომ მიტრიდატ ეჭპატორის (123—63 წ.) შრომითა და მუყა- თობით. მამით მიტრიდატი სპარსეთის ძველი სამეფო გვარე- ულობის (აქემენიდების ანუ კაინანიანების) ჩამომავალი იყო, ხოლო დედით—სელევკიდებისა. მის პიროვნებასთან შეკავში- რებული იყო აღმოსავლეთის ხალხთა საუკეთესო მოგონებანი. მას განზრისება ჰქონდა აზიას ყველა სახელმწიფოებისაგან ერთი ვრცელი კავშირი შეექმნა და რომის ბატონობისაგან დაეხსნა იგინი. მაღვე მან მიიმხრო მცირე-აზიაში მდებარე ბერძნის ქალაქები, დაიპყრო ყირიმის ნახევარი-კუნძული და მის მახ- ლობლათ მდებარე ნაპირები შავი ზღვისა, რომელთაგანაც ერთი ბოსფორის სამეფო შეადგინა. შემდეგ იგი შეუკავშირდა

თავის ხიდეს, სასომავეთის მეფეს ტიგრანს (89 – 55 წ.) სირდან
შემწეობითაც ხელში ჩაიგდო რომის პროტ-ქრისტის ქვეშ
მყოფი სამთავროები— პაფლაგონისა, ბითინისა და კაბადოკი-
ისა; შეუკავშირდა კრის, დაიპურო ფრიგია და მთელი წინა
აზია. ¹⁷⁰⁾ ამ დროს მიტრიდატის ძლიერებამ უმაღლეს ზარის-
ნამდე მიაღწია. და სწორეთ ეს მომენტი უნდა ჰქონდეს სახე-
ში სტრაბონს, როცა კოლხიდის შესახებ სწერს: „როდე-
საც მიტრიდატ ეპატორი გაძლიერდა (– „Вопечь въ спи-
шы“), ეს მხარე (კოლხიდა) მის ხელში გადავიდა და მას უკან
იქ მეფის მოადგილედ და მმართველად ერთ-ერთი მის მეგო-
ბართაგანი იგზავნებოდა ხოლმეო“; ¹⁷¹⁾ ეს უნდა მომხდარიყო
89 – 88 წლებში ქრ. დაბადებამდე, რადგან 88 წელს მიტრი-
დატი უკვე ელლადისაკენ გაემართა რომაელებთან საბრძოლ-
ველიდ და ომ წელს შეძლევ მას ახალი ქვეყნების დასაპყრობ-
ლად დარ სცხელოდა. ¹⁷²⁾)

ამგვარათ ფარნაჯომას მეფობაში საქართველომ დაჲკარ-
გბ ერთი უძლიერესი თავისი ნაწილი — კოლხიდა. უეჭველია
ამ ისტორიული ფაქტის უმთავრესი მიზეზი თვით მიტრიდა-
ტის მხედართ-მთავრულს ნიკსა და მისი მხედრობის ძლიერე-

¹⁷⁰⁾ Веберъ—Всесобщая История. I, стр. 547—549.

¹⁷¹⁾ Ганъ—Ізвієзтія.. стр' 65 сравн. Географію Стробона
кн. XI, гл. 2. § 18 (по перев. Мищенко),

¹⁷²⁾ Веберъ, loc. cit., стр. 547, სადაც მატიდატან რომაელების
ჰირველი ომის დასაწყისად 88 წელია ნაჩენები; და გვ. 55 წ., სადაც ამავე
ომის დასასრული 84 წელს არის აღნიშნული. — მიტრიდატის მიერ კოლ-
ხიდის დიპურობას 88 წლის მახლობლად იხსენიებს პპიანიც (II საუკუნის
ქრ. შეძლევ), როდესაც ამბობს: „მიტრიდატმა შემოუერთა მამაპა-
პეულს სამეფოს ბევრი მეზობელი ქვეყნები და მამაცი ხალხი — კოლხე-
ბით“, თუმცა, როგორც სჩაანს, 74 წლის მახლობლათ კულხები და
ბოსფორელები კვლავ ჩამოშორებიან (=отпали) მიტრიდატს, რომელსაც
განმეორებით დაუპყრია იგინი და კერძოთ ბოსფორელებისათვის მეფელ
თავისი შვილი შახარ დაუყენებია გან „loc. cit. стр. 163.“ — დამ.
ბაქრაძე შეცდომით ფიქრობს, ვითომც პპიანის თქმით მიტრიდატს მახარა
კოლხების მეფედაც დაენიშნოს (ისტორია საქართველოსი, გვ. 93—94,
შენიშვნა შე-2).

ბაში უნდა ვეძიოთ. მაგრამ არ შეიძლება იმ დროისთვის
ქართველებს ესევე მიზეზი თავისი მეფისა და მისა მხედართ
მთავრის უვარებისაბისათვის არ მცენერათ. ცხადია, ამოდენა
ადგილ-მამულისა და მოძმეთა დაკარგვა მამულიშვილ ქარ-
თველების მხრივ უბრალო საყვედურის გამოთქმით ვერ და-
თავდებოდა, არამედ მალე იგი მთელს ხალხშიაც გამოიწვევ-
და ლრმა გულისწყრომასა და მეფისა და მისი მხედართ-მთა-
ვრის გადაყენების სურვილს, ხოლო მათ მაგიერ ამავე რიცხვ-
მრავალ საგვარეულოდან სხვა პირების არჩევას. როგორც
სჩანს, ხალხის არჩევინი არსოკ ანუ არშაკ ქართლოსიანს
რგებია, მაგრამ ძველს მეფესა და მხედართ-მთავარს ისე ადვი-
ლათ არ დაუთმიათ თავისი ადგილები, რისგამოც ფარნაჯომ-
სა და არშაკ (არსოკ) შორის იტეხილა სასტიკი ბრძოლა
(„ბრძოლა ძლიერი“), რომელიც პირველის სიკვდილით გა-
რავებულია.*) ეს უნდა მომხდარიყო, ჩვენის ფიქრით, არა
უგვიანეს 88 წლისა ქჩ. დაბადებამდე.

ამრიგათ, ფარნაჯომის მეფობას ჩვენ დავსდებთ 120—88
წლებ შორის,**) რის შესდეგაც საქართველოს ტახტზე ასუ-
ლა არშაკ I-ელი ქართლოსიანი ანუ არსოკი, როგორც მას
ქართლის-მოქცევაშ უწოდებს.

ჩვენ განვიხილეთ მე-II საუკუნის ქართველ მეფეთა მო-
ლვაწეობა და, რამდენათაც ღარიბი საისტორიო მასალა ნე-

*) შეად. ქართლ.—ცხოვრება I, გვ. 44.—

**) ვახუშტის ქრონილოგით ფარნაჯომი მეფობდა 93 წლამდე ქჩ.
წინ. იხ. ვახუშტი—საქ. ისტორია, გვ. 40.

მოსე ქართლელი გვარწმუნებს, ვითომც ზემოთ დასახელებული მიტა-
რიდატი ივერიელი მთავარი (= „ბდეშხი“) ყოფილიყოს და სასომხეთის
მეფის არტაშეზისაგან (ტიგრანის მამა) ჰელიოდეს მინდობილი „ჩრდილოე-
თის მთებისა და პონტის ზღვის“ გამგეობა. იგივე ისტორიკოსი დასტენს,
ვითომც ამ მიტრიდატს ცოლად ჰყოლოდეს არტაშეზის ქალი არტაშამა
Mois. Хоренскаго—История Арmenii, стр. 64 ер. 67). მეცნიერულათ
დადგენილი ცნობანი კი მიტრიდატის ჩამომავლობისა და მოყვრული კავ-
შირის შესახებ მხოლოდ იმას გვეუბნებიან, რაც ზემოთ ვებერის წიგნია
დან ამოცვერეთ.—

ბას გვაძლევდა, შესაძლო გავხადეთ შემდეგი ოთხი დებულების დადგენა:

ა) საჩქმენოებრივის მხრივ მაელი ეს ხანა ქართველი ერის ცხოვრებაში წარმოადგენს, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეალიზიური თვით-გამორკვევის ეპთქის ირანოფილურ პოლიტიკის მიმდევარ მეფეთა ხელმძღვანელობით;

ბ) სოციალური ცხოვრებისათვის ეს იყო ხანა სამოქალაქო, საგანკრო და პოლიტიკურ ცენტრთა, ე. ი. ქადაქების აღმოცენებისა და გამრავლებისა (არზაზი და წიწამური);

გ) სახელმწიფოებრივს წყობილებაში ამ ეპთქის იოტის ოდნათაც არ გადაუხვევია ძველითანვე დამკვიდრებულის ტახტის შემცვევილების წესისათვის; ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა იგივე „ქართულთა“ (=ქართველთა) ანუ ქართლოსიანთა დინასტია, რომლიდანაც მეფეთ ირჩეოდათ უუხუცესი წევრი და გარდაცვალებული მეფის უახლოესი ნათესავი;

დ) საერთაშორისო დამოკიდებულებათა მხრივ საქართველოს სამეფომ ამ ეპთქის განმავლობაში გაიარა სამგეარი ცვლილება: 187 წლის მახლობლეთ ქართველი მეფეები სამუდამოთ განთავისუფლდენ სელევკიდების ვაჲლური დამოკიდებულებისაგან; ჩრდილოეთის ველურ ხალხთა შემოსევამ ჩვენი ხალხი აიძულა კავკასიონის მთის უმთავრესი ყელი დარიალის ხეობა ციხითა და ჭიშკრით გაემაგრებია; ხოლო სასმხეთის მეფეთა და პონტის მეფის მიტრიდატ-ევპატორის შემოსევამ საგრძნობლათ შემოზღუდა საქართველოს სამეფოს სამხრეთისა და დასავლეთის საზღვრები: სამხრეთით საქართველომ დაპყარგა ტაო-კლარჯეთი, კოლა, ტაშირი და დებედის აღმოსავლეთით მდებარე აღგიჯები კასპის ზღვისა, და არაქს შეა, ხოლო დასავლეთით—მთელი კოლხიდა.

ამ-გვარათ, პირველი საუკუნის დამდეგს ქრ. წინ საქართველოს სამეფოს ტერიტორია ბევრით აღარაფრით აღვმატებოდა ებლანდელს კახეთსა, ქართლსა და სამცხე-საათაბაგოს; მთელს ამ ტერიტორიას მე-II--I საუკუნეში ქრ. დაბადებამდე უცხოველები ეძახოდნ ივერიას.

თემის გადახდის შედეგში გამოიყოფა 4 IV კუთხით და მათ შემდეგ დასახლებული მას საზღვრავდა კავკასიონის მთაგრეხილი; აღმოსავლეთით — ალაზნის გასწვრივ ალბანია,¹⁷³⁾ რომელიც მაშინ უკვე დამოუკიდებელ სამეფოს წარმოადგენდა, ¹⁷⁴⁾ სამხრეთით — ალაზნის ჩასართავიდამ დებედამდე მტკვარი, შემდეგ მდ. დებება, ტაშირი, ქოლა და ტაკი ანუ ტაოსკარი; ხოლო დასავლეთით ლიხის მთის გასწვრივ კოლხიდა. მაშასადამე მაშინდელ საქართველოს სამეფოს შეადგენდა: ეხლანდელი კახეთი ალაზნამდე, შიდა-ქართლი, ჯავახეთი, სამცხე, შავშეთი და ერუშეთი.

ტახტედ ასელისათანავე არსოკი შესდგომია სამეფოს საზღვრების გამაგრებას; სხვათა შორის არმაზისაოვის მეორე ზღუდე შემოუვლია, ¹⁷⁵⁾ ხოლო ჯავახეთში წუნდა მოუზღუდავს.¹⁷⁶⁾ ამას შემდეგ არსოკს განუზრახავს თავისი სამეფოს ძველი საზღვრების დაპრუნება და, როგორც კლასიკურ მწერლოთა მოწმობიდან სჩანს, რამდენათმე კიდევაც მიუღწევია იმ მიზნისათვის. ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ ერთა ფაქტი აპინის მოთხრობიდან, რომელიც გადმოგვცემს, რომ 84 წლის მახლობლათ დროებით კოლხიდა კვლივ ჩა-

¹⁷³⁾ იხ. პლინიუსის (29:—79 ქრ. შემდეგ) მოწმობა= გან— იავნეს- ტია... I, ცტ. 107, ცტ. ე. 6—9.

¹⁷⁴⁾ უფრო ვტულათ ალბანიაშე ქვემოთ გვექნება საუბარი. იხ. სხოლიო მე-194.

¹⁷⁵⁾ „ქრონიკები“ I, გვ. 14= „სამი ისტორიულ . ხორნიკა“, გვ. 7: აქ სიტყვა „არსოკ“ წაკითხულია „არსკად“.

¹⁷⁶⁾ ქართლ.-ცხოვრება I, გვ. 44.



მოშორებია შიტრიდატ-ევპატიას;*) ჩნდელი დასაჯერებელია ეს ფაქტი არსოკის დაუხმარებლად მომხდარიყოს. ამას გარდა, პლუტარხი (50—120 ქრ. შემდეგ) მოწმობს, რომ როდესაც პომპეი ივერიაში შემოვიდა (არსოკის მემკვიდრის არტაგის დროს), ივერიის საზღვრები მესხეთის მთებსა და პონტიამდე არწევდაო,¹⁷⁷⁾ ხოლო სტრაბონის გეოგრაფიიდან სჩანს, რომ იმავე დროს სასომხეთის ჩრდილოეთის საზღვრებს პარიად-რისა ანუ პარნალისა და „სკიდისის“ მთები შეადგენდა,¹⁷⁸⁾ ე. ი. ივერიის სამეცნოს ეკუთვნოდა არა მარტო ზემოთ და-სახელებული პროვინციები, არამედ, იგრეთვე, კოლა, ტაო-კლარჯეთი, აჭარა და ქანეთიკა (=„პონტიამდე“, ე. ი. პონტის ზღვამდე). მაგრამ, როგორც ვიცით, პომპეის შემო-სევის დროს საქართველოს ტახტზე იჯდა არსოკის მემკვიდრე არტაგი და, უკეთუ ამ უკანასკნელის მეფობაში კოლა, ტაო-კლარჯეთი, აჭარა და ქანეთი უკვე ივერიის ხელში ყოფილა, სჩანს, აღნიშნული პროვინციების დაბრუნება არტგის წინა-მოადგილის არსოკის შრომასა და მუყაითობას უნდა მიეწე-როს. ამიტომ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია „ქართლის-უხოვრების“ შენიშვნა არშაკ I-ელის (=არსოკის) შესახებ: „და შეფობდა იგი ნებიერადო“,¹⁷⁹⁾ რადგან, როგორც მოგეხსენებათ, აღნი-შნულ პროვინციებს არსოკს უბრძოლველად არავინ დაუბრუ-ნებდა, ხოლო ომი და „ნებიერი“ ცხოვრება ერთად ვერ მოთავსდებიან. სჩანს, მატიანის შემდგენელამდე არშაკ I-ელის შესახებ ძლიერ მცირესა და სრულიად გადამახინჯებულს გარდამოცემას მიუღწევია.

მატიანიდან არა სჩანს, რამდენ ხანს უმეტნია არშაკ I-ელის. ვახუშტი ბატონიშვილი მისი მეფობის დასასრულს 81-

*) ი. წერილი III, სხოლით მე-172 (=გავ. — იო. си. 163).

¹⁷⁷⁾ გან्त — ივერია... I, ცр. 123—124.

¹⁷⁸⁾ Страбонъ — „География“, перев. Мищенко, стр. 537 (=кн. XI, гл. 14, § 1).

¹⁷⁹⁾ ქართლის-უხოვრება I, გვ. 44. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი ცნობა ცოტა ვაზვიალებულია (=შეად. სხოლით 240).

Եղլս Ըածքցեմ, 180) մաշնամ ջրայի սաղսմզելո, Տարտառամշտառ լուս անցահով առ Ըազետանեմոտ. ամ տարոլու Քանաալմգց լուածարայոն օմազը մարտոնու և պարագանու թշմուլցի ահմայ I-ու մեմբանու արդացու Շըսաեց. „Քարտլու-պեղա-րեցուս“ Թոթմոնցու արդացու (մեմբանու ահմայուս) „ռար-Քյալս ագյեն մեցուծա“,¹⁸¹⁾ հասաւ Տուրպա-Տուրպու օմախցի ամազը մարտոնու պարանու պահուանու, ցհկու Եղլու պարագանու թշմուլցի ահմայ Քարտլու-պեղա-րեցն. համ արդացու օչերուանու մեցուծ ոչգու օմ Ծոռու, հոգյեսաւ ոյ հոմու Թեցդարտ-Թուզահու Ցոմեցու Շըզուծառ;¹⁸²⁾ Եղլու Կլասուրու թշմուլցի ահմայ Քարտլու-պեղա-րեցն. Համ արդացու օչերուանու մեցուծ ոչգու օմ Ծոռու, հոգյեսաւ ոյ հոմու Թեցդարտ-Թուզահու Ցոմեցու Շըզուծառ;¹⁸³⁾ Եղլու Կլասուրու թշմուլցի ահմայ Քարտլու-պեղա-րեցն. Համ արդացու օչերուանու մեցուծ ոչգու օմ Ծոռու, հոգյեսաւ ոյ հոմու Թեցդարտ-Թուզահու Ցոմեցու Շըզուծառ;¹⁸⁴⁾ Կրագու, թաշասաձամց, համ սկյուռու 64 Եղլու արդացու Կրագու սկյուռու օյու, հասաւ պարագանու թշմուլցի ամոթմուլցի, մուսու մեցուծա 66 Եղլու ագու զեր գառնուցուծա (64+2); Սահմա-լու, մուսու Ֆոնամուցուլուս, ահմայ I-յուս (=ահմայուս) մեցուծու գասասհուլուց ամազը 66 Քյալս սնցա յուշուշուծու և առ 81 Եղլու, հոգուրու զանցու ծարոնումզուլու Ցըռնու.

Ամցահու, ահմայուս անց ահմայ I-յուս մեցուծա հիշեն գազ-սդցի 88 66 Քլուցու Շորուս յի. Ըածագյենամցու. Եղլու Տարու-լու Տացեցնու յտանեմցի մուրութաւու ծրմուլուտա մոմունարց-ոնցա 88-ունան 66 Քլամց դա, օցրետզու, օմասաւ, հաւ Ցեմու հիշեն մեցուս ահմայ I-յուս (=ահմայուս) մոլցանցուծու Շըսաեց ցայցի նատյուամո. մուրութաւու Ցորչուլու ոմու հոմացուլցի օնան (86—84 Ք.) օմուտու ցատացու, համ մուսու Ֆոնաալմցի ցամոց-նացնուլու հոմու Թեցդարտ-Թուզահու Նյուֆան Տաւրուատ գա-ամարցի Ցորչութաւու չարու և ցամուցու ոցու Տանցումնցուուն,

180. զանցու — Տայարտցելուս օսկուրու, ՑՅ. 41.

181) Քարտլու-պեղա-րեցն I, ՑՅ. 45.

182) Brosset—Addit et éclaircissements p. 12.

183) Օ. յայեմու Տեռուու ՑՅ-189.

184) Շյալ. Ցոմեցնու — „Histoire romaine“ (=առ. Ցյոնու — Ասկուր. Բարկացու, ՑՅ. 193).



რის გამოც მოტრიდატი იძულებული შეიქმნა ზავზე დადგრადა ხმებულიყო და მცირე აზიაში რომისათვის უკანვე დაებრუ. ნებია წინეთ წართმეული სამთავროები. ალბათ, ამ მომენტით უსარგებლნია ივერიის მეფეს არშავ I-ელს (=არსოვს) და კოლხიდა ჩამოუშორებია მიტრიდა უისათვის. — მაგრამ ამავე დროს რომში დაიწყო შინაური არეულობა, რომელმაც მე-80 წლამდე გასტანა, რითაც ისარგებლა მიტრიდატმა და კვლავ შეუდგა რომაელების წინააღმდეგ მზადებას. 185) ვფიქ-რობთ, ამავე დროს უნდა ეკუთვნოდეს კოლხიდის კვლავ მიტრიდატის ხელშივე გადასვლა, ჩასაც პლუტარხი მოიხსენებს. — 75 წელს მიტრიდატმა შეჰყარა დიდა ჯარი და გაემართა ბითინიისაკენ. რომაელებმა მის წირალმდეგ მეორე სახელოვანი მხედარ-თმთავარი დაკავშირდა გამოგზავნეს, რომელმაც 74 წელს დაამარცხა ბიტრიდატი და პონტში გააქცია; შემდეგ გავიდა ჰალიზის-წყალში და 72 წელს, სასტიკი ბრძოლის შემდეგ, აიძულა მიტრიდატი თავის სიძე-ტიგრანთან გაქცეულიყო, სასომხეთში. ლუკულმა განაგო მცირე-აზიის საქმეები და შემდევ მთაშურა სასომხეთს, სადაც 69 წელს, სატახტო ქალაქის ტიგრანობერტის მახლობლათ, სასტიკათ დაამარცხა ტიგრანის რიცხვ-მრავალი ლაშქარი. 186) უეპველია, ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს ჩვენი მეფის არსოვის მიერ (=არშავ I) კოლასი, ტაო-კლარჯეთისა, აქარისა და ქანეთის უკანვე დაბრუნება, — სომხებსა და მიტრიდატზე გამარჯვებით წათამამებული ლუკულლი შორეულ პართიაშიაც კი აპირებდა გალაშქრებას, მაგრამ, სასომხეთის ძველი სატახტო ქალაქის არტაქსატის მახლობლათ მას საკუთარი ჯარი აეშალა და იგიც აძულებული შეიქნა რომისკენ გაბრუნებულიყო (67 წელს). ამით ისარგებლა მიტრიდატმა, გადავიდა თავის სამეფოში და შეუდგა ხელმე-სამეგ მზადებას. 187) ამასობაში გარდაიცვალა საქართველოს

185) Веберъ—Всеобщая История т. I, стр. 553. 554—558.

186) Веберъ—Всеобщая История, т. I, стр. 569—570.

187) Ibidem, стр. 570.

թյաց ահսոյ (—առնազ [.-ելո]) դա մուս բաերո քայլութեա տես.
ըստ Հայութի (66 է.), հռմելսաւ յարտաւուն-մովեյքա Մեմոյլցիտ
առաջ սպառցնեա (184) եռլու ու պեղուտու միջրլցնե (Յլուրահե
50—120 է., աշուանո—II սայս. դա գլուխու - 130 էլ. մա-
սլութեա յիշ. Մեմոյք) առգոյք-ու սաելուտ ուրնուց. 189)
ամաց նյուլ հռմութան մուրութան նոնաձմուց ցամոյլամյիկ
մյեսամյ սեցլ-ցանումուլո մեցարութացարո Շոմեյ. 19)

առնացու լրացրենուան յարտաւուն-մովեյքու յիշոնոյ մար-
տ յրտ յայքու ուսենուցն, սաելութուր, առմանի ՝ „Շուսա-
կունու“ աշեցնեան: Հա մեցութա առոյ (—առնաց), հռմելման
մութա-պուց ալանեն արմանսա“ (191) յարտաւուն-ցեղուցնեա յու ամ
յայքու ար ուրնուցն; սամացոյրու ոչո ցալմոցաւուցն ուսետս կլա-
կարս, հռմելու արացրու ար համուցարուցնեա կեմու ալնունուլու
ոմաց մարտանու արայս ցարնաշոմու Մյեսաեց (—ու. մյ-III
նյուրունու սեռունու (192)). սաելութուր, ոչո մոցուտերուցն, զո-
տու ց սեմենս արմայնունուն ծրմունու գրու մոյլունու
ցարնաշոմու մուրուցուցնու Մյուլո մորցանո և կարսետնու. ցա-
կուցնունուցն; զոտոմու, ամու ցամո, և կարսետնու յունուսացնես
տացու ցամոյլուտ դա ցարնաշոմու սուսելու ասալցնեա զոմո-
լու մայնուցնու ու սայարուցնու արնացու մեցութեա նյուրու
նյուլ, մոցունու մոցունու յարտլու, մոցունու մոցունու “ցուլնո“,
Զագրամ պուց-յալույցնեատու ցուրացուրո ցոնուտ, դա նյու-
լունուն. 193) մարտալու, հզեն ար ցուտանեմյենու մարտանու ոյմու-
ցնեան, զոտոմու ահսոյ դա արնացու առնայնունուն ցուլունուն
(ու. նյուրուն III, ճասասրուլու); Զագրամ սայուրու ցուրացու

188) յիշոնոյ ծո I, Ց3. 14.

189) Գանի — ԽԵՎԵՏԻԱ... I, ստր. 165, 166, 172. Ծրան. ստր.
123—126.

190) Յոմինուս—Histoire romaine, trad. par de Guerle, t. VI
(—ալ. յիշոնու—“ուր. նարկացու”, Ց3. 193—194).

191). յիշոնույցն ծո I, Ց3. 14.

192) յարտլուս-ցեղուցն ծո I, Ց3. 45.

193) և. Զարատանյուլու—սայարտվունու ուրունու. Ից. I, Ց3. 91.

მაინც მკითხველის ყურადღება მივაქციოთ თვით ქართველის—
ცხოვრების შინაგანს წინააღმდეგობას, რომელიც ცხადათ გვა-
ჩვენებს, თუ რამდენათ ბუნდე წარმოდგენა ჰქონებია ჩვენს
ნაგვიანევს მემატიანეს იმ ეპოქის ზესახებ, რომელსაც აღნი-
შნულ მეფეთა ცხოვრება ეკუთვნის. მატიანე ამბობს: არტაგი
იყო ძე არშაკ I-ელისა, რომელიც ჩამომავლობით სომხის
ანშაკუნიანთა უფლის-წელი იქოთ; იმ არშაკმა ხმლით დაიპყრო
ფარნაჯომ—ქართლისიანის სამეფო ტახტი და მოჰკლა თვით
ფარნაჯომი, რომლის მცირე-წლოვანი შვილი სპარსეთში
გაიქცა თავშესაფარ-ბლადო; სპარსეთში კი ამ დროს, რო-
გორც მოგეხსენებათ, იმავე სომხის არშაკუნიანთა უფროსი
თანამოძმე და თანამოგვარე პართელი არშაკიდებივე მეფობდენ
და ამგვარათ გამოდის, რომ ქართველი მეფის-წული არშაკი-
დებისაგან თავის დასაცველიდ და მამის სისხლის ასაღებად
არშაკიდებსავე სოხოვს შემწეობას, სწორეთ ისე, როგორც,
იმავე მატიანის თქმულებით, კერპთაყვანისმცემელი ქართვე-
ლები ცეცხლის თაყვანისმცემელ არშაკუნიანებსავე სოხოვდენ
ცეცხლის თაყვანისმცემელ ფარნაჯომისაგან დახსნა-დაფარვას.
ცხადია (განმეორებით ვიტყვით), ჩვენს მემატიანეს არავითარი
რეალური მასალა არ მოეპოება იმ ეპოქის ზესახებ, რომელ-
სა; ზემოთ აღნიშნული მისი მოთხრობა შეეხება. ამიტომ
სამართლიანათ შენიშნავს ჩვენი ისტორიკოსა სულხან ბარათა-
შვილი, რომ ჩვენნი მემატიანენი სცდებიან იმ ხალხის შესა-
ხებ, რომელიც არტაგის მეფობაში საქართველოს წინააღმდეგ
ომობდათ.¹⁹⁴⁾ მართლაც, როგორც სარწმუნო წყაროებიდან
ვიცით, ეს ხალხი იყო რომაელები და არა სპარსელები, რო-
მის ძევება-მოსილი დაშქარი პომპეის წინამდღლობით და არა
„სპარსეთის ერისთავები“, როგორც მემატიანეს ჰგონია.

ლუკულლის წასვლის შემდეგ მიტრიდატის მზიდებამ
უქმათ არ ჩაიარა. პონტის არწივმა სულ მცირე ხნის განმავ-

¹⁹⁴⁾ Гавъ—Извѣстія... I, стр. 165, 166, შვად. გვ. 192, 193
(= „ოროდი“).

լոռեածու մոսեֆիրո թշնամքելո թյուղեծու մոմերունք, դա սատան յրուած Շյշմեն մլուցի յաշնուրո հռմայլու բնոնալմքը. ամ յաշնուրու յյուղենուքն: տպուռոն մատրուգաւո, թյու პոնտուս, Ռուգրանու—թյու սոմեցուուս, արտազու—թյու ովյուրուուս, որունու ալծանուուս դա ռուռու ու—կոլենուուս թյույ.՝¹⁹⁵⁾ մուրիւրուգաւուս մոյր դագցենուու.՝¹⁹⁶⁾ սթորցու ամ գրու (66 է.) հռմուս սենաւրմա օլմուսացլուցու չարու մեցդարու. մտացրու პամենյա դանունն, հռմելումապ սասպեցուու թյասիրուլո տացուու դանունյուլուց. տացդապուրցելաւ ման օսարցեծու մուրիւրուգաւուս դա մուսու սուսու բուգրանու Շուրու արևելուուս իւմու սառչածու ոն- թրուցեծու, ზացու թյույրու პարուուս թյույ դա, հռուպա ամ մերուու նյուրցու ցամացրու, 66 թլու ցածացելու 40 ու 60 ատասու մեցդրուու թյուցու პոնտու սանցըրցենի. մուրիւրուգաւու մուրիւրու հռմայլ չարուան პուրդապուրու թյուրացեծու դա գրուցեծու պյան դաեցու ամջունուն. մացրամ, հռուցսապ մոտմունցեծուան ցամուսուլ- մա პոմենու ցագասինցուրու մուրիւրուգաւու գյուղու եցլու ոյլու դա პուրդապուր թյուցըրմուգա մուսու սամեցու դապյուրուն, մեցու- ցանու մուրիւրուգաւու օմուլցելուու թյույն, լույու մունարու (==ոյսկուլ-ուրմայու) սամերցու նախունի, յելանցըլ յնցըրուու մաելունցու, սասրույու ծրմուլո այրեն, հռմայլցեծուացու. այ մուցարուունմա լամյու ցագասինցուրու պոնտու թյուու ծել-ոլծա- լու: գամարպեցեծու մուրիւրուգաւու սամու մելցելուու-լա մոս- սթիրու կոլենուուսկյուն ցակցուց. ամաս թյումքը պոմենյու ցայմարու սասոմեցուու թյուուսակյուն (==բուգրանու), հռմելուու մուրիւրուց ցամուսուագու հռմուսու գուցեցու մտացար-սարունուու բնոնանյ. դա- ցարդա մուս ցյեցենու դա սրուլու գամուրիստուու նուննաւ ցա- գասցու մաս տացուու ցարցուցուն; ամաստանացու բուգրանմա ուցուուրու 8,375,000 մանատու կոնտրուկտուու ցագասցու դա չարու ցան- ցիաւ պայլու մուսցան դամուրիստուու յայցնեցնյ: ու նոյուսա,

¹⁹⁵⁾ Ibidem, стр. 166 (=անունու մութմունքու).

¹⁹⁶⁾ Ibidem, стр. 166; Շյալ. սթուրանու մութմունքա=ibidem, стр. 65.

სირიას, კილიკიასა, კაპადოკიისა, სოფენისა და ქუთისტანზე. ამგვარათ, პომპეის ერთმა გალაშქრებამ დაამხო პონტის სამეცო, და სასომხეთი ისევ თავის კალაპოტში ჩაიყენა.—გამარჯვებულმა ჯარმა საზამთროდ (66 წ.) ეფრატის სათავესა და მტკვარს შუა დაიბანაკა, რომ მომავალ გაზაფხულს მეტის ენერგიით შესდგომოდა მიტრიდატის დანარჩენ მოკავშირეთა დამორჩილებას. მაგრამ არც ამ მოკავშირებს ეძინათ. ეგინი გაფაციცებით თვალს-ადევნებდენ რომაელი ჯარის ყოველს მოძრაობას; ხოლო ერთმა მათგანმა, სახელდობრ, ოლბანიის მეფემ ოროშმა, როცა გაიგო მტკვრესა და ეფრატის სათავეთა შორის პომპეის ჯარის დაზამთრება, მსწრაფლ შეჭყარა 40,000 მხედარი, გავიდა მტკვარში და 19 დკვემდებას, როდესაც რომაელები სატუნრალობას დღესასწაულობდენ, მოულოდნელათ მტერს თავს დაესხა. მაგრამ პომპეი არ დაიბნა. მან მსწრაფლ ფეხზე დააყენა მოელი თავისი მხედრობა, ოროშს ლაშქარი დაუმარცხა და აიძულა—ზავი ეთხოვნა, თანაც მოსთხოვა—რომს კავშირით შეჭკვროდა.¹⁹⁷⁾

ამას შემდეგ, სახელდობრ ნნ წლის გაზაფხულს, პომპეი გამოემართა ივერიელებისაკენ (=ქართლ-კახელებისაკენ), როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, ბორჯომის ხეობით.¹⁹⁸⁾ ივერიელებით, — ამბობს მიტრიდატის ბიოგრაფია პლუტარხი (50—120 წ. ქ. შემდეგ), — ისეთივე მრავალ-ზიცხოვანი ხალხი იყო, როგორც ალბანელები, მაგრამ უკანასკნელებს სიმამაცით (=ვინავენისტე) ალემატებოდა, მტკაცეთ გადაწყვეტილი ჰქონდა მიტრიდატისათვის არ ელალატნა და მოელი თავისი ძალით წინ გადალობა პომპეიისთ.¹⁹⁹⁾ მაგრამ, როგორც სხვა ისტორიკოსები გადმოგვცემენ, პომპეის მაინც მიუღწევია ივერიის დედა-ქ ლაქ არმაზამდე. არტაგი ვერც ამ

¹⁹⁷⁾ მომზენი—Hist. r maine (=ალ. ჭყონია—ისტ. ნარკვევი, გვ. 199); გან—Loc. cit., ცტ. 124.

¹⁹⁸⁾ ს. ბარათაშვილი—საქართველოს ისტორია, რვ. I, გვ. 99.

¹⁹⁹⁾ გან—Извѣстія... I, ცტ. 124.

გარემოებას შეუშინებია: მას მიუტოვებია თავისი დედაქალაქი, საჩაროთ დაუწვავს მტკვრის ხიდი და მთელი თავისი ჯარით გადასულა მტკვრის მარცხენა ნაპირზე, საიდანაც მიუმართავს მდ. „პელოროსის“ (=არაგვის) ხეობისათვის. აქ ერთს ალაგას, იმავე ძღინარის ნაპირზე, იგი შეჩერებულა და პომპეისათვის „დიდი ბრძოლა“ აუტეხია.²⁰⁰⁾ ამ ბრძოლიში გამარჯვება პომპეის ჯარს დარჩენია, ხოლო ქართველთაგან 9,000 მოკლულა და 10,000-ზე მეტი მტერს ჩავარდნია ტყვევ ხელში.²⁰¹⁾ ამას შემდეგ კი მეფე ორტაგი იძულებული გამხდარა ზავი ეთხოვნა და ერთგულობის ნიშანთ პომპეისათვის მძევლები და ძვირფასი ძღვენი მიერთმია.²⁰²⁾ ამ საჩუქართა რიცხვში ყოფილა, სხვათა შორის, ხალის ოქროსიგან გაკეთებული საწოლი, ტახტი და მაგიდა.²⁰³⁾

ივერიიდან მტკვრისა და შორის ხეობით პომპეი კოლხიდაში გადავიდა, სადაც მას მიტრიდატი ეგულებოდა; აქვე მას უცდიდა ძლიერი ფლოტი ოქტავიუსის (=სერვილიუსის) წინამძღოლობით. პომპეი დაედევნა მიტრიდატს, რომელმაც ბოსფორსა და მეოტიდას (=აზოვის ზღვას) მიმართა; მაგრამ ამ დროს იმბავი მოუვიდა—ალბანელებმა რომთან კავშირზე უარი განაცხადესთ, და იგიც იძულებული გახდა უკანვე გამობრუნებულიყო.—^{სხვა} რიგობრნებული და შურის ძიების გრძნობით გამს ჭვალული გამოემართა პომპეი ალბანელებისაკენ; დიდის გაჭირვებით გაიყვანა მტკვარში ქვეითი ჯარი და ზაფხულის პაპანებაში შეუდგა შირაქის ველების გადალახვას;²⁰⁴⁾ ხოლო, რადგან ეს ველი უწყლო იყო, მან თან ისაგზლა 10,000 ტიკი წყალი და, ამ გვარათ შემზადებული, დაედევნა მტერს.²⁰⁵⁾

²⁰⁰⁾ მომზენი—Ioc. cit., გვ. 199; შეად. განს—Ioc. cit., стр. 124 (=„Большое сражение“).

²⁰¹⁾ განს—Извѣстія... I, стр. 124.

²⁰²⁾ მომზენი—Ioc. cit., გვ. 200.

²⁰³⁾ პლუტარხის მოწმობით. იხ. განს Ioc. cit., стр. 126.

²⁰⁴⁾ მომზენი—Ioc. cit., გვ. 201.

²⁰⁵⁾ პლუტარხით. განს—Извѣстія... I, стр. 125.

მაგრამ მტკრი არსად სჩანდა; მხოლოდ მდ. აბანტის (წერალი ზნის) მარცხენა ნაპირას შეხვდა მას ალბანელების დიდძალი ჯარი (60,000 ქვეითი და 12,000 ცხენოსანი), ოროზის ძმის, კოზის წინამდოლობით. როცა ხელჩართული ომი დაიწყო, პომპეიმ საკუთარის ხმლით განგვიჩია კოზისი,²⁰⁶) რის შემდეგაც ალბანელები ტყეში დაითანტენ. პომპეიმ ტყეს ჯარი შემოარტყა და ირგვლივ ცეცხლი წაუკიდა; მაშინ ალბანელებმა სთხოვეს პომპეის მორიგება და შეჰქრეს მასთან პირობა.²⁰⁷) ალბანიიდან პომპეიმ დააპირა გირკანის ანუ კასპის ზღვისაკენ გამგზავრება, მაგრამ, ახლანდელ მუღანს რომ მიუახლოვდა, აუარებელმა შხამიანმა გველებმა აიძულეს ეს განზრახვება დაეტოვებია; ამას შემდეგ მან გასწია მცირე-სომხეთისაკენ, საიდანაც დიდის ტრიუმფით დაბრუნდა რომს. ამ ტრიუმფის წინ მიჰქონდათ ფიცრები, რომელზედაც დიდის ასევებით იყო წარწერილი პომპეის მიერ დამარცხებული ქვეყნების სახელები: პონტისა, სასომხეთისა, ალბანიისა, ვერიისა, კოლხიდისა და სხვათა. პროცესიაში მიჰყავდათ, სხვათა შორის, სომხეთის მეფის-წული მეუღლითურთ და ალბანელებისა და ივერიელების შევლები.²⁰⁸⁾

ასე დათავდა პომპეის ბრძოლა კავკასიაში და მასთან ერთათ დასრულდა არტაგის მეფობაც, 64 წელს ქრ. დაბადებამდე. ამას შემდეგ აღარც მიტრიდატს უცხოვრია დიდხანს; 63 წელს, სამოცდა რვა წლის მოხუცმა ტრაგიკულათ დაათვა თავისი სიცოცხლე: საკუთარის ხელით თავი მოიწამლა, ხოლო, როცა საწამლავმა დროიანათ ვერ იმოქმედა, ერთერთს კელტელ ჯარის-კაცს თავი მოაკვლევინა.²⁰⁹⁾

არტაგის შემდეგ საქართველოს ტახტზე ავიდა ბარტომი (=ბარტამი) ანუ, როგორც ქართლის-მთქცევა უწოდებს, ბრატმანი. „ქართლის-ცხოვრება“, ერთხელვე მიღებულის ყალბ-

206) პლუტარხი=განვ., Ioc. cit., стр. 125.

207) მომზენი=ალ. ჭუმნია—ისტ. ნარკვევი, გვ. 201.

208) პლუტარხი=განვ., Ioc. cit., стр. 126.

209) მომზენი—ისტ. ნარკვევი, გვ. 204.

შეიგნობრულ თვალსაზრის სის მიხედვით, ამ მეფესაც წინაშე ადგილის (=არტაგის) ძედ უწოდებს: „მოკვდა არტაგ და, დაჯდო მის-წილ ძე მისი ბარუომით.“²¹⁰⁾ ქართლის-მოქცევა კი ამ მეფის ჩამომავლობის შესახებ არას ამბობს და ამით საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჩვენი მატიანის თქმულება ამავე საგნის შესახებ ნაგვიანევათ შეთხზულია.²¹¹⁾ როგორც არა ერთ გზის შეგვინიშნავს, არტაგის დროს შეკრებილ ეტ-ნოგრაფიულ მასალებიდან სტრაბონმა დაგვიტოვა ფრიად ძვირფასი ცნობები ივერიის შესახებ,²¹²⁾ რომელნიც გადაჭრით გვეუბნებიან, რომ ქართველთა შორის არსებულის წესით მეფის გარდაცვალების შემდეგ ტახტს იქცებდა სამეფო გვარეულობის უხუცესი წევრი და არა უსათუოთ მისი შეიღება. ძნელი დასაჯერებელია, ეს წესი იქვე, არტაგის მემკვიდრის დროსავე, შეცვლილიყოს. ამიტომ, ვგონებთ, ისტორიულ სინამდვილეზე უფრო ახლო ვიქნებით, უკეთუ ბრატმანსაც იმავე წესით არჩეულ ტახტის-მემკვიდრედ ჩავთვლით და არა არტაგ-მეფის ძედ, როგორც მემატიანეს ჰეონია.

ვახუშტი ბატონიშვილი ბარტომის (=ბარტონ, ბრატმან, ბარტამ) გარდაცვალების თარიღიდან 33 წელსა სთვლის;²¹³⁾ და ჩვენც არა გვაქვს საფუძველი ჯერ-ჯერობით ამ წელს ძლიერ დავშორდეთ; ამიტომ ბრატმანის მეფობას ჩვენ დავსდებთ დაახლოებით 64 - 32 წლებს შორის ქრ. დაბადებამდე.

ბრატმან-მეფეს უცხოეთის მწერლები არ იცნობენ; მაგრამ იმ დროს, რომელსაც ჩვენის თარიღით ბრატმანის მეფობა ეკუთვნის, იგინი იხსენიებენ ივერიის მეფეს „უფრონაპაზს“ ანუ ფარნავაზს, რომელიც ჩვენის ანგარიშით იქნება ფარნავაზ

²¹⁰⁾ ქართლის-ცნოვრება I, გვ. 45.

²¹¹⁾ სამი ისტ. ხრონიკა, გვ. 8.

²¹²⁾ რომ სტრაბონს თვითონ არ უნახავს ივერია და ალბანია, არა-მედ პომპეიისა და მიტრიდატის დროინდელ მწერალთა მასალებით უსარ-გებლნია, ეს მტკიცდება თვით მისივე მრავალგზითი შენიშვნით. იხ. განხ—ივენტია .. I, ცტ., 56, 58, 59, 63, 64, 69 და 77.

²¹³⁾ ვახუშტი.—საქართველოს ისტორია, გვ. 43.



მე-II. სახელდობრ, რომაელი მწერალი დიონ კასიუსი (ტრაქის და კიკლაპების მე-III წელს ქრ. შემდეგ) მოგვითხრობს, რომ 46-ის თუ 36-ის წლის მახლობლათ ქრ. დაბადებამდე მარკ-ანტონიუსის მხედართ-მთავარი კანიდი კრასი გიგლაშქრა აზის ივერიელებზე და არძულა მათი მეფე ფარნაბაზი — პართელთა მეფის ფრაატის-თან ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო. ²¹⁴⁾ უკეთ რომაელ მწერალს სისწორითა აქვს დაცული ქართველი მეფის სახელი, მაშინ იძულებული ვიქენებით ვიუგებოთ, რომ არტაგის მომ-დევნო მეფეს ორი სახელი ჰქონებია: „ბრატმანი“ (=ბარ-ტონი=ბარტომი=ბარტამი) და „ფარნავაზი“, ან უკეთ რომ ვთქვათ, თვით ქართველებ შორის „ბარტამის“ სახელით ცნობილ მეფისთვის რომაელებს „ფარნაბაზი“ დაუზემევით, სწორეთ ისე როგორც იგივე რომაელები და, საზოგადოთ, უცხოეთის მწერ-ლები თითქმის ყოველ ქართულს ვეოგრაფიულსა და ეტნო-გრაფიულ ტერმინს თავისებულს სახელებს უფარდებენ (რიონი = „ფაზისი“, იმიერსაქართველო = „კოლხიდა“, ქართლ-კახეთი = „ივერია“ და მრავალი სხვანი). მოვიგონოთ, აგრეთვე, რომ უმეტესი რიცხვი სპარსელ მეცვებისა სრულებით იმ სახელით არ აოიან ცნობილი რომაელ და ბერძენ მწერალთა შორის, რომლითაც იგინი ადგილობრივ იწყდებოდენ. ²¹⁵⁾ ამი-ტომ სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ჩვენს მეფეს ბრატმანს რომაელი მწერალი ფარნავაზის სახელით იცნობს, რისგამოც საკიროდ ვრაცხთ, ამას შემდეგ, ამ მეფეს სახელი აიგვარათ აღვნიშნოთ: „ბრ-ტმან(=ფარნავაზ II.“. ამგვარს მაგალითებს ჩვენს ისტორიაში ქვემოთაც შევხვდებით.

ბრატმან (ფანავაზ—II) — მეფის ცხოვრებიდან „ქართლის-

²¹⁴⁾, Brosset—Introduction et tables des matiers, p. XXIX. შეადარეთ Ив. Джаваховъ—Госуд. строй др. Грузин и др. Арменіи, стр. 87.

²¹⁵⁾ მაგალითად: სპარსელების ფერიდუნს ჰეროდოტი უწოდებს „არაქს“; ქაი-კობალს — „დეიოკს“; აფრას — „ფრაორტს“; ქაი-გამს — „კიაკ-სარს“; ქაი-ხოსროს — „კიროს დიდს“ და სხვანი. შეადარეთ: Malcolm— „Histoire de la Perse“. Paris 1821. tome I, p. 325 et 337.

ცხოვრება“ ორს ამბავს იხსენიებს: მცხეთის ზღუდის შატებას და მის მომდევნო შეფერი მირვანთან ბრძოლას. უკანასკნელი ცნობის შესახებ ბევრს აღარას ვიტყვით, რადგან მთელი ეს ცნობა დამყარებულია იმ ყალბ თქმულებაზე, ვითომც მირვან „ეს ფარნაჯომისა“ და ბრატმანი სხვა და სხვა დინასტიის ჩამომავალნი ყოფილოყონ (პირველი ქართლოსიანებისა, ხოლო მეორე — არშაკუნიანების); მაგრამ, როგორც ზემოთ გვითვიეთ (=წერილი III), მთელი ეს თქმულება ნაგვიანევათ შეახსულია და ვერც ქართლის-მოქცევასა და ვერც უცხოეთის მწერათლა იმ დროინდელს ცნობებში ვერავითარს საფუძველს ვერა ჰპოებს. ამიტომ, ჩვენ გვვინია, უმჯობესი იქნება მთელი ეს ეპიზოდი სამუდამოთ გამოირიცხოს ბარტმან (=ფარნავაზ II) — მეფის ცხოვრების აღწერიდან. როგორც მირვანი, ისე ბრატმანიც, ჩვენის გამოკვლევით, ერთსა და იმავე ქართლოსიანთა დინასტიას ეკუთვნოდენ და ამ მხრივ მათ გასაყიდვი და საჩხებარი არა უნდა ჰქონებოდათ რა. მართალია, ჩვენ შესაძლოდ ვპოეთ ფარნაჯომ-მეფე, რომელსაც მატიანე მირვანის მამად აღიარებს, ტახტიდან ძალით ჩამოგდებულად ვვეცნო და თანაც დავუმატეთ, რომ, როგორც სჩანს, მის მომდევნო მეფეს არსოკას (=არშავ I) იირალით დასჭირვებია ტახტის დაჭერაო; მაგრამ ამასთანავე გადაჭრით აღვიარეთ, რომ როგორც ფარნაჯომის გადაყენება, ისე არსოკის მეფედ დასმა (ანუ არჩევა), იმ დროს ჩვენში არსებულის ტახტის-მემკვიდრეობის წესის ძალით, თვითონ ხალხისავე ნებით უნდა მომხდარიყო და არა თვით არსოკის და მისი მომხრეების სამხედრო ნიჭის წყალობით. უეჭველია, მაშასადამე, რომ, როდესაც რიგი მოუწევდა, თუ კი ზალხი ლირსეულად სცნობდა, თვით იმავე „ფარნაჯომის შვილს“ (თუ კი ეს ცნობა მართალია) მირვანსაც იმავე წესით (ხალხის არჩევით) შეეძლო მიეღო მეტობა, რისთვისაც, ჩვენის ფიქრით, არავითარი სისხლის ღვრა არ უნდა ყოფილიყო საჭირო; მაგრამ, რა გინდ ძალიან ბევრი ტბილი სიტყვა და მშვილდ-კაპარჭიც დაემტვრია მირვანს იგი მაინც ვერ შესძლებადა საქართველოს ტახტი მიეღო, უკეთეს

კერ აკმაყოფილებდა იმ წესებს (წინამოადგილის უახლოე-
 სი ნათესაობა და მეფის საგვარეულოში უზხუცესობა), რო-
 მელთაც იმ დროს ჩვენში ტახტის-მემკვიდრეობა ემორჩი-
 ლებოდა. ამიტომ, რომ შემდეგ განმეორება არ დაგვჭირდეს,
 რადგან სიტუამ მოიტანა, იქვე შევნიშნავთ, რომ ბრატმანის
 (=ფარნავაზ II-ის) მემკვიდრე მირვან-მეფე უნდა ყოფილიყო
 ხალხის მიერ არჩეული იმავე ქართლოსიანთა სამეფო საგვარე-
 ულოს უხუცესი წევრი, რომელსაც ყველა მისი წინამოადგი-
 ლენი ეკუთვნოდენ, და არა მაინც და მაინც ფარნაჯომის
 შვილი, როგორც ეს „ქართლის-ცაოვრების“ შემდგენელს
 ჰგონია.

რაც შეეხება მატიანის პირველ ცნობას, ვითომც ბრატმან-
 მეფეს მცხეთისათვის ზღუდე ემატებიოს, გადაჭრით შეგვიძლია
 ფოქვათ, რომ ეს ცნობა არავითარს სიმართლეს არ შეიცავს.
 ქალაქის ზღუდის მატება შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც ქალაქი
 უკვე არსებობს; მაშინადამე, საქიროა ვიფიქროთ, რომ მცხე-
 თაში ქალაქი ბრატმანის წინამოადგილის (არტაგის) დროსაც
 უნდა ყოფილიყო; მაგრამ ამგვარ აზრს ძირიანათ არღვევს
 სტრაბონის მიერ შენახული გეოგრაფიული ცნობანი ჩვენი
 ქვეყნის შესახებ. ეს ცნობები თვით დღევანდელ წიწამურის
 სოფელსაც კი ციხე-ქალაქიდ ასახელებენ; მაგრამ დღევანდელი
 მცხეთის მიდამოებში უბრალო სოფელსაც არ იხსენიებენ!
 ძნელი დასაჯერებელია იმ ადგილის, სადაც პომპეიმ ჯარი
 გაიყვანა, ზემოთ დასახელებულ ორ ქალაქს გარდა, კიდევ
 მესამე ქალაქი ყოფილიყოს და რომაელ ეტნოგრაფებს კი იგი
 ვერ შეემჩნიოსთ ან განვებ უყურადღებოდ დაეტოვებიოსთ.
 ამიტომ, ვვონებთ, ქრთლის-შოქცევის ქრონიკა უფრო ახლო
 სინამდვილეზე, როდესაც იგი ბრატმანის მეფობას მიაწერს არა
 მცხეთის ზღუდის „მატებას“, არამედ პირდაპირ მცხეთაში ქა-
 ლაქის დაწებას: „და მეფობდა ბრატმან, რომელსაზე მცხეთას
 ქალაქი დაწეო“. 216) გადრამ არის ერთი გარემოება, რომელიც

216) სამი ისტ. ხრონიკა, გვ. 8=ქრონიკები I. გვ. 17.

ջզացով յիշեցնեցնեց, հռմ յև սպանաս քնյելո լինուն առ սբճռ
 ոցուն Նրանո ուժությունուն և նոնամքազունուն գամռմեա ըզյելո. Տաելուն
 լուսուն մը-II Տաղյունեան յի. Մշմաց յլազաւուն Յուլուն
 մը օմ քաստուա ուզերուն Մասանունազ յալայիցնեց գա ազգու-
 լուն ուն Տու; ամ Տունի, արմաթ-Կոեցն (—„Armaactica“) գա
 սցցամռարաս (—Մշմաց յլազաւուն „Soura“) անց Շոթամունուն գարճա,
 հռմյելուն Տրուածունուն ունեցնուն եւ տուուն Տեց յալայիցուա
 առնունուն (մացալ. Artanissa, Zalissa գա Տեց.), Տականուն
 մը յուրաց յլազաւուն, Տրուածունուն յլազաւունուն գա-
 րճա, Տեց աեալու յլազաւունուն մասալուն Յիշուն յլազաւուն ելուն;
 մացրամ Յուլունուն Տունի մպեցուն Տեցն յլազաւուն ահա. ²¹⁷⁾ Մյուրց
 մերուու, յլազաւուն Յիշուրալուն Մունուն յալայի մպեցուն Յուրացուն
 ունեցնուն մերուուն Տունուն ունեցուուն մասու յլարցնուն,
 հռմցեսաւ Ռ. Բնուն մոյր մորունուն մովյուցուն Տեցն յլազաւուն,
 մը-IV Տաղյունուն Յուրացուն նաեւահն յի. Մշմաց. ²¹⁸⁾ մանամց
 յու յալայի մպեցուն յլազաւուն Յիշուրալուն առ ունութեն. Հաւ
 նունաւ յուազունուն յի, ույ ահա ոմաս, հռմ ու, Հաւսաւ յար-
 տաւուն-մոյշուն ծարագմանուն մյուրանան մպեցուն „մպեցուն յալայի գու-
 ծաւ“ յմանուն, նամցունուն յալայի գուծաւ առ սբճռ յուու-
 լունուն? մաս հա սբճռ յուուլունուն ոցի? հիցնուն ցոյշիրուու,
 յև սբճռ յուուլունուն մը յուրաց մարցենա նաձուրաս, Տագաւ լուց-
 անցունուն մպեցուա, Տրուածույունուն մասակայի գույշ-կոմիշունուն
 և այլուն հայրա գա ահա Տայլայի ազգունուն մունցուցուն գո-
 ւուն յլազաւուն, հռմյուն յև հիցնուն մյոյշունուցուն Յուրացուն,
 որչէր նուն-նուն հռմայլուն մեյժունուն Մյուրուցուն (չյր
 Յունակունուն արուացուն ուրուն գա մյուր յանուու-յիհասսունուն - ուցուուն
 ծարագման-յահնացան-II-ուն մյուրանան) Տունուն մերուու ասուլուն
 ծարագման-մյուր մը յուրաց հիմալուն անց մարցենա նաձուրանուն
 մոյշուն յուուլունուն գուծաւ առ գուծաւ մուսու յամօցրաց առ Հաւ-

²¹⁷⁾ Յուլունուն 120—170 Բ. յի. Մշմաց. նախ. Գանի—Իշտետի...
 I, стр. 169.

²¹⁸⁾ Յուսու յարցնուն—История Армении, стр. 132 (=кн. II, § 86).



ესისავე შემოსევის დროს მტკურის მარცხენა მხარეზე მაინც უშესაძლო ყოფილიყო მტრის შეჩერება და უვნებლათ მთებში გახიზნა.*.) ერთის სიტყვით, ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ბრატან-ფარნავაზს უნდა დაეწყო მხოლოდ მცხეთის ციხისა და ორა ქალაქის აშენება, წმინდა სტრატეგიულის მოსაზრებით. მაგარმ, როგორც სჩანს, მექრონიკემდე ამ ამბავს უკვე გაზვადებულის სახით მიუხწევია და, აი, ჩვენც ვკითხულობთ ქრონიკაში, ვითომც ბრატმანს „მცხეთას ქალაქი დაეწყოს,“ ხოლო მის მექვიდრე მირვანს კიდევაც დაესრულებითს ამ „ქალაქის“ აშენება. ²¹⁹⁾ მაგრამ, უეჭველია, შეითხველი დაგვეთანხმება, რომ მირვანს შეეძლო დაესრულება მხოლოდ იმისი აშენება, რაც მისმა წინამოადგილემ „დაიწყო“, ე. ი. მცხეთის-ციხისა და ორა ქალაქ-მცხეთისა, ამ სიტყვის მერმინდელის მნიშვნელობით.

ბრატმანის (=ფარნავაზ II-ის) შემდეგ ტახტზე დასვეს მირვან შე-II, რომელსაც ვახუშტის ქრონილოგიით უნდა ემეფინოს ათს წელს,²²⁰⁾ ე. ი. ჩვენის ანგარიშით 32-იდან 22 წლამდე ქ. წინ. ამ მეფის ვინაობა და ჩამომავლობა ჩვენ უკვე გამოკვლეული გვაქვს; რაც შეეხება მის მოღვაწეობას, ამაზედაც ბევრი ლაპარაკი არ დაგვჭირდება, რადგან ჩვენი ისტორიული წყაროები ამ საგნის შესახებ ძლიერ ძუნწოდენ. სახელდობრ, ქართლის-ცხერება მას მეფობის ისტორიას სულ ხუთის სიტყვით გადმოგვცემს: „ნებიერად ჰმეფობდა მცირედ უამ და მოკვდაო“;²²¹⁾ ხოლო ქართლის-შაქეცვა, როგორც აღვნიშნეთ, მას მიაწერს მხოლოდ „მცხეთის ქალაქის“ ან, როგორც ჩვენ გვესმის, მცხეთის-ციხი²²²⁾ დასრულებას.

*.) როგორც ნოთ არტაგის მიერ არმაზის მიტოვება, მტკურის მარცხენა ნაპირზე გადასვლა და ხიდის დაწვა, როცა მას უკან პომპეის ჯარი მისდევდა; შემდეგ არაგვის პირად ბრძოლა და ქართველების დამარცხეა.

²¹⁹⁾ სამი ისტ. ხრონიკა, გვ. 8.

²²⁰⁾ ვახუშტი—საქართველოს ისტორია, გვ. 44: „მეფე მირვან II, 33—23 ქ. წინ“.

²²¹⁾ ქართლის-ცხოვრება I, გვ. 47.

რომ მცხოვის-ქალაქის აშენებაზედ შემდეგში აღმოჩენილი
გვიხდეს ლაპარაკი, საჭიროდ ვრაცხ ამ 1 აკითხს აქვე ვუძღვ-
ნად რამოდენიმე სიტყვა. როდის უნდა იყოს დაარსებული
მცხეთა-ქალაქი და სახელდობრ ვის უნდა დაეარსებიოს იგი?
როგორც პტოლომეის (130—170 წ. ქ. შემდეგ) მოწმობიდან სჩინს. 170 წლამდე ქ. შემდეგ მცხეთაში ქა-
ლაქი არ ყოფილა. ხოლო მოსე ქორენელი გადაჭრით გვეუ-
ბნება, რომ, როდესაც წმ. ნინო მცხეთაში საქაშაგებლად შე-
მოვიდა, მაშინ აქ ივერიელთა სატ. ხტო-ქალაქი („პერვიცი-
თოსის ისტორიუმის მცხეთაში“) იყოთ. ჩვენის გამოახვარიშებით წმ.
ნინოს შემზადებულობის უნდა მომხდარიყო 298 წე-
ლზე ცოტა ადრე.²²²⁾ მაშინადამე მცხეთაში ქალაქი უნდა დაა-
რსებულიყო არა უადრეს 170-ისა და არა უგვიანეს 298
წელსა ქ. შემდეგ, მაგრამ სახელდობრ რომელ წელს უნდა
მომხდარიყო ეს ამბავი, ამის გარკვევა, იმ მასალების მიხედვით,
რომელიც დღეს ხელთა გვაქვს, ყოვლად შეუძლებელი საქმეა.
ამგვარათვე შეუძლებელია იმის გამორკვევაც, თუ სახელდობრ
რომელი პირის ანუ მეფის ინიციატითაა იგი დაარსებული.
ჩვენ გვვინია, რომ მას შემდეგ, რაც მტკვრის მარკენა ნა-
პირის მცხეთის-ციხე აშენდა (ბრატმან-სა და მირვანის მეფო-
ბაში), იქ თანდათან, თვით არმაზისა და წიწამურის ბუნე-
ბრივი ზრდისა და სწავი ისტორიულ გარემოებათა გამო, უნდა
შემზადებულიყო ნიადავი ქალაქის დასაარსებლად. როგორც
ვთქვით, სტრატეგიულით ეს პუნქტი უფრო ხელსაყრელი იყო
ქართველი მეფეებისათვის, ვინემ არმაზის კლდეები, რადგან,
დარიალის ხეობაში ზურგ-გამაგრებულთ, მათ ჩრდილოეთიდან
უფრო ნაკლები შიში მოელოდათ გარეშე მტრებისაგან, ვინემ
იმ მხრიდან, სადაც არმაზი მდებარეობდა. მეორე მხრით,
თვითონ არმაზის აღგილ-მდებარეობა ისეთია, რომ თითქმის
შეუძლებელი უნდა ყოფილიყო აქ ვრცელისა და ხალხმრა-

²²²⁾ იხ. ჩემი გამოკვლევა: „საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი“ (=„მოამბე“ 1905 წლისა, № III, გვ. 15)



ჭალი ქალაქის განუწყვეტელი ზრდა-განვითარება, სპორტული ცოტათ თუ ბევრათ გაშლილი ადგილი სჭირდება; ამიტომ, უექველია, თვითონ არმაზ-ქალაქის ზრდა-განვითარებაში და-დგებოდა ისეთი მომენტი, როცა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ზედმეტი“ მოსახლეობის იძულებული გახდებოდენ იქვე მტკვრის მარტენა ნაპირის გადასახლებულიყვენ, მცხეთის ცი-ხის მახლობლათ და მის მფარველობის ქვეშ. ამგვარათ, პირველხანათ მცხეთა უნდა გამხდარიყო არმაზ-ქალაქის ერთ-ერთ უბნად. როგორც თვით ჩვენივე წყაროებიდან სჩანს, პირველ საუკუნეში ქრ. შემდეგ ამ უბანში დასახლებულიან იერუსალიმიდან გამოდევნილი ებრაელები,²²³⁾ რაც უფლებას გვაძლევს დავსკვნათ, რომ ამიერიდან ეს უბანი უნდა გა-მხდარიყო არმაზ-ქალაქის საიდუბ-მიცემო ცენტრად და თანაც არმაზის დანარჩენ უბნებისაგან განსხვავებულ კუთხედ, რამდე-ნათაც ებრაელთა მონოთეიზმი და სოციალური ცხოვრება გან-სხვავებული იყო არმაზელთა დუალისტურ მაგიზმისა და საზო-გადოებრივი წყობილებისაგან. გვვინა, აგრეთვე, რომ მე-II და მე-III საუკუნეში ქრ. შემდეგ, როდესაც ქრისტეს მოძღვ-რებამ საიდუმლოთ იწყო გავრცელება ჩვენს ერში,²²⁴⁾ ახალი მოძღვრების პროზელიტებიც ამავე უბანში უფრო მოახერხებ-დენ ცხოვრებას, მონოტეისტ ებრაელების მეზობლათ, ვინემ არმაზ-ზალენისა, ცეცხლისა და ინარდის თუვანისწევმელ არმა-ზელთა შორის, აღნიშნულ ლვთაებათა სამლოცველოების მახ-ლობლათ. საყურადღებოა, რომ, როგორც ჩვენი წყაროები გადმოვცემენ, თვით წმ. ნინო და მისნი ახლად დამოწაფებუ-ლი ქალებიც სწორეთ ამავე უბანში იჩინენ ბინას და არა მტკვრის მარჯვნივ მდებარე, არმაზ-ქალაქში, სადაც, მაშინდე-ლი ქართველების თქმით, „ლმერთნი ხდეიდენ და მეუყნი ნე-ფობდენ“.²²⁵⁾ ერთი სიტყვით, ჩვენ ვჟიქ-ობთ, რომ მცხეთა-

²²³⁾ სამი ისტ. ბრონიკა, გვ. 9—ქართლის-ცოვრება I, გვ. 61.

²²⁴⁾ ის. ზემოთ დასახელებული ჩვენი წერილი=„მოამბე“ 1905 წ.

№ III, გვ. 3—9.

²²⁵⁾ ახალი ვარიანტი წმ. ნინოს „ცხოვრებისა“ გვ. 16.

ში განსაკუთრებული „ქალაქი“ 298 წელზე გაცალებით უფრო აღრე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ სატახტო ქალაქიდ იკი უნდა გადაკეთებულიყოს მას შემდეგ, რაც ივერიაში ქრისტიანობა სახლმწიფოებრივ სარწმუნოებად იქმნა აღსარებული (323 წ. ქ. შემდეგ), თვით ქართველმა მეფეებმაც გამოიცვალეს ძველი სარწმუნოება და, საცეცხლების ნაცვლად, მტკვარის მარცხენა ნ. პარას ეკლესიები აღაშენეს. ჩვენის ანგარიშით ეს მოხდა 322—326 წლებში ქ. შემდეგ;²²⁶) და, მა-შასადამე, ცხეთის სატახტო ქალაქიდ გამოცხადებაც ამის შემდეგ უნდა მომზღვიულ და არა მანამდე, როგორც ეს მოსე ქორონელსა ჰკონია.

მირვან მე-II-ის შეძეგ ივერიის ტახტი დაიკირა არშავ მე-II-მ ანუ არსებობა, როგორც მას ქართლის-მოქარევა უწოდებს.²²⁷⁾ უკვე არა ერთხელ გამოთქმულის მიზეზისა გამო, ჩვენ ზედმეტად მიგვაჩინია ამ მეფის ჩაშომავლობაზე ლაპარაკი, მით უმეტეს, რომ მისს „ფარნავაზიანობას“ ან, რაც იგივეა, ქართლოსიანობას, თვით ქართლის-ცხოვრისა ან უარ-ჰყოფს: უესე მირვან. ეფე იყო დედით არშავინიანი და შამით ნებრო-თაიანი, ფარნავაზიანით“, ამბაბს იგი²²⁸⁾ არსუკის ანუ არშავ მე-II-ი: ცხოვრებიდან ქართლის-მოქარევის ქრონიკა იხსენიებს ერთს საყურადღებო ფაქტს, რომელსაც ქართლის ცხოვრება არ იცნობს. სახელდობრ, ქრონიკა ამბობს: არსუკა „გასპა შეიძერა და უფლის-ცისე განაკთო.“ იკითხება: რათ უნდა დას-კირვებოდა ას სუკ-მეფეს „კასპის შეპყრობა“ და უფლის ცი-სის განვება? ნუ-თუ იქ არეულობა რამე ან ლალატი სუ-ფავდა? თუ გვსურს აღნი-ნული ადგილის აზრი შევიტყოთ, საჭიროა იგი შევუდაროთ ქრონიკის დასაწყისს, სადაც ამავე ციხე-ქალაქებზეა ლაპარაკი. სანამ მცხეოს პროვინციაში აზო-ქართველი გამეფებდებოდა, — ამბობს ქრონიკა, — ეს-პი,

²²⁶⁾ იხ. „მოამბე“ 1905 წ. № IV, გვ. 20—21. 24.

²²⁷⁾ სამი ისტ. ხრონიკა, 8—„ქრონიკები“ I, გვ. 17.

²²⁸⁾ ქართლის-ცხოვრება I, გვ. 48.

უფლის ციხე და რაჭოდენიმე სხვანიც ნახევრათ ველურისა და
 სასტიკი ბუნთურქების ხელშა იყო;²²⁹⁾ ხოლო, როგორც
 ქართლის-ცხოვრება განმარტებს, ესევე ბუნთურქი ანუ „თურ-
 ქი“ თვითონ ქართველებისავე ნებაყოფლობით ყოფილან ჩა-
 მო. ახლ ებულნი ჩვენ, ქვეყანაში მეფების დარსებამდე.²³⁰⁾
 ცხადია, მაშასადამე, რომ მეფობის დაარსებას შემდეგაც იგინი
 ქართველებისავე ნებართვით გარაგრძობდენ იმავე აღგილებში
 ცხოვრებას. მაგრამ, როგორც სხინს, არსლკ მეფეს საჯირდ
 დაუნახეს მათთვის ორი უმთავრესი პუნქტის კასპისა და უფ-
 ლის. ციხის ჩამოერთმევა და პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრე-
 ბად გამოცხადება, რადგან შესაძლოა უკულტურო ბუნებურ-
 ქებს, როგორათაც მათ ქართლის-მოქცევა ხაზეს, დროინათ
 ვერ შეეგუებითსთ მონარქ ული მართვა გამგე-ბრეს წესები და
 ქართველი მეფებისათვის უჩჩიბა გაეწიოსთ. სხვა, ამაზე უფრო
 ბუნებრივი, ასენა ზემო-აღნიშნული ფაქტისა ჯერ-ჯერობით
 ჩვენ ვერ მოგვიძებნია.

დასასრული. იმავე მეფეს ცხოვცებიდან ქართლის ცხოვრე-
 ბაც ის ნიებს ერთ ფაქტს. რომელსაც არ შეგვიძლია ყურად-
 ღება არ მივაქციოთ, რადგან ამ ფაქტის გარკვევაზეა დამოკი-
 დებული მაშინდელი ჩვ ნი სამ ფოს საზღვრების გამორკვევაც
 აღმოსავლეთის მხრივ. სახელდობრ, მატიანე ამბობს, ვითომც
 არშაკ მე-II-ეს „განეშვერებითს ნენქარ-ქალაქი კახეთისა, რო-
 მელ არ ნერესი,“ ხოლო ცოტა უფრო აღრე, სახელდობრ
 ღარნაჯომის მეფობაში, იგივე მატიანე მოგვითხრობს, ვითომც
 აღნიშნული ქალაქის, აშენება თარნაჯომს ეკუთვნიდეს.²³¹⁾ მაგ-
 რამ, როგორც რომელი მწერლები გადმოგვცემენ, ის ადგი-
 ლები, სადაც დღეს ნეკრესი იმყოფება, იმ დროს, რომელსაც
 აღნიშნული თქმულება შეეხება, ალბანელებს ეკუთვნოდა და
 არა ივერიელებს. სახელდობრ, პლინიუსი (29—79 წ. ქ. წ.)

229) სამი ისტ. ხრონიკა, გვ. 1—2 = „ქრონიკები“ I, გვ. 11.

230) ქართლის-ცხოვრება I, გვ. 30.

231) ქართლის-ცხოვრება I, გვ. 48 და 43.

შემდეგ) გადაპკრით ამბობს, რომ ივერიელებსა და ოლბანელებს ერთმანეთისაგან ჰყოფს „მდინარე ალაზანი (Alazo), რომელიც კუკასინის მთებიდან გამოდის და მტკვარში ჩადისომ;“²³²⁾ ხოლო კლავდიუს პტოლომეი გვარწმუნებს (ცხოვრ. მე-II საუკ. ქრ. შემდეგ), რომ ნეკრესის მეზობლათ მდებარე ქალაქ (=,,Хабала“) ოლბანიის ქალაქი იყო.²³³⁾ ამიტომ არ ვიცით, რა გზით უნდა მოეხერხებიათ ფარნაჯომსა და არშაკ მე-II ეს ხევის სამფლობელოში ქალაქ-ნეკრესის აშენება გინდ გამშვენება, როგორც ქართლის ცხოვრება გვარწმუნებ . ყოვლი-სავე თქმულის ძალით ოლნიშნული გარდამოცემა მატიანისა ნაგვიანევ ნაწარმოებად უნდა ჩაითქვალოს და, როგორც ავეთი, არშაკ მე-II-ის ცხოვრების ოღვერიდან სამუდამოთ უნდა გამოირიცხოს. ეს მით უცეტეს, რომ ამ ამბავს ქართლის-შოქცევის ქართლი არ იხსენიერს და ამ შემთხვევაში, როგორც ბევრგან სხვაგანაც, რგო უკეთ ეთანხმე უცხოეთის მწერლებს, ვინემ ქართლის ცხოვრება.

არსუკის ან არშაკ-მე-II-ის მეფობის დასასრულს ვახუშტი ბატონი²³²⁾ ვილი დასდებს მე-2 წელს ქრ. დაბადებამდე და როგორც ჩანს, ამ თარიღს იგი ამყარებს ქართლის-ცხოვრების იმ აღგილზე, სადაც არშაკის მომდევნო მეფის ადერქის შე ახებ ნათქვამა, რომ „პირველსა წელს მეფობისა მისია ა. იშვა უფა-ლი ჩვენი იქსო ქრისტე, ბეთლემს ურისტანისასო“²³⁴⁾ უეპ-ველია, ეს წმინდა სახარებისებური ქრონილოგიური ცნობა,

²³²⁾ გამ—Извѣстія... I, стр. 107.

²³³⁾ I idem, стр. 170; ამასვე იმეორებს ზემოთ დასახელებული პლინიუსი=იქვე გვ. 107.

²³⁴⁾ ქართლის-ცხოვრება I, გვ. 50.—ვახუშტი—„საქართველოს-ისტორია“, გვ. 44; შეადარეთ აქვე წინასიტყვაობა პირველი ვახუშტი-სივე გვ. II, სტრიქონი 12—13 ბოლოდან: „ხოლო ადერქის მეფობა იქმნა «პირველსა წელს ქრისტეს შობისას»—თ ამბობს ვახუშტი; შეადარეთ ესვევ წინასიტყვაობა გამომცემლის მიერ, არ ვიცით კი რა მოხაზრების ძალით, „ქართლის-ცხოვრების“ წინ ჩატული=„ქართლის-ცხოვრება“ I, გვ. 8, სტრიქონი 14—15 ქვეიდან.

უმცელ შემთხვევაში მისი რედაქტირა მაინც, თვით იმ წერილის
თულს დროს არ უნდა ეკუთვნოდეს, ოოდესიაც არშაკი და
ადერკი ცხოვრობდენ; მაგრამ, აღვან ამ საგნის შესახებ სხვა
არავითარი მასალა არ მოგვეპოება, იძულებული ვართ ჩვენც
ამავე ცნობას დავემყაროთ და არშაკ მე-II-ის (=არსუკის)
მეფობის დასასრულად ჩავთვალოთ 1-დი წეის უქნასეჭნელი
ოვეები ქრ. დაბადებამდე და არა მე-2 წელი, როგორც ვახუშ-
ტი ბატონიშვილი იქცევა. ამ-გვარათ, არშაკ II-ეს (=არსუკს)
უნდა ემეფნოს, ჩვენის ქრონილუგით, 22-1 წეებს შორის
ქრ. დაბადებამდე.

ჩვენ გავათავეთ ისტორიულ კრიტიკული მიმოხილვა იმ
ღარიბი მასალისა, რომელიც მოგვეპოება ჩვენი ერის წარული
ცხოვრების შესახებ პირველ საუკუნეში ქრ. დაბადებამდე. რო-
გორც უკვე არა ერთგზის აღვნიშნეთ, ამ საუკუნეში რომა-
ლებმა პირველად გაიცვნეს ივერია და აღმან-ა და პომპის
სახელოვან ლაშქრობის დროს პირველად შეჰქრიბეს ძვირფასი
გეოგრაფ ული და ეტნოგრაფიული მასალები ჩვენი ქვეყნის
შესახებ; ამ მასალებით შემდეგში ისაზებლა ცნობილმა გეოგ-
რაფმა სტარიაბონმა, რომელმაც დაკვიტოვა ფრიად საგულის-
ხმო ცნობანი ივერიასა, აღმანისა და კოლხიდაზე. ამ მასალის
მნიშვნელობა ჩვენი ისტორიისათვის იმდენათ დიადა, რომ,
უკეთუ სტარიაბონის მაღლიანა ხელს იგი არ უკვდავ ეყო თვისს
უკვდავ შრომაში, ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელი იქმნებოდა
მეცნიერული შემოწმება თვით იმ ღარიბ მასალისაც კი, რო-
მელიც აღვილობრივს წყაროებში მოგვეპოება; აღარას ვიტ-
ყვით იმაზე, რომ ჩვენ თითქმის არავითარი რეალური წარ-
მოდგენა არ გვექნებოდა ჩვენი ხალხის შინაურის სოციალუ-
რისა და საზოგადო კულტურული ცხოვრების შესახებ, რად-
გან უძველესი ნაწილი ჩვენი მატიანისა, რომელიც ჩვენს ძველ
ისტორიას შეეხება, ამ საგნის შესახებ ან სრულიად არავი-
თარს ცნობას არ იძლევა, ან-და გვაწვდის ისეთს ცნობებს,
რომელიც გაცილებით უფრო გვიანდელი დროიდანაა აღვ-
ბული, ვინემ იმ ეპოქიდან, რომელსაც ესა თუ ის მატიანის

მოთხრობა შეეხება. მოკლეთ რომ მოვჭრათ, ჩვენი ძველი ცხოვრების ისტორიულ-მეცნიერული შესწავლა შესძლოა მხოლოდ იზის წყალობითა და იმდენათ, რამდენათაც ამის ნებას გვაძლევს საზოგადოთ ბერძენ და რომაელ მწერალთა ცნობანი ჩვენ, ქვეყნის შესახებ და განსაკუთრებით კი ის უკვდავი ცნობანი, რომელნიც მსოფლიო გეოგრაფია დაგვიტოვა პირველ საუკუნის პირველს მეოთხედში ქრ. შემდეგ; ²³⁵⁾ ამიტომ სიკიროდ ვრაცხოვთ ამ წერილის მეორე ნახევარი აღნიშნულ ცნობათა სისტემატიურს გიმოხილვას დავუთმოთ.

პირველათ კოლხიდიდან დაჭიშყებთ, შემდეგ გადავალოთ ივერიაზე და დავათავებთ ალბანიით. ^{*)}

— ამავე იდეაზე გვითხოვთ ამავე მიზან მიმოვ ცხადი : ის მდგრად მოვალე მოვალე მამა და ამით გვითხოვთ თუ ამ რეალურობის მამობრივ ცხადით თვით — ცხად კოუალი-მისამართის

აა) საზღვრება. სტრაბონის „გეოგრაფია-ს“ ზედმიშვენით შესწავლა გვიჩვენებს, რომ პირველ საუკუნეში ქრ. წინ კოლხიდა მდებარეობდა შემდეგს საზღვრებ შორის. ჩრდილო-დასავლეთით მისს უკანასკნელ ქალაქს წირმოადგენდა „დიდი პ-ტიუსი“ (=პირველი ანუ ეხლანდელი ბიკვინთა), რომ ელსაც დასავლეთით ჩაუდის მდ. კაპეტის წყალი, ხოლო ამას იქით მდებარეობდა ზიგებრსა (ჯიქ ბის.) და კერკეტების (=ჩერქეზების) ქვეყანა; ²³⁶⁾ დასავლეთით — შავი-ტლვა (პანტი), ხოლო

²³⁵⁾ სტრაბონი ცხოვრობდა 66 წ. ქრ. წინ და 24 წელს ქრ. შემდეგ (განხ—ივენესტია... I, 55).

^{*)} სტრაბონის ცნობანი ამ სამ მხარეზე მოთავსებულია მისი „გეოგრაფიის“ მე-XI წიგნის მე-2, მე-3 და მე-4 თავებში. ქვემოთ ჩვენ ყველან აუჩვენებთ როგორც წიგნს, ისე თავსა და პარაგრაფს აღნიშნული შრომისას მიშჩენვოს რუსული თარგმანით (=„География Страбона“, переводъ съ греческаго Ф. Михенка. Москва 1879 г.), ხოლო, სადაც საჭიროდ დავინახავთ, განხ—ის თარგმანსაც მოვიშველიებთ; ამასთანავე ვაცდებით სტრაბონის ნომენკლატურა სათანადო ადგილობრივი სახელებითაც გავარკვითთ.

²³⁶⁾ География, кн. XI, гл. 2, §§ 14 и 12.

სამხრეთ-დასავლეთით — ტრაპიზონის მთა ტრაპიზონამდე; 237) ამ რიგათ: შავი-ზღვა კაპეტის წყლამდე და ტრაპიზონამდე, — აი კოლხიდის დასავლეთი საზღვარი.

ადმისიავლეთით კოლხიდა გაყოფილი იყო ივერიისაგან იმ მთებით, რომელიც ივერიის ზემოთ ლიმართებიან და რომელთაგანაც გამოდის შორაპანში ჩამავალი ტოტები რიონ-ფაზისისა (ყვირილა და ძირულ ჩერიმელა), ე. ი. ლიხის ანუ სურამის მთა. 238)

ჩრდილოეთით ჩას საზღვრავდა სვანებით (= „სუანები“) დასახლებული ნაწილი კავკასიონის მთაგრეხილისა. 239)

კოლხიდის სამხრეთის საზღვარს, როგორც სჩანს, შეადგენდა: იმავე ლიხის მთის გაგრძელება; შემდეგ მთები სამცხისა* და შავშეთისა ჭოროხამდე, საჯაც ამ უკანასკნელს ერთვის შავშეთის-წყალი; მერე — თვით წინაარე ჭოროხის შეაწელი თორთომის-წლის შესართავამდე; დასასრულ მთა, განმყოფელი ტობა-კარისა და კლარჯეთისა, და პარხალის მთა (= „პარხადრა“). 240)

237) Ibidem, kh. XI, gl. 2, § 14.

238) Ibidem, kh. XI, gl. 3 § 4.

239) Kh. XI, gl. 2, § 19.

*) ამ მთას ვახუშტი ბატონიშვილი ზოგან ამავე სახელს უწოდებს („გეოგრაფია საქართველოსი“, 1804 წ., გვ. 323, სტრიქ. 5), ზოგანაც „სამცხე-გურიის შუა ზთაა“ (იქვე, გვ. 320, სტრ. 8).

240) რა თქმა უნდა, სტრაბონს არც ერთი აქ აღნიშნული გეოგრაფიული სახელი არ აქვს ნახმარი (იგინი ჩვენ ყველა ვახუშტის გეოგრაფიიდან ვისესხეთ); მაგრამ იგი გვაძლევს ისეთს ცნობებს, რომ იძულებული ვართ სწორეთ ეს საზღვრება, ვსცნოთ კოლხიდის სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთის საზღვრებად. სახელდ ბრ, გეოგრაფი ამბობს: შოსხების შთარ, სამ ნაწილად იყო დაყოფილი, რომელთაგან ერთი ივერიას ეკუთვნოდა, მეორე—სასომხეთს და მესამე—კოლხიდს, და თან დასძენს, რომ მოსხების მხარეში მდგრადე ივერიელთა ქალაქი იდეა (ვახუშტის — „იდა“) კოლხიდის საზღვრის მახლოւლ დ იმყოფებაო (География—Kh. XI, gl. 2, § 18); ამას გარდა, როგორც წინადაც შევნიშნეთ, კოლხიდის დასავლეთის უკიდურეს პუნქტად იგი სთვლის ტრაპიზონს, ხოლო ტრაპიზონისა და იდესას შორის მდებარე პარხალის (= პარხალის)

ავგვარათ, მაშინდელს კოლხიდაში შედიოდა: მთელი აფხაზეთა, ს. მეგრელთ, ხეანეთი, იმერეთი, გურაა, აჭარა, კლ-რ-ჯეთი და ჭანეთი.

ბბ) მთები, ტბები და მდინარეები. კოლხიდის მდინარე-თაგან სტრაბონი იხსენიებს მხოლოდ უმთავრესს მდინარეს— ფ. ზის ანუ დღევანდელს რიონს, რომლის სათავედაც ზას მიაჩინა არა ფასის-მთა რაჭაში, არამედ იმერეთისა და ქართ-ლის გამყოფი მთა ლიხისა, რომლიდანაც გამომდინარებს შო-რაპნ ს ხეობაში ჩამავალი ორი ტოტი რიონისა (=ყვირილა და ამის შტოები: ძირულა და ჩხერიმელა²⁴¹), რადგან იგი ამბობს, რომ ფაზისზე მდებარეობს ციხე-შორაპნით („Capa-panha“) და თანაც დასძენს, რომ ფაზისი გამომდინარებს „ივე-რიის ზემოთ გადაჭიმულ მთებიდან“, ხოლო ბარათ იერთებს გლავებს (=ყვირილა ან ტეხური) და ჭიშისათ (=ცხენის-წყალი).²⁴² ფ. ზისი უდიდესი და უმთავრესი მდინარე იყო კოლხიდამი, რადგან მისი ხეობით სწარმოებდა შიმოსვლა კოლხიდასა და ალმასავლეთის კავკასიას შორის: შევი ზღვიდამ შორაპნამდე ნავით, ხოლო შემდეგ მტკვრამდე ზმელეთით; ამ მდინარეზე გამარტული იყო 120-ზე მეტი საურმე ხიდი და მთელი ხეობა გაზაფრებული იყო მრავალი ციხეებით.²⁴³)

მთას აღიარებს სახომშეთის ჩრდილო საზღვრად (ე. ხ. XI, გ. 14, § 1). არ უნდა დავივიწყოთ, აგრეთვე, რომ ქართველების სტრაბონი, ვახუშტი ბატონიშვილი, ჭანეთის, კლარჯეთის, აჭარასა და გურიასაც კი ქართლოსისა და კერძოთ მცხეთის (=,,მსხეოს“=,,მესხეთ“=,,მოსხეთ“) წილად სთვლის და, თანაც, დასძენს, რომ გურულთა ენა იყო „მესხური“ და არა ეგრისულით. ყოველივე ეს საბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ აფ-ხაზეთისა, სვანეთ-იმერეთისა და სამეგრელოს გარდა, სტრაბონის დროინ-დელ კოლხიდის ნაწილნი უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე—გურია-აჭარა, ჭანეთი და კლარჯეთიცა, რომელნიც მდებარეობდენ სამცხესა, ზავ-ზღვასა, ტრაპიზონსა, პარხალის მთასა და ტაოს-კარ. (სადაც ქალაქი იღა) შორის.

241) შეად. ვახუშტის „გეოგრაფია“. გვ. 276.

242) География ე. ხ. XI, გ. 3, § 4.

243) Ibidem, ე. ხ. XI, გ. 2, § 17; გ. 3, § 4. საჭიროდ ვრაცხთ მცირეოდენი შენიშვნა ვუძღვნათ სტრაბონის გეოგრაფიის მე-XI წიგნის



მაგრამ ყველაზე უფრო მეტი შეიმუშავდობა კოლხიდისა-
თვის პეტრი შავენას, რომლის ცოდნას ვლეთის კიდე მდი-
დარი იყო ბუნებრივი ნაეთსადგურებითა და ყურეებით. ამ
ზღვით სწარმოებდა მიმოსვლა საბერძნეთთანა და სხვა ჯანათ-
ლებულ ქვეყნებთან. 244) ფაზისის ჩასართავის სამხრეთით ამ
ზღვის მახლობლიდან მდებარეობდა ტბა, 245) რომლის სახელსაც
სტრაბონი არ იცნობს, მაგრამ, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ
იუი არის შავლის ტოშის-ტბა.

კოლხიდის მთებს შორის სტრაბონი ასახელებს მხოლოდ
კაფკას, როგორც მისს ჩრდილო საზღვარს, 246) და იმ მთებს,
რომელიც კოლხიდასა და ივერიას შორის მდებარეობდენ და
საიდანაც გამოდის მდ. ფიზისი მისი შტოებით — ყვირილათი
და ძირულით, ე. ი. დისის ანუ სურამის მთას. 247)

გვ) ბუნების, სიძღვიდრი. მთელი ის არებარე, რომელიც
სტრაბონის დროს კოლხიდას ეჭირა, მდიდარი იყო ყოველ-
გვარის მცენარეულობითა, ხის-ნაყოფითა და ცხოველ-ფრინ-
ველებით. აქ ბლომათ მოიპოვებოდა სახომალდე ტყეები, სელი,

მე-II თავის მე-17 მუხლს, რომელშიაც ფაზისის სათაველ, შეცდომით,
დასახელებულია «არმენი». რომ ეს შეცდომა, ამას ამტკიცებს იმავე მუხ-
ლის შემდეგი სიტყვები, საიდანაც ვტყობულობთ, რომ ამ ფაზისზე მდე-
ბარეობდა ციცხვ სარაპანი», შემდეგ მას უერთდებოდა მდინარე «ჭიპოსი»
(= „ცხენის-წყალი“), ხოლო ზღვის ჩასართავთან მის გვერდით იღო ქა-
ლაქი «ფაზისი» (=ფოთი) და «ტბა» (= „პალისტომი“). ხრულიად უვიცი
უნდა იყოს კაცი, რომ დაიწყოს მტკიცება, ზოგორც ზოგიერთი ხომხის
მკვლევარი და პუბლიცისტნი სჩადიან, ვითომც ის ფიზისი, რომელზე-
დაც ამ მუხლში სტრაბონი ლაპარაკობს, კორონი იყოს და არა რიონ-
ყვირილა. — ამ შეცდომას სტრაბონი თვითონვე ასწორებს იმავე წიგნის
მე-III თავში (ვ 4), როდესაც ფაზისის სათავეს სდებს „ივერიის ზემოთ
გადაჭიმულს მთებში“ (=ლინის ანუ სურამის მთა) და არა არმენიაში,
როგორც ეს ზოგიერთს ჩვენს მეზობლება სურსთავ ასაკის მიერთოდა.

244) География кн. I, гл. 2, § 39.

245) Ibidem, кн. XI, гл. II, § 17; гл. III, § 4.

246) Кн. XI, гл. 2, §§ 14, 15, 19.

247) Кн. XI, гл. 3, § 4.

ქანაფი. თაველი, რომელიც ცოტა მომწარო გემოსი უკუკი, ამასთვის სანთელი (= «ОСЕНЬ») და ფისი. 248) ამასგარდა სტრა-ბონის დროს გავრცელებული ყოფილა თქმულება, ვითომც კოლხიდის ზოგიერთ აღვილებში იმდენათ უხვი და აღვილ-საშოვარი ყოფილოყოს ოქტო, როგორც გაზაფხულობით წყალ-დიდობა დაიწყებოდა, ნიაღვრებს მთებიდან ძირს ჩამოჰ-ქონდათ ხოლმე იჯი და მცხოვრებლები დაცხრილულ ვობე-ბითა და მატყულოვანის ტყავებით იქცერდენ მას, რისგამც წარმოედგარა ოქროს-მატყულოვან ვერძის შესახები თქმულე-^V ბათ 249) როგორც სჩანს, კოლხიდაში ვერცხლისა და რკინის მაღნებიც ბლომ დ ყოფილა. 250) რომ სტრაბონის მიერ კოლ-ხ-დის ბუნებრივ იმდიდრის აღწერაში არავითარი გაზევიდება არაა, ამას გვიმტკიცებს თითქმის ყოველი სტრიქონი ვახუშტი ბატონიშვილის მაერთ თვრიმეტი საუკუნის შემდეგ შედგენილის „გეოგრაფიის“ იმ თავებისა, სადაც „გერის-აფხაზეთსა ანუ იმე-რეთსა“ და „კლარჯეთ-ჭანეოზედაა“ ლაპარაკი. 251)

დღ) ქალაქებია და ციხე-სიმაგრეები. კოლხიდაში უუძ-ველესი დროიდან ცნობილი იყო სამი უმთავრესი ქალაქი: დიდი პიტიუსი (= პიუნდა ანუ ბიჭვინთა), დიოსკურია (ენდიან-დელ სოხუმის მიხლობლით) და ფაზისია, რიონის ჩასართავთან, მდინარეება და ტბას (პალიასტომის ტბას) შეუა. ორი უკანასკნე-ლი ქალაქი კოლხიდის სააღდეპიცემო ცენტრები იყო იმ დროს; კერძოთ დიოსკურიაში ამ მიზნით 70-მდე სხვა და სხვა გვა-რისა და ენის ხალხი იყრიდა თავს. 252) ამას გარდა, როგორც სტრაბონი მოწმობს, გვის დროს თურმე ფაზისის (= ფოთის) მახლობლით მოგზაურები „აიას“ ქალაქსაც უჩვენებდენ. 253)

248) ე. XI, გ. 2, § 17.

249) ე. XI, გ. 2, § 19.

250) ე. I, გ. 2, § 39.

251) ვახუშტი—გეოგრაფია, გვ. 256—258; 224—254.

252) География, ე. XI, გ. 2, §§ 14. 16. 17; გ. 3, § 4.

253) ე. I, გ. 2, § 39. ავოლონი როდოსელი (250—200 წ. ქ. წინ) გვარწმუნებს, ვითომც ამ ქალაქს „კოტაისი“ (ჩიტაის) რქმეოდეს

ციხე-სიმაგრეთაგან კოლხიდაში უშესანი მნაველი გური სა-
რაპანი (=შორაპანი), რომელიც მდებარეობდა მდ. ფაზისის
ერთ-ერთ შტოზე (=ყვირილაზე) და როგორცაც, სტრაბონის
სიტყვით, შეეძლო თავის კედლებ შორის მთელი ქალაქის
მცხოვრებლები დაეტია. ამ ციხიდან მტკვრიამდე ოთხი დღის
სავალი საურმე გზა იყო გავრილი, რომლითაც ხდებოდა კოლ-
ხიდასა და ივერიას შორის მისვლა-მოსვლა. როდისაუშენებიათ
ეს სიმაგრე ან ზემოდასახელებული ქალაქები, სტრაბონის
გეოგრაფიიდან არა სჩანს. მხოლოდ შორაპანის შესახებ გვაუწ-
ყებს ჩვენი მატიანე „ქართლის-ცხოვრება“, ვითომც იგი აღე-
შენების ფარნავაზ-მეფეს, რომელიც ჩვენის ქრონიკით
მეფობდა 272-206-წლებ შორის ქნ. დაბადებამდე; 254) და ჩვენც
ჯერ-ჯერობით არავითარი საფუძველი არა გვაქვს ამ ციხის
აშენება აღნიშნულ თარიღზე უძველეს დროს მივაწეროთ.—
როგორც სტრაბონის სიტყვებიზან სჩანს, შორაპანს გაოდა,
ფაზისის ხეობა ბევრი სხვა „სიმაგრეებითაც“ ყოფილი გამავრე-
ბული 255)

ე.) ძრხუავრებულები. კოლხების ჩამომავლობის შესახებ
სტრაბონის დრო, ზოგიერთ მკვლევართა შორის აზრი ყოვი-

(Гань—Извѣстія... I, стр. 48); ნუ თუ ეს ჩვენი ქუთასია?! რადგან
სტრაბონი ამ სახელს არ ცნობს, იძულებული ვართ გადაჭრილ დასკვნას
მოვერიდოთ.

254) ქართლის-ცხოვრება I, გვ. 39.

255) Географія кн. XI, гл. 3, § 4. სიმართლე მოითხოვს შევნიშ-
ნოთ, რომ ის პუნქტები, რომელთაც ჩვენი ქვეყნის აღწერის დროს უც-
ხოვთის მწერლები „ქალაქს“ (=„городъ“) ეძახიან, ძველად ბევრით
არაფრით განიხილავდენ უბრალო სოფლებისაგან და ციხე-სიმაგრეთაგან;
ხშირათ ეს პუნქტები უბრალო მოზღუდულს აღილს წარმოადგენდა, ჩვე-
ულებრივ, კლდოვანსა და მიუვალ მაღლობებზე, სადაც ბარის მცხოვრებ-
ლებლები შიშიანობის დროს თავსა და საქონელს შეაფარებდენ ხოლმე;
მაგრამ გაივლიდა თუ არა შიშიანობა, ეს „ქალაქიც“ ცალიერდებოდა
(ქსენოფონტი). ამ გვარათ ეს, უცხოთა მიერ ქალაქებად წოდებული, პუ-
ნქტები ქართველის ტომით დასახლებულ აღგილებში ძევლათ წარმოად-
გენდენ ზღუდეშემოვლებულს იმავე სოფლებს, ზოგჯერ უმოსახლადაც,—

ლა გავრცელებული, ვითომც იგინი ეგვიპტელთა მონათქმდეს ეს კუნ
ნი ყოფილიყონ; თვითონ სტრაბონი კი ამ საგნის შესახებ
თავის გადაწრილს აზრს არ გვეცნება.²⁵⁶⁾ სამაგიროთ, სხვა
უძველესი ისტორიკოსები სრულ საბუთს გვაძლევენ დავასკვნათ,
რომ კოლხებიც იმავე ტომისანი იყვენ; რომელსაც „მოსხები“
ანუ მესხები ეკუთვნოდენ;²⁵⁷⁾ ე. ი. ქართველ-ივერიელთა ტო-
მისა. ამავე უძველესი მწერლებისაგანავე ვტყობილობთ, თუ
როგორი შესახედაობისანი ყოფილან კოლხები გარეგნობით, რო-
გორი ჰქონებიათ თმა, პირის-კანი და სხვანი. მაგალითად, ჰე-
როდორე (480—426 წ. ქ. წინ), როგორც საკუთარის თვა-
ლით ნანახს, ისე გადმოგვცემს, რომ კოლხები შავგვრებანის
ფერისანი იყვენ და ხუჭუჭი თმა ჰქონდათთ;²⁵⁸⁾ ხოლო ჰიპო-
კრატე (470—376 წ.) გვარწმუნებს, ვითომც კოლხები მაღა-
ლის ტანისანიც ყოფილიყონ.²⁵⁹⁾

უმთავრესი ხედისა კოლხებისა, როგორც სტრაბონის აწე-
რილობიდან სჩანს, ვაჭრისა უნდა ყოფილიყო. ამას გარდა,
მათ შორის ფრიად გავრცელებული ყოფილა წარმატება სელისა,
რომლის ქსოვაშიაც იგინი კარგათ დახელოვნებული ყოფი-
ლან, არა მარტო შინ მოსახმარად, არამედ გასასყიდადაც.²⁶⁰⁾
ამ ხელობით კულხები უძველესი დროიდან ყოფილან ცნობი-
ლი, რასაც მოწმობს ჰეროდორე, რომელიც მოგვითხრობს,
რომ კულხები სელის-ქსოვაში ეგვიპტელებს არ ჩამოუარდებია-

სტრატეგიულის და არა სააღებმიცემო მიზნით. ამიტომ საფიქრებელია,
რომ იგინი ადგილობრივ იწოდებ-დენ „ციხე-ზღუდეებად“ და არა ქა-
ლაქებად (.შეად. И. ჯავახოვъ—Государственной строй др. Грузин... I, стр. 42—43) პიტიუსი, დიოსკურია და ფაზისი, აგრეთვე რამოდენიმე
სხვანიც (ივერიაში) ამ საზოგადო მდგომარეობიდან გამონაკლა შეადგენ-
დენ, რადგან სტრატეგიულთან ერთად იგინი სააღებმიცემო დანიშნულე-
ბასაც ასრულებდენ, რის გამო ჩვენც მათ ქალაქებად ვუწოდებთ.

256) ებ. XI, გლ. 2, § 17.

257) ჰეკატე (550 წ. ქ. წინ)= განъ—Извѣстія... I, стр. 8.

258) რამ. იოс. cit. стр. 14.

259) Ibidem, стр. 24.

260) Географія, ებ. XI, გლ. 2, § 17.



ნო. 261) კარგათ სკოლნიათ კოლხებს შეფუტებრობა, სახლმაღადე
და შინ-მისახარი ხეტყის დაშიადება (მაშასადამი, დურგვარბა
და ხუროობაც), ციხე-სიმაგრეთა და ხიდებს შენება. ნათსხობა,
და ვერცხლის მაღნებში შეშაობა, ოქრო-ვერცხლის გადაღნობა
და რკინიეუდობის კეთება 262)

იმ დროს, რომელსაც ჩვენ შევხებით, კოლხიდის უზე-
ნაერი გამგება ჯერ მიტრადატ-ევპატორის მოხელეებს ჰქონე-
ბიათ ჩაბარებული (რომელთ რიცხვშიაც ყოფილა, სხვათა
შორის, თვით სტრაბონის დედის გამის ძაცი, მოაფერნი); შემ-
დეგ კი—რომაელ მმართველთა ხელში გადასულა. 263) მხო-
ლოდ სვანებს („სოანი“, შერჩენიათ, როგორც სჩანს, შინა-
ურს მართვა-გამგეობაში დამოუკიდებლობა; სახელდობრ, მათი
მართვა-გამგეობა ყოფილა საკუთარის მეფისა და „სამასთა საბ-
ჭოს“ ხელში. 264)

რაც შეეხება კოლხების საფარის და სოციალურ წერილებას, ზნებასიათ, აღზრდია და ლაშქრობ ს წესს, საომარია და სა-
მუშაო იარაღებს, სახლის მორთულობასა და ტანისამოსს,—
სტრაბონი, სამშუხაროდ, ირაფერს არ გვეუბნება, თუმცა, რო-
გორც კოლხიდის ყოფილი მმართველი. ნათესავს, შეეძლო
ბევრი საინტერესო ცნობები გადმოვცა ჩვენთვის ყოვლისავე

261) განъ—Извѣстія... I, стр. 15.

262) Географія кн. XI, гл. 2, § 17; гл. 3, § 4; кн. I, гл. 2, § 39.

263) Кн. XI, гл. 2, § 18. რაც შეეხება თვით აღგილობრივს სა-
მეფო უფლებას პირველ საუკუნეში და მასზე უწინ, ამის შესახებ არც სტრამონსა და არც მის წინანდელ მწერლებს არავითარი ცნობა არ მოვ-
პოებათ. იმჭერნებ ბევრათ გვიანდელი ცნობა პრისკ პანილისა (მე-V
საუკ.). ბერძნის ისტორიკოსი იყო), რომელიც მოვითხოვს ლაშიკის (=ძველი კოლხიდა) მეფეთა შესახებ, რომ იქ ზოგჯერ მამა და შვილი
ერთსა და იმავე დროს მეფობდენ, მეფე ატარებდა სპარსულ ტანისამოსს
და თავის დამცველად, მიდიელთა ჩვეულებისამებრ, თან მუდამ ტაძრე-
ულნი (толохрнители) ახლდენ. И. Джаваховъ—Государственной стroy
др. Грузин. и др. Арменіп. т. I, стр. 29.

264) განъ, loc. cit. стр. 66.

ამის შესახებ. რომ ჩვენს მიოხილვას ცოტაოდენი სასაუკუთ
მაინც მივსცეთ, საჭიროდ ვრაცხთ, ეს ნაკლი, რამდენათ ც
შესაძლოა, სხვა უძველეს მწერალთა ცნობებით შევავსოთ,
თუმცა წინდაშინდე უნდა შეენიშნოთ, რომ ამ მწერლებსაც
მხოლოდ ზოგიერთ ზემოღასახელებულ საგანზე მოეპოება ოი-
თო-ოროლია ცნობა და არა ყველაზე. როგორც სჩინს, კოლ-
ხები საზაფხულო ტენისამოსის სელის-ქსოვილისაგან იკრავდენ,
ეგვიპტურების მსგავსად; 265) ხოლო მათს საჭურველს შეადგენდა:
ხის მუხარადი, ხარის ტყავისაგან გაკეთებული მორჩილი ფა-
რი, მ-კლე შუბი და სატევარი (= „боевои ножъ“); 266)
ამნაირათვე იქურვებოდენ ჰეროდოტის მოწმობით ის „მოსხის“
თემები და მაკრონები ანუ ჭანები, როგორც I-ელ საუკუნე-
ში ქრ. წინ, როგორც ზემოთ შეენიშნეთ, კოლხიდის ნაწილს
შეადგენდენ; 267) ამას გარდა, კერძოთ, ვაკრენები (= სანები
ანუ კნები), როგორც ქს ნოფონტე მოწმობს (431—354 წ.
ქრ. წინ), ომის დროს ტანზე იცვამდენ ტყავის ტანსაცმელს,
რომელიც ბალნით იყო დაფარული (= „власяница“); 268)
კოლხების საომარ (და სანაირო) იარაღს შეადგენდა, აგრე-
თვე, გამომყურეული სასროლი თოკი („арканъ“), რომლი-
თაც ომში მტერს იკერდენ, ნაღირობაში—ნაღირს, ხოლო
შინაურობაში საპალახოთ გარეჯილს ხარსა და ცხენს; 269) სვა-
ნების საომარ იარაღია შორის, ტრაბონის მოწმობით ყუ-
რადლებას იქცევდა ისრები, რომელთაც სვანები რაღაც გან-
საკუთრეულოს შხამით სწავლიადენ; ასე რომ ამ ისრებით
დაკრილთა წყლულობა თავისი სუნით უბრალო ისრით დაჭ-

265) Ганъ, Ioc. cit. стр. 138.

266) ჰეროდოტის მოწმობით=Ганъ, Ioc. cit. стр. 21.

267) Ibidem, стр. 21.—„საანნებს (=санны“) წინეთ მაკრონები
ერქვაო“, ამბობს სტრაბონი=География—кн. XIII, гл. 3, § 18. შეა-
დარეთ Ганъ, Ioc. cit. стр. 82.

268) Ганъ, Ioc. cit. стр. 35.

269) Ibidem, стр. 206.



რილებსაც კი აწუხევდა; 270) უეჭველია, მშვილდ-ისარი გვალნია—
დის დანარჩენ თემებსაც ექნებოდათ.

ის კოლხები, რომელნიც რიონის ჭაობიან ნაპირებში
ცხოვრობდენ (დაახლოვებით ცხენის-წყლის შესართავს ქვემოთ
შავ-ზღვამდე), ჰიპოკრატის მოწმობით (470—376 წ ქ. წინ),
სახლებს იკეთებდენ პარ-დაპირ წყალში (ალბათ ბოძებზე) ხისა
და წნელისაგან; ხოლო, რაღაც მათი არე-მარე მუდამ ჭაო-
ბიანი იყო და წვიმითაც ხშირად ირწყვიდა, ქალაქსა და ბა-
ზარში გასასვლელად, აგრეთვე თავისი ტყიანი ადგილების შე-
მო' ავლელადაც რიონის-პარელ კოლხებს მთელი თავისი ჩხა-
რე მრავალი არხებით (კანალებით) ჰქონდათ დალარული, ხა-
დაც მიმოსვლა პატარა ნავებათ სწარმოებდა (ამ ნავებს კოლ-
ხები მთელ-ტანიანი ხისაგან აკეთებდნ). რაღაც ჰავა ამ
ადგილებისა თითქმის მუდამ უცვლელი, ცხელი და ნოტიო
იყო, რაღაც სასმელი წყალიც არ ვარგოდა და, ხშირი ნის-
ლის გამო, მზის შუქიც იშვიათათ ახალისე' და არე-მარეს,
აღნიშნულ ადგილებში მცხოვრები კოლხები სხეულითაც სნე-
ულები რყვენ (სკირდათ არა ბუნებრივი სიმსუქნე და სიყვით-
ლე, როგორც სატებურიანს ან წყალმანკიანს) და ზნე-ხასია-
თითაც მეტათ ზანტნი: ჰიპოკრატის მოწმობით, იგინი ერი-
დებოდენ ყველაფერს, რასაც კი მათი დაქანცვა შეეძლო. 271)
მართალია, ეს ცნობები მე-V.-IV საუკუნეს შექება, მაგრამ,
თუ მოვილებთ მხედველობაში, რომ ჰიპოკრატის მიერ დახა-
ტული სურათი კოლხიდასა და კოლხების ერთის ნაწილისა
დღესაც კი ბევრის მხრით უახლოვდება რიონის-პარელ მეგრე-
ლების ცხოვრებას (ბოძებზე შედგმული ხის სახლები, წნელის
„ფაცხა“, მალიარია და სხვ.), უეჭველია დავერანხვები, რომ
აღნიშნული ცნობები ბევრით არაფრით უნდა იყოს დაშორე-
ბული რიონისპირელ კოლხთა I-ლი საუკუნის ცხოვრებას.
მაგრამ, რასაკვირველია, ეს კიდევ არ გვაძლევს უფლებას ჰი-
პოკრატის სუათი ყველა კოლხებს მოვახვოთ,*) რაღაც ჰი-

270) География,—кн. XI, гл. 2, § 19.

271) Гань—Извѣстія... I, стр. 23—24.

3. კურატი მოგვითხრობს შეთღვდდ იმ კოლხებზე, რომელთან
თეთო რიონის ახლო ნაპირებზე ცხოვრობდენ (“живущие у
Фазиса”), დაახლოებით იმ ადგილამდე, საიდანაც რიონის
წყალი მდორეთ იწყებს დენას (ჩვენის ფიქრით ცხენისწყლის
შესართავამდე ანუ ორ-პირამდე), და არა საზოგადოდ ყველა
კოლხებზე. 272)

ძლიერ კოტა ცნობას გვიტვებს სტრაბონი კოლხების
სარწმუნოების შესახებაც; ამიტომ იძულებული ვართ, ეს ნაკ-
ლიც სხვა წყაროებიდან შევივსოთ. ნიმუშიდორ სირაკუზელის
გადმოცემით, კოლხები ძველათ ყველაფერზე უფრო მეტათ
ცასა და დედა-მიწას სცემდენ თაყვანსა; 273) ხოლო ჰეროდოტის
მოწმობით, მათ ჩვეულებად ჰქონდათ წინა დაცვეთა ეგვიპტელე-
ბისა და ეთიოპების მსგავსად. 274) ძველათგანვე, როგორც ამო-
ლონი როდოსელი (250—200 წ. ქ. წინ) და იგივე ნიმუში-
დორ სირაკუზელი მ-გვითხრობენ, კოლხებს შეთვისებული
ჰქონებიათ (ჩვენის ფიქრით სპარსეთის გავლენით) შემდეგი
ჩვეულებაც: მამაკაცების სხეულს იგინი არცა წვავდენ, არც

*) ვისაც სურს ძველი დროის კოლხების მეფეთა და ღიღებულთა
სასახლეზე და ეზოს მორთულობაზე იქონიოს რაოდენათმე გაზვიადებული
წარმოდგენა, შეუძლია გაიცნოს პოლონი როდოსელის (250—200 წ. ქ.
წინ) პოეტური აღწერა კოლხიდის მეფის აიეტის კარ-მიდამოსი: მაღალი
კედლები, ფართო კარები, მშვენიერი სეტები კედლების გარშემო, ქვის
კარნიზები, დამყარებულნი ბრინჯაოს ტრიგლიფებზე; მწვანითა და ვე-
ნანის ვაზებით შემკული კარი-ბჭე, ოთხი შადრევანი, მრავალი თახები
და სხვანი,—აი რა ნაწილებისაგან შესდგებოდა, როდოსელის სიტყვით,
აიეტის სასახლე და კარ-მიდამო (Гань—Извѣстія... I, стр. 49). მაგ-
რამ ძნელი დასაჯერებელია ამ გარდამოცემის უმეტესი ნაწილი თვით
როდოსელის ფანტაზიის ნაყოფი არ იყოს.

272) როგორც სჩანს, ჰიპოკრატი იცნობს რიონის მხოლოდ ამ მდო-
რე ნაწილს, რადგანაც იგი ამბობს: „Рѣка Фазисъ пъзъ всѣхъ рѣкъ
имѣетъ самое медленное теченіе и болѣе стоячую воду“. (=Гань—
Извѣстія... I, стр. 24).

273) Гань, loc. cit. стр. 208.

274) Ibidem, стр. 15.



მარხავდები, არამედ ახვევდენ ახლად-დაკლულის ხარის ცუაცუნი
და შორის ტყეში ხეზე ჰკადებდენ. 275) უკანასკნელი გარემოე-
ბა გვაფიქრებინებს, რომ კოლხებში ზოროასტრის სარწმუნოე-
ბასაც უნდა ჰქონებოდა იდგილი. 276) და ასრულ, თვით სტრა-
ბონისგანვე ვტყობილობთ, რომ კოლხებს სამლოცველო და
მსხვერპლის შესაწირი ტაძრებაც ჰქონებიათ. სახელდობრ იგი
ავბობს: მესხების ქვეყანაში, რომლის ერთი ნაწილი კოლხებ-
საც ეკუთვნის, სდგას ტაძრი (ლევკოთეისა), სადაც ვერძს
მსხვერპლად არ სწირავენო; იქვეა ქადაგიც (= „օრაკულъ“),
რომელიც უწინ მდიდარი იყო, მაგრამ ჩვენს დროს უცხოე-
თას მეფეებმა გაძარცვესო. 277)

ამგვარათ: ცისა და დეტა-მიწის თაყვანისცემა, წინა-დაც-
ვეთა, მიცვალებულ მამა-კაცთა დაუმარხობა (=ზოროასტრის
სარწმუნოების ელემენტი), ტაძრები, მსხვერპლინი, მსხვერპლის-
მწირველნი და ქადაგები, — აი რა ელემენტებისაგან შესდგე-
ბოდა კოლხების სარწმუნოება პირველი საუკუნის დამლევს
ქრ. წინ.

ბ) ი ვ ა რ ი ა:

ა) საზღვრები. ჩდილოეთით ივერიას საზღვრავდა — კავკა-
სიონის მთაგრეხილი, სურამის მთიდან ალაზნის სათავემდე; 278)
აღმოსავალეთით — მდ. ალაზანი (Alazo), რომელიც გაჰყოფდა
ივერიას ალბანიისაგან; 279) სამხრეთით: ჯერ მდ. მტკვარი ალაზ-
ნის შესართავიდან — ქციის ანუ ხრამის ჩასართავამდე, შემდეგ —
მდ. ქცია და მისი შტოები დებედა და გერდუჯი (რომელიც

275) Ibidem, стр. 49 и 208.

276) „М. овъ не хоронятъ, но отдаютъ па съѣдѣніе птицамъ“,
ამბობს სტრაბონი სპარსელების შესახებ. Географія — кн. XV, гл. 3,
§ 20 (=стр. 751).

277) Географія — кн. XI, гл. 2, §§ 17 и 18.

278) Ibidem, кн. XI, гл. 2, § 15; гл. 3, § 2.

279) პლინიუსით = Ганъ — Извѣстія... I, стр. 107; შეადარეთ Гео-
графія Страбона — кн. XI, 4, 1.

զակութքը մանուկցուն յահուլս ցըրշտ թուղթներուն ՝ “ՍՄՅԱՅԻ-
ՏՈՒՆ” დա ՌԱՄՈՒՆԻՍԱԳԱՆ), ՀԱՍԱՏԻՎՈՒԼ — „ԱՅՆԿՈՒՏԱ“ დա ՑԵՍՏԵՏՈՒ-
ՄՏԱՆՈ, ՀՈՎԵԼՆՈՐՈ ՔԱՀԹՈԱԾԳԵՆԵՐՆ ՔԱՐԱ-ՑԱՄԿՈՒ ԽԱՑ ՑՐԿՎԻՌ-
ՍԱ დա ԱՐԱՋՏՈՒՆ ՑԱՍԵՐՈՆԵՑՈՒՆԱՍ; 280) Եռլու ՀԱՏԱՑՑԵՏՈՒՈ ՈՎԵՐՈՒԱ-
ՏԱՎՏ ՀԱՏԱՎԵՐՈՒԾ ԼՈՒՆԻ, ԵՆՇ ՍՄՐԱՑ Տ ՄՏԱ, ՑԵՄԸՐԵՑ ՑԵՑԸ-
ՏՈ ՍԱՄԿՅԵՆՈՒՆ ԴԱ ՇԱՎՑԵՏՈՒՆ, ՎՈՐՈՒՆՈՒՆ ՇԵՐԱ ՇԵԼՈ ԴԱ, ՄԱԿԱՆԱԿՆԵԼ,
ՄՏԱ ՑԱՄԿՈՒ ԿԼԱՐԽԵՏՈՒՆ ԴԱ ՌԱՄՍԿԱՐՈՒՆՈՒՆ ՈԹ ԱԾԳՈԼԱԾՄԸ, ՏԱ-
ԸՆԿ ՌՈՒ (ՄՏԱ) ՎԱՐԵԿԱԼՈՒՆ ՄՏԱԸ ՄԱԿՐԵ-ՑԵՑԸ; *) ԵՐՏՈ ՏՈՒՐՎԻՌ,
ՄԱՄՈՒՆԴԵԼՈՒ ՈՎԵՐՈՆ. ՇԵՐԱԾԳԵՆԸՆ: ԵԱԲՈԼՈ ԵԽԼԱՆԾԵԼՈՒՆ ԿԱԵՏՈՒՆ
ԱԼԱՑՆՈՒ ՀԱՏԱՎԼԵՏՈՒՈ, ՇՈՒԾ ՅԱՐՈՒԼՈ, ՀԱՎԱԵՇ-ՏՈ, ՏԱՄԿԵՑ,
ՇԱՎՑԵՏՈ, ԵՐՄՇԵՏՈ, ԱՐԴԱՆՈ, ՄՈՒՏ, ՎՈՐՈ ԴԱ ՌԱՄՍԿԱՐՈ. 281)

ծէ) ՄԵՐԸՆ. ՄՁԱՆԱՐԿԵՑԸ ՖԱ ՑՔԵԸՆ. ՈՎԵՐՈՒՆ ՄԵՐԸ ՇՈՒՆՈՒ
ԿՎԵԼԱՑԵ ՄԱԿԵՏԱՆՈՇՆԱՎԵՏՈ ՈԿՄ ՀԱՎՅԱ-ՌՈՒՆՈՒՆ ՄՏԱՑՐԵԽՈԼՈ, ՀՈՎ-
ՄԵԼՆՈՐՈ ՇԵՐԱԾԳԵՆԸՆ ԻՎԵՆ ՎԵՎԵԿՈՆ ՑԵՄԿԵՑՈՎԵ ԿԵԾԵԼՍԱ ԴԱ ՏՈ-
ՄԱՑՐԵԽ ԻՆԾՈԼՈՎԵՏՈՒՆ ՄԵՐՈՒ; ՕԹ ՄԵՐԸ ՈՎԻՌ ՎԵՐՎՈՒԾՄԸ ՑԵ-
ՏԱՐՄԱՐԵՑԸ ԸՆ ՍԵՐԱ ՎԵԼՄՌԻ ԽԱԼԵՑԸ; 282) ՕԹ ՄՏՈՒՆ ՄՄԱԿԱՎՐԵ-
ՏՈ ԿԱՐԼՈ (ԸՆԾԱՆԾԵԼՈՒ ԸՆԾՈԱԼՈՒՆ ԵՐՈՒ) ՈՎԵՐՈՎԵԼԵՑԸ ՎՈ-
ԽՈՒ ԴԱ ՄԾՅՈՒՊԵ ԿԱՐԵՑԸ ՎԵՎԵԿՈՆ ՎԵԼՄՌԻ ՀԱՄԱՑՐԵՑՄՈԼՈ, ՀԵՏԱ
ԻՆԾՈԼՈՎԵՏՈՒՆ ՎԵԼՄՌԻ ԽԱԼԵՑԸ ՏԱՎՈՍՇՄՈՒՆԱՏ ԱՌ ՇԵՏԾԵԼԵՑ-
ԸՆ ԵՐՈՒԸ ՇԵՐՄԱՍԵՎԱ. 283) ՑԵՄԸՐԵՑ ՄՏԱ ՈԿՄ ՄՏԱ ՏՄՐԱՑԻ-

280) ՇԵՐԱԾԳԵՆ ՆԵՐՈՉ ՍԵՐՈՉ ՍԵՐՈՉՈ 177 ԴԱ ԱԳՐԵՄՎԵ ՔԵՐՈԼՈ ՄԵ-II,
ՍԵՐՈՉՈ ՄԵ-282

*) ԱԵ ՑՎԵՏՈՒՆ ԻՎԵՆ ՏՄՐԱՑՈՒՆՈՒՆ ՇԵՆՈՇՎՆԱ, ՀՈՎԸ ՈՎԵՐՈՒՆ ՎԱԼԱՎԻ
ՈՎԵԼՍԱ (=ՈՇԱ) ՎՈՐՈՒՆՈՒՆ ՏԱՑԼՎՐՈՒՆ ԱԵԼՈՒ ՄԾԵՑԱՐԵՎՈՒԾՈՒ
(ՆԱՅ. ՏԵՐՈՒՆՈ 240), ԵՐՈՉՈ ՏԱՑՄԵՏՈՒՆ ԻՆԾՈԼՈՎ ԼԵՎԱՐՈ ՎԱՐՈԱԾՈՒՆՈՒՆ
(ՎԱՐԵԿԱԼՈՒՆ) ՄԵՐԸՆՄԸ ԱԾՎԵՎԸ ԱՌ (ՏԵՐՈՒՆՈ ՄԵ-178).

281) ԱԾԳՈԼՈՎԻՎԱ ՑԵՐՑՐԱԳՈՒՄՈԼՈ ՏԱԵԼԵՑԸ ՎԱԿՄՌՈՒՆ ՑԵՐՑՐԱԳՈՒ-
ԸՆ ՑՎԱՅՔԸ ԱՄՇԱՑՄՈԼՈ. ԵՐՈՉՈ ԵՍԱՐՑՑԵԼՈՎԾ ՌԱՐՈ ՈՍՄՐՈՒՌՈԼՈ ԻՎԿ-
ԵՐՏՈ ՇԵՐՎԵՆՈԼՈՒ ԸՆՄՈՒՐՈ ԵՎՎԱԾՈՒՆ ՄՈՎՐ ՅԱՐԵՎԱՆՈ ՔԱՐԵՎԵՑ-
ՎՈՒ ԻՆՍՄՈՒՆԱՏ: „Իստորիկ. քարտա Կավկազ“, ԵՐՈՉՈ ՄԵՐԱՐԵ ԻՆՏՄԵՎՈ-
ՎԱՅՔԸ ՎԱԿՄՌՈՒՆ ՑԵՐՑՐԱԳՈՒՄՈՒՆԱ“ ԴԱ „ՈՍՄՐՈՒԱՆԱ“.

282) ԳԵՈՐԳԻԱ Ստրաբոն—են. XI, լլ. 2, § 15; լլ. 3, § 2.

283) ԳԵՈՐԳԻԱ են. XI, լլ. 3, § 5; ՇԵՐ. ՅԼՈՒՆՈՒՆՈՒՆ ՄՈԲՄՈՒԸ=
Գան—Իվենտի... I, ստր. 107.



სა ანუ ლიხისა, რომელსაც სტრაბონი საკუთარის საწელით არ ისენიებს, მაგრამ ახასიათებს მათ, როგორც ივერიისა და კოლხიდის მდინარეთა წყალ-გამყოფ მთებს; ²⁸⁴⁾ უკანასკნელ, ივერიის მთებს ეკუთვნოდა აგრეთვე ის მთები, რომელსაც პლუტარხი „მოსხების“ ანუ მესხების მთას ეძახი²⁸⁵⁾ და რომელიც გაჰყოფს ერთმანეთისაგან მტკვრისა, არაქსისა და ჭოროხის სათავეებს.*)

მდინარეთა შორის უპირველესი იყო კირისა ანუ კური (= „მტკვარი“), რომელიც გამოჰუინარებს სასომხეთის საზღვარზე მდებარე მოებიდან, ჩსწრაფლ გამოდის ქართლის ვაკეებში, იერთებს კავკას-ონის მთებიდან გამომდინარე წყლებს, რომელთა შორის, სტრაბონს მოხსენებული აქვს არაგვი (შეცდომით „არაგვი“ სწერია) და ადამიანი (= „ალაზონი“), გაივლის ალამიასა და სასომხეთის შუა და ერთვის კასპის ზღვას.²⁸⁶⁾

იმ დროს, რომელსაც სტრაბონის მოთხოვბა შეეხება, ივერიას ოთხი უმთავრესი შესავალი ჰქონდა: ერთი — ზემოთ დასახელებული რიონ-ყვირილის ხეობით კოლხიდიდან; მეორე — არაგვის ხეობით დარიალიდან, რომელიც ივერიელებს აახლოვებდა ჩრდილოეთის ხაოხებთან და რომელსაც შეადგნდა ოთხი დღი: სავ ლი საცალფეხო ბილიკი; მესამე — სასომხეთიდან, ჯერ მტკვრისა და მერე მტკვარ-არაგვის ხეობით (ალამით ქცია-დებედის შესართავს ზემოთ); ხოლო მეოთხე — ალამიიდან, თავდაპირველათ რომელიდაც კლდის ბილიკით და შემდეგ ალაზნის ჭაობებით;²⁸⁷⁾ არ ვიცით კი, რომელი ჭაობი იგულისხმება; შესაძლოა ეს ჭაობები იქ ყოფილიყოს, სადაც ვახუშტის გეოგრაფიით გრეთ წოდებული მოსაბრუნა (ფიფინეთის ანუ ჭარის წყლის შესართავის მახლობლათ) და

284) География—кн. XI, гл. 3, § 4.

285) Ганъ Ios. cit. стр. 123—124.

*) ჭოროხის სათავეს ჩვენ ვლებულობთ ვახუშტის თანახმათ („საქ-გეოგრაფია“ გვ. 236).

286) География—кн. XI, гл. 3, § 2.

287) Ibidem—гл. 3; § 5.

სადაც „არს ალაზანი ყურედ და ყურედ და მომდინარე შოშ-
 რკვალვით, და დაუტევებს შიგნით ადგილსა დიდია ვითარცა
 კარით შესავალსა, და მორტყმული არს წყუითა“.²⁸⁸⁾ რო-
 გორც ვხედავთ, ივერია ყოფილა მთელი კავკასიის ცენტრი,
 რომელსანაც ყველა მეზობელი ქვეყნები იმ დროის შესაფერი
 რადიუსებით ყოფილან შეერთებული და რომელსაც ვერც
 ერთი მათგანი ვერ ა-ცდებოდა თავიანთ საურთიერთო დამო-
 კიდებულებაში.

ბბ) ბუნების სიმდიდრე. ივერიის შესახებ სტრაბონი მხო-
 ლოდ საზოგადოთ შენიშნავს, რომ იგი მდიდარი ქვეყანა არის
 და მჭიდროთ დასახლებული ხალხისათვის შესაფერი იარ; მისი
 ვაკეები უხვათ ირწყება მდრნარეებით, ხოლო კავკასიონის
 მთის ამნირეთი ფერდოები ნაყოფიერს ადგილებს წარმოადგე-
 ნენო.²⁸⁹⁾

ცდ) ქადაქები, სოფლები და ციხე-სიმაგრეები. ივერიის
 უუდიდესი ნაწილი ქალაქებითა და სოფლებით*) იყო დაუ-
 ნილი; აქ კაცი ხშირათ შეხვდებოდა კამამიტით დახურულსა
 და ხუროთმოძღვრების მითხოვნილებათა თანახმათ აშენებულს
 სახელებს, ბაზრებსა და სხვა და სხვა გვარს საზოგადო შენო-
 ბებს.²⁹⁰⁾ ქალაქებ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი და

288) ვახუშტი—გეოგრაფია, გვ. 149.

289) География—кн. XI, гл. 3, § 2.

*) ქართული სიტყვა «სოფელი» ძველათ (მე-VIII საუკუნემდე) არ
 იხმარებოდა იმ აზრით, რომლითაც დღეს ვხმარობთ (=ძერხენა); ამის
 ნაცვლათ ქართველები ხმარობდნ სიტყვას „ჩაბა“, რომელიც ნიშნავს შე-
 მუშავებულს ადგილს, წინააღმდეგ დაუმუშავებელი, მწირი მიწისა, რო-
 მელსაც „უ-დ-ბ-ნო“ ეწოდება. ძველ ქართულ სოფლებზე იხ. И. Джавა-
 ხოვა—Государств. строй... стр. 46—49. 39.

290) Ibidem гл. 3, § 1. ასე აგვიწერს სტრაბონი ივერიის კულტუ-
 რულ ცხოვრებას. ვინც ამ ადგილს პირდაპირ მიიღებს, უკველია იფიქ-
 რებს, რომ ივერია იმ დროს სავაჭრო-სამოქალაქო პუნქტებით ყოფილა
 დაფენილით („ბაზრები“, „საზოგადო შენობები“, არქიტექტურულათ აგე-
 ბული სახლები). მაგრამ, საყურადღებოა, რომ იგივე სტრაბონი, როცა
 ივერიელთა შორის საზოგადოებრივ კლასებზე ლაპარაკობს (ნახ. ქვემოთ

უკეთ გამაგრებული იყო: იდეს, (=იდა), რომელიც შტება-
რებდა ჭოროხის პირად, კოლხიდის საზღვრის მახლობლათ,
და რომელსაც სტრაბონი კადეც „ფრიქსის ქალაქსაც“ უწო-
დებს; 291) ჭარმოზიკა (=არმაზი) და სევიამორა (=წიწაურა),
რომელთაგან პირველი მდეიარეობდა მტკვრის მარჯვენა ნაპი-
რას, ხოლო მეორე—არავის მარცხენა ნაპირას იმ ადგილის
მახლობლათ, სადაც ეს ორი მდინარე თავს იყრის; ორივე ქა-
ლაქი კლდეებში იყო გამაგრებული და ერთმანეთს 16 სტა-
დიონით (თათქმის 4 ვერსით) შორავდა. 292)

ივერიის ციხე-სიმაგრეთაგან ტრაბონი ასახელებს მხო-
ლოდ ერთს, სახელდობრ იმას, რომელიც დარიალის ხეობას
სდარიჯობდა. 293) ამ სიმაგრეს აგვიწერს პლინიუსი (29—79 ქრ
შემდეგ) შემდევი სიტყვებით: „კავკასიის ჭიშკარი, რომელსაც
შეცდომით ბევრნი კასპის ჭიშკარს უწოდებენ, გასაოკარი
ქმნილებაა ბუნებისა; იგი წარმომდგარია მთების ჯავაის უყცა-
რი გაწყვეტისაგამო. თვითონ ჭიშკარი რკინა-შემოვლებულის
ძელებითაა მოზღვუდული, ქვეშ ჰყრალი (?) მდინარე ჩაუდის.
ხოლო ერთ-ერთს კლდეზე სამხრეთის მხრივ, სდგას პატარა

შენიშვნა—296), ვაჭრებზე ერთს სიტყვასაც არ ამბობს; უაპელია, ეს
ჯგუფი იმ დროს ძლიერ ცოცა ყოფილა ქართველთა შორის, თორემ, რა
თქმა უნდა, სადაც „მეფის მონები“ მოიხსენა, სტრაბონი იქ ვაჭრებსაც
მოუხსენებელს არ დასტოვებდა. ეს კი იმის მომსწავებელია, რომ აღებ-
მიცემობა იმ დროს ივერიაში ბევრათ ვერაფრათ ყოფილა განვითარებუ-
ლი; მაშასადამე, საფიქრებელია, რომ სიტყვა „ქალაქები“ ჩვენი ქვეყნის
შესახებ სტრაბონის გეოგრაფიაში უმეტეს ნაწილათ ზღუდეშემოვლებული
დიდ სოფლებს უნდა ნიშნავდეს და არა სააღემიცემო ცენტრებს; ასეთი
ცენტრები, ე. ი. ნამდვილი ქალაქები უნდა ყოფილიყო, ჩვენის ფიქრით,
ქვემოთ დასახელებული სამი ქალაქი (არმოზიკა, სევსამორა და იდესა)
და ვგონებთ, უმთავრესათ ეს სამი ქალაქი უნდა ჰქონდეს სახეში სტრა-
ბონს, როცა ბაზრებსა და საზოგადო შენობებზე მოგვითხრობს და არა
საერთოთ ყველა მის მიერ „ქალაქებად წოდებული პუნქტები“.

291) Ibidem II. 2, § 18.

292) Ibidem II. 3, § 5.

293) Ibidem § 5.

ციხე ჭურანია, რომელიც იმ მიზნითაა აშენებული, რათა უძველესი
შეუშალოს ურიცხვ ხალხთა შემოსევის. ამ გვარათ აქ, ივე-
რიელთა ქალაქის ჰარმაზის (=არმაზის) თითქმის ჰირისპირ
(„почти насып противъ“), ქვეყნის ერთი ნაწილი კიშკარითაა
გაყოფილი მეორისაგანაო.²⁹⁴⁾

ე) მცხოვრებლები. ბინადრობის მიხედვით, ივერიელები
ვანიყოფებოდენ — ბარელებად და მთიელებად. ბარის ივერიე-
ლები უფრო მშვიდოვნიანის ცხოვრების მიმდევარნი და მიწის
მუშაკნი იყვენ და შინაური ცხოვრება და ზედ-ჩვეულებანი
სომხებისა და მიდიელების მსგავსთ ჰქონდათ მოწყობილი.
მთის ივერიელები სკვითებისა და სარმატების მეზობლად ცხოვ-
რობდენ, ეკირათ კავკასიის ფერდობი, და შინაურობაშიაც
სკვითებისა და სარმატების გემოვნებაზე იყვენ მოწყობილი,
თუმცა მიწის მუშაობას არც ისინი გაურბოდენ; მაგრამ თავის
რანამოძმე ბარელებზე უფრო მეორარნი იყვენ და, თუ საიდანმე
მშვიდოვნიანობა დაირღვევდა, დიდ ძალი ჯარის გამოყვანა

294) გან्त—Извѣстія... I, стр. 107.—როგორც ამ აწერილობიდან
სჩანს, თეოთ ისეთი უსაჭიროესი სიმაგრეც კი, როგორიც ივერიელებისა-
თვის დარიალის ხეობა იყო, ხისა და რკინის მასალით ყოფილა გამაგრე-
ბული; ; ს რამოდენათმე გვაგონებს ქსენოფონტის მიერ აწერილს ქართვე-
ლისავე ტომის თემებს დროილე სა და მოსინეკებს (ჭანების მახლობლათ),
რომელთაც როგორც კურძო სახლები, ისე კოშკები და ციხის კედლები
ხისაგან ჰქონდათ აგებული; ჩვეულებებიც, სიმაგრეების გარშემო შემოავ-
ლებდენ ღრმა და ფართო თხრილს, რომაის ბეგობზედაც მაგრათ ჩა-
სობდენ ხის სარებს; ასე კეთდებოდა ძველის-ძველათ ციხე ანუ ზღუდე.
მაგრამ, როგორც სტრაბონის აწერილობიდან სჩანს, მის დროს ივერიე-
ლებს უკვე ქვისა და კრამიტ-აგურის ხმარებაც უსწავლიათ; ტხადია, მა-
შასადამე, რომ ამ დროს ივერიაში ქვითკირის ციხეებიც ბლომათ იქნე-
ბოდა. (შეად. И. ჯავახოვъ—Ioc. cit., стр. 48—49).—როგორც ქართ-
ლის-მოქცევის თქმულებიდან სჩანს (აზრაგ-აზიკის შესახებ= „სამი ისტ.
ხრ.“ გვ. 7), ქალაქებში გარეგანის ზღუდის გარდა ქართველებს «შიდა-
ციხის» (=вышгородъ) აშენებაც სკოდნიათ.—ციხეებში, დიონ კასიუსის
მოწმობით, ივერიელებს, ჩვეულებრივ, ჰყავდათ ციხის-მცველი ჯარი ანუ
მეციხოვნები, რომერთ უფროსსაც ანუ კომენდანტს ქართული წყაროები
ციხის-თავს უწოდებს (И. ჯავახოვъ—ibid. стр. 45—46).

შეეძლოთ როგორც თვის შორიდან, ისე სკვირებისა და ხელ-
მატებიდან. 295)

სოციალური წყობილების მხრივ, ივერიელები ოთხ ჯგუ-
ფად იყვენ დაყაფილი: პირველ ჯგუფს შეაღენ დენ ისინი, რო-
მელთაგანაც მეფესა და მთავარ-სარდალს (იგივე იყო მსაჯულთ-
უბრუცესიც) იჩიევდენ; მეთეს—სამღვდელოება: მესამეს—მეო-
მარ-მიწის-მუშაქნი და მეთხეს—„უბრალო ხალხი“ ანუ „მე-
ფის მონება“. 296a) თვითოვეული ჯგუფი, თავის მხრივ, დაყო-
ფილი იყო გვარებად (= „родъ“), რომელსაც ძველად ჩვენში
ეწოდებოდა „სახლი“. ამ სახლს ანუ გვარს ვირველ საუკუნეე-
ში, როგორც 1 ტრაბონის მოწმობიდან სჩანს, ჰერთა
განუეფუფელი ქთება, ე. ი. იმ დროს ქართველთა შორის კერძო
საკუთრება არ არსებოდა, არამედ იყო საკუთრება საერთო
გვაროვნელი. ყოველი გვარის ანუ სახლის წევრებს ადგილო-
რივ ეწოდებოდათ სახლის-შეიღება ან სახლი-კარება, რომელთ
შორისაც ყველაზე უხუცესი ითვლებოდა გვარის-უფროსად

295) გეოგრაფია—ენ. XI, გლ. 3, § 3.—ბარელებადა და მთიულე-
ბად ჰყოფს სტრაბონი ივერიელებს მათი ბინაძრობის ანუ ადგილ-საც-
ხოვრებლის მხრივ, აგრეთვე ზე-ხასიათისა და ჩვეულებათა მიხედვით.—
კერძოთ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური მხრით, როგორც დღეს რა-
მოდენათმე უკვე გამოკვლეულია, ძველი საქართველო შემდეგ ნაწილე-
ბათ ანუ ერთულებად ყოფილა დაყოფილი: ა) სახლი=კარი—უდინდა
ზოგჯერ მთელ სოფელს (აქ დან დატენილია საკუთარი სახელები: კო-
ბიანთ-კარი, ბარნაბიანთ-კარი, წინამძღვარიანთ-კარი და სხვ.), ზოგჯერ
კი ერთს სოფელში რამოდ ნიმე კარი ანუ სახლი იყო; ბ) და—ძელათ
სოფელს ერქვა, მაშასადამე ესეც=სახლი ანუ კრი; გ) ცახე-ზღუდვე ანუ
„ქალაქი“; ე) ხევი და ქვეყანა=მთელი პროვინცია (შეად. ჯავახოვს, *Ioc. cit. стр. 31—49.*)

296a) გეოგრაფია—ენ. XI, გლ. 3, § 6. მაგრამ ამ მუხლის შესწალის
დროს ჩვენ ვემყარებით „არა მიშენებოს თარგმანს, არამედ ბ-ბ ი. ჯავახი-
შეილისას (იხ. მიხი გიორგი სტროი დრევი. ერთი და არმანი. I, სტრ.
8). ქვემოთაც ჩვენ ყველგან ეს თარგმანი გვექნება სახეში და აღნიშნუ-
ლი საგნის სისტემატიურ მიმოხილვასაც ბ-ბ ი. ჯავახიშვილის ისტორი-
ულ-ფილოლოგიურს შენიშვნებზე დავამყარებთ, რასაც თავთავის აღგი-
ლას აღნიშნავთ შესაფერის სხვალითებით.

ანუ, როგორც მას ადგილო რივი წყაროები უწოდებული — მათ და
სახლისად. ამ მამასახლის ხელში იყო „მართვა და განვარცუ-
ლება“ (= „управление и распоряжение“) მთელი საგვარეუ-
ლო ქონებისა, ე. ი., სხვანაირათ რომ ვთქვათ, არა მარტო
ქონება, არამედ მისი მომართა-გამოუენება და ექსელთარაციაც კა-
საერთო-გვაროვნეული იყო. ამნაირათ, სახლი ანუ გვარი წარმოა-
დგენდა ძირითადს ერთეულს და საფუძველს მაშინდელი ქართვე-
ლი ხალხის სოციალური წყაროებისას; უფლება და გამგეობა
ეკუთვნოდა უუხუცეს წევრს მთელი საგვარეულოსას ანუ მა-
მასახლისს. 2966) რადგან ქონება და მისი მართვა-გამგეობაც გვა-
როვნეული იყო, — რაც მომასწავებელია იმისი, რომ წარმოე-
ბის წესიც საერთო-გვაროვნეული (= „общинно-родовой“)
უნდა ყოფილიყო, — მაშინდელი ქართველი საზოგადოება გვარ-
ზე უფრო პატარა სოციალურს ერთეულს არ იცნობდა, ე. ი.,
მდაბიურათ რომ ვთქვათ, გვარი არ იყო დაყოფილი ოჯახებად
ამ სიტყვის დღევანდელის სოციალურ-ქონებრივის მნიშვნე-
ლობით; როგორც ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიური კავშირი, რა
თქმა უნდა, ოჯახი მაშინაც არსებობდა, მაგრამ იურიდიულათ
და ქონებრივათ კი ოჯახი არ შეაღენდა განსაკუთრებულს
სოფიალურს ერთეულს, არამედ შედიოდა გვარში ანუ სახელში,
როგორც მისი კოლექტიური წევრი ანუ შემადგენელი ნა-
წილი. ცხადია, მაშასადამე, თუ რა ცნების აღმნიშვნელი უნ-
და ყოფილიყო იმ დროს სიტყვა „სახლი“: იგი აღნიშნავდა
არა ოჯახს, როგორც ეს დღესაა, ამ სიტყვის დღევანდელის
მნიშვნელობით, არამედ ბიოლოგიურ ოჯახთაგან შემდგარს,
საერთო ქონებითა და წარმოების წესით შეკავშირებულს,
უუმცირესს სოციალურს ერთეულს, ეკონომიურ-იურიდიულ
უჯრედს, რომელზედაც უმთავრესათ და ყარებული იყო მთე-
ლი მაშინდელი სოციალ პოლიტიკური სტრუქტურა და ზე-
ობრივ-გონებრივი ფიზიონომია ქართველის ერისა. ცხადია,
მაშასადამე, ისიც, რომ ასეთი სახლის ანუ გვარის წევრთათვის

სრულებით სავალდებულო არ უნდა ყოფილიყო უხერხებული ერთს კერს ქვეშ ეცხოვრათ; საღაც ეს გვარის სიმრავლისაგა-
მო მოსახერხებელი არ იყო, იქ სახლის-კაცებს ან მისს („სახ-
ლის“) შემაღენელს ბიოლოგიურ თჯახებს შეეძლოთ ბინები
ცალ-ცალკეც პქონებოდათ, ე. ი. შეედგინათ საერთო მო-
ს ხლკარობა ანუ დასახლებული პუნქტი, რომელსაც ყველა
გისი საგვარეულო მიწა-წყლით ძევლათ, აგრეთვე, ეწოდებო-
და ს. ხდი ანუ კარი, შემდეგში დაერქვა დაბა, ხოლო უკანას-
კნელ ეწოდა სოფელი. 297) როცა რომელიმე გვარი თავის მო-
სახლკარობას ანუ საცხოვრებელ პუნქტს ციხე-გალავანს ანუ
ზღუდეს შემოავლებდა, ამის ეწოდებოდა „ქალაქი“ ანუ იგივე
ზღუდე გინა ციხე. 298) მაგრამ უმჯობესი იქნება, სიტყვა „ქა-
ლაქი“ ისეთს მოზღუდულს დასახლებულ პუნქტს ვუწიდოთ,
საღაც განვითარებულ პოლიტიკურ ცხოვრებასთან ვაჭრობა
და ხელოსნობაც (= „ремесла“) იყო შეერთებული. 299) რო-
გორც სახლ-კარ-დაბას ანუ სოფელს, ისე ციხე-ქალაქებს ჰყავ-
დათ საგვარეულო უფროს, ანუ მამასახლისი, რომლის ადგილ-
საც ყოველთვის იქრდა უუხუცესი წევრი სასოფლო ანუ სა-
ქალაქო გვარისა, რისგამოც თვითონ მამასახლისიც იწოდებო-
და სოფელის ანუ ქალაქის მამასახლისად. 300) ქალაქებითა და სო-
ფელ-დაბებით ანუ სახლ-კარებით დაფენილს ცოტათ თუ ბეჭ-

297) Ibidem стр. 18. 32—33. 46—47, 39.

298) Ibidem стр. 43.

299) სიტყვა «ქალაქი» შემოსულია ჩეენში სირიიდან, სომხური ენის საშუალებით, და მაჩვენებელია იმისი, თუ საიდან შემოსულა ჩეენში და სომხეთში თავდაპირველათ საგჭრო-სამრეწველო კულტურა (Ibid, стр. 44); გამარჯვება ამ უცხო სიტყვისა ადგილობრივს ციხე-ზღუდეზე მო-
მამწავებელია იმისი, რომ უკანასკნელი ვერ ყოფილან სავსებით შემცველ-
გამომხატველნი იმ ადმინისტრაციულ და სავაჭრო-სამრეწველო მხარისა, რომელიც ასურასტანულ ქალაქების აუცილებელ თვისებას შეადგენდა
იმ დროს, როდესაც სომხებსა და ქართველებს აღნიშნული სიტყვა უსე-
სნიათ, ან უკეთ რომ ვთქვათ, როდესაც ჩვ ნში ასურასტანიდან საქალა-
ქო კულტურა შემოსულა.

300) Ibidem, стр. 15. 45.

რათ ვრცელი, ტერიტორიას, რომელსაც საერთო აღმინიჭინული
ციული ცენტრი ჰქონდა, ეწოდებოდა ჩვეულებრივ „ქვეპანა“,
თუმცა ძველათ როგორცა სჩანს, შეორე აღმინისტრაციული
დაყ-ფა უფრო ყოფილა გავრცელებული, ტოპოგრაფიული
პირობების თანახმათ, სახელდობრ „ხევი“: ყოველი ხეობა მი-
სი სოფლებითა და ციხე-ქალაქებით აღმინისტრაციულ ერთეუ-
ლად იყო მიღებული, ჰქონდა ცენტრალური მმართველობა და
იწოდებოდა ხევად ძველ ქარ-ულ მწერლობაში ეს სიტყვა
ზოგჯერ იქაც კია ნახმარი, სადაც „ქვეყანა“ უნდა იხმარე-
ბოდეს, ე. ი. თვისის მნიშვნელოვით იგი ჰეთარავა, ამ უკანასკა-
ნელი სიტყვის შინაარსსაც. 301) როგორ სახლ-კარ-დაბას ანუ
სოფელს და ქალაქს ჰყავდა თავისი მამასახლისი, აგრეთვე ხევ-
საც ჰყავდა თავისი უფროსი ანუ ხევის-ბერი გრა ხევის-მამა-
სახლისი, რომელსაც თვითონ ხალხი წიშნავდა ანუ ირჩევ-
და. 302) დასასრულ, მთელი ივერიის პოლიტიკურ ცენტრად
ითვლებოდა ქალაქი არმაზ-ციხე, რომელიც შეადგენდა სამე-
ფო გვარის საკუთრებას, და მისი მამასახლისი იმავე დროს
ითვლებოდა მთელი ივერიის „მეფე-მამასახლისად“.

ამგვარათ, ჩვენ დავიწყეთ ივერიის სოციალური წყობ-
ლების საფუძვლიდან (=გვარიდან) და აველით მისი პო-
ტიკური ცხოვრების კენტრომდე. შეანიშნავია, რომ სტრა-
ბონის დროს ეს კენტეროც—ცენტრალური უზენაესი უფლე-
ბა—იძნაირავე ყოფილა მოწყობილი ივერიაში, როგორც
გვარის უფროსობა ანუ სოფელ დაბის მამასახლისობა. სახელ-
დობრ, საქართველოს შეფე-მამასახლისად ინიშნებოდა უუხუ-

301) Ibidem str. 33—37.

302) Ibidem str. 12, 14. ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვეთანნმებით
ბენ ი. ჯავახიშვილს და ვფიქრობთ, რომ ხევის მამასახლისის უძველე-
სი სახელი უდა ყოფილიყო არა „ხე-ის-თავი“, არამედ ხევის-ბერი
(=ბერი=მოხუცი=უბუცისი); ხოლო ხევის-თავი, როგორც ქვემოთაც
ვიტავით, ხევის-სარდალს უნდა რქმეოდა, სწორედ ისე როგორც ერის-
თავიცა ძვლად სათემო სარდლის წოდება უნდა ყოფილიყო, მსგავსად
იმ მთავარ-ხარდლისა, რომელიც, სტრაბონის მოწმობით, ივერიის მეფე-
მამასახლისს უდგა გვერდში.

ცესი წევრი სამეფო საგვარეულოსი (პირველი სოციალური ჯგუფი¹⁾ და უახლოესი ნათესავი გარდაცვალებულის მეფე-მა-მასახლისისა. 303)

მეფის ან უკეთ მეფე-მამასახლისის უფლება შეზღუდული იყო ორი მხრით: ქრთის მხრით მას ზღუდვდა მთავარ-მსაჭუდი, რომელიც იმავე სამეფო საგვარეულოდან იტჩეოდა და ომიანობის დროს მთავარ-სარდლობასაც ასრულებდა; მაშა ადამე მეფეს არ ეკუთვნოდა არც უზენაესი სამხედრო და არც უზენაესი სამსაჯულო უფლება. მეორე მხრით მეფე შეზღუდული იყო სამღვდელოებისაგანაც, რადგან, როგორც სტრაბონი მოწმობს, ამ განსაკუთრებულს სოციალურ ჯკუფს (მეორე ჯგუფია), თავისი საკუთარი სამღვდელის-მ ახურო მოვალეობის გარდა, საერთაშორისო მშეიღობიანობაზე მხრუნველობაც ჰქონებია მინდობილი, ან როგორც ბ-ნი ჯავახი²⁾ ვილი განმარტებს, სამღვდელოების ხელში ყოფილა განხილვა და გადაწყვეტა საერთაშორისო დავისა და შეჯახებისა მეზობელ თანამშიროებთან. 304) დარჩა, მაში ადამე, სამეფო ქონების მართვა-გამგეობა ანუ ფინანსიური მხარე, რომელიც, უკეველია მეფე-მამასახლისის ხელში იქნებოდა. ამჩიგათ, ივერიის მეფე-მამასახლისიც იმგვაროვე გამგე-მართველი ყოფილა სამეფო გვარის ქონებისა, როგორც გვარში გვარის-უფროსი იყო. აქაც პარალელი გასაოცარ სიშკარავემდე აღწევს. ამიტომ სამართლიანათ შენიშვავს ბ-ნი ი. ჯავახიშვილი, რომ უგვარი და გვაროვნობითი წყობილობა უნდა ჩაითვალოს არა მარტო სოციალური ცხოვრების საფუძვლად, არამედ სამეფო უფლების საფუძვლადც საქარველო შიომ³⁾. 305)

ორ პირველ სოციალურ ჯგუფზე რაცა ვთქვით, ისიც საკმაოა. დაგვრჩა განსახილველი მე-3 და მე-4 ჯგუფის სოციალური ფიზიონომია.

³⁰³⁾ Ibidem str. 8—9.

³⁰⁴⁾ Ibidem str. 8. 16—17.

³⁰⁵⁾ Ibidem str. 9.

„Мэсаамэ ჯგუფსათ,—ამბობს სტრაბონი, — შეიდგენენ სამართლების მიწის მუშაობას მცხვევენო“ (და არა „Войны и землемеры“-თ, როგორც ეს რუსული თარგმანის ავტორებს აქვთ გადმოღებული), ხოლო „Мэсаамэ—უბრალო ხალხი („Laos“) ანუ მეფის მთნები, რომელიც მეფეს ემსახურებიან ყველაფრით, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის“.306) ამგვარათ, როგორც ვხედავთ, პირველი საუკუნის დამლევს ქრ წინ, ანუ ჩვენი წელთამრიცხვის დასაწყისში, წოდებრივი უთანასწორობა ქართველთა შორის მხოლოდ ახალი დაწყებული ყოფილა; კერძოთ, მონობა არ წარმოადგენდა კიდევ საზოგადო მოვლენას, რადგან მონები, სტრაბონის სიტყვით, არა ჰყოლიათ არც მეომარ-მიწის-მუშაკებს და არც სამღვდელოებას, არამედ იგინი ყოფილან მხოლოდ სამეფო გვარის საკუთრება; მაშასდამე, რა გორც თვით მეფის გვარი, ისე მისი მონებიც რიცხვით ბევრნი არ უნდა ყოფილიყვენ. რიცხმური უნდა ყოფილიყვენ, იგრეთვე, სამღვდელო გვარებიც ანუ მაგვების წოდება; დარჩა, მაშასადამე, მესამე ჯგუფი ანუ ქართველი ერის უუდიდესი ნაწილი, რომელსაც ეკუთვნოდენ მეომარ-მიწის-მუშები. მაგრა, როგორც თვით სტრაბონის ბერძნული ტექსტიდან სჩანს, ერის ამ ნაწილში ჯერ კიდევ არ ყოფილა მომხდარი სასტიკი დიფერენციაცია, და პროფესიონალური დაყოფა მეომარებადა და მიწის-მუშებად, არამედ ერთი და იგივე წევრი ამ ჯგუფისა შშვილობიანობის დროს მიწი-მუშაკი ყოფილა, ხოლო ოშანობის დროს მეომარი.307) თუ ჩხედველობაში მიყიდებთ გახუშტი ბატონიშვილის მოწმობას, რომ ფეოდალურ ხანაში ჩვენში აზნაურთა წოდების სპეციალურს პროფესიის შეადგენდა ოშში „გამოსვლა მარქათითა, კარვითა და მათითა განწყობილებითა, და თვითი ამისა არა იწოდებოდა აზნაურადო“,308) უეჭველია დაკვეთანამებით, რომ იმ დროს, რომელსაც სტრაბონის მოწმობა შეეხება ქართველ-

306) ჯავახოვъ, 1с. cit. стр. 8.

307) Ibidem, стр. 55—56.

308) ვახუშტი—გეოგრაფია, გვ. 6.

თა შორის ორც აზნაურთა და, მაშასადამე, ორც ყმა-გლეხთა წოდებანი ჯერ კიდევ ორ არსებულან. რაც შეეხება, კერძოთ, მეოთხე ჯგუფს ანუ „უბრალო ხალხს“ (oi laoi=простолюхы), რომელსაც სტრაბონი „მეფის მონებს“ ეძახის, როგორც ამ ადგილის ეტიმოლოგიური და ისტორიულ-შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, 309) ეს ჯგუფი ორ ყოფილა რაცხვმრავალი, შეადგენდა მარტო სამრთო გვარის საკუთრებას, ცხოვრობდა მეფის საგვარეულო მიწა-წყალზე, იმუშ ვებდა მას და შეფე-მამასახლისს უხდიდა ნატურალურს ბეგარას; ამასთანავე, რადგან სტრაბონი ამ ჯგუფს ორ ეძახის საკუთრივ „მონებს“, არამედ „უბრალო ხალხს“, საფიქრებელია, რომ უკანასკნელი უფლების მხრივ ორ უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი შინებივის შეზღუდული; უესაძლოა, რომის კოლონების მსგავსად, ეს ქართველი „მეფის მონებიც“ მტკიცეთ იყვენ შეკავშირებული მიწასთან, რომელსაც მემკვიდრეობით უტოვებდენ თავის შვილებს, ასე რომ უფალს ორ შეეძლო უმიწოდ მათი გაყიდვა ან სხვაზე გადაცემა, უბრალო დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა და სხვა. ამიტომ, ვგონებთ, ორ უნდა სცდებოდეს ბ-ნი ი. ჯავახიშვილი, როდესაც აღნიშნულს სოციალურს ჯგუფს ქართველის ერისას რომის კოლონატთან ადარებს და დასქნენს, რომ ეს ინსტიტუტი წარმოგვიდგენს სოციალური უთანასწორობის განვითარების პირველ-დაწყებითს საფეხურს საქართველოში (310)

რ-გორ(?) სტრაბონის აღწერილობიდან სჩანს, წარმოების დარგთა შორის ივერიელები 1-ელ საუკუნეში ყველაზე მეტათ მიწის-მუშაობას მისდევდენ. 311) რადგან, მისივე მოწმობით, ივერიაში ქონება კერძო საკუთრებას ორ წარმოადგენდა, არა ედ მთელი გვარის (= „სახლის“) კუთვნილება იყო, 312) იძულებუ-

³⁰⁹⁾ Джаваховъ, loc. cit. стр. 70—74.

³¹⁰⁾ Ibidem стр. 71—72.

³¹¹⁾ Географія кн. XI, гл. 3, § 3.

³¹²⁾ Ibidem § 6.

ლი ვართ დავასკენათ, რომ მიწა-წყალი, ტყე და საძოვარიც საგვარეულო, ე. ი. მთელი გვარის საკუთრება უჩდა ყოფილიყო. ეს კი მომასწავებელია იმისი, რომ თვით წარმოქმნის წესიც საგვარეულო უთვისება, რითაც თავისთავათ იხსნება ის გარემოება, რომ ნაწარმოების განაწილებაც, ან მისი ასეთი თუ ისეთი მოხმარება ანუ განკარგულება, მთელი გვარის უუსტუცესი წევრის ანუ მამა-სახლის ხელში იყო. სამწუხაროთ სტრაბონის მოწმობიდან არა სჩანს, როგორი იარაღები ჰქონიათ მის დროს ივერიელებს მიწის-დასამუშავებლათ: დღევანდელი ცხრა-ულლიანი გუთანი, თუ მხოლოდ საკუთარი ხელები და ომხი—ბარი? არა ვიცით რა, აგრეთვე, არც იმის შესახებ, თუ სახელდობრ რომელ საპურე მარცვალსა სთესდენ უმთავრესად მაშინდელი ივერიელები: ხორბალს, როგორც ეს დღესაცაა, თუ სიმინდს. ან ქერს? არავითარი ცნობა მოგვეპოება არც იმაზე, იყო თუ არა იმ დროს ივერიაში მიღებული საყინე მიწების მოჩწყვა არხების საშუალებით, მიწის პატივით განოყივჩება, ერთის ანუ რამდენისამე წლით მისი შესვენება და სხვა, თუ მიწის-მუშობა აქ პირდაპირ ბარბაროსულ-მტაცებლურათ, ირრაციონალურათ სწარმოებდ? — რომ მთის ივერიელებში მიწის-მუშაობაზე უფრო მეტათ შეჯოგბა (შინაური პირუტყვის მოვლა-მუშენება) უნდა ყოფილიყო გავრცელებული, ამას გვჩვენებს სტრაბონის შედარება ამ ივერიელებისა მათ მეზობელ სკვითებსა და სარმატებთან, რომელთა შორისაც, მისივე სიტყვით, მეჯოგობას ფრიად საპარიო-ადგილი სქერია; 313) გავრცელებული ყოფილი ამ უკანასკნე-

33) Ibidem ეს. VII, გლ. 4, § 6.—ამასვე გვიმტკიცებს ქსენოფონტის მოწმობაც ტაოხების შესახებ, რომელთაც გააჩინენის დროს ცოლშეილთან ერთათ მსსეილფეხი საქონელიც („ეკოტ“) თან შეერევათ ერთ-ერთს ხიმაგრეში (Ганъ—Извѣстія... I, стр. 32). მეორე მხრით სტრაბონი მოწმობს, რომ ბარის ივერიელები შინაურობაში სომხების მსგავსათ იყვენ მოწყობილიო. (Географія ეს. XI, გლ. 3, § 3): ქსენოფონტისაგან ვტყობულობთ, რომ სომხებს ბლომად ჰყოლიათ: „ხარები, თხები, ცხვრები და ქათმები“ (Ганъ loc. cit. стр. 30); უკველია, ასეთი-



ლებში შოვნიათ წარმოების ერთი პრიმიტიულ დარღვთაგენტი³¹⁴⁾, სახელდობრ ნადირობა, 314) რასაც, უეპველია, ჩვენს მთის ივერიელებშიაც იმ დროს დიდი ადგილი უნდა ჰქონებოდა დათმობილი.— წარმოების დანარჩენ დარგთა შორის ივერიელებს კარგათ სკოლნიათ კრამიტ-აგურის გამოწვა (მაშასადამე, მეჭურქლეობაც) და ციხე-სიმაგრეებისა, სახლებისა და ხიდების აშენება. 315) სტრაბონი ამბობს: ივერიის ქალაქებსა და სოფლებში ხშირია საბაზრო მოედნებით („рынки“), და ამით საბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ იმ დროს ივერიელებში ვაჭრობას ფეხი ჰქონებია მოკიდებული, თუმცა არსაიდან არა სჩანს, რომ ამ ხელობას უკვე განსაკუთრებული სოციალური ჯგუფი ანუ წოდება, გინა კლასი, ჰყოლოდეს ივერიელთა შორის სტრაბონის დროს ან მანამდე, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მაშინდელი ალექ-მიცემობა უნდა ყოფილიყო უძერებელი უბრილო გაცვლითი (გვარსა და გვარს შორის) და არა საფუძლო; საფიქრებელია, აგრეთვე, რომ ვაჭრობის მიმდევარნი ივერიის ტერიტორიაზე უფრო უცხო ტომის ხალხი უნდა ყოფილიყენ, რომელთაგანაც ზოგნი (მაგალ. ებრაელები) უძველნი დროიდან იყვენ ჩვენში შემოხიზნულნი, 316) ზოგნი კი დროებით მხოლოდ გავლით ეწვეოდენ ხოლმე ჩვენს ქვეყანას სააღებ-მიცემო მიზნით: სტრაბონი გადმოგვცემს, რომ ძველითგანვე ოქსია, კასპის ზღვისა, მტკვრისა და რიონ-ფაზისის საშუალებით უცხოეთის ვაჭრებს ინდოეთის საქ-ნელი გადმოჰქონდათ ეცქსინამდე ანუ შავ-ზღვამდეო 317). მართალია, ეს სიტყვები ამტკიცებს იმას, რომ ივერიაში ვაჭრობა ტრან-

³¹⁴⁾ Ibidem κη. VII, გლ. 4, § 8.

³¹⁵⁾ Ibidem, κη. XI, გლ. 3, § 1.

³¹⁶⁾ ქართლის-ცხოვრება I, ცტ. 30.

³¹⁷⁾ География, κη. XI, გლ. 7, § 3; გლ. V, § 8.

ზიტული ყოფილა, შაგრამ ძნელი დასაჯერებელია ამ გაცლილობა
აღებ-მიცემობას ნელ-ნელა ჩვენი ხალხიც არ ჩაეთრია და არ
გაეხადა იგი თავისს მოზიარედ ანუ მონაწილედ. როგორც
ქსენოფონტი მოწმობს, ივერიელთა (=კარდუ-ელთა) ზოგა-
ერთ თემებში დვინის-დაუქნებაც სულდნიათ, როგორც მაგალი-
თად კარდუქებს, რომელნიც ლვინოს თეთრათ შეფეოქილს სარ-
დაფებში თურმე ინახავდენ (Ганъ—Извѣстія... I, стр. 27).

მისედა-შოსედა და სხვა და სხვა გვარი ტვირთის წილებ-
წამოდება, როგორც სტრაბონისავე გეოგრაფიიდანა სჩანს, სა-
ქართველოში სწარმოებდა წყლით ანუ ნავებით და ურმით
(„повоzка“); 318) უეპველია, ამავე დანიშნულების აღმართუ-
ლებლად ეყოლებოდათ ივერიელებს ცხენებიც, რაკი კლასი-
კური მწერლები გვარწმუნებენ, რომ იმ დროს ქართველთა
შორის, ომის დროს, ცხენები უკვე ხმარებაში იყო, 319)
ხოლო სტრაბონის შედარება მთის ივერიელებისა სკვით-სარ-
მატებთან სავსებით ამართლებს სხვა მწერლების მოწმობას ამავე
საგნის შესახებ. 320)

საცხოვრებელ შენობებს ანუ სახლებს ივერიელები სტრაბო-
ნის დროს აშენებდენ არქიტექტურის მოთხოვნილებათა თა-
ნახმათ (ხისა და ქვითკირისაგან ან აგურისგან) და ხურავდენ
კრამიტით; ასეთი შენობები ივერიაში, სტრაბონის სიტყვით,
უკვე საკმაოთ ხშირს მოვლენას წარმოადგენდა. 321) როგორის
მოყვანილობისა უნდა ყოფილიყო მაშინდელი სახლები და

318) Географія кн. XI, гл. 5, § 4; гл. 2, § 17; гл. 7 § 3.

319) Ганъ—Извѣстія... I, стр. 70. 124.

320) Географія кн. XI, гл. 3, § 3; кн. VII, гл. 4, § 8: „ხკითე-
ბისა და სარმატების ჯველა თემებს საერთოთ ჩვეულებად აქვსთ—ცხენე-
ბის დაკოდგათ („выхолащиваниe“),—ამბობს სტრაბონი,—რათა უფრო
თვინიერი გახადონო („едѣлатъ ихъ ручище“), რადგან მათი ცხენები
თუმცა ფანით მორჩილანი არიან, მაგრამ ძლიერ ფიცხისა და მოუღრეველი
ზნისანი არიანო“. ეს აწერილობა ძლიერ მოგვაგონებს ჩვენს მთიელების
ცხენებს.

321) Географія кн. XI, гл. 3; § 1.



հոգորիս ազգոլոյեծոց աՇենքը թքն մատ պայլո յահազոլոյթիշ թքաթք
հիշեն զբան ծովոն ծով յեն ուղան մուս անկալու ծովունքն տուաթի ու
պայլա սուլլոյեծո, հոմելու թուրուսաւ պայլոնց մատ շենքալու մատ գարուն
գավա յահազոլոյթի ծով (—իշեն յամոյ յալոյթուն —, «յահան-ուլո»)
դա թառքեծուն (—թառս-յալոյթուն) մարդի մո, յաշենքեծուն պա-
տուն մտուն յակեց մո (—, «горный равнин») 322); նոցարու տուշեցին տուաթի ու
տուաթի սուր-սարտունունու սաելոյեծո չյանքի մատ, հոմելու յահան-
յամ սարտուն, տզուտոն պայլունունք, եռլու չյեմունի
սանոցացուն դա եռլու յահան-ուլունք (մագ. բածլուս դա սեպ.). մացրամ
գուգու շեպունմա օյնեծա պայլոյի յարու, պատունք ոմ գրուն մտելու
ուշերու ամ-ցարու յենունքուն պայլունունք դայահան-ուլո. հո-
ցորու պայլու, պայլուն յո յահանուն սուլլոյեծուն օյն յուցու
շենքաց յապու մտլու ան նահեցրատ մութի մո յամուտերունք ծո-
նքուն անց ՝մութիրոյեծ», հոմելոյթիուն պայլունքն մտելու չա-
լունուն; մուստահա ծոնքուն ենորու պայլուն, յենունունքունուն մութ-
մունքուն, իշեն մենունքու սասմեցունուն; մութուն սամարտունուն ատ
օյնուց ծ-նու ո. չացանունցուն, հոմելուն յենունունք ստուլուն
դասկացնաս, հոմ ասցու մութիրոյեծուն յենունունքունուն դա սրու-
նուն գրուն ուշերուն նոցարու տուաթունուն յահան-ուլունք յուն պայ-
լունուն. 323)

Հաջան սրուածոն ամծոնք, հոմ յենայրունք ծուն ծահրէ
ուշերոյելոյեծուն մելոյելոյեծուն դա սումեցուն յառանց պայլունունքու-
նու («устроились на армянскій и медійскій ладъ»), 324) յեց-
զումունու պայլոյի յարու, հոմ ոմ գրուն յահան-ուլոյեծուն բանուսամուս-
ոն յուն պայլունուն նածուն յուն, սաելունքունուն յարու անց
ցամելոյթի ունուսապայլուն («хитонъ съ рукавами») դա տծուն
ուն յահենունցունքուն. 325)

Ամցարատ ուժարացու տացսա դա տացուս սահին-սածացունքուն
յահան-ուլոյթուն եալս յացուս յակալոյթի դունքուն դա ծոնքուն սեպա մոց-

322) И. Джаваховъ, Ioc. cit стр. 48.

323) Ibidem стр. 49.

324) Географія кн. XI, гл. 3, § 3.

325) Ibidem, кн. XI, гл. 13, § 9.

ლენინგრადი. ახლა განვიხილოთ, თუ რა წესითა და რომელის
 იარაღებით იცავდა იგი თავის-თავს და აღგილ-მამულს გარეშე
 მტერთა შემოსევისაგან, ე. ი. როგორი ჰქონდა მას ფერთ.
 ბის წესი და სამხედრო იარაღები ანუ საჭურველი.

ძელი ივერიელების საჭურველი არ იყო შეტათ როგორი
 ლი და განვითარებული. ჰეროდოტის მოწმობით, მოსხები,
 ალაროლნი და სასპირები ომში ხვარობდენ: ხის მუზების,
 პატარა ფარს ხარის ტყავისას, სატევარსა (= „ნიები ჩაჯე“)
 და გრძელ-რკინიანს, მაგრამ მოკლე შებს. 326) ხოლო ქართული
 ფონტი კარცუქების შესახებ გადმოგვცემს, რომ მათს საჭურველი
 ველს შეადგენდა მხოლოდ შერდული, სამარშინიანი გრძელი
 შევიზდდა და ორ-ორ-არშინიანი ისრებით; როცა იგინი ისარს
 ისვრიდენ, მშვილდის ძირა ნაწილს მარცხენა ფეხს დააჭრდენ
 ხოლმე და ისე დასჭიმავდენ სასხლეტ თოკსათ; მათი ნასრო-
 ლი ისარი თავისუფლათ აპოდდა ფარსა და ჯავშანსა (327)
 იგივე ქართულნტი ასე აგვაწერს ქალიბების აღჭურვილობას:
 „ქალიბებს ეცვათ სელის ფავშანი, რომელიც მუცლამაზე აღ-
 წევდა; ამ ჯავშანის ქვემო ნაწილი სქლათ ჩაწნულ თავები-
 საგან იყო შემდგარი. მათ ჰქონდათ აგრეთვე საგვერულები
 („найдренники“) და მუზარადი; ქამარზე ეკიდათ სპარაუნული
 ხმლის მსგავსი მახვილი, ხოლო მათი შები სიგრძით 15 ბერძ-
 ნულს ალაბს უდრიდა და მარტო ერთს თავზე ჰქონდა მარტვილი
 ტილი რკაო. 328) როგორც სტრაბონის აღწერილობიდან
 სასხანს, პირველი საუკუნის ივერიელებს ზემოქამოთვლილ სა-
 ჭურველიდან შეძიენია შეიძლება-ისარი, იურ-ფავშანი, შეზარ და,
 უეპველია, სატევარიც ან მახვილი; ხოლო, ხის მუზარ ადების
 ნაცვლათ, ნადირის ტყავის მუზარადები შემოუღიათ. 329)

ზემოთ, სტრაბონის მოწმობის თანახმათ, ჩვენ და ვასკვე-
 ნით, რომ პირველ საუკუნეში ქრ. წინ ივერიელთა შორის

326) Ганъ—Извѣстія... I, стр. 21.

327) Ibidem, стр. 27.

328) Ibidem, стр. 33.

329) Географія—кн. XI, гл. IV, § 5.

მეომრები განსაკუთრებულ სოციალურ ჯგუფს არ წარმოადგენდენ, არამედ ერთი და იგივე უუდიდესი ნაწილი ჩვენის ერისა, სახელდობრ მესამე ჯგუფი, ანუ თავისუფალი მოქალაქენი, მშაიდობიანობის დროს მიწის მუშაობას მ-სდევდა, ხოლო ჩტრის შემ სევის დროს იარაღს ისხამდა და საომრად გადიოდა, ე. ი. არ არსებობდა არც რეგულიარული ჯარი, არც ომის მიმდევარი პროფესიონალური წოდება, არამედ იყო მხოლოთ არა-მეომარი, მაგრამ ყოველთვის თავის დაცვისთვის მზა სახალხა მიღიცა („=народное ополчение“). ამგვარათ არ აცხებობდა მხედრობა, არამედ თვითონ ხ ლხი იქცეოდა მხედრობად, როცა ამას საჭიროება მოითხოვდა. საქმის ამგვარს მდგომარეობას ნათლაო გვიხატავს ქართული სიტყვა „ერი“, რომელიც ჩვენს ძველს მწერლობაში ორი ცნების გამომხატველია: ხალხისაც და ჯარისაც, სწორეთ ცსე, როგორც დღესაც საქართველოს ზოგიერთ პროვინციებში სიტყვა „ჯარი“ ერთათ შეყრილ ხალხსაც ნიშნავს და ლაშქარისაც; ცხადია, სიტყვის ეს ორგვარი მნიშვნელობა იიხსნება მხოლობით, რომ ერთ დროს საქართველოში ხალხი და ჯარი ერთი და იგივე ყოფილა. ³³⁰⁾

ჩვენი ისტორიული წყაროების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ბრძოლის ველზე ქართველთა ლაშქარი თემ-თემად გამოდიოდა, ე. ი. არ წარმოადგენდა ერთს მთლიანს ლაშქარს, არამედ ყოველი თემი, უუძყელესათ ხეობა, და გვარიც კი, ცალცალკე იყო დარაზმული და მხოლოდ დროებით უკავშირდებოდა დანარჩენს გვარებს, ხევსა და თემებსა. ³³¹⁾ ყველა ამათ მთავარ-სარდლად კი ითვლებოდა მეფის მეორე პირი ანუ მთავარ-მსაჯული, რომელსაც, სტრაბონის მოწმობით, სამეფო საგვარეულოდან იჩიევდება ^{332).}

ამ-რიგათ, არც საომარი იარაღები და არც სალაშქრო ორგანიზაცია ძველი ქართველებისა არ იყო ისეთი, რომ მარ-

³³⁰⁾ И. Джаваховъ loc. cit. стр. 62—63.

³³¹⁾ Ibidem, стр. 64—65.

³³²⁾ Географія — кни. XI, гл. 3, § 6.

ტო მათი მეოხებით ჩვენს ხალხს შესძლებოდა თავი დაცუა. მიუხედავათ ამისა ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი ხალხი სცხოვრობს საუკუნეებით და არა თუ არ ისპობა და ილესება სხვა უძლიერეს ერებში, არამედ ჰქონის საკუთარს კულტურას, იარსებს საქაოთ ძლიერს ცენტრალურს მთავრობას და მე-XII საუკუნეში ოღვეს უმაღლესს წერტილს თვისის პოლიტიკური ძლიერებისას ამიერ-კავკასიაში. რას ნიშნავს ეს? სად უნდა ვეძიოთ ამ მოვლენის აღსნა, მისი ერთი უუძლიერეს მიზეზთაგანი? ამისი ახსნა უნდა ვეძებოთ, სხვათა შორის, თვით ივე რის ტანატერიულ შირობას და ივერიელების სამხედრო ტაქტიკაში, რომელიც ამავე ტანატერიულ პირობებთან იყო შეიანხვებული და მათით ღებულობდა ძალასა და მნიშვნელობას. როგორც ქსენოფონტი მოგვითხრობს, ქართველ თემებთან უიარაღოებანაც კი ძნელი იყო ბრძოლა, განსაკუთრებით როცა საქმე ალყის შემოჩენასა და იერიშზე მიღვებოდა, და ამის უმთავრესი მიზეზი იყო მათი ადგილებრივი სიმაგრები და მიუდგომლობა. გაჩნდებოდა რუ არა მტერი, ქართველები იმ წამსვე სტოვებდენ ბარად გაშენებულ სოფლებს, სახლებს ცეცხლს წუკიდებდენ, რომ მტერს არ ჩავარდნოდა ხელში, და მთელის თავისი ჯლაბით (ზოგჯერ მსხვილფეხი საქონლითაც) იხიზნებოდენ მთებში და მიუდგომელ სიმაგრეებში; ვ. დას შემდგვ იწყებდენ ღიდალი ხეებისაც და უზრმახარი ლოდების ჩაგორებას ძირს მომავალი მტრისაკენ, რათა მისთვის გზა შეეკრათ და მსვლელობა

*) მეორე წერილში ჩვენ შევნიშნეთ, რომ თეითეულ საგვარო და სათემო მამასახლისის გვერდით ხალხი ირჩევდა სარდალსაც, რომელიც ღმიანობის დროს წინამძღვრობდა თავის გვარს ანუ თემს გინა ხეობას; ჩვენს მატიანეში ეს სარდლები შეცდომით სპასალარებად და ათისის-თავებად არიან წოდებული, მაგრამ უმჯობესი იქნება გვარის სარდლებს გვარის-თავი ეწოდოს, ხეობისას—ხევის-თავი, ხოლო თემის სარდალს—ერის-თავი, როგორც იგი „ქართლის-ცხოვრებაშიაცა“ წოდებული (ქ.-ც. I, გვ. 39).

ვ. გან—Извѣстія... I, стр. 26 и 32; შეად. 36 и 40.

გაეძნელებით. 334) მაგრამ თუ საქმე იქამდე მიციდოდა, მტერი სიმაგრემდე მიაღწევდა, ჯარი იფანტებოდა ტყეში და ხეებილან დაუშენდა მტერს ისრებს. 335) თუ ეს ლონეც ვერ გასჭრილა, საქმე ზოგჯერ უფრო შორეულ სიმაღლეებისაკენ გახიზვნით ან პარდაპირ გაქცევით თავდებოდა 336); ზოგჯერ კი მეტათ ტრაგიკულს ბოლოს იღებდა: რომ მტერს ტყვედ ხელში არ ჩავარდნოდენ, ქალები ჯერ ბავშებს ისერიდენ ძირს უფსკრულისაკ ნ და მერე თვითონაც თან მიჰყებოდენ; ამათს მაგალითს პბაძავდენ გამაკაცებიც. ასე მოიქცენ, მაგალითად, ტაონები ანუ ტაოსკრელები ელლინებთან ბრძოლის დროს. 337) სკვით-სარმატებისა, ალბანელებისა და სომებ-მედიელების მსგავსად, ივერიელები ომის დროს ქვეითნიც ომბდენ და ცხენოსანნიც. 338) ხშირათ ივერიელებს საერთო მტრის წინააღმდეგ სკვით-სარმატებიც მოეშველებოდენ ხოლმე: სტრაბონის მოწმობით, მთის ივერიელებს შეეძლოთ გამოეყვანათ „ბევრი ათეული ათასი მეომარი, როგორც თვის შორიდან, ისე სკვითებისა და სარმატებიდან. 339) ივერიელებს ეხმარებოდენ ამის-თანა შემთხვევებში ალბანელებიც. 340) უკვე ქსენოფონტის დროს ზოგიერთ ქართველ თემებში (სახელდობრ მოსინეკებ-ში) მიღებული ყოფილა მწყობრი ჩარაზმული მოქმედება მტრის წინააღმდეგ, საომარი სიმღერით, ტაქტიური მოძრაობით და მსწრაფლი თავდასხმით: მოსინეკებიო, — მოკვითხრობს ქსენოფონტი, — „მწყრივათ დადგენ ერთი-მეორის პირის პირ ასეულებაი, მგალობელ გუნდთა მსგავსათ; შემდეგ ერთმა მათვანმა დაიწყო სიმღერა, სხვებმა ბანი მისცეს, დაიძრენ

334) Ibidem, стр. 32, 35. შეად. 27.

335) ასე მოიქცა არტაგის ჯარი პომპეის წინააღმდეგ. ჯავახოვъ, loc. cit., стр. 67.

336) Ibidem стр. 66.

337) Ганъ loc. cit. стр. 33.

338) География Страбона — ка. XI, гл. 4, § 4; гл. 13 § 7.

339) Ibidem ка. XI, гл. 3, § 3.

340) Ibidem, ка. XI, гл. 4, § 4.

შეყობრათ ფეხის აყოლებით, გვერდში გაუარეს ელლინურების რაზმებს (რომელნიც მ თთან უკვე მეგობრულათ იყვნენ), მსწრაფლ შეუტიქს მოპირდაპირებებს (მოსინეკებისავე მეორე ჯგუფი იყო, რომელთანაც პირველი უქმაყოფილოდ იყვნენ) და თავს დაესხენ მათს სიმაკრეს იმ მხრიდან, საიდანაც უფრო ადვილ მისადგომი იყოთ³⁴¹⁾. უეჭველია პირველი საუკუნის ივერიელთა სამაცდრო ტაქტიკა ამაზე მაღლა თუ არ იდგომ ბოლა, უკან მაინც ოღარ იქნებოდა ჩამორჩენილი. — დასასრულ, ქართული წყაროებიდან ვტყობილობთ, რომ ზოგიერთ შემთხვევებში ქართველთა შორის მიღებული ყოფილა ომის წინ ეგრეთ წოდებული „ბუმბერ, ზობა“ ანუ ფალავნების შებრძოლება („ედინიბორცვი“). აი, რას გადმოგვცემს, მაგალითათ, „ქართლის-ცხოვრება“ ქართველთა მეფის არშავ მე-II-ის შესახებ, რომელიც იყო თანამედროვე სტრაბონისა: «ხოლო არშავ შემოკრინა ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, მოირთო ძალი სპარსეთით და მიეგება. (ადერკის) წინა. შეკრძეს ორნივე სპანი თრიალეთსა და დაბაზანებებს მახლობლად ერთმან-ერთიან. სახოვა თავის-თავ არშავ ადერკის; ხოლო ადერკი სიხარულით აღიკურვა საჭურველითა შვენიერითა, აღჯდა ტაიჭა და პრეცა სპათა მისთა: განძიმაგრეთ ზურგით ჭერბა ჩემა და ნუ შესმრწუნდებთ. და ეგრეთვე არშავ აღიკურვა და გავიდა განწყობილთა შორის. ადიზ ხნეს ორთავე ხმითა სასტიკათა და მაეტეგნეს ურაიერთსა, და იწყეს ორთავე გურემად თრთლითა და ვერ ჰკვეთდეს საჭურველთა ერთმანეთისა; და ბრძოლისა სიგრძესა შინა გაუტყდათ ოროლება; აღმოიდეს ჩუგლუგები და იწყეს ბრძოლა ჩუგლუგებითა: ოდეს უხეთქნიან ჩუგლუგი იგი საჭურველსა მათსა ზედა, მსგავს იყვის ხმასა უროსასა, რომელ იცემის მქედლისაგან გურდებლისა ზედა, და ხმა ზახილისა მათისა — მსგავს იყო ქუხილისა. მაშინ ვერა სძლეს ერთმანეთსა, დაშვრეს და უკუდგეს ამიერ და იმიერ. შეღამდა დღე იგი და განისვენეს ორთავე,

լո ջուղավ քցալու ջմացօքյես, առօլյը միյէ լոցյօն, օ՛չյը և
 հծյալ լո և սուսրալ յրտմանց ծտուսա: Ֆյրա օսարո ազըրյո մյցըրդ.
 և արշայուսասա, լո զերա լոյտարա և մացրեման սակարպալուսաման,
 ցանցուն նշուրցու լո համոցարդա արշայ լոյտուսացան. “342) ասցու
 յուղուն նյըս ծոյթերանոնցուս, ու ոմ գրուս առա, հոմցուսաւ
 մարունքունքուն մոտերոնձա նշյեցա, ոմ գրուս մանց, հոմցուսաւ ուղու
 յը տյշուլցեցա նորուցուատ նշյենուլու; լո ամ մերուտ ալճոն մնու-
 լու օդցուն հայունուս մարունքուս մուրուցունքն իշարմուցյունան
 մանց սնուա ցամլուցունքս ոմանց, հասաւ մցուլուտ „ծոյթերանու-
 նա“ յիշուցուն լո հապ, զոյոյիրոնց, սբրանոնց գրուսաւ
 սնուա յուղունուն մոլցծուլու հայուն եալունու. հոցուրպ ոմացը
 մարունքուս մյուրյ օդցունուն սիսն, ծոյթերանուտ ծրմունուն
 նշյեց օ՛չյընուն նամցունու ոմու, ոյզը մցցոմ մունուրունունու
 լունյարուտ նորուս: „մյցուման ծարուոմ, — մոցցուտերոնձան մարու-
 նա, — նշյոյիրոննա յուցունու նէանո յարուլուսանո, մուրուտ սա-
 լու սոմենուտ լո մոյցյեցա ոցո (մորցանսա) եւնան; ուկրա նշուր-
 ցալ յալույն եւնան. մոցուն մորցան լո լալցա մունարուցա նց-
 լո ծյրույչուսասա լո օ՛չյը ծրմունու: լո ցամոհնունքս ուրուցը
 նորուս ծոյթեր նէն; ոյզնը ուցուս յրտուս, յուցուսա լուցուս,
 ծոյթերանուտ ծրմունունու: ուցուս մատ սելունան լո ուցյեմը ամատ
 սելունան. եռլու ամա ուցուս յրտուս նոնա աման մորցան ուցուտա-
 ցուտ մոյլո սամցուն ծոյթերանու յարուցունուտ լո սոմենտացա-
 նու; լո արացուն ցամոհնուն յարուցունուտ լո սոմենտա նորուս մծլու
 մորցանուսու; լո զերպա ուղուտ նշյեց ծարուոմ կը ծրմունու մաս, հա-
 նցու առա ոսու մուս տանա մալու ցոլունուտոննուս. մամին ծ րութի
 մյցյեւ էս հանդիշն նէանո մ. նէն լո մեմարուտ յացուուտ. սէսուտա. լո
 մշնուտ մորցան մայցյեցա նէսուտ յոցուուտա. լո օյմիս ծրմունուն
 մատ նորուս. “343) հոցուրպա սիսն, մցուլուտ հայուն մենուցըլ
 սասոմենտունու սնուա յուղունուն մոլցծուլու ծոյթերանուննուս
 նյըսու. 344)

342) յ.-Եթուցընա I. 83. 48—49.

343) օյմիս 83. 46.

344) նշյալարցետ „История Армении“ Монсса Хоренского, стр. 43
 և 54.

გადავიდეთ ახლა ივერიელების ზნე-ჩვეულებათა, საორმუან
ნოებისა და გონებრივი მდგომარეობის განხილვაზე.

როგორც ვიცით, ყოველი ხალხის ზნე-ჩვეულებაზი, აზრ-
შეხედულებანი და კულტი გამომხატველია ამ ხალხის წარსუ-
ლისა და აწმყო სოციალურისა და, რამოდენათმე, პოლიტი-
კურ-საერთაშორისო მდგომარეობის. როგორც ზემოთ დავი-
ნახეთ, პირველი საუკუნის ივერიელთა სოციალ-პოლიტიკური
მდგომარეობა დამყარებული იყო გვარსა და გვაროვნობითს
წარმოების წესზე; მეორე მხრით, წინა წერილებიდან ვიცით,
რომ უუძველესათ საქართველოს მკვიდრნი მიღიერ-სპარსთა
ხანგრძლივ გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ.*.) მაშასადამე მო-
სალოდნელია, რომ პირველი საუკუნის ივერიელთა ზნე-ჩვე-
ულებანი და სარწმუნოება ზემოაღნიშნულს ორ ფაქტორთან
(საგვაროვნო წყობილება და მიღო-სპარსთა კულტურული
გავლენა) უნდა ყოფილიყო შეკავშირებული, მათგან უნდა
მიეღო ძალა და შინაარსი. მართლაც, ის მცირეოდენი მასალა,
რომელიც ამ საგნის შესახებ მოგვეპოება, სავსებით ცხად-
ჰყოფს, რომ საქე ნამდვილ ისე ყოფილა: ივერიელ-ალბანელ-
თა და სომებ-მედიელთა შინაური ცხოვრების შედარებითი მი-
მოხილვა, თანახშათ სტრაბონის მოწმობისა ამ ხალხთა მსგავ-
სებაზე, 345) საკმაოთ გვიმტკიცებს, რომ როგორც ოჯახური
ცხოვრება და ოჯახის წევრთა ურთიერთობა, ცოლქმრობა,
ნათესაობის სისტემა, მიცვალებულთა წესი, ახალთაობის აღ-
ზრდის წეს-რიგი და პირადული ღირსებანი (მაგილ., წარმოდ-
გენა თავის პირადულს პატივზე და მისი დაცვა) რვერიელები-
სა, ისე სარწმუნოებაც პირდაპირი ნაყოფი ყოფილა ივერიელ-
თა სოციალურისა და წინანდელ საერთაშორისო მდგომარეო-
ბის, ე. ი. გვაროვნობითის წეს-წყობალებისა და ძველ მიღო-
სპარსთა კულტურულის გავლენის. ზემოთ ჩვენ ქართული
წყაროებს თანახშათ დავ სკვერნით, რომ ძველათ ქართველთა

*.) შეად. პირველი წერილი და რამოდენათმე მე-II-ეც.

345) География—кн. XI, гл. 3, §—3; гл. 4, §§ 1 и 4.

შორის გავრცელებული ყოფილი ანაპიდის ანუ ანაიტიდის (= „ანინადა-ნანა“) კულტი (იხ. წერილი მე-III). სტრანის მოწმობით, ამ ღვთაე?ის თაყვანისცემა ძლიერ გავრცელებული ყოფილი ჩვენს მეზობელ სომხებსა და მედიელებშიაც. უსპარ-სელების ყველა საწმიდეებსო, — ამბობს სტრაბონი, — თაყვანსა სცემდენ აგრეთვი მედიელები და სომხები; ყველაზე უფრო გალლა სონები ანაიტიდის ტაძრებს აყენებდენო; ამ ტაძრე?—ში ორისავე სქესის მსახურები მოიპოვებოდა; ამას გარდა წარ-ჩინებული პირები ამ ღვთაებას დროებით შესწირავდენ ხოლმე გაუთხოვარ-ქალებს, რომელნიც, კანონის ძალით, ვალდებუ-ლი იყვენ იქ თავისუფლათ დანებებოდენ მამაკაცებს და მერე გათხოვილიყვნო; არავინ არ იტყოდა უარს ასეთი ქალების შერთვაზეო. საზოგადოთ იქაურ ქალე ს თავისუულათ უკი-რავსთ თავი შამაკაცე?თან, თუმცა სიუგრდებს უმეტესათ თა-ნასწორას წრიდან ირჩევენო“.³⁴⁶⁾ ასეთივე უნდა ყოფილიყო, ალბათ, ანაიპიდის კულტი და მასთან შეკავშირებული სოცია-ლურ-საოჯახო მდგომარეობა პირველი საუკუნის ქართველებ-შიაც. რაյო სტრაბონი გვარწმუნებს, რომ ბარის ივერიელებ-საც იმნაირათვე ჰქონდათ მოწყობილი შინაური ცხოვრება, როგორც მედიელებსა და სომხებსაო (Географія—кн. XI, гл. 3, §—3). ამასთანავე, უკეთუ მხედველობაში მივიღებთ, რომ, იმავე სტრაბონის მოწმობით, მედიელ მცფეებსა და საზოგა-დოთ მთის მედიელებს წესად ჰქონებიათ მრავალ-ცოდისნობა (ხუთიდან ზევით),³⁴⁷⁾ საფუძველი გვექნება ვიფიქროთ, რომ ქართველებში ეს წესიც უნდა ყოფილიყო მიღებული. ხოლო თუ ეს უკანასკნელი დასკვნა სარწმუნოა, შეგვიძლია კიდევ წინ წავიდეთ და დავასკვნათ, რომ ძველის-ძველათ, ჩვენს ის-ტორიაზე ბევრათ ადრე, ქართველ ხალხში აღგილი უნდა ჰქონებოდა ეგრეთს წოდებულს შერეულს და, უფრო კი, პიშ-

³⁴⁶⁾ Ibidem—кн. XI, гл. 14, §—16.

³⁴⁷⁾ Ibidem—кн. XI, гл. 13, §—11. მრავალ-ქმრიანობაზე კი სტრაბონი არას ამბობს.

ფერდინ წესს ცოდნებითია և, რომლის დამახასიათებელუფლენია სებას შეაღენს ცოდებისა და ქრების საზიარობა და დასახლი. სური (მატე იარქალურა) ს სტემა შემკვიდრეობისა და ნათესაობისა.*) მაგრამ იმ დროს, რომელსაც ჩვენი ისტორია შეეხება, ამ ძველი სისტემის იდგილი უკვე ახალ წესსა და ახალ სისტემას ჰქონებია დაწერილი, სახელდობრ პატრიქილურს ანუ მამასახლი-სურს სისტემის, რომლის დამახასიათებელი კუთვნილება არის: ერთ-ქმრიანობა და მაშობრივი წესი ნათესაობისა და შემკვიდრეობისა, როდესაც ოჯახის თავად მამაკაცი ითვლება და ჩამომავლობაც მამის გვარს ატარებს და არა დედისას, როგორც ეს დიასახლისურს ოჯახში ყოფილი. ცოლქმრობის უუძველესი ფორმიდან (ჯგუფებრივი ცოლქმრობა), როგორც ზემოთ აღნი ნულ ანალოგიდან სიანს, სტრაბონის დროს ქართველთა შორის (მსგავსად შეღიერებისა და სომხებისა) დარჩენილი ყოფილა: მრავალ-ცოდნანობა, მისტიკური წესი „გამოწევიდვის“ ანაიდის ტაძარში და დედაკაცების მიერ, ერთი ქმარის გარდა, სხვა საუკარალ; ბ. ს ყოლაც. 348) ამგვარათ, ერთ-ქმარიანობა, მაშობრივი წესი ნათესაობისა და შემკვიდრეობისა, მრავალ-ცოდნანობა, გათხოვებამდე თავისუფლი ცხოვრება, ხოლო გათხოვების შემდეგ საუკერავის ყოლა, — აი მოკლე სურათი ქართველთა საოჯახო ცხოვრებისა და ზნეობისა პირველ საუკუნეში ქრ. წინ. — ალბანელების მსგავსათ, გავრცელებული უნდა ყოფილიყო მაშინდელს ივერიიელებში „მთხუთა განსაკუთრებული“ შატრივისცემა“, 349) რაც აღვილ ასახსნელია, უკეთუ მხედველობაში მივიღებთ, რომ როგორც ივერიიელებში, ისე ალბანე-

*) შესაძლოა ამ წესის შორეული გამოძახილი ისმოდეს ჩვენი მარიანის თქმულებაში ქართლოსის ცოლის შესახებ („ქ.-ცხოვ-ება“ I, გვ. 21—22).

348) ძველებური ოჯახის სხვა და სხვა ფორმებსა და ევოლიუციაზე, აგრეთვე ანაიდის ტაძარში მისტიკურ გამოსყიდვის (=პსკუპლიი) შეახებ იხ. ფრ. ენგელსის: „Происхождение семяти, собственности и государства“. СПБ. 1899 г. стр. 21—52.

349) География— кн. XI, гл. 4, §—8.

ლებში, ყოველგვარი უფლების წყარო და ყოვლის უფლების წყარო
ცენტრი გვარი იყო, რომლის უზენაეს უფლებათა გამომხატ-
ველად და განმახორციელებლად ითვლებოდა უუზეცესი წევრი
ანუ მამასახლისი, ხოლო ამ უკანასკნელის კანდიდატად შეეძ-
ლო გამხდარიყო ყოველი ხნიერი მამაკაცი ანუ მოხუცი: აქე-
დან — უმცროსთაგან მოხუცთა პატივისცემა პირდაპირი ანგა-
რიშის საქმედ უნდა ჩაითვალოს, რასაც, რაღა თქმა უნდა,
სარწმუნოებაც თავის მისტიკურს სანქციას დაისამდა. — გვარ-
თანვე იყო შეკავშირებული ყოველი მისი წევრის შირფენული
დარსებაც; გვარის შეურაცხულფა ყოველი წევრის შეურაცხულ-
ფა იყო და თვითეული. წევრის შეურაცხულფა იმავე დროს
მთელი გვარის ლირსების დამცირებად ითვლებოდა; ხელშეუ-
ხებლობა პიროვნებისა მისი გვარის ხელშეუხებლობა იყო და,
ამიტომ, მოელი გვარი აგებდა პასუხს, როცა მის წევრთა სი-
ცოცხლეს ან კაცურ ლირსებას ვინმე ვაგლახათ ხელს შეატებ-
და; ამ მდგომარეობის შორეულს გამოძახილს წარმოადგენს
დღემდე ჩვენს მთიელთა შორის დაშთენილი წესი „სისხლის-
ადგილია“ ანუ გვაროვნობითი შურს-ძიება (= родовая месть).
რა თქმა უნდა, ეს წესი კიდევ უფრო ძლიერი იქნებოდა იმ
დროს, როცა სტრაბონის მოწმობრთ გვარი და საგვაროვნო
წყობილება საყველთაო მოვლენა ყოფილა როგორც მთის,
ისე ბარის ქართველთა შორის — მიცვალებულებს, როგორც
სხანს, ალბანელების მსგავსად, ძველის-ძველად ივერიელებიც
ჰმარხავდენ; 350) მაგრამ, როგორც კოლხების შესახებ აპო-
ლონი როდოსელის მოწმობა გვიჩვენებს, 351) და როგორც
ამას სტრაბონის დრომდე უკვე დიდის ხნის გავრცელებული
ზორიას სტრის სარწმუნოება მოითხოვდა, I-ელ საკუნეში ივე-
რიელებსაც, კოლხების მსგავსად, თუ ქალების არა, მამაკა-
ცების დამარხვა მაინც წესად აღარ უნდა ჰქონებოდათ. (შეად.
ზემოთ სხოლით 275). — მიღიელებისა და სპარსელების მსგავ-

350) Ibidem гл. 4, §—8.

351) Ганъ — Извѣстія... I, стр. 42.

სად, სტრაბონის ონიმედროვე ივერიელებს ქორწინება შემდეგის წესით უნდა სცოდნებოდათ: დაქორწინების დროდ მიღებული უნდა ყოფილიყო გაზაფხული და კერძოთ მარტის თვე (9 რიცხვის მახლობლათ = „весенне равноденствие“); სანამ ცოლის სარეცელს შეეხებოდა, საქმროს უნდა შეეჭამა ფაშდა და შემდეგ მთელი დღე ემართებოდა, ე. ი. საქმელი ალარ უნდა მიეღო. 352) რამდენათაც ვიცით, ახლად ჯვარდაწერილ „ნეფის“ მიერ ვაშლის შეჭმა, «სანთიობოში» წასვლამდე, დღესაც დარწენილია ჩვენი ქრეინის ზოგიერთ კუთხეებში (მაგალ. ზემო იმერეთში, ქირთლის საზღვარზე, ბეჭანთუბნის ახლომახლო სოფლებში); დარწენილია ზოგიერთგან მარხულობაც ჯვარისწერის დღეს და თვითონ საქორწინო მეჯლისის დროს; რაც უექება მარტში ქორწინებას, უეჭველია, ამ წესის დარღვევაში ბრალი უნდა ეფებოდეს იმ გარემოებას, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენში ბიზანტიიდან მართლმადიდებლობა შემოვიდა, მარტის პირველი ნახევარი ეგრეთ წოდებულმა „დიდ მარხვამ“ დაიკირა, რომლის დროსაც ჩვენის ტიპიკონით ჯვარის-წერა იღებალულია.

საყურადღებოა თვით სიტყვა — „ქორწინება“-ს ან, უკეთ, „ქორწილის“ ეთიმოლოგიური და სოციოლოგიური მნიშვნელობის გამორკვევა; ეთიმოლოგიურათ ეს სიტყვა შემდგარია ორი სიტყვისაგან: „ქორი“ და „წილი“; პირველი სიტყვა ძველი ქირთული სიტყვაა, იგი დღემდე სვანურ დიალექტშია-ცა დარწენილი და ნიშნავს „სასალს“; მეორე — „წილი“ იგივე „ნა-წილია“; და, ამგვარათ, „ქორ-წილი“ აღნიშნავს „სახლში“ წილის დადებას, მის მონაწილედ გახდომას; მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ძველია „სახლს“ ქირთველები იმავე „გვარს“ ეძახდენ; მაშასადამე „ქორ-წილი“ აღნიშნავს „გვარის მონაწილედ ანუ წეკრად“ გახდომას, სხვის გვარში წილის გაჩენას, რაც სავსებით ეთანხმება ქორწინების აქტს მისი სოციალურის მხრით. ვფიქრობთ, თვით სიტყვა „გვრი“-ც, ანუ, როგორც

ჩვენი მთიულები ამბობენ, „გორი“ იგივე „ქორი“—„სახლი“ უნდა იყოს; შხოლოდ, როგორც სჩანს, სიტყვა „გორი“ დაჩჩენილი ერთისა და იმავე სოციალური ინსტიტუტის—გვარის=რძე-ის—სფრიდური მხრის აღმნიშვნელად, ხოლო „სახლი“ იმავე ინსტიტუტის ტერიტორიაზე მხრის გამომხატველად.

ქართულს წყაროებში თითქმის არაეითარი რეალური ცნობა არ მოგვეპოვა ძველი ქართველების სწავლა-ადზრდის სისტემის შესახებ. მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სწავლა-აღზრდის საქმე ივერიელებში სტრაბონის დროს დაახლოებით იმნაირათვე უნდა ყოფილიყო მოწყობილი, როგორც მედიელთა და სპარსთა შორის ყოფილა: ჩვენ გვაქვს სტრაბონის მოწმობა, რომ ბარის ივერიელები შინაურობაში მედიელებივით იწყობდნენ ცხოვრებას, ხოლო მედიელები სპარსელებივით (География—кн. XI, гл. 3, §—3; гл. 13 §§—9—II 17); მაშასადამე გვაქვს საბუთი დავასკვნათ, რომ ბარის ივერიელებსაც სპარსელებივით უნდა ჰქონდნებოდათ მოწყობილი სწავლა-აღზრდის საქმე, გარნა ეს ცნობაც რომ არ გვქონდა, ისეც შეგვეძლო გვეფიქრნა, რომ, რახან ივერიელები, სხვა ქართველ თემებთან ერთათ, რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ემორჩილებოდენ მიდო-სპარსთა კულტურულ გავლენას, რომელმაც მათს სარწმუნოებაზედაც კი იქმნია ძლიერი ზედმოქმედება, უეპველია ეს გავლენა იხალთაობის აღზრდის საქმეშიაც შეიტანდა ირანულს წესსა და მიმართულებას, თუკი, რასაკვირველია, ამ ორი ხალხის (ქართველებისა და მიდო-სპარსელების) აღზრდის სისტემა ძველითგანვე ერთი და იგივე არ ყოფილა. აპრიორულათაც შეგვიძლია მოველოდეთ, რომ სტრაბონის დროინდელი ქართველების აღზრდის საქმე იმ მოთხოვნილებათა თანახმად უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რომელთაც მაშინდელი ჩვენი ერის ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება ჰპალებდა. ეს ცხოვრება კი, როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ, ყოველი ქართველისაგან მოითხოვდა: უმთავრესათ—მიწის მუშაობის ცოდნას, რამდენათმე—

მეჯოვობასაც; საზოგადოებრივ სფერაში — ზრდილობისასა და გონივრულ ქცევას, გვარის კეთილდღეობისა და ლირსებისა-თვის თავისიღადებას; ხოლო გარეშე მტერთან — სიმამაცეს, სამ-ხედრო ტაქტისა, სისწრაფისა და ღისციპლინის კოდნას, ყო-ველგვარის გაჭირვებისა და ნაკლებობის ატანას. ახლა საქმა-ოა გადავშალოთ სტრაბონის გეოგრაფიის ის აღგილი, სადაც სპარსელების (=მედიცინების) სწავლა-აღზრდის სისტემაზე ლა-პარაკი, და უეპველია დავეთანხმებით, რომ ქართველების აღ-ზრდა, თუ ყოველ წვრილმანში არა, უმთავრეს მუხლებში მა-ინც ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც სტრაბონის დროს სპარსეთსა და მიდიაში ყოფილა. იმ თვით ის აღგილი. „ხუ-თის წლიდან ოცდაოთხამდეო, — ამბობს სტრაბონი, — ბავშები სწავლობენ მშვილდ-ისრის და შუბის ხმარებას, ცხენოსნობასა და მართლის-თქმასათ. აღმზრდელებად ინიშნებიან ფრიად ბრძენი და კუუიანი პირები, რომელნიც თავის ნაამბობში ში-გა და შიგ მოწაფეთათვის სასარგებლო იგავ-არაკებსაც ჩაურ-თავენ ხოლმე, მოუთხრობენ ღმერთების ნამოქმედარსა და კე-თილი კაცების ცხოვრებაზე, ხოლო ხანდახან სიმღერასაც ას-წავლიანო; ბავშებს იგინი აღვიძებენ გათენებამდე სპილენძის წკარუნით, შეკრებენ ერთათ და ასწავლიან სხვადასხვა გვარს სამხედრო ვარჯიშობასა და ნაღირობას; დაამწკრივებენ ერ-თად ორმოც-ორმოცდაათს ბავშს, დაუნიშნავენ უფ-ოსებს და უბრძანებენ, განსაზღვრული მანძილი გაირბინონ; ავარჯიშე-ბინებენ ხმას, გულ-მკერდას და ფილტვებს, აჩვევენ სიცაისა, სიცივისა და წვიმის არანას, ასწავლიან მდინარეში ისე ჯავ-ლას, რომ აბჯარი და ტანსაცმელი არ დაუსველდესთ; ასწავ-ლიან მწყისობას, ღამე მიღვრად დარჩენას და გარეული ხი-ლით საზრდოობას. ყოველდღიურს მათს საქმელს შეადგენს: ხორბლისა და ღუკის პური, მწვანილი, მარილი და შემწვარი ან მოხარული ხორცი; ხოლო სასწელს — წყალი. ნაღირობენ კაბუკები ცხენ-და-ცხენ, და იარაღად ხმარობენ სასროლს შუბს, ისრებსა და შურდულებს; საღამოობით კაბუკი ვარჯიშობენ ხეების დარგვასა, ფესვების აძოოხრასა, იარაღისა და სასროლ

ბად ს დამზადებაში. ნანადირევის გაყოფაში ბავშები არ ღლებენ მონაწილეობას, არამედ ჩვეულების ძალით შინ გიაქვით. ვინც რბენაში გაიმარჯვებს, მეფე საჩუქარს უნიშნავს“.³⁵³⁾ არ ვფიქრობთ ამაზე ბევრით დაშორებული ყოფილიყოს სტრაბონის დროინდელ ივერიელთა სწავლა-აღზრდის წესრიგი.*)

მეორე წერილში ჩვენ ვეცადეთ დაგვეტკიცებია,—და, ვვონებთ, კიდეც მივაღწიეთ ჩვენს მიზანს, — რომ თითქმის მე-VI საუკუნიდან ქრ. წინ ქართველებს შემოლებული ჰქონდათ ანბანი, ეგრეთ წოდებული, ასო-მთავრული (იხ. წერილი მეორე, დასასრული). მაშასადამე სტრაბონის დროს ივერიელებში, მათ ზოგიერთ მოწინავე გვარებში მაინც, წერა კითხვაც უნდა ყოფილიყო გავრცელებული. მაგრამ, რას ხმარობდენ საწერ მასალად (პაპირუსს თუ ტყავს, ხის, ქვის თუ ძვლის ფირფიტებს ან იგურს), რითი სწერდენ ან სკრიდენ ასოებს (ფრთით, ლერწმით; რკინის თენგით) და როგორა სწერდენ (მარცხნიდან მარჯვნივ თუ არაბელულათ მარჯვნიდან მარცხნივ), — ამის შესახებ არავი არი ცნაბა არ მოგვეპოვდა.

დაგვრჩა განსახილველი ვერიელების სარწმუნოებრივი მდგრადი პირველი საუკუნის დამლევს ქრ. დაბადებამდე.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ისტორიის წითა დროებში ქართველი თემები ცისა, შიხისა, მთვარისა, ცის-კრისა, ციცნდისა, დედა-მიწისა და ბუნების სხვა და სხვა გვარ მოვლენათა თაყვანისმცემლები ყოფილან. ამას ამტკიცებს კლასიკური მწერლების მოწმობანი კოლხებისა და ალბანელებზე, ამასვე მოწმობს ჩვენი ხალხის ზეპირ-გარდამოცემთა განხილვაც.³⁵⁴⁾ მაგრამ იმ

353) გეოგრაფია — ე. XV, გ. 3, §—18.

*) არ ყოფილ ან „ქ-რთველები, როგორცა სჩანს, მოკლებული ეს-ტეტურ გრძნობას, რასაც, ქსენოფონტის მოწმობით, იგინი იკმაყოფილებდნ ცეკვითა და სიმღერით, როცა მიღიოდენ, ან მა-დან გამარჯვებული ბრუნდებოდენ. განმ—ივნეს... ქ. I, ცტ. 40 և 33.) შეად. ი. ჯავახოვს Ios. cit. ცტ. 67.

354) შეად. ვასტუშტის — „საქ.-გეოგრაფია“, წინასიტყვაობა შ. ვანა შვილისა, გვ. 100 — 60.

დროს, რომელსაც ჩვენ შევეხებით, ეს ძველი რწმენაშეუქცევა
დუღებანი კერძოთ ივერიელთა შორის უკვე საკმაოდ შეცვ-
ლილ-შეთვისებული უნდა ყოფილიყო ზოროასტრის კულტსა
და სარწმუნოებრივ სისტემასთან. როგორც ვიცით, მიღიელე-
ბისა და სპარსელების წინაპრებიც ძველით ამავე საკ-
ნებს აღმერთებდენ და ემსახურებოდენ, სანამ მათს სარწმუ-
ნოების ზოროასტრმა არ მისცა სისტემა და მწყობრი თეო-
რეტიული გამოხატულება ზენდ-ავესტის წიგნში 255) არა თუ
ზოროასტრამდე, სტრაბონის დროსაც კი სპარსელნი და მი-
ღიელები თაყვანსა სცენდენ ცის, მზეს, მთვარეს, აფროდი-
ტას (=სიყვარულის ღმერთს), რაცხლს, მიწას, ქარებსა და
წელს.“²⁵⁶⁾ უეპველია, ამ წინასწარი კულტის შეგავსება ძლი-
ერ გაუადვილებდა ქრისტიანულებს ზოროასტრის სარწმუნოების
შეთვისებას მიღიელებისა და სპარსელების ხანგრძლივის პო-
ლიტიკური და კულტურული ზედგავლენის დროს მე-VII—IV
საუკუნეებში ქრ. წინ. მართლაც, წინა წერილებიდან უკვე
შეტყობილი გვაძეს, რომ პირველი ქართველი მცირების საზ-
რუნავს შეაღგენდა ირანელ ღვთაებათა: არმ. ზაბასა (=აპურა-
მაზდისა), ზადენისა (=მითრა-იაზდანისა) და ანაიდის კულტთა
განმტკიცება და გავრცელება თვის ქვეშევრდომთა შორის;
დიდი ყურადღება ჰქონდათ მათ მიქცეული ზოროასტრის სა-
რწმუნოების განუყრელი ატტრიბუტის ცეცხლის თაყვანისმცემ-
ლობაზედაც. ამ გვარათ: არმაზი, ზადენი, ანაიდა*) და ცეც-
ხლი, — აი რა შეაუგენდა, უმთავრესად, ივერიელთა თაყვანის-
ცემის საგანს პირველს საუკუნეში ქრ. დაბატებამდე. ამ ღვთა-
ებათა კულტის ცენტრად ივერიაში ითვლებოდა არმაზ-ქალა-
ქი, სადაც მათ საკუთარი ტაძრები და საცეცხლეები ჰქონდათ

255) Г. Веберъ—Всехобщая История I, стр. 22—23.

256) География—кн. XIV, гл. 3, §—13.

*) ეს ანაიდა არის იგივე აფროდიტა ანუ ვენერა (ცისკრის ვარსკვ-
ლავი, ხოლო შემდეგში ღმერთი სიყვარულისა, სილამაზისა და ქარწი-
ლისა).



ამართული. ვა) ეს ტაძრები წარმოადგენდა ფართო ადგილებისა
მაღლობზე, რომელსაც გარს ზოუდე ჰქონდა შემოვლებული,
ხოლო შუაგულზე იდგა საცეცხლი; ამ საცეცხლეზე მოგვებს
განუწყვეტლივ ენთოთ ცეცხლი და ფაცული ჰქონდათ ბევრი
ნაცარი. ყოველზღვე შედიოდენ იგინი ტაძარში და თითქმის
მთელს ერთ საათს ჰგალობდენ ცეცხლის წინ საიდუმლო სა-
გალობლებს; თან ხელში წნელების პატარა კონა ეჭირათ,
თავზე მატყლის გვირგვინი ეხვიათ, ხოლო ამ გვირგვინი თრი-
სავე მხრიდან ლოკებზე თითქმის ნიკაპამდე ჩამოფარებული
ჰქონდათ პირ-ბადე. ვა) ასეთი იყო ტაძარ-სამლოცველოების
მოწყობილობა და მოგვების სალვაისმსახურო მოწყობილობა.

რაც შეეხება მსხვერპლის-წირვას, იგი სწარმოებდა ამნაი-
რათ: ჩვეულებრივ, მსხვერპლსა სწირავდენ ცეცხლსა და წელს:
როცა მსხვერპლი ცეცხლისა იყო, აირჩევდენ რომელსამე
წმინდა ადგილს, უმეტეს ნაწილად, მილობებს; მიიყვანდენ
სამსხვერპლო ცხოველს, რომელსაც ჩეხბზე გვირგვინი უნდა
ჰქონდოდა ჩამოცმული; მოგვი იწყებდა ლოცვას; ამავე დროს
აწყობდენ ხმელსა და კან-გამძვრალს ხის-ნაკრებს. როცა მო-
გვი ლოცვას გაათავებდა, სამსხვერპლო ცხოველს ცოტა მო-
შორებით დაჰკლავდენ, გაატყავებდენ და გამოშიგნავდენ; შემ-
დეგ მოგვი აიღებდა ცხოველის კუჭის ქონს („=სასაშირ“)
და დამზადებულს შეშაზედ გადააფარებდა, დაასხამდა ზეთს და
შეუკიდებდა ცეცხლს. ვინც ამ დროს გაბედავდა, ცეცხლის-
თვის სული შეებერა, ან მასში რამე მკვდარი ან ჭუჭყიანი
ჩაეგდო, სიკვდილით დაისჯებოდა. დასასრულ, მოგვი აიღებ-
და სამსხვერპლო ცხოველის ხორცს და დასჭრიდა ნაწილებად,
რომელთაც იქ დამსწრენი იყოფდენ ერთმანეთში. ამნაირათვე
სწირავდენ მსხვერპლს ზემოთ აღნიშნულს ღმერთებსაც. *)

ვა) იხ- ზემოთ წერილები მე-II და მე-III.

ვა) გეოგრაფია—ენ. XV, გლ. 3, § 15. ამ პირბადეს მოგვები მის-
თვის იფარებდენ, რათა მათი ამონასუნთქი „სალვათო ცეცხს“ აუ შეხებო-
და და ას წაემწიკვლა იგი.

*) მაგრამ რომელი ღმერთისთვისაც გინდა შეეწირათ მსხვერპლი,
თავდაპირველათ ლოცვას მაინც ცეცხლისადმი აღავლენდენ ხოლმე.

ცოტაოდნით განსხვავებული იყო წელის მსხვერპლისწილებები ან მსხვერპლს სწირავდენ: ტბის, წყაროს ან მღინარეს; კოქვათ მსხვერპლი წყაროსათვის უნდა შეეწირათ; მავიღოდენ წყაროსთან, ცოტა მოშორებით ამოთხრიდენ ორმოს, რომლის პირზედაც დაჰკლავდენ სამსხვერპლო ცხოველს, აანაც სცდილობდენ სისხლის წვეთი წყაროს წყალში არ ჩავარდნილიყო, რათა არ გაეუწმინდურებია იგი. შემდეგ მოგვები ზვარაკის ხორცის დასდებდენ დათნის ფოთლებზე, შეახებდენ წვრილ წკეპლებს და გალობდენ საიდუმლო საგალობლებს; თანაც მიწ ზე ლვრიდენ, თაფლსა და რძესთან შერეულს, ზეის; გალობა დიდხანს გრძელდებოდა; ამ დროს განმავლობაში მოგვებს ხელში ეჭირათ წვრილ წკეპლების კონა ვა). ამ წესსზე სრულდებოდა მსხვერპლის შეწირვა სპარსეთსა, მიღიასა, სასმხეთსა და კაპალოკიაში. ჩაღა თქჩა უნდა, ასეთივე უნდა ყოფილიყო აღნიშნული წესი ივერიაშიაც.

როგორც ვიცით, სამღვდელოება წარმოადგენდა განსაკუთრებულს სოციალურ ჯგუფს, რომელსაც მეფის საგვარეულოს შემდეგ პირველი ადგილი ეჭირა ევერიელებში. სამღვდელოებას შეადგენდენ მოგვები და ქადაგები, რომელთა პირდაპირი დანიშნულება იყო ლვითისმსახურების შესრულება და საზოგადოთ კულტის შესახებ ზრუნვა. მაგრამ, როგორც სტრაბონის მოწმობიდან სჩანს, ამ პირდაპირი მოვალეობის გარდა, სამღვდელოება ივერიაში სრულებდა, თუ შეიძლება ეს სიტყვა ვიხმაროთ, დიპლომატიურს როლსაც; სახელდობრ მათზე იყო დამოკიდებული მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილ-განწყობილებაზე ზრუნვა ანუ განხილვა და გადაწყვეტა საერთა-შორისო დავისა და განხეთქილებისა მეზობელ ხალხებთან. ერთი სიტყვით, როგორც ყველგან სხვაგან, იმ დროს ივერიელთა შორისაც სარწმუნოება და პოლიტიკა ერთმანეთზე იყო მჭიდროთ გადაჯაპვეული; ქართული წარმართობა სინიდესის თავისუფლების პრინციპს არ იცნობდა.

გ) ალბანია:

ა) საზღვრება. ალბანიის საზღვრებს შეადგენდა: აღმო-
საფლეთით — კასპის ანუ გირკანიის ზღვა; დასავლეთით — ივე-
რია, ალაზნის გასწვრივ; ჩრდილოეთით — კავკასიონის მთაგრე-
ხილი, და სამხრეთით — სასომხეთი, მტკვრის გასწვრივ.³⁶⁰⁾

ალბანიის ერთს ნაწილს სტრაპონი უწოდებს - კამბიზე-
ნა“-ს, რომლის სახელიც, ალბათ, უნდა უდრიდეს ქართულ
გეოგრაფიულ სახელ-წოდებას კამბეზოვნს, რაც ძველათ ქი-
სიყს ეწოდებოდა.³⁶¹⁾ ამ კამბიზენის შესახებ სტრაპონი გად-
მოგვცემს, რომ იჯი, სასომხეთის მსგავსათ, ალაგ ვაკიანი იყო
და ალაგ მთიანი, მდებარეობდა ალაზნის პირად, უწყლო იყო
და ალბანიადან ივერიასა და სასომხეთში გასავალ ალაგს წარ-
მოადგენდათ.³⁶²⁾ ხოლო, მეორე თარგმანით, აქ ცხოვრობდენ
როგორც ივერიიელები, ისე ალბანელები და სომხები;³⁶³⁾
სწორედ ისე, როგორც, იმავე სტრაპონის მოწმობით, მოსხე-
ბის ქვეყნის ერთი ნაწილი ივერიიელების ხელში ყოფილა, მე-
ორე — კოლხებისა და მესამე — სომხებისაში.³⁶⁴⁾ შეიძლება, ეს
ორი პუნქტი (მოსხების მხარე და კამბიზენი) ნახევრათ თა-
ვისუფალს საერთაშორისო, სხვა და სხვა ტომთა წარმომად-
გენლებით დასახლებულს, ნეიტრალურს პროვინციებს წარ-
მოადგენდა, რისგამოც პირველი არც ივერიად იწოდებოდა,
არც კოლხიდად და არც არმენიად, ხოლო მეორე — არც არ-
მენიად, არც ივერიად და არც ალბანიად. ამ მოსაზრებას რა-
მდედრათმე ამართლებს ის ფაქტი, რომ ქისიუელები ჩვენს ის-
ტორიაში მუდამ თავისუფალს თემს წარმოადგენდენ.

ბ) მთიანია და მდენარება. ალბანიის მთებს შორის სტრა-
პონი იხსენიებს მხოლოდ კავკასიონის ქედს მისი შტოებით,

³⁶⁰⁾ Ibidem ენ. XI, გლ. 4, §—1.

³⁶¹⁾ ვაზუშტი — საქ. გეოგრაფია, გვ. 150.

³⁶²⁾ განს — ქავხასტია... 1, ცტ. 69.

³⁶³⁾ გეოგრაფია — ენ. XI, გლ. 4, §—1.

³⁶⁴⁾ Ibidem გლ. 2, §—18.

რომელთაგან კასპის ზღვის ახლო მდებარენი კერვანის მაებად იწოდებოდენ. 365)

ალბანიის უმთავრეს მდინარეს შეადგენდა მტკვარი მისი ჩრდილო ჩასართვებით, რომელთა შორის უშესანიშნავესნი ყოფილან: ალაზანი, სანდობანი, როიტაკი და ხანი. 366) კერძოთ, მტკვრის შესახებ სტრაბონი ამბობს, რომ მისი ჩასართვი (ზღვასთან) ნაოსნობისათვის გამოუსადეგარია, რადგან აქ მტკვარი ბევრ სილას იყრის და ნაპირები მუდამ ცვალებადი და კენჭყოიანი აქვსო; ზოგიერთები კი გადმოვგცემენ, ვითომც, სანამ მტკვარი კასპის ზღვაში ჩავიდოდეს, თორმეტ შტოდ იყოფოდეს და ერთვოდეს ზღვასაო; იმის მახლობლათ ჩადის ზღვაში არაქსიცაო. 367) თუ უკანასკნელი ცნობა მართალია, სჩანს იმ დროში მტკვარი და არაქსი ერთმანეთს და-შორებულნი ყოფილან, რასაც გეოგრაფიაში არა ერთი და ორი ანალოგიური მაგალითი მოეპოვება.

გვ) ბუჩებას სიმდიდრე. წყლის სიუხვის მეოხებით ალბანიის ტეალაგი მუდამ ნოყიერი და ნაყოფიერი იყო; ადამიანი-საგან ფრიად მცირე შრომას თხოულობდა, უფრო ხშირათ კი სრულიად დაუმუშავებლადაც იძლეოდა მშვენიერ მოსავალს. მაგალითად საკმაო იყო მიწა „ხის გუთნით“ მოხხნათ,—და იგი მეორე და მესამე მოსავალს უკვე დაუხვნელათ იძლეოდა; სავენახე ვაზს ხუთს წელიწადში ერთხელ მეტათ არ სკირდებოდა გასხვლა; ახალი ვაზი მეორე წელსვე იძლეოდა ნაყოფს, ხოლო უფრო ხნიერს ვაზებს იმდენი ნაყოფი გამოჰქონდა, რომ უმეტესი წილი (მტევნები) ვაზებზედვე რჩებოდა შეუკმელი; ალბანიის ვაკეები მუდამ მწვანე ბალახით იყო შემკობილი და საუცხოვო საძოვარს წარმოადგენდა; ამისგამო როგორც შინაური, ისე გარეული ცხოველები ალბანიაში მშვე-

365) გეოგრაფია — ხ. XI, გ. 4, §—1.

366) Ibidem ხ. XI, გ. 3, §—2.

367) Ibidem ხ. XI, გ. 4, §—2.

ნიერი მოყვანილობისანი იყვენ. აქაური ჰავა ბევრით მაღლა იდგა ეკვიპტისა და ბაბილონის ჰავაზე ვც.)

მხოლოდ ერთი ნაკლი სკირდა ალბანიის ზოგიერთ ადგილებს; სახელდობრ მიწაში ბევრი შხამიანი ქვეწარმავალი მოიპოვებოდა, მათ შორის მორიელი და გესლიანი ობობა. 369)

სტრაბონს არც ერთი ქალაქი არა აქვს შოთხენებული ალბანიის აღწერაში, რაც, ალბათ, იმით უნდა იხსნებოდეს, რომ პირველ საუკუნეში ქრ. წინ ეს ხალხი ჯერ კიდევ ნახევრათ ეულ ცხოვრებას ატარებდა, მეჯოგობას მისდევდა და, მაშასადამე, ეკონომიურ-პოლიტიკურა. აც უკან იყო ჩამორჩენილი. ამიტომ ჩვენ საჭიროთ აღარა ვთვლით ქალაქებსა და დაბეზე ვილაპარაკოთ, რადგან, როგორცა სჩანს, სამოქალაქო ცენტრები ალბანიაში მხოლოდ სტრაბონის „შემდეგ აღმოცენებულა; პლინიუსი (ცხოვრ. 29—79 წწ. ქრ. შემდეგ, სტრაბონი კი+24 წელს) პირველათ იხსენიებს ალბანიის დედაქალაქს—„ქაბალაქა“-ს ანუ ქაბალას. 370)

დდ) შრეთვრებდები. გარეგნობით ალბანელები ლამაზები და ზორბა მოყვანილობისანი იყვენ, ხოლო ხასიათით გულკეთილნი და უანგარონი. 371) უმთავრესი მათი ხელობა იყო მწევმსობა ანუ მეჭოგობა, რისგამოც იგინი ეულ ხალხს უფრო მიემსგავსებოდენ, ვინემ მიწის მუშებს, თუმცა მთლიათ ველურებიც არ იყვენ. 372) რაღა გასაკვირალია, რომ ასეთს ხალხს არც კულტურა და გონებრივი განვითარება ჰქონებოდა დიდი. ალბანელები, მართლაც, კარგი მეომრები და მონადირეები ყოფილიან; მაგრამ არც თვედა სცონიათ ასზე ზევით, არც ფულის ხმარება; არც განსაზღურული საზომი ჰქონიათ და არც სასწორი; აღებმიცემობა მხოლოდ გაცვლითი ჰქონიათ; ერთი სიტყვით, სრულიად უდარდელნი ყოფილან როგორც მიწის

368) Ibidem гл. 4, §—3.

369) Ibidem гл. 4, §—6.

370) Ганъ—Извѣстія... I, етп 107.

371) Географія вн. XI, гл. 4, §—4.

372) Ibidem гл. 4, §—1.



მუშაობაში, ისე მოქალაქობრივ ცხოვრებაში; „არც დამოუკიდებელი და არც მეორეზე იგინი არ ზრუნავენო“, ამბობს სტრა-
ბონი. 373)

სოციალურ-პოლიტიკურათ ალბანელები ძველათ 26 თე-
მად იყვნენ დაყოფილი, ერთმანეთისაგან განსხვავებულ დია-
ლექტზე ლაპარაკობდენ, რადგან ყოველი თემი განსაკუთრე-
ბულათ ცხოვრობდა და სხვა თემებთან იშვიათათ ჰქონდა მი-
სვლა-მოსვლა. სტრაბონის დროს ალბანელებს უკვე საერთო
„მეფე“ ჰყავდათ, მაგრამ კარჩაკეტილ ცხოვრებას მაინც ძვე-
ლებურათ განაგრძობდენ. ათასში ერთხელ რომლისამე ძლი-
ერი მტრის შემოსევა თუ შეაერთებდა მათ დროებით, თორებ
ჩვეულებრივ არც ერთი მათგანი ერთობისთვის არა ზრუნავდა.
„მეფედ“ ისეთს კაცს ირჩევდენ, რომელიც მამაცობითა და
სამხედრო ღირსებ თ იყო განთქმული. 374)

მათი საჭურველი არაფრით განსხვავდებოდა ივერიელების
საჭურვლისაგან და ომიც მათებურათ იცოდენ, როგორც ცხენ-
ზე ისე ქვეითათ; მაგრამ ჯარი ივერელებისაზე მეტი ჰყავდათ,
სახელდობრ 60,000 ქვეითი და 12,000 ცხენოსანი. ასეთი
ჯარით შეებრძოლენ იგინი პომპეის. 375)

ალბანებში ძლიერ გავრცელებული იყო მოხუცთა პატი-
ვისცემა, არა მარტო ნერესავების, არამედ უნათესაოებისაც,
რაც თავისთვათაც ცხადია, რადგან ალბანელებშიაც იგივე
გვაროვნობითი სოციალური წყობილება სულთანება (თანაც უფ-
რო მტკიცე და ნაკლებ შერყეული), რაც ივერიელებსა და
სომხებში. როცა მამაკაცი გარდაიცვლებოდა, მთელს მისს ქო-
ნებას (ესე იგი ტანისამოსს, საჭურველს, ცხენსა და სამკაუ-
ლებს,—და არა ჯოგს ან საცხოვრებელ კარვებს, რომელიც
გვარის საკუთრებას შეადგენდა) მიწაში თან ჩაატანდენ ხოლ-
მე, რისგამოც მამის ქონებას მოკლებული შვილები სიღარი-

373) Географія кн. XI, гл. 4, §—4.

374) Ibidem гл. 4, §—6.

375) Ibidem гл. 4, § 4—5.

ბეჭი აჩებოდენ. 376) ამგვარათ, სტრაბონის მოწმობით, ალაზ-
 ნელები მიცვალებულებს მარხავდენ, რაც ნათლად გვიჩვენებს,
 რომ ზოსიასტრის სარწმუნოება მათში ძლიერ სუსტად ყო-
 ფილა გავრცელებული. მართლაც მათი სარწმუნოების გან-
 ხილვა გვიჩვენებს, რომ იგინი სტრაბონის დროსაც იმავე სა-
 ფეხურზე ყოფილან, რომელზედაც ძველი ზენდები ზოროას-
 ტრამდე იდგენ, ხოლო კოლხები და ივერიელები – ზოროას-
 ტრის კულტის შეთვისებამდე.

როგორც ნახვარათ ეული ხალხი, ალბანელები თაყვანსა
 სცემენ ცასა (ზევესს) და მის მნათობების, განსაკუთრებულით კი
 მთვარეს, რაც ადვილ ასახსნელია, რადგან ღამის მეხრისა და
 მწყემსისათვის მთვარეს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ
 მზეს, რომელსაც, სამაგიეროთ, დიდი მნიშვნელობა აქვს მი-
 წის მუშა ხალხისათვის. მთვარის სახელობაზე ალბანელების ტა-
 ძარიც ჰქონდათ ამართული ივერიის მახლობლით. ამ ტაძრის
 მთავარ-ქურუმს მეფის შედეგ პირველი აღგილი ეჭირა, მის
 ხელში იყო ეგრეთ წოდებული „საღვთო მიწა“ („священная
 земля“), ვრცელი და ხალხით დასახლებული. ქურუმის ხელ-
 ქვეშ იყვენ ტაძრის მოსამსახურენიც, რომელთა შორის ზო-
 გიერთები, რელიგიოზურ აღტაცების დროს, წინასწარმეტყვე-
 ლებას იწყებდენ ხოლმე. ვინც ამ წინასწარმეტყველების
 დროს მეტს აღტაცებაში შედიოდა და ტყეში გაქცეული მარ-
 ტო იწყებდა ხეტიალს, მას ქურუმი იქცერდა, შეჰქრავდა „სამ-
 ღვთო ჯაჭვით“ და წლის განმავლობაში ასუქებდა. წლის თავ-
 ზე ნასუქ კაცს მიიყვანდენ სამსხვერპლოსთან, დაბანდენ, და-
 ჯელდენ სურნელოვანი საცხებლით და, სხვა საგნებოან ერ-
 თად, მსხვერპლად შესწირავდენ. ადამიანთ მსხვერპლის შეწი-
 რვა სრულ დებოდა ამ წესით: ხალხიდან გამოვიდოდა ამ საქ-
 მე ი დახელოვნებული პირი, ხელში აიღებდა „საღვთო ლა-
 ხვარს“ (= „священное копье“), რადგან მხოლოდ ამ ლახვრით
 შეიძლებოდა სამსხვერპლო ადამიანის დაკვლა, და მარცხენა

გვერდიდან გულში ჩასცემდა. როცა მსხვერპლი წაიქცეოდა, ქადაგი ამ დაცემის მიხედვით იწყებდა მკითხაობას და, რასაც „ამოიკითხავდა“, იქ დამსტრეებს ხმამალლა გადასცემდა. შემდეგ მიცვალებული მიჰქონდათ განსაზღვრულ ადგილის, ყველანი მივიდოდენ, განწმენდის ნიშათ ფეხით შეეხებოდენ და დაიშლებოდენ. 377)

ასეთი იყო ჩვენი მეზობელი ხალხის ალბანელების სოციალურ-კულტურული ცხოვრება პირველ საუკუნეში ქრ. დაბადებამდე. თუ ალბანელი თემები ქართველის მოდგმისანი იყვენ, როგორც ეს პირველ წერილში გვაქვს გამოთქმული, სჩანს იგინი თავის თანამოძე ივერიელებსა და კოლხებზე ბევრით უკან ყოფილან ჩამორჩენილი, როგორც პოლიტიკურათ, ისე სოც-ალურათ, რისი მიზეზიც, ალბათ, ბუნების გადაჭარბებული სიუხვე, ტრიტორიის შედარებითი სივრცე და საწარმოვო ძალთა განუვითარებლობა უნდა ყოფილიყო. პირველი მიზეზი არის ფიზიკური, მეორე — ფიზიკურ-ფიზიოლოგიური (რაღანაც ტერიტორიის შედარებითი სივრცე მცხოვრებლების რაოდენობაზეა დამოკიდებული და, მათსადამე, არა მარტო ფიზიკურის, არამედ ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიური კანონის მაჩვენებელია), ხოლო მესამე — ექონომიური. ალბანელთა წარმოების უმთავრესი ფორმა, როგორც ვნახეთ, მეჯოგობა და ნედირობა ყოფილა; მიწის მუშაობა კი სხვათა შორის სცოდნიათ; ვაჭრობაზე ხომ თითქმის წარმოდგენაც არა ჰქონებიათ. მათს ასეთს ეკონომიურათ უკან ჩამორჩენილობას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ნიადაგი მეტათ ნოუიერი და უხვი იყო, ადამიანისაგან სულ მცირე შრომას მოითხოვდა და, მათსადამე, არც საწარმოვო ტეხნიკის განვითარებას ხდიდა საჭიროდ; მეორე მცრით, არც თვითონ მცხოვრებლები იყვენ იმდენათ რიცხვ-მრავალნი (ტერიტორიისთან შედარებით ვლაპარაკობთ), ე. ი. მციდროთ დასახლებულნი, რომ ბუნებრივი სიმდიდრე, ნადირობა და მეჯოგობა მათ პრიმიტიულ

შოთავენილებათა დასაქმიაუოფილებლათ საკმაო არ ყოფილია ყო. ამ შოთავენილებათა განვითარებას და შეძენილი სიმღიდოების დაგროვებას ხელს უშლიდა, სხვათა შორის, ერთი ტრადიციული ჩვეულებაც, სახელდობრ მიცვალებულ წინაპართან ერთათ მისმიერ მოპოებული ქონების დამარხვა, რისგამოც შვილები, სტრაბონის სიტყვით, სრულიად გაღატაკებულნი რჩებოდენ; მაშასადამე მამის გარდაცვალების შემდეგ მათ ხელახლა სჭირდებოდათ იმავე გზით სიარული და იმავე ქონების შეძენა, როგორიც მათს მშობლებს თან ჩატქონდათ მიწაში; უეჭველია, ამგვარს მოჯადოებულს წრეში მუდამ ტრიალი ვერაფერი თავმდებია ქონებათა დაგროვებისა და მოთხოვნილებათა გაფართოებისათვის. აქედან—წარმოების განუვითარებლობა და ერთ წერტილზე გაყინვა, თავის-თავათ.

შედარებით სხვაგვარს პირობაებში ცხოვრობდენ ივერიისა და კოლხიდის თემები. როგორც სტრაბონი ამბობს, ივერია მჭიდროთ იყო დასახლებული, თანაც მცხოვრებლები მიწის-მუშაობას უფრო მისდევდნ, ვიდრე მეჯოგობას, და რამდენათმე აღებ-მიცემობაშიაც ჰქოდათ უეხი ჩაღვმული; ამასთანავე ივერიის ბუნება სიუხვით ალბანიისას ვერ შეედრებოდა, თუმცა ბუნებრივი სიმღიდოები აქაც ბლომათ მოიპოებოდა.— რაც შეეხება კ-ლხიდას, ის ხომ კ დევ უფრო შორს იყო წა-სული: აქ უმთავრესს დარგს წარმოებისას და სიმღიდრის წყაროს—ფაჭრობა და ხელათ-ქსოვა, აგრეთვი სახლიაღდე ხე-ტუის გატანა და რეინ-ვერცხლის მაღნებში მუშაობა შეაღვენდა; ხალხი ძლიერ მჭიდროთ იყო დასახლებული (წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ არც რიონის კაობებში გაიკეთებდენ ბოძებზე შედგმულს ფაცხებსა და ხის სახლებს; ამასვე მოწმობს ხიდების სიმრავლეც ფაზისზე და მრავალი ციხე-სიმაგრეები ძირულ-ყვირილის ხეობაში, რასაც იგივე სტრაბონი და პიპოკურატი მოწმობენ 378); და, რა თქმა უნდა, შავი ზღვის წყალობით მუდამ კულტურულ ერებთან (ეგვიპტელ-ფინიკულებთან, ბერძნებსა

და რომაელებთან) მისცლა-მოსცლა და კავშირი მის კულტურულ მთხვეფიდებათა გაფართოებაზედაც შესაფერს გავლენას მოახდენდა. აქედან რაღა საკითხავია, რომ კულტურულათ და გონიერებრივათ კოლხები უფრო მომზადებული უნდა ყოფილიყვენ ზოროასტრის მაღალი მოძღვრების მისაღებად (ამას შოწმობს მათ შორის გაფრცელებული დაუმარხობა მამრი სქესის მიცვალებულებისა), ვინემ ივერიელები, და ეს უკანას-კნელინი—უფრო მეტათ, ვინემ მათი მეზობელი მეჯოგე აღმანელები.

სამწუხაროთ, როგორც იგივე სტრაბონი გადმოგვცემს, მას შემდეგ, რაც კოლხიდაში რომაელთა მმართველობა გაბატონებულა, კოლხიდის ჩრდილო-დასავლეთის საზღვრები (პიტუსისა და დიოსკურიისა, ბიჭვინტისა და სუხუმის მახლობლად) დიდ გასაჭირები ჩავარდნილან. სახელდობრ, აქ გახშირებულა აქელებისა, ჯიქებისა, გენიოხებისა და ბოსფორელების მეკობრეობა ანუ ზღვის ყაჩაღობა. ყაჩაღები დღისით ზღვაში მოქმედობდენ, ხოლო ღამით ხმელეთზე. ზღვაში გადიოდენ პატარა მსუბუქი ნავებით, რომელთაგანაც თითო ოცდა-ხუთს კაცზე მეტს ვერ დაიტევდა, დაეცემოდენ სატრანსპორტო ხომალდებს ან ქალაქს და დაუსჯელათ ჰელეჯდენ უდარდელ რომაელ მმართველთა ხელში ჩავარდნილს მცხოვრებლებს; შემდეგ ნადავლი მიჰქონდათ ბოსფორლებთან, რომელნიც სიმოვნებით უთმობდენ მათ თავის ნავთსადგურებსა და ბაზებს ნაქურდალის გასასყიდად. ხმელეთზე ყაჩაღები უმეტეს ნაწილათ ნაღირობდენ აღამიანებზე, რომელთაც იქერდენ და, როგორც ტყვეს, შემდეგ მხოლოდ დიდს სასყიდელში უბრუნებდენ უკან ნათესავებს. „იმ ადგილებშით, — დაძენს სტრაბონი, — საღაც საკუთარი მეფე ბი ჰყავთ, ხალხი თავის მბრძანებელთანვე ჰპოებს მფარველობას...; მაგრამ მხარე, რომელიც რომაელების ხელშია (იგულისმება კოლხიდა), გაშაგზავნილ მმართველთა დაუდევრობის გამზ, უმწეოთაა დარჩე-



ნიდით".³⁷⁹⁾ ასე იყო უწინ, ასეა დღეს და ოქება მართვულება
შიაც ყველგან, სადაც ამა თუ იმ ერის პილიტიკურს სვებედს
თვითონ ეს ერი კი არ განავებს, არამედ უცხო ქვეყნიდან
მოვლენილი მოხელე. ალბათ, ამ უკანასკნელი აზრისათვის
სურდა ხაზი გაესვა ჩვენს ისტორიკოსს სულთან ბარათაშვილს,
როცა თავისი „ისტორიის“ ერთს აღვილას სტრაბონის ზემო-
აღნიშნული მოწმობა ზღვის ყაჩალთა შესახებ იმ აზრითა ძევს
აღსნილი, თითქოს სტრაბონის დროს კოლხიდა სილატაკესა
და კულტურულ სიძეჩავემდე ყოფილიყოს მიყვანილი.³⁸⁰⁾ მაგ-
რამ, ვინ არ იყის, რომ ყაჩალობის იწვევს თვით ამა თუ იმ
მხრის გვინობიური განვითარება, რომელიც პირველისაგან
მხოლოდ მცირეოდნათ ფერხდება თავისს თავისუფალს მსვლე-
ლობაში, რამოდენათმე რყევას იწყებს, მაგრამ შეჩერებითა
და ჩამოქვეეთებით კი არასოდეს არ შეჩერდება და არ ჩამოი-
ქვეითებს. ამას გარდა, აღნიშნული ყაჩალების სამოქმედო რა-
იონი კოლხიდის მარტო ერთ პატარა ყურეს შეადგინდა, ხო-
ლო უდიდესი მისი ნაწილი მათთვის ხელმისუწდომელი იყო.
დასასრულ, სტრაბონი არ ამბობს: კოლხიდა დაუდევარ შარ-
თველებისა და ყაჩალების წყალობით გაღატაკების პირამდეა
მიყვანილი, არამედ — „უმწეოდ“ არის დარჩენილი (= „ნი-
ჭე ნეშომოჲა“), ე. ი. თავის მამინაცვალ-გამგეებში ყაჩა-
ლთაგან მფარცელობას ვერ ჰპოებსო. ამიტომ ჩვენ უარვყოფთ
იმ აზრს, ვითომც კოლხიდა სტრაბონის დროს ივერიაზე ნაკ-
ლებს ნივთიერს კეთილდღეობაში ყოფილიყოს და ვითომც
პირველის „აღყვავებისა და კეთილდღეობის შესახებ იმ დროს,
რომელზედაც ჩვენ ვამბობთ, არ შეიძლებოდეს იგივე ითქვას,
რაც მეორის მდგომარეობაზედა გვაძეს ნათქვამი“. ჩვენ გვვი-
ნია, რომ რაგინდ „უმწეო“ მდგომარეობაშიაც ყოფილიყო
ჩავარდნილი აღმინისტრაციულად კოლხიდა, მისი ეკონომიკუ-
რი განვითარება მაინც იმდენათ გასწრებული იყო ივერიისაზე,

379) გეოგრაფია—ე. XI, გლ. 2, §—12.

380) ს. ბარათაშვილი—საქართვ. ისტორია, 113. I, გვ. 109.

რომ ქონებრივისა და კულტურული „აყვავების“ მხრივ როგორც რომ 30--40 წლის განმავლობაში (რომელსაც ჩვენის ანგარიშით პოვნების ლოგიკობიდან სტრაბონის „გეოგრაფიის“ და წერიამდე უნდა გაევლო) პირველი უკანასკნელზე უკან ვერ დადგებოდა.

ამ გვარათ, ქართველის ტომის თემთა შორის პირველ საუკუნეში ქრ. დაბადებამდე საწარმოვო ძალთა და საშვალებათა განვათარებით ყველაზე წინ იდგენ კოლხიდის თემები, ამათ მოსდევდენ ივერიელები და მესამე ადგილი ეჭირათ მლბანელებს. პირველებში ძლიერი იყო ჯაჭრაბა-შრეწელთა, მეორეთა შორის — შიწის მუშაობა, ხოლო უკანასკნელებში — მეჭოგობა და ნადირობა. ამის კვალობაზე, კულტურულიათაც პირველი გაცილებით მაღლა იდგენ უკანასკნელებზე, ხოლო უფრიერეს საშუალო ადგილი უნდა სკეროდათ, მაგრამ პოლიტიკურმა დამოუკიდებლობამ მათ მისცა საშფალება კულტურულიათ კოლხებს დასწეოდენ და განათლებასა და სარწმუნოებაში თანასწორი ადგილი დაეჭირათ.

ს. გორგაძე.

ა/2884 ✓



+ გ მ გ ა ყ მ ი ა მ

გ უ დ ა ვ ა მ .

| გვ. | ლებ. | ენგლ. | უნდა-ლუან. | |
|-----|------|--------------|--------------|----------|
| 3 | 3 | ფიზი | ფიზი | |
| 25 | 14 | zh. | zh. | |
| 26 | 21 | "ფიზიუდჟი" | "ფიზიუდჟი" | |
| 34 | ფიზ. | 6 | fi. | |
| 43 | - | „ლეიბერიანი" | „ლეიბერიანი" | |
| 49 | - | Brosset | Brosset | |
| 59 | 15 | ბერიუმი | ბერიუმი | |
| 61 | ფიზ. | 9 | მინერალი | მინერალი |
| 85 | - | მეტერი | მეტერი | |
| 88 | - | კებური | კებური | |
| 115 | ფიზ | 2 | ლანგ- | |
| 118 | - | 4 | ჭურვი | |
| 134 | 10 | სტლი | სტლი | |
| 169 | 18 | კუნცული | კუნცული | |
| 173 | ფიზ. | 13 | კუნცული | |
| 174 | 10 | ლეიბერი | ლეიბერი | |